ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი

გელა საითიძე

# ჟურნალი „კლდე“

*(1912-1915 წწ.)*

გამომცემლობა „ნეკერი“
2003

*ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტერატურო ჟურნალ „კლდის“ შესახებ. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ეს ბეჭდური ორგანო გამოდიოდა 1912 წლის 16 სექტემბრიდან 1915 წლის 17 მაისამდე. ჟურნალის დამფუძნებლები იყვნენ გულმხურვალე მამულიშვილები — დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბი. ჟურნალმა „კლდემ“ გაზეთ „საქართველოსთან“ ერთად, დიდი როლი შეასრულა ქართული ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების საქმეში.*

*წიგნი განკუთვნილია ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ლექტორების, აგრეთვე XX საუკუნის ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.*

*რედაქტორი:* **დალი ჩიკვილაძე**

*რეცენზენტები:* **შოთა გაგოშიძე**
**თამაზ ჯოლოგუა**

© გელა საითიძე, 2003

ISBN 99928-56-67-6

# შ ი ნ ა ა რ ს ი


| | |
|---|---|
| შესავალი | 4 |
| ჟურნალ „კლდის" მიზნები და ამოცანები | 8 |
| ჟურნალი „კლდე" და საქართველოს ტერიტორიების საკითხი | 20 |
| ჟურნალი „კლდე" და ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხი | 41 |
| ჟურნალი „კლდე" და ეკონომიკის საკითხები | 59 |
| ჟურნალი „კლდე" და ივერიის ეკლესიის საკითხი | 67 |
| ჟურნალი „კლდე" და კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი | 73 |
| ჟურნალი „კლდე" და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხი | 79 |
| ჟურნალი „კლდე" გამოჩენილ მამულიშვილთა სახელის წარმომაჩინებელი | 89 |
| ჟურნალი „კლდე" და ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები | 111 |
| დასკვნა | 143 |
| რეზიუმე | 146 |

# შესავალი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად 1917 წლის ივნისში გაფორმდა, თუმცა მისი ჩამოყალიბების პროცესი კარგა ხნით ადრე იყო დაწყებული. მისი აკვნის ერთ-ერთი პირველი დამრნევი დიდი ილია გახლდათ. წიწამურის ტრაგედიის შემდეგ, ილიას იდეების გაცხადების საშუალებებად ეროვნული მიმართულების ქართული პერიოდული გამოცემები იქცნენ. მათ შორის აღსანიშნავია ჟურნალები: „ნიშადური", „საქართველო", „ერი", „კლდე"... გაზეთები — „ივერია", „იმერეთი", „სამშობლო", „საქართველო" და სხვ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ასპერეზზე გამოსულმა ახალ-თაობამ, ე.წ. „მესამე დასმა", მიზნად დაისახა ილიას და მის თანამოაზრეთა წინააღმდეგ ბრძოლა. მათ მიერ სახელმძღვანელოდ აღიარებული იდეოლოგია — მარქსიზმი, როგორც ცნობილია, უპირველეს მნიშვნელობას სოციალურ საკითხებს უთმობდა, ხოლო ერვნული მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული საზოგადოების დაყოფა პარტიებად, ჯგუფებად თუ მიმდინარეობებად, ერთგვარ მოდად იქცა, რომელმაც კიდევ უფრო დაასუსტა ისედაც დაძაბუნებული ქართული ეროვნული ცნობიერება... ამ მდგომარეობიდან გამოყვანის და მიძინებული ენერგიის გააქტიურების საქმეში, გარკვეული როლი ითამაშა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1905-1907 წლების რევოლუციურმა გამოსვლებმა.

სხვადასხვა პოლიტიკური ძალების აქტიური პროპაგანდის მეშვეობით საზოგადოების დიდმა ნაწილმა თითქმის ირწმუნა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების შესაძლებლობა... მაგრამ რევოლუციის დამარცხებამ ქართველი ხალხი თვალნათლივ დაარწმუნა იმაში, რომ ცარიზმი „ინოროდცებისათვის" საერთოდ და, კერძოდ, ქართველებისათვის, არაფერს გაიმეტებდა... იგი გონს მოეგო და რეაქციის წინააღმდეგ ახალი შეტაკებისათვის მზადება დაიწყო. ასეთ ვითარებაში დიდი მნნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ ვინ იკისრებდა ერის მეთაურობას. აქ აშკარა იყო ისიც, რომ მრავალრიცხოვანი და სხვებთან შედარებით უფრო ორგანიზებული სოც.-დემოკრატიული პარტია ერის მესაჭის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. ამის მიზეზი ზემოთ მითითებული ეროვნული საკითხის მეორე ხარისხოვნად მიჩნევაც იყო... სოც.-დემოკრატების პოზიცია რელიეფურად ირეკლებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ნარგზავნილ ქართველ დეპუტატთა საქმიანობაშიც, რომლებიც ინტერნაციონალიზიმის ცხენზე ამხედრებულნი, საერთო სარუსეთო

საკითხების გადაწყვეტისაკენ უფრო მიმართავდნენ თავიანთ ძალისხმევას და საჭიროდ არ თვლიდნენ სამშობლო ქვეყნის ჭირვარამზე ყურადღების განსაკუთრებულად გამახვილებას. ის კი არა და გაშმაგებით ილაშქრებდნენ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეროვნული საკითხის შესახებ ხმის ამოღებას ბედავდა...

სწორედ ამ დროს სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ახალგაზრდა მამულიშვილთა მცირე ჯგუფმა, თბილისში ყოველკვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალ „კლდის" დაარსება განიზრახა.

„სახალხო გაზეთი" ამის შესახებ ქართველ საზოგადოებას აუწყებდა: „ახლო მომავალში გამოვა ყოველკვირეული ჟურნალი „კლდე". ჟურნალის ხელმძღვანელებად იქნებიან: რევაზ გაბაშვილი, შალვა მესხიშილი, გიორგი ჟორდანია, დავით ვაჩნაძე და შალვა ამირეჯიბი". [1]

ჟურნალის დაარსების ინიციატორი, ორგანიზატორი და ძირითადი დამფინანსებელი განათლებული პიროვნება და გამოჩენილი მამულიშვილი დავით ვაჩნაძე იყო, რომელსაც კალამიც შესანიშნავად უჭრიდა და „დავით კახელის", „დ.კ."-ს, „ეკალის!" და სხვა ფსევდონიმებით ჟურნალში სისტემატურად ათავსებდა წერილებს სოფლის მეურნეობის, კოოპერატივებისა და ამხანაგობების, ბანკებისა და სალაროების, კრედიტების და ფინანსების, ქართული ტერიტორიების საკითხებზე.

ჟურნალის ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი, ავტორ-შემოქმედი, საქმის მწარმოებელი, გამავრცელებელი და კორექტორიც კი – რევაზ გაბაშვილი გახლდათ. მისი ძირითადი ფსევდონიმები იყო: „რაე", „რ.გ.", „ღამურა", და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის ხელმოუნერელი სარედაქციო წერილებიც და სხვა არაერთი საპრობლემო ხასიათის სტატიაც მის კალამს ეკუთვნის.

ჟურნალის ერთ-ერთი მესვეურთაგანი იყო აგრეთვე, ნიჭიერი პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი შალვა ამირეჯიბი, რომელიც თავის მკითხველებს „ფარსმან–ფარუხის", „ფარის", „ა-ის", „ფ.ფ."-ს სახელით ესაუბრებოდა.

„კლდეში", მისი გამოსვლის პირველი დღეებიდანვე თანამშრომლობდნენ: ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი), შალვა ქარუმიძე, დავით კასრაძე, მიხეილ მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი („რიშ-ბაბა"), დიმიტრი ჯავახიშვილი, გიორგი დაფქვიაშვილი, ვასილ ყიფიანი, სამსონ დადიანი, ირეოდიონ სონღულაშვილი და სხვები, რომლებიც დიდი ილიას იდეე-

[1] „სახალხო გაზეთი" 1912 ნლის 25 აპრილი

ბის მიმდევრებად და მისი დაწყებული საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ თავს.

ჟურნალს დრო და დრო თავისი მხატვრული ნაწარმოებებით ამშვენებდნენ: ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, კოტე მაყაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, გრიგოლ მეგრელიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, დუტუ მეგრელი (ქოჩაკიძე), ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე), მელანია (ნიკოლოზ ნათიძე) და სხვები; შემდგომში „კლდის" ავტორთა რიგებს შეემატნენ: ნიკო ნიკოლაძე, სარგის კაკაბაძე, გიორგი ნამორაძე, პავლე ინგოროყვა, თედო ღლონტი, გიორგი მამრაძე, ლ. ფავლენიშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. დიასამიძე, ე. ალშიბაია და ათეულობით სხვა მოღვაწე, რომელთა სახელები ჯერჯერობით მრავალრიცხოვან გაუხსნელ ფსევდონიმებს არიან ამოფარებულნი (მაგალითად მეგობარი, მოხეტიალე, ნაცარა, დიოგენი, ლელი, ძველელი, მროველი, ი. იმერელი, თ. თიანელი, გორელი, შამქორი, გ. ახ-ელი, დონ-დიეგო, მგზავრი, გარეშე, ელო, დამსწრე, მეთვალყურე, ვინმე მესხი, ქუთაისელი, რიონელი, ამხანაგი, ვინმე სოფლელი, ძველი სტუდენტი, ნიჩბისელი, მამაძე, ინ. ს-ნი, შეუპოვარი, გული, სემიტი, დეგოთელი და სხვ.)

ჟურნალის ფურცლებზე გარდა ორიგინალური ნაწარმოებებისა, სისტემატურად იბეჭდებოდა უცხოელი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები (მაგ. გი დე მოპასანის, ჯერომ ჯერომის, ჯეკ ლონდონის, ოსკარ უაილდის, ანატოლ ფრანსის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ტარას შევჩენკოს და სხვათა.)

ჟურნალში მოღვაწე ეს თანამშრომლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც რეაქციის წლებში „ეროვნული საკითხის დაყენების ილია ჭავჭავაძისეულ ტრადიციებს აგრძელებდნენ. ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდნენ ებრძოლათ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისათვის. მათ თეორიულ წერილებში დასაბუთებული იყო დამოუკიდებლობის კანონიერი უფლება, მისი სიკეთე ხალხის ეკონომიური და სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის; დამღუპველად იყო მიჩნეული სოციალურად განსხვავებული საზოგადოებრივი ფენების ურთიერთდაპირისპირება და შინა ომი. 1913-1914 წლებში ეს მიმართულება გამოირჩეოდა თავისი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით და მომნიფებული იყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გაფორმებისათვის, რაც დროებით შეაფერხა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ[2].

ავტორთა მრავალრიცხოვნობა, ჟურნალის თემატურ მრავალფეროვნებასაც განაპირობებდა, რაც ფართო მკითხველის მიზიდვის გარანტიაც იყო.

---

[2] ა. სურგულაძე, პ.სურგულაძე. საქართველოს ისტორია. საკითხავი წიგნი. 1783-1990., თბ., 1991, გვ. 171.

ჟურნალი თავის უპირველეს მიზნად მიიჩნევდა ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიური, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგუიური, ტერიტორიული თუ ერთა შორის ურთიერთობის საკითხების წინა პლანზე წამონევას და მათზე ქართველი საზოგადოების ყურადღების მომართვას.

ჟურნალ „კლდის" უპირველესი დევიზი იყო: „გამდიდრდით! იმუშავეთ! შეიძინეთ!" ეს მაშინ, როცა სოციალისტური პარტიები და მათი ბეჭდური ორგანოები ხალხს გაპროლეტარებისა და კერძო საკუთრების უარყოფისაკენ მოუწოდებდნენ.

ჟურნალი „კლდე" ფართო ფორმატის 16 გვერდიანი ყოველკვირეული გამოცემა იყო. ორი წელი და რვა თვე იარსება და სულ 115 ნომერი გამოვიდა. მან გამოსვლისთანავე დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა ქართველ მკითხველ საზოგადოებაში და როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პერიოდულმა გამოცემამ მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს.

ჟურნალის ფურცლებზე იმ დროს დასმული და გადაჭრილი არა ერთი საკითხი, დღესაც დიდ პრაქტიკულ ღირებულებას ინარჩუნებს და ამიტომ მისი მონოგრაფიულად შესწავლის საქმე ფრიად აქტუალურად მიგვაჩნია.

# ჟურნალ „კლდის“ მიზნები და ამოცანები

ჟურნალ „კლდის“ პირველი ნომერი 1912 წლის 16 ენკენისთვეს (სექტემბერს) გამოვიდა. სარედაქციო წერილში „წინასიტყვაობის მაგიერ“ დასაბუთებული იყო ჟურნალის დანიშნულება, მისი კონკრეტული მიზნები და ამოცანები... კერძოდ ნათქვამი იყო, რომ მას ხელი უნდა შეეწყო ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური აღორძინება — განმტკიცებისათვის, ანუ ხალხის განათლება და ეკონომიური სიძლიერე ერთად შედუღაბებული უნდა ყოფილიყო „ნაციონალური ცხოვრების პირობებით და გრძნობებით“[3].

ჟურნალი „კლდე“ თავის პირველსავე ნომერში ყველა ქართველისათვის გასაგონად ხაზგასმით მიუთითებდა: „თუ არ გინდათ უცხო კაპიტალის, ცოდნის, ინიციატივის მონები გახდეთ, ფეხზედ დადექით და ენერგიულად შეუდექით იმ საფუძვლების ჩაყრა-გამაგრებას, რომელზედაც მომავალში აღორძინდება მძლავრი და ჯანმრთელი ქართველი ერი.

*ეს საფუძველი არის: ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შედუღაბებული ერთად ნაციონალურ ცხოვრების პირობებით და გრძნობებით.* მიტანა ერთი ქვისა და გამაგრება ამ საფუძველზედ შეადგენს უმთავრეს მიზანს ჟურნალი „კლდისას“ და ამიტომ ჩვენი ჟურნალი ეცდება გაუზიაროს მკითხველებს ყოველნაირი მასალა ფართე ქართულ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრებიდან და შეაკავშიროს თანამოაზრენი და ერთგულნი მიმდინარე დიდ ეროვნულ მუშაობისათვის“[4].

იქვე დასტამბულ წერილში „ჩვენი საქმეები“ ყურადღება იყო გამახვილებული ქართველი ერის არაერთ სატკივარზე, რომელიც მაშინ საქართველოს დაუძლურებულ სხეულში მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული. რამდენადმე გამოფხიზლებული საზოგადოება თითქოს იბრძოდა კიდეც ავადმყოფობისაგან თავის დასაღწევად, მაგრამ უნაყოფოდ, ვინაიდან „ბრძოლა ჩვენი დონ- კიხოტის ბრძოლას ჰგავდა“ და განეული მუშაობა ნაყოფის არ მომტანი იყო.

ავტორი ყურადღებას ამახვილებდა აპატიაში ჩავარდნილ ქართველ ინტელიგენციაზე, რომლისთვისაც „მოქმედება ტანჯვა იყო, რადგან გრძნობდა თავის უღონობას...“, ხოლო რაც შეეხებოდა „კალმით მომუშავე ინტელიგენტებს“ ანუ პუბლიცისტებს, არც ერთი მათგანი არ იყო ერის საზოგადო აზრის გამომხატველი და არც ერთის სიტყვას არავითარი გავლენა არ ჰქონდა მკითხველ სა-

---

[3] ჟურნ. „კლდე“, 1912ნლის 16 სექტებბერი, გვ. 2.

[4] იქვე, 1912 ნლის 26 სექტემბერი, გვ. 3.

ზოგადოებაზედ, ვინაიდან მათი აზრები არ „შეეთანხმებოდა უმრავლესობის აზრს“ და ხელს ვერ უწყობდა სწორედ უმრავლესობის აზრების შეკავშირებასა და სამოქმედოდ წარმართვას.

„დღევანდელი ჩვენი პუბლიცისტი განცალკევებითა სდგას და გაიმღერის, მარტოკაა ის, მსმენელი არა ჰყავს, მწერალიც ის არის, მკითხველიც, განმანათლებელიც და გასანათლებელიც, დამრიგებელიც და დასარიგებელიც“[5].

ავტორის აზრით, ჩვენს წარსულს ცხოვრებაში ორიოდე საკითხი მაინც იყო წინ წამოწეული: მასებში ეროვნული შემეცნების გამოღვიძება და ტერიტორიისა და ენის დაცვისათვის ბრძოლა... მეწინავეობა აქ თავად-აზნაურულ ინტელიგენციას ეკავა, რომელსაც „ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული გეგმა თავისი მოქმედებისა, მტკიცედ ადგა თავის აზრს და მიმართულებას, გულწრფელი სიყვარულით ბრწყინავდა მისი გული და თავის მიზანს ემსახურებოდა ფანატიკოსის ჯიუტობით“[6].

ასეთი ინტელიგენტები იყვნენ „უანგარო, გულწრფელი მუშაკები, მედგარი მებრძოლები მტერსა და დუშმანთან, მოყვარული და არა მოშურნე თავის ძმისა, რომელიც მხარში ედგა და მასთან ერთად ერთი გზით ვლიდა“[7].

სწორედ ეს ერთიანობა, ერთი მიზნისაკენ სწრაფვა აძლიერებდა ჩვენს ერს საუკუნეების მანძილზე, სწორედ მათი თავდაუზოგავი ბრძოლითა და შრომით იქნა შენარჩუნებული ეროვნული სული და თვითმყოფადობა.

ახლად დაარსებული ჟურნალის მიზანი სწორედ ეროვნული სულისკვეთების აღდგენა და მისი წინსვლისათვის ზრუნვა უნდა გამხდარიყო.

„კლდის“ პირველსავე ნომერში დაბეჭდილი მასალებიდან საპროგრამო ხასიათისაა „ა—ი“-ს (შ. ამირეჯიბის) წერილი — „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც პუბლიცისტი აანალიზებდა რა საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, აღნიშნავდა, რომ „ჩვენი სოფლები ღარიბი იყო, ხოლო ქალაქები ნახევრად ჩვენი აღარ იყო“... ამის მიზეზით ხელის ჩაქნევა და მომავლისადმი რწმენის დაკარგვა არ შეიძლებოდა... ამიტომ „აღორძინებაც იმ ადგილებიდან უნდა დაეწყოთ, სადაც ჯერ კიდევ თავმოყრილი იყო ეროვნული ძალა თავისი პოტენციური შესაძლებლობებით. ასეთი ძალა კი „კლდეისტთა“ აზრით, „სოფელი და ჩვენი პატარა დაბა-ქალაქები“ იყო. თბილისი თითქმის დაკარგული იყო ეროვნული აღებ-მიცემობის გასავითარებლად... ჩვენი

---

[5] ჟურნ. „კლდე“, 1912წლის 26 სექტებბერი„ გვ. 3.

[6] იქვე, გვ. 2.

[7] იქვე, გვ. 3.

პატარა ქალაქების ვაჭრობაც, ნახევრად უცხოთა ხელში, სახელ-დობრ სომხების ხელში იყო. თუმცა ჟურნალს სამართლიანად მიაჩნდა, რომ „ერის სიმდიდრე არ განისაზღვრება კერძო პირთა სიმდიდრით", რომ ებრაელებსა და სომხებს მრავალი მდიდარი წარ-მომადგენელი ჰყავდათ, მაგრამ ისინი მდიდარ ერებად არ ითვლე-ბოდნენ, ვინაიდან თავიანთი ეროვნული ეკონომიკური სტრუქტურა არ გააჩნდათ... „თუ ეკონომიკურ ინტერესს ერისას ზედ არ ერთვის ღრმა ნაციონალური ინტერესი, უამისოდ იგი, როგორც შემკრები ძალა საერთო ეროვნული ცხოვრებისა, ნულია!" უპირველეს ყოვ-ლისა, საჭირო იყო რთული სოციალური და ეროვნული ორგანიზმის ჩამოყალიბება. ეროვნული ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები კი, — ავტორის თქმით, იყო: ტერიტორია, ენა, კულტურა, რელიგია, სახელმწიფოებრივი ცხოვრება აწმყოში თუ წარსულში, სა-ზოგადოებრივი დანესებულებანი, კლასები და მისი გამომხატველი ორგანოები... ავტორი ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებდა დასკვნას, რომ ქართველ ვაჭარს მეტი პერსპექტივა აქვს, ვიდრე სომეხს საქართველოში მცხოვრებს, რადგან „ქართველი ვაჭარი და სომეხი ვაჭარი საქართველოში ორი სხვა და სხვა ფსიხიკაა. პირველი შემქმნელია მომავალში ეროვნულ-ეკონომიურ ცხოვრებისათვის, მეორე მისდევს მარტო მოგებას, პირველი ბინადარია ათასის ინ-ტერესებით მიჯაჭვული თავის მიწა-წყალს, მეორე — უბინადრო, რომელსაც უცხო ერთან არაფერი არ აერთებს; პირველი ეროვნუ-ლია, მეორე ანტიეროვნული. აი განსხვავება. და თუ ყველა ამას ზედ დავუმატებთ იმ პატრიოტიზმს, რომლითაც შეხვდება საქართველო თავის ეკონომიურ აღორძინების დასაწყისს, ჩვენ ხელთ გვექნება მთელი ჯამი იმ განსხვავებისა, რომელიც დიდ უპირატესობას ჰქმნის ჩვენთვის"[8].

მომდევნო ნომრის სარედაქციო წერილში, რომლის სათაურია „ახალი ძალა", საუბარია იმაზე, რომ ეროვნული ორგანიზმის სიმძლავრე და ჯანმრთელობა დამყარებულია არა მარტო ამა თუ იმ „პოლიტიკური გეგმის აღიარებაზე, არამედ ამ პოლიტიკურ გეგმის კულტურულ-ეკონომიურ შინაარსზეც"; რომ „თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლა შეუძლებელია და წაგებულია, თუ მას მხარში არ უდგას ძლიერი ეკონომიური ფაქტორები";[9] რომ სწორედ „ეკო-ნომიური უძლურება" იყო ის მწარე სინამდვილე, რომელიც ყოვ-ელთვის წინ ეღობებოდა „ქართული ეროვნული ცხოვრების აღორძ-ინებასა და განვითარებას", რომ სიღატაკე იყო „ქართული ეროვ-ნული ცხოვრების" ის ტრაღედია, რომლისგანაც აუცილებლად უნდა განთავისუფლებულიყო ყოველი ქართველი...

---

[8] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 16 სექტემბერი, გვ. 15.

[9] იქვე, გვ. 1.

მაგრამ რა ძალებს შეუძლიათ ქართველთა ამ მძიმე მდგომარეობიდან განთავისუფლება?..

დასმულ კითხვას ჟურნალშივე ჰქონდა პასუხი გაცემული: „ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ეროვნული ორგანიზმის სიძლიერისა არის საღი ეკონომიკა — მწყობრი კულტურულ-ეკონომიკური სისტემა...", რომ „ეს ძალაა, რომელიც ბადესავით უნდა მოეფინოს ჩვენს ქვეყანას, რათა ეროვნული სიძლიერე შექმნას. მასთან ერთად აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქართული ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება, რისთვისაც დაბა-ქალაქებში უნდა დაარსებულიყო სავაჭრო-სამეურნეო და საურთიერთო ბანკები იაფი კრედიტით და გახსნილიყო ქართული პროფესიონალური საკომერციო სასწავლებლები"; გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადრება უნდა მიქცეოდა „ქართული კოოპერატიული დანესებულებების" განმტკიცება-განვითარებას, რადგან 1844 წელს ქალაქ როჩდელში გადმოსროლილმა ლოზუნგმა „ძალა ეკონომიკურ ერთობაშია" მსოფლიო დაარწმუნა მის ცხოველმყოფელობაშიო და ა.შ.[10].

რ. გაბაშვილის თქმით, „კლდეისტთა" (მისგან შერჩეული ტერმინია — გ. ს.) მიერ არჩეული ლოზუნგი ელდა იყო როგორც სოციალისტებისათვის... ისე შეძლებულთათვის", რადგან ვაჭრობა მთელ ქართველ ხალხს (მუშას, გლეხს, აზნაურს, თუ ინტელიგენტს) სირცხვილად და საძრახისად მიაჩნდა; შეძენის მაგივრად თავადაზნაურობა მხოლოდ ჰყიდდა მიწებს უცხოელებზე და მუშაობას გაურბოდა: მთელი ინტელიგენცია ბოდავდა უსაქმო სოციალიზმით, ხოლო ნახევარ ინტელიგენცია (ე.ი. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია") გაპროლეტარებას ქადაგებდა — შეძენილის ძარცვას, აშენებულის დანგრევას და შვრებოდნენ კიდეც..."[11].

ჟურნალი დაბადების დღიდანვე ხმალშემართული დადგა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. „კლდეისტთა" მთავარი საზრუნავი ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის ბრძოლა იყო. „ეროვნული იდეა მათთვის იმავ დროს საკითხი იყო ქართულის ენისა, ქართულის ტერიტორიისა, ქართულის მესაკუთრეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისა"... მათი აზრით, „ყოველი იდეა რეალიზაციის დროს იგივე იყო, რაც ოქროს ფული გადახურდავებული სპილენძის გროშებზედ. ვინც არ აფასებს სპილენძის გროშს, მან არ იცის ფასი ოქროს მანეთისაც"[12].

გამომდინარე აქედან, „კლდეისტები" პირდაპირ მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს: „განავითარეთ ქვეყნის მწარმოე-

---

[10] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 16 სექტემბერი, გვ. 1-2.

[11] რ. გაბაშვილი. რაც მახსოვს. წიგნში: „დაბრუნება", თბ., ტ. III, 1992, გვ. 114.

[12] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 22 სექტემბერი, გვ. 1.

ბლური ძალები, მოაწყვეთ ყოველგვარი ეკონომიკური ირგანიზაციები, ჩაუნერგეთ მათ ეროვნული სული და ამ გალესილი იარაღით ამაყნი და ძლიერნი გამოდით საბრძოლველად"-ო[13].

„კლდეისტებს" მიაჩნდათ, რომ „ყოველი ერის ფიზიკური ძალა, არსებობის საფუძველი, განმტკიცებული უნდა იყოს მისი ეკონომიკური ცხოვრებით", რადგან „ეკონომიურად გაღონიერებული ხალხია სულიერად ღონიერი და გონებრივად ფხიზელი", რომ „ყოველ მისწრაფებას ძალა ეკონომიურ საფუძველში უნდა ჰქონდეს", რომ „თანამედროვ პოლიტიკური ბრძოლა წაგებულია, თუ მას მხარში არ უდგას ძლიერი ეკონომიკური ფაქტორები" და ა.შ. ეს აზრი შეესაბამებოდა რა ჟურნალის მთავარ ლოზუნგს, შემდგომში მის ყველა საკვანძო მნიშვნელობის პუბლიკაციაში დომინირებდა. ჟურნალს ერისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიწისა და ტერიტორიის საკითხის სწორად გადაჭრა მიაჩნდა, რადგან მასზე დიდად იქნებოდა დამოკიდებული „ქვეყნის მომავლის ბედი". ჟურნალი გადაჭრით იცავდა მიწის კერძო საკუთრების პრინციპებს, რის შესახებაც პირდაპირ იყო გაცხადებული მის ერთ-ერთ სარედაქციო სტატიაში: „...ჩვენ უსათუოდ კერძო საკუთრების მომხრენი ვართ. ეს არც იძულებითი კომპრომისია ჩვენის მხრივ, არც ტაქტიური მოსაზრება. ჩვენ აქ ვდგავართ იმ ნადაგზე, რა ნიადაგზედაც სუფევს მთელი ეკონომიკური სტრუქტურა საქართველოში"[14].

ჟურნალის მართებული შენიშვნით, „მეურნეთა და მესაკუთრეთა ქვეყანაში", თუ ეს პრინციპი დაირღვეოდა, მაშინ იგი ქართველი ხალხის ტრადიციული ცხოვრების დარღვევასაც განაპირობებდა და საბოლოო ჯამში მის დაღუპვას გამოინვევდა. ამიტომ, ეროვნულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე „კლდე" საჭიროდ თვლიდა ზოგიერთი რეფორმის გატარებას... კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიაჩნდა აქაურ მემამულეებს ზედმეტი და დაუმუშავებელი მიწები ქართული საკოლონიზაციო ფონდისათვის დაეთმოთ, ხოლო შემდგომ ხელმისაწვდომ ფასებში მცირემიწიან ქართველ გლეხკაცებისათვის მიეყიდათ.

უფრო ადრე, ჟურნალის მეოთხე ნომერში დასტამბულ სტატიაში — „მწვავე საკითხი", დავით კახელი (ვაჩნაძე) საქართველოს ეკონომიკური განვითარების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას. „უამისოდ ჩვენი ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის, უნაყოფო იქნება და ჩვენი იმედები ქვეყნის კეთილ მომავლისა ფუჭად დარჩება"[15].

---

[13] ჟურნ. „კლდე", 1913 წლი 20 იანვარი, გვ. 2.

[14] იქვე, 1913 წლის 22 სექტემბერი, გვ.4.

[15] იქვე, 1913 წლის 20 იანვარი, გვ. 12.

დავით ვაჩნაძე იქვე სვამდა კითხვას, თუ როდის შეიძლებოდა გამხდარიყო ეკონომიური ძალა, *ეროვნულ* ძალად? (ხაზგასმა დ. ვაჩნაძისაა — გ. ს.) და თვითონვე პასუხობდა: „როდესაც ის ეროვნულ ქონებრივ შექმნასთან ერთად მტკიცედ დაიცავს სამშობლო მიწა-ნყალს, ეროვნულ კულტურას, დედა ენას... როცა იგი გამსჭვალული იქნება ერთის მიზნით და გრძნობით, როცა ქართული ეკონომიური საკითხები მჭიდროდ იქნებიან გადაბმული ქართველი ერის ჭირ-ვარამთან, მის ეროვნულ იდეალებთან და მისწრაფებებთან"[16].

„კლდეისტებს" მიაჩნდათ რომ ვერც ერთი ერის ფიზიკური ძალა, „ვერც ერთი პოლიტიკური იდეა, ვერც ერთი კულტურული დანესებულება ფეხს მჭიდროდ ვერ მოიმაგრებდა, თუ ღონიერი ხალხი არ ეყოლებოდა დამცველად, თუ არ იქნებოდა კონტიგენტი ადამიანებისა, რომლებიც ამ იდეებს ცხოვრებაში განახორციელებდნენ. ამისათვის კი ხალხის შეგნებული მოქმედება იყო საჭირო"[17].

„კლდეისტებს" სწამდათ, რომ „ნავიდა ის დრო, როცა საქართველო იარაღით სწყვეტდა თავის ბედ-ილბალს"; რომ უნდა წასულიყო ის დროც, როცა მხოლოდ კულტურული ლაყბობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას, უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ფსიხოლოგიიდან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრს და სხვა ამ გვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში; რომ მხოლოდ „შეგნებულ სარდლებს" არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, თუ მათ ბრძანებებს შეგნებული ჯარისკაცები არ ეყოლებათ შემსრულებლად, ვინაიდან „ხალხში, მასაში შეგნება ისე ადვილად არ შედის როგორც ბევრს ჰგონია". მათი აზრით, არც „ჟურნალ-გაზეთების სიმრავლით, ბიბლიოთეკების დაარსებით თუ ნარმოდგენების გამართვით" თავის მოწონება იყო არა თუ სასარგებლო და საკმარისი, არამედ მავნებელიც კი იყო, ვინაიდან, სინამდვილის დანახვას უშლიდა ხელს და ესთეტიკურად დამტკბარს თუ მოწოდება-დარიგებით აღსავსე ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, კუჭი უფრო აღგზნებული ხდებოდა და დაკმაყოფილებას მოითხოვდა...

რ. გაბაშვილის თქმით, ხალხი ნაკლებ ეტანება პირდაპირი თეორიით გადმოცემულ სწავლებას და სიმართლეს... სულ სხვაა, როცა რაიმე პრაქტიკულ ცოდნას ანვდი და ამ ცოდნის პირდაპირ ნაყოფს აჩვენებ მას, ხოლო შემდეგ ზურგმომაგრებული ხალხი თვითონ შეიგნებს იმას, თუ რა უფრო საჭიროა და რომელი იდეები, რომელი პოლიტიკური მისწრაფებანი უფრო ხელსაყრელია მისთვის... ავ-

---

[16] ჟურნ. „კლდე", 1913 ნლი 20 იანვარი, გვ. 12.

[17] იქვე, გვ. 4.

ტორს ღრმად სწამდა, რომ „მარტო ეკონომიურად გაღონიერებული ხალხია სულიერადაც ღონიერი და გონებრივადაც ფხიზელი“[18].

„კლდის“ გამოსვლას, მის საპროგრამო განცხადებას და დამოკიდებულებას საზოგადოებრივ—პოლიტიკური ცხოვრებისადმი, საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა იმდროინდელ ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ გამომავალ კავკასიურ პრესაში. სხვადასხვანაირი იყო მათი დამოკიდებულება ახლად მოვლენილი თანამოძმისათვის.

მაგალითად, გაზეთი „Закавказъе“, ჟურნალ „კლდის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, თავის „პრესის მიმოხილვაში“ აღნიშნავდა: „გამოვიდა ქართული ყოველკვირეული ჟურნალ „კლდის“ პირველი ნომერი. თავიანთი ჟურნალის საფუძვლად XIX საუკუნის პოლონელი მოღვაწეების ნააზრევიდან გადმოკეთებულ (ნასესხებ) დევიზს უდებენ: ეკონომიური საქმიანობის განვითარებას, სახალხო-ეკონომიური ორგანიზაციების მოწყობას, ისეთი შენობის მკვიდრ ფუნდამენტზე აგებას, თანაც იმგვარად აგებას, რომ ეს საქმიანობა ეროვნულ ფარგლებში მიმდინარეობდეს. მომავალში კი ძალამოკრეფილი ხალხი თვითონ მოძებნის საშუალებას და დროს, რომ თავის თავი შეიცნოს“[19].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სოც.-ფედერალისტური მიმართულების „სახალხო გაზეთი“ ჟურნალ „კლდის“ პუბლიცისტებს „მენვრილმანე ვაჭრების“ ფსიქოლოგიის გამომხატველებად, მოუხეშავ, აპოლიტიკურ ადამიანებად თვლიდა და მათ „რეაქციული მიმართულების“ წარმომადგენლებად აცხადებდა.

„კლდეისტები“ უყურადღებოდ არ ტოვებენ თავიანთ ოპონენტს და პასუხსაც არ უგვიანებენ. „სახალხო გაზეთმა“ სულ უმიზეზოდ და ანაზდეულად აპოლიტიკოსებად მოგვნათლა, — წერდა „კლდე“ და რაკი ვითომ პოლიტიკა არა გვნამს, სხვა ყველა ჩვენს აზრებს „ნვრილმანების პოლიტიკას“ უწოდებს. უპირველესად ყოვლისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთი აზრი გაზეთისა სიცრუეა, რომელიც არც ერთის სიტყვით, არც ერთის სტრიქონით არ დაგვიმსახურებია და, თუ „სახალხო გაზეთმა“ მაინც დაგვწამა ცილი, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ აპოლიტიზმთან თავისი თავი უფრო პოლიტიკურად მოეჩვენა“[20]. „კლდეისტები“ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აყალიბებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ერის სამომავლო ბედისამი და სწამდათ, რომ გონიერი ეროვნული პოლიტიკა სწორედ ის იქნებოდა, რომელიც აამოქმედებდა ხალხს თუნდაც იმისთანა სასტიკ ხანაში, რომელშიც ისინი იმუამად ცხოვრობდნენ. თქვენ ისიც

---

[18] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლი 20 იანვარი, გვ. 4-5.

[19] გაზ. „Закавказъе“, 1912 წლის 19სექტემბერი, გვ. 2.

[20] ჟურნ. „კლდე“, 1912 წლის, 30 სექტემბერი, გვ. 5.

არ გჯერათ და გიკვირთ, — მიმართავდნენ „კლდეისტები“ თავიანთ ოპონენტს, რომ ვაჭარი თავის სიმდიდრით ეროვნულ სიმდიდრესაც ქმნიდესო. სჩანს ეს თქვენ არსად გინახავთ, არსად გაგიგონიათ, არსად წაგიკითხავთ! მაგრამ განა თქვენ ვალდებული ხართ ყველაფერი ნახოთ, გაიგონოთ და წაიკითხოთ? „რა ბედნიერი ხარ, რომ არაფერი წაგიკითხავს“, — უთხრა ერთმა ფილოსოფოსმა გლეხს. ამასვე გეტყვით თქვენც“[21].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჟურნალ „კლდის“ საქმიანობაში დადებითი და სასარგებლო მომენტები შეუნიშნავს „კლდეისტთა“ ყველაზე რადიკალურ მონინააღმდეგეს, სოც.-დემოკრატების ლიდერს ნოე ჟორდანიას. ამის თაობაზე მოგვიანებით შალვა ამირეჯიბი წერდა: როდესაც ჟურნალი „კლდე“ პირველად გამოვიდა და მორცხვად განაცხადა პროგრამას მოქმედება გვირჩევნიაო, პირველი ფედერალისტები იყვნენ, რომ სიცილი მოგვაყარეს და ჩვენი მოქმედება „წვრილმანების პოლიტიკათ“ მონათლეს, (გულისხმობს „სახალხო გაზეთის“ ზემოთნახსენებ გამოსვლას — გ. ს.), მაგრამ მადლობა ღმერთს, საქართველოში კვლავ ყოფილა სამართლიანობა, რომელმაც ათქმევინა ბატონ ანს: „ამ საერთო ატმოსფეროში მხოლოდ „კლდემ“ შეიტანა სხვა ჰანგი, წამოაყენა კითხვები და შეეცადა პრაქტიკულ პოლიტიკის შემუშავებასო“.

ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ ამ მართალ სიტყვას და არა მარტო ამას, იმ ნაკლსაც, რომელზედაც გვითითებს ქართველ მშრომელ ხალხის ბელადი, მაგრამ ვიღებთ არა „ნათესავებისაგან“ (გულისხმობს სოც.-ფედერალისტებს — გ. ს.), არამედ მონინააღმდეგეებისაგან, ჩვენ საკუთარ და ჭეშმარიტ მონინააღმდეგებისაგან.

ჩვენში სიცრუეს ბევრს ლაპარაკობენ და სიმართლის გაგონება კი არავის არ უყვარს. ნამდვილად კი რამდენ კარგ გაკვეთილს აძლევს იგივე ბ-ნი ანი მათ, ვინც წარა-მარა საქართველოს პოლიტიკურ საკითხზე წუწუნებს და კი არას აკეთებს. ბ-ონ ანის წერილი „ფედერალისტების ბანაკში“ პირდაპირ პასუხია, თუ რატომ არ გახდა ქართული საკითხი პოლიტიკურ საკითხად. იმიტომ რომ, ისინი ვინც დაინტერესებულნი არიან ავტონომიით, არაფერს არ აკეთებენ იმის გარდა, რომ ერთსა და იმავე მასალას ხან ვრცლად ბეჭდავენ „სახალხო ფურცელში“, ხან შემოკლებით „ზვირთში“. პოლიტიკა კი ამით არსად შექმნილა“[22].

1913 წლის 22 ენკენისთვეს (სექტემბერს) ჟურნალი თავის სარედაქციო წერილში „წლის თავზედ“, რომლის ავტორია „ა-ი“ (ჩვენი აზრით, ამირეჯიბი — გ. ს.), აჯამებდა რა ერთი წლის მანძილზე განეული მუშაობის შედეგებს, მრავალ საინტერესო ფაქტზე

---

[21] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლი 20 იანვარი, გვ. 5.

[22] გაზ. „საქართველო“, 1915 წლის 30 ოქტომბერი.

ამახვილებდა ყურადღებას, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო ჟურნალის მიზან-მიმართულებასთან, საპროგრამო მოთხოვნებთან, ტერიტორიების, ენის კულტურის, ეკონომიკის თუ სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტასთან...

„დღეს სრულდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენმა ჟურნალმა პირველად იხილა დღის სინათლე. ერთი წელიწადი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრიად მოკლე დროა და ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოვახერხებდით გაგვეხორციელებინა თუნდ უმცირესი ნაწილი მაინც ჩვენის აზრებისა. მიუხედავად ამისა, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვიფიქროთ, რომ მცირეოდენი კვალი ჩვენმა ჟურნალმაც დააჩნია ჩვენს ცხოვრებას. სრულებითაც არ გვსურს პირად ღირსებას მივაწეროთ ეს მოვლენა. ბეჭდვითი სიტყვა ისეთი იარაღია, თუ კი მას სათავეში გულწრფელი და მართალი აზრი უდევს, იგი ყოველთვის მოახდენს შთაბეჭდილებას. ამას გარდა მრავალ საკითხების განხილვის დროს, ჩვენ ვიდექით ისეთ ნიადაგზედ, რომელიც თავისთავად ღირსი იყო ყურადღებისა. ყველა ეს იმის თავდებია, რომ ხმა ჩვენი არ დარჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“[23].

გამომცემელთა აზრით, ჟურნალი არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო და ეს იმიტომ, რომ ისეთი პარტია, რომელსაც მათი იდეების გავრცელება შეეძლო ხალხში, ჯერ-ჯერობით არ არსებობდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ისინი არც სხვა რომელიმე არსებულ პარტიის პრინციპებს აღიარებდნენ „სავსებით და უკრიტიკოდ“, თავისთავად იმის მაჩვენებელი იყო, რომ მოქმედების დროს მათ ჰქონდათ თუ „საკუთარი პროგრამა არა, საკუთარი ხმა მაინც, რომელიც განირჩეოდა სხვა პარტიათა პროგრამათაგან“[24].

მაინც რაში პოულობდა თავის გამოხატულებას ეს განსხვავება? „იმაში, რომ საქართველოში ქუდზე — კაცის გასოციალისტების ხანამ თავისი დრო მოჭამა...“ „კლდეისტები“ კი კერძო საკუთრების მომხრეებად გამოდიოდნენ... და ეს არ იყო იძულებითი კომპრომისი, ანდა უბრალო ტაქტიკური მოსაზრება. არამედ ეს იყო საქართველოს ისტორიულ გამოცდილებებზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნა... გამომდინარე აქედან, თავიანთ საქმიანობაში საქართველოს კი არ ეწეოდნენ თავისკენ, არამედ თვით ისინი მიდიოდნენ მასთან. ამის გამო განსხვავება „კლდესა“ და სხვა გამოცემებს შორის აშკარა იყო... გამომდინარე აქედან ჟურნალი დაასკვნიდა: „დიდი უმრავლესობა ჩვენის ქვეყნისა კერძო მესაკუთრეა... მაგრამ ჩვენი მესაკუთრეობა ისეთ სახეს იღებს, ისეთ საფუძველზედ სდგება და ისეთი ელემენტი იჭერს მასში მთავარი ელემენტის

---

[23] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლის 24 სექტემბერი, გვ. 1.

[24] იქვე, გვ. 1.

ადგილს, სახელდობრ, გლეხობა, რომელსაც არსებითად დემოკრატიზმი არ ეუცხოება. ამიტომ ჩვენ რომ მოგვესურვებინა ხალხისათვის ჩვენი პროგრამის ჩვენება ეს პროგრამა უსათუოდ დემოკრატიული იქნებოდა"[25].

ამასთან ერთად, მათთვის ეროვნული იდეა ცარიელი აბსტრაქცია კი არ იყო, არამედ „იმავ დროს იგი საკითხია ქართულის ენისა, ქართულის ტერიტორიისა, ქართულის ეკლესიისა,ქართულის კულტურისა, ქართულის მესაკუთრეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისა..." რომ „კლდეისტები" ეროვნული საკითხის გარჩევის დროს „არა მარტო იდეას იცავდნენ, როგორც აბსტრაქციას, არამედ მის ექვივალენტსაც"[26].

ავტორის განმარტებით მათ „თავი ეროვნული ინტერესების დარაჯად მარტო იმიტომ კი არ მიაჩნდათ, რომ, როცა ბათუმის ოლქში ქართული ენის შევიწროება დაიწყეს, ხმა მაშინ ამოიღეს, ანდა როცა კავკასიის უმაღლესი ხელისუფლება „ხიზანთა საკითხის" სახით „ქართულ ტერიტორიას არა ქართველებს ურიგებდა"... არა! ისინი სრულიად შეგნებულად აკეთებდნენ ამას, რადგან სწამდათ, „რომ ზემოთხსენებულ საკითხში ნამდვილ ქართულ ინტერესებს იცავდნენ, სწორედ ისინი და არა სხვები, რომლებმაც ასეთ საკითხშიაც კი ვერ გამოიჩინეს საკმაო პატრიოტიზმი."(ავტორი გულისხმობს საქართველოს სოციალისტურ პარტიებს —გ. ს.)

შემდეგი საკითხი, რომელსაც „კლდეისტები" თავიანთი საქმიანობის ძირითად მიმართულებად თვლიდნენ, სხვატომელთა შემოტევებისაგან ქართული სასიცოცხლო ინტერესების დაცვა იყო, რადგან უხეშად ირღვეოდა „ეროვნული სამართლიანობა". მათი პოზიცია მტკიცე იყო: „ეროვნულ პოლიტიკაში ისინი ანგარიშს უწევდნენ სხვა ერთა ინტერესებსაც, მაგრამ არ აპირებდნენ იმ პოლიტიკურ რეგვენებს, ან გულკეთილ დიასახლისებს დამსგავსებოდნენ, რომლებიც კერძების დარიგების დროს სტუმრებს იმდენს მიართმევენ, რომ თვითონ უკერძოდ რჩებიან" ხოლმე.

„კლდეისტთა"დამოკიდებულება ჩვენს მეზობელ ერებთან თვით საქართველოს ტერიტორიულ მდებარეობიდან გამომდინარეობდა. მათი აზრით, ისტორიულად ქართველი ხალხი არავის ცხოვრებაში არ ერეოდა. მას მუდამ თამამად შეეძლო ეთქვა: ჩემს საკუთარ ტერიტორიაზე ვცხოვრობ და ვიდრე ეს ტერიტორია არსებობს, მე სუპერ არბიტრი ვარ ყველა მთავარ საკითხში, რომელსაც ამ ტერიტორიის ცხოვრება წარმოშობს. აქედან გამომდინარე, ყველა სხვა

---

[25] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 24 სექტემბერი, გვ. 1.

[26] იქვე გვ. 1.

ხელოვნურად შექმნილი ნაციონალური საკითხები, როგორც ოსური, ან სომხური სრული კრახით დამთავრდებაო.

სულ სხვანაირი იყო „კლდეისტების“ დამოკიდებულება საქართველოს გარეთ მცხოვრებ ერებთან, მათ შორის განსაკუთრებით კი უშუალო მეზობლებთან — აზერბაიჯანელებთან, სომხებთან, კავკასიის სხვა ხალხებთან. მითუმეტეს იმ დროს, როცა მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ თავისუფლებას და კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების ნარმომადგენელს რუსის უღელი ედგა. „კლდეისტთა“ აზრით, ქართველებს, „არავითარი მიზეზი არ ქონდათ ცუდ განწყობილებაში ყოფილიყვნენ, მაგალითად, განჯის თათრებთან, ან ერევნის სომხებთან“, ვინაიდან ისინი თავის მშობლიურ მიწაზე ცხოვრობდნენ...[27] ყველა მათგანს უნდა ეზრუნა, რომ პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიური საკითხები, თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად თავისსავე მიწა-წყალზე განევითარებინათ, იქვე აეღორძინებინათ სოფლის მეურნეობა თუ ვაჭრობა-მრეწველობა... ანუ იმას უნდა ცდილიყვნენ, რათა სამეურნეო წინსვლის ისეთი ფორმები მოენახათ, რომელნიც გააადვილებდნენ ეკონომიური აღორძინების პროცესს. კოოპერაცია და ნვრილი კრედიტი, უნდა ყოფილიყო პირველი ეტაპი, რომელიც უნდა გაეარა ქართველ მეურნეს. „ჩვენ ღრმადა გვნამს, რომ ეს პროცესი უკვე არსებობს. ჩვენს სამშობლოში უკვე არის ისეთი კუთხეები, რომლებიც ინტენსიურ კულტურის მაგალითს ნარმოადგენენ. კახეთის რკინის გზა, რომლის დამოუკიდებლობას ჩვენ მუდამ ვიცავდით, სრულად შესცვლის სამეურნეო სურათს კახეთისას და სხვა პროვინციები არ დააყოვნებენ თავიანთშიც გააფართოონ ინტენსიური მეურნეობა. ამიტომ ჩვენი ყურადღება შრომისა და კაპიტალის ერთმანეთთან ბრძოლაზე კი არ იყო მიპყრობილი, არამედ ამ შრომის გაადვილებაზედ და ამ კაპიტალის შექმნაზედ. და ეს გარემოება, რასაკვირველია, არსებით ჰქმნის განსხვავებას ჩვენსა და სხვა არსებულ გარემოცვათა შორის“[28]-ო, წერდა „კლდე“.

ასეთი იყო ის უმთავრესი საკითხები, რომლებზედაც წერა თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა ჟურნალს, მაგრამ ძნელი იყო პრაქტიკულად მათი განხორციელება, ვინაიდან არ არსებობდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ქართველი საზოგადოების ამგვარს თავკაცობას შესძლებდა.

„არსებობს კი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც თავს იდებდა ყველა ზემო აღნიშნულის ქადაგებას და სისრულეში მოყვანას?,“ — სვამდა კითხვას ჟურნალი და თვითონვე პასუხობდა: „გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა! ამის გაკეთება არ

---

[27] ჟურნ. „კლდე“, 1913 ნლის 7 თებერვალი, გვ. 15.

[28] იქვე, გვ. 3.

შეუძლიათ არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ბევრ ისეთ რამეზე უნდა სთქვან უარი, რაც ერთად-ერთი შეადგენს მათ თანამედროვე პროგრამების სიუხვეს..." რომ „ეროვნული ინტერესების დაცვა ნახევარი სიტყვით, ნახევარი თვალის ჩაკვრით და ნახევარი ბიჯით..." შეუძლებელი იყო. გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, „კლდეისტები" თვლიდნენ, რომ „სიტყვას, მათგან ასე მოკრძალებით ნათქვამს იმ დღეს, როცა პირველად გამოვიდა მათი ჟურნალი, თან მოჰყვებოდა საქმეც და საქართველოს რეალური პირობები წარმოშობდნენ ახალ შეჯგუფებას, რომელიც თავს იდებდა წმინდა მოვალეობას ერის ინტერესების დაცვისას"[29].

დაკვირვებულ მკითხველს აქ ნათლად შეუძლია დაინახოს „კლდეისტთა", ანუ მომავალი ეროვნული-დემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამის ძირითადი მიმართულებები... ზემოთ მოტანილი ვრცელი ამონაწერები, იგივეა, რაც სხვა პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების საპროგრამო განცხადებანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ საპროპაგანდო დანიშნულებისა იყვნენ და შორს იდგნენ კონკრეტული საქმეებისაგან. ამ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ისეთ ფაქტთან, როცა პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე თანდათან ყალიბდებოდა ერთიანი სამოქმედო პროგრამა, რომელსაც რეალური ბაზა გააჩნდა.

---

[29] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 7 თებერვალი, გვ. 1-3.

# ჟურნალი „კლდე“ და საქართველოს ტერიტორიების საკითხი

ქართული ტერიტორიების შენარჩუნებისათვის ბრძოლა ჟურნალ „კლდის“ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა, ვინაიდან „მასში ირეკლებოდა საქართველოს მომავლის ბედი“ და, რომ „ტერიტორიისა და მიწის წართმევა ქართველებისათვის ისტორიულ-პოლიტიკური ნიადაგის გამოცლა იქნებოდა...“. არა-და ეს პოლიტიკა ხომ დაჟინებული თანმიმდევრობით ხორციელდებოდა რუსეთის მიერ 1783 წლის გეორგევსკის ტრაქტატის უსირცხვილოდ დარღვევისა და ძალით ოკუპირება-ანექსიის შემდეგ, რითაც საქართველოს საკუთარი სახელმწიფო საზღვრები მოეშალა. ამიტომ იყო, რომ „კლდეისტები“ გამუდმებით ცდილობდნენ საქმის კურსში ჰყოლოდათ თავისი მკითხველები იმის თაობაზე, თუ რა გზებითა და საშუალებებით ანხორციელებდა რუსეთის თვითმპყრობელობა ქართული მიწა-წყლის გასხვისებას, გარუსებას, გასომხებას და ა. შ. რა თქმა უნდა, ამ მუხანათური პოლიტიკის ასე საჯაროდ მხილებას რედაქციას არავინ აპატიებდა და ამიტომ იყო, რომ იგი თავის ფურცლებზე ხშირად უთმობდა ადგილს ოფიციალური ცნობების გადმობეჭდვას სხვადასხვა რუსული გამოცემებიდან. ასე, მაგალითად, 1912 წლის 265-ე ნომერ „Правительственнъй Вестник“-ის მონაცემებით „რუსების კავკასიაში გადმოსახლება დიდი ხანია დაწყებულა“, მაგრამ მას, „გასული საუკუნის ბოლომდე უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონია“.

1899 წლის კანონით დაწყებულა რუსი სოფლელებისა და მოქალაქეების გეგმაზომიერი გადმოსახლებები, რასაც 1905 წლიდან კიდევ უფრო ორგანიზებული ხასიათი მისცემია... სად იყო ის მიწები, რომლებზეც გადმოსახლებულთა დამკვიდრება ხორციელდებოდა? ჟურნალის თქმით: „საქართველო — ეს უძლიერესი და უდიდესი სახელმწიფო მთელს კავკასიაში — რუსებს ხომ სრულიად უომრად ჩაუვარდა ხელში. და ეს ფაქტი — საქართველოს რუსეთის ხელში გადასვლა, მოასწავებდა აუარებელი მიწა-ადგილების ხაზინის საკუთრებად მოქცევას. 1801 წლის აქტით (იგულისხმება იმპერატორ პავლე I-ის მიერ გამოცემული მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს გაუქმება და რუსეთისათვის მიერთება — გ. ს.) რუსეთის სახელმწიფო ხაზინის განკურგელაბაში დიდძალი მამული გადავიდა“, რამაც მეტისმეტად გააფართოვა „ხაზინის მიწის ფონდი“. ეს ადგილები იმთავითვე გათვალისწინებული იყო „საზღვრების გასამაგრებლად და იქ ჭეშმარიტი რუსების დასასახ-

ლებლად. სწორედ ეს თვალთახედვა ამოქმედებდა მთავრობას გა-ნაპირა ქვეყნებში...“[30]

აი, ამ მუქთად ნაშოვნი მიწების ორგანიზებული ათვისება თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ინტენსიურობით 900-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო, როცა კავკასიაში მეფისნაცვლის პოსტი ისევ აღადგინა და ამ მაღალ თანამდებობაზე ქართველთმოძულე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნა.

მაინც ვინ იყო ვორონცოვ-დაშკოვი და რა პოლიტიკას ატარებდა იგი კავკასიაში თავისი ათწლიანი (1905-1915წ.) მოღვაწეობის დროს?!

იგი თვითმპყრობელური რუსეთის ისტორიაში ფრიად კოლორიტული ფიგურაა და ცარიზმისადმი განსაკუთრებული ერთგულების გამო გრაფის ტიტულიც ჰქონდა მინიჭებული. როცა მთელს რუსეთის იმპერიას ხალხის რევოლუციურმა გამოსვლებმა ზანზარი დაანყებინა, მაშინ 70 წელს მიღწეული გრაფი, იმპერატორმა ყველაზე უფრო საშიშ რეგიონში — კავკასიაში დანიშნა თავის ნაცვლად და უფლებებიც მეფური მიანიჭა, რათა ჭკუაზე მოეყვანა რომანოვების ტახტის ურჩი ქვეშევრდომები... 1905 წლის მაისში იგი თბილისში ჩამოვიდა და ერთგულად შეუდგა იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარეობდა...

„გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკა ოდნავადაც არ განსხვავდებოდა რუსეთის ჩვეულებრივი ბიუროკრატიული პოლიტიკისაგან განაპირა ქვეყნებში... ამ პოლიტიკის ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიმე ერის აჩემება, მისდამი მეტი ყურადღების გამოჩენა და ა. შ., რათა სხვები გაებრაზებია და საბოლოოდ ერთმანეთისათვის გადაეკიდებია...“ ამიერ-კავკასიაში „ამ პოლიტიკის აღსასრულებლად და განსახორციელებლად გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა სომხები აირჩია... იგი იმ დროს ჩამოვიდა საქართველოში, როცა მთელ ქვეყანას რევოლუციის ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული. აქ კი პირველი როლი ქართველებს ეჭირათ... დასაწყისში იგი თითქო ქართველებს მეტ ყურადღებასაც კი აქცევდა — ურთიერთობა ჰქონდა ქართველ სოც.-დემოკრატებთან, მათ ლიდერებთან, სტაროსელსკის დანიშვნა ქუთაისის გუბერნატორად და სხვ. ამ პოლიტიკას განეკუთვნებოდა... როგორც კი რეაქციის ხანა დადგა, გრაფმა მაშინვე გამოაჩინა თავისი ბრჭყალები და იგი მთელი სისასტიკით შეუდგა რეპრესიული ზომების გატარებას. მარტო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის მოქმედების გახსენება კმარა, რომელიც გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ გაცემული ბრძანების მიხედვით მო-

---

[30] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლის 13 იანვარი, გვ. 1.

ქმედებდა... მეფისნაცვლის ასეთმა საქციელმა ქართველი საზოგადოების ყველა ფენის აღშფოთება გამოიწვია... იმ ხანებში ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულომ, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალმა, თავადმა ლ. ჯამბაკურ-ორბელიანმა პირდაპირი პროტესტი გამოუცხადა მეფისნაცვალს და 1906 წლის დარბაზობაზე არ გამოცხადდა, თუმცა კარგი პირადი ნაცნობობა აკავშირებდა მასთან... გრაფს ერთგვარი ბოიკოტი გამოუცხადა თბილისის მაღალი საზოგადოების საუკეთესო ნაწილმაც, ასე ჩატყდა ხიდი გრაფსა და ქართველებს შორის... სამაგიეროდ თბილისში მცხოვრები სომხური პლუტოკრატია დაიახლოვა და თავის საყრდენ ძალად გაიხადა... სომხებისათვის მონყალე თვალით გადახედვა იმითაც იყო განპირობებული, რომ მათ, დაშნაკცუტუნის პარტიის მიერ შთაგონებულთ, რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ დამსახურების გამოც იყო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სომხების ეკლესიას საეკლესიო მამულები დაუბრუნა... მეფისნაცვალსა და სომეხთა მდიდარ ბურჟუაზიას შორის ურთიერთ კეთილმეგობრულ დამოკიდებულების დამყარებაში დიდ როლს თამაშობდა გრაფის მეუღლე ელისაბედ ანდრიას ასული... მეფისნაცვლის სასახლის კარს, მართალია, ბოიკოტი გამოუცხადეს ბაგრატიონ-გრუზინსკებმა, ჯამბაკურ-ორბელიანებმა, ერისთავებმა თუ ანდრონიკაშვილებმა, მაგრამ სამაგიეროდ გრაფის სასურველ სტუმრებად იქცნენ — ფითოევები, ალიხანოვები, მანთაშოვები, არამიანცები, ხატისოვები და სხვები, რომლებიც სხვებზე თავიანთი უპირატესობის ნიშნად ვორონცოვ-დაშკოვს „ნაშ გრაფს" ეძახდნენ. შემდეგში, როცა მოხუცებულობამ და ავადმყოფობამ მეფისნაცვალს თავისი დამართა, მის მაგივრად მთელი კავკასიის საქმეებს მისი მეუღლე „80 წლის დედაბერი" (კ. ჩხეიძის სიტყვებია) მართავდა.

ვორონცოვ-დაშკოვის მმართველობის დროს დაიწყო დაუნდობელი დევნა ქართველი უმაღლესი საეკლესიო მოღვაწეების (კირიონი, ლეონიდე, ანტონი და სხვ.) და, საერთოდ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ყოველგვარი სისაძაგლის ჩადენის უფლება ჰქონდათ მიცემული ეგზარხოს ინოკენტის, დეკანოზ ვოსტორგოვს და მათ მსგავს რუს სასულიერო მამებს... სწორედ, გრაფის ოჯახთან დაახლოებულმა ეგზარხოსმა ინოკენტიმ გააუქმა ალავერდის კათედრა, ხოლო მისი ეპისკოპოსი დავითი სამშობლოდან გააძევა... ვორონცოვ-დაშკოვის დროს მეფისნაცვლის კანცელარიაში შემუშავებულ იქნა პროექტი ამიერ-კავკასიის გუბერნიების ტერიტორიების ხელახალი გადამიჯვნის მიზნით, რომელიც სომხების სურვილების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო და სხვ.

ქართველთა მიმართ აშკარა სიძულვილის გამოხატულება იყო პირველი მსოფლიო ომის წლებში ქართველ მაჰმადიანთა, კერძოდ აჭარელთა სასამართლოების მოწყობა, მათთვის სამშობლოს ღალატის დაბრალებით და ტანჯვა-წამების მიყენებით. ჟურნალ „განთიადის" თქმით, ამით რუსეთს სურდა „საქართველოს მთლიანობის კედლების ღრმად შენგრევა..."[31] აღსანიშნავია, რომ ეს გულბოროტი მაღალი რანგის რუსი მოხელე, საიმპერიო ხელისუფლების მიერ აჭარელთა დასახმარებლად გამოყოფილ მცირე თანხასაც არ აძლევდა შეჭირვებულთ, რისთვისაც იგივე ჟურნალის მითითებით: არაერთხელ შეტაკება მოუვიდათ გრაფის მეუღლესთან საქართველოს ახალ ეგზარქოსს პიტირიმს და ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლს თავად კოტე აფხაზს"[32].

საბოლოოდ ამ პოლიტიკას გადაყვა ვორონცოვ-დაშკოვის მოღვაწეობა და მისი დათხოვნის დროს ზემოთ დასახელებულ პირთა მოსაზრებებს დიდი ანგარიში გაუწიეს.

ამ გაიძვერა და მექრთამე მოხელის დროს, იშვიათი იყო ახალი კანონი თუ სხვა სახის საკანონმდებლო აქტი გამოსულიყოს და იგი ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ არ ყოფილიყოს მიმართული. მაშინ, როცა უდიდეს გულმოდგინებას იჩენდა საქართველოში შემოხიზნულ, თუ მომავალში ჩამოსასახლებელი სხვა ხალხების მიმართ. მაგალითად, უდიდეს ძალისხმევას იჩენდა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში გადმოსახლებული რუსი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ადგილების შერჩევის, მათთვის ყველაზე ვარგისი მინის ნაკვეთების გამოყოფის, გზებისა და არხების გაყვანის, სარწყავი და დასალევი წყლის საკითხის მოგვარებისათვის, ხოლო შემდეგ თავისი მხედველობის არედან არ უშვებდა ახლადჩამოსახლებულთათვის ყოველგვარი სესხის მიცემის, სახლ-კარის აშენების, საერთო-სასარგებლო საქმეების მოწყობის, გზის ხარჯების ანაზღაურებისათვის და ა. შ.

„კლდის" ფურცლებზე დასტამბული მასალები ფარდას ხდიდნენ იმ მზაკვრულ ჩანაფიქრებს, რომლებსაც სტრატეგიული აუცილებლობიდან გამომდინარე, ვორონცოვ-დაშკოვების მსგავსი რუსი მაღალჩინოსნები, ქართველი ხალხის უფლებრივი ინტერესების შევიწროვების მიზნით მისსავე ტერიტორიაზე ანხორციელებდნენ. მაგალითისათვის მეფისნაცვლის კანცელარიაში შემუშავებული კანონპროექტი „ოს ხიზანთა შესახებ" გამოდგება, რომელიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად მომზადდა. ეს კანონ-პროექტი, თუ კი მას კანონის ძალა მიეცემოდა ითვალისწინებდა „კავკასიონის ქედიდან მეჯვრისხევამდე (მდ. მე-

---

[31] ჟურნ. „განთიადი", 1915 წლის 15 ოქტომბერი, გვ. 25.

[32] იქვე, გვ. 26.

ჯუდა) და საჯავახოში ათითასობით დესეტინა მიწის საქართველოში ხიზნათ მოსული ოსებისათვის უფასოდ გადაცემას."

ჟურნალში გამოქვეყნებული ამ საკითხისადმი მიძღვნილი მასალებიდან ყურადღებას იქცევს ალ. ყიფშიძის (ფრონელის) წერილების სერია, საერთო სათაურით: „აწმყო და მომავალი ხიზნებისა", დ. ვაჩნაძის სტატია — „არჩილ ჯორჯაძე და ხიზნობა" და სხვ.

1913 წლის 28 აპრილს ჟურნალში დასტამბულ სტატიაში — „დაავადებული დემოკრატია" რ. გაბაშვილი ეკამათებოდა რა სოც. — ფედერალისტების ორგანოს გაზეთ „სახალხო გაზეთის" წარმომადგენელს არჩ. ჯ-შვილს (არჩილ ჯაჯანაშვილს) ხიზანთა საკითხის გამო, მიუთითებდა: „ჩვენ ჟურნალში მთელი თვეა იბეჭდება მეტად სერიოზული და საინტერესო გამოკვლევა ხიზანთა საკითხისა, რომელიც ისეთ მცოდნე პირს ეკუთვნის, როგორიც ა. ყიფშიძეა"[33].

შემდეგ იგი ყურადღებას ამახვილებდა არჩ. ჯაჯანიშვილის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ „საქართველო ქართველებისათვის კი არ უნდა იყოს, არამედ საქართველო უნდა იყოს ყველა იმათთვის, ვინც საქართველოში სცხოვრობს, ვისაც მისი მომავალი სწამს..." და, რომ „საქართველოს პოლიტიკური იდეალი საქართველოში მცხოვრებ ერთა საერთო იდეალი უნდა იყოს"-ო.

კეთილი და პატიოსანი უნდა იყოს, მაგრამ რომ არ იყოს, ანდა ხომ ვხედავთ რომ არ არის! — ესიტყვება მას რევაზ გაბაშვილი და ოპონენტის გასაგონად განაგრძობს: „დღეს ბრმა უნდა იყვეს ადამიანი, რომ არა ხედავდეს, თუ როგორ გვავიწროვებენ, როგორ აცლიან გვერდს ჩვენს სამშობლოს ისინი, ვის ხელშიაც ძალაა; თვალნი დაშრეტილნი უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ვერ ხედავს, თუ როგორ აძლიერებს თვით მთავრობა იმ ელემენტს, რომელიც ჩვენ გვასუსტებს შეგნებულად"... ანდა იქნებ „დაავიწყდა არ. ჯ-შვილს, რომ არჩევნების დროს (გულისხმობს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს — გ.ს.) მარტოოდენ ის გამოაშკარავდა, რომ სომხობის „მოწინავე" ხალხი წინააღმდეგია ჩვენი პოლიტიკური იდეალისა?.. განა ისიც დაავიწყდა, რომ „რკალივით გვარტყავენ გარშემო შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთ?.. განა არ ახსოვს, რომ ოსებს უქმნიან ლიტერატურას და მფარველობას უწევენ 60 წლის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ოლსტერი მოგვიმზადონ?.."

ნერილის დასასრულს რ. გაბაშვილის აღშფოთება კიდევ უფრო მატულობდა და დაფიქრებისაკენ მოუწოდებდა როგორც უშუალოდ ოპონენტს, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას და წერდა: „...საღ გონებიან პოლიტიკოსს როგორ ეპატიება იმის არ ცოდნა, რომ მთლიანი ტერიტორია, ეროვნული მთლიანობა მხოლოდ ფუძეა შემ-

---

[33] ჟურნ. „კლდე" 1913 წლის 28 აპრილი, გვ. 8-9.

დგომში პოლიტიკური პირობების შექმნისათვის და როდესაც დაგვაქუცმაცებენ, როდესაც ცალკე სომხობა, ცალკე ოსობა, ცალკე შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულნი დაგვყოფენ და ცალკე უცხო მხარეში ემიგრაცია შეასუსტებს ჩვენი ეროვნული მაჯის ცემას — მაშინ გვიანღა იქნება: წამხდარსა საქმეს რას არგებს, მას უკან თითზე კბენანი"[34].

რ. გაბაშვილის მიერ შექებული ალ. ყიფშიძის დასკვნები, მართლაც ყურადსაღებია და დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ ცხოველმყოფელობას. ავტორის თქმით: „ეს იყო ცარცვა ქართველებისა ოსების სასარგებლოთ," რომ „1864 წელს ბატონყმობისაგან განთავისუფლებისას ქართველ გლეხს რაღაც სადავო „ჩამონაჭრები" მისცეს და ისიც გამოსყიდვით 55 წლის განმავლობაში, მაშინ, როცა ახალი კანონ-პროექტით ხიზან ოსებს უფასოდ და თანაც სამუდამოდ უნდა მისცემოდათ საუკეთესო სავარგულები. სამწუხარო ის იყო, რომ „ოს ხიზანთა შესახებ" კანონ-პროექტის მიღების მხარდამჭერებად ქართველი სოციალისტ-ინტერნაციონალისტებიც გამოდიოდნენ და გაშმაგებით ილაშქრებდნენ „კლდეისტ-ნაციონალისტთა" წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა უმაღლეს დონეზეც იქნა დაფიქსირებული, როცა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები — სოციალ-დემოკრატები — კარლო ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი მხარს უჭერდნენ ხსენებული პროექტის კანონად ქცევას და თითქოს ვერ ამჩნევდნენ საით იყო მიმართული თვითმპყრობელობის განზრახვა, როცა ისედაც ეთნოგრაფიულად აჭრელებულ ამიერკავკასიაში „კიდევ ერთი ზედმეტი ელემენტის შექმნას" აკანონებდნენ.

„ერთა უთანხმოება და შეხლა-შემოხლა ყველა დემოკრატისაგან არის გმობილი და ჩვენი სოციალისტური დემოკრატიაც მუდამ ამას გაიძახის, მაგრამ როდესაც ბიუროკრატია არ კმაყოფილდება კავკასიაში არსებულ ეროვნებათა სიმრავლით და ხელოვნურად ჰქმნის და აძლიერებს კიდევ ერთ ელემენტს, რომ მეტი მასალა იქონიოს ერთა შუღლისათვის, განყენებულ აზროვნებით დაბრმავებული ჩვენი დემოკრატია ამ რეაქციონურ ხრიკებს უჭერს მხარსა. განა იგივე აგენტები არ სცდილობდნენ შეექმნათ „მეგრელთა ეროვნება" და სხვა, რომ უფრო ადვილად დავექსაქსენით... ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც ბატონი ჩხეიძე მხარს უჭერს და აჩქარებს კიდეც ხიზანთა კანონ-პროექტის განხილვას, რადგან იგი ეკუთვნის ანტიეროვნულს, ან უკეთ ანტიეროვნულ ინდეფერენტიზმით ავადმყოფ პარტიას, მაგრამ ჩვენ სრულიად არ გვესმის სოც.-

---

[34] ჟურნ. „კლდე" 1913 წლის 28 აპრილი, გვ. 13.

ფედერალისტების ყალბი პოზიცია იმ საკითხში, საცა სოციალისტური და ეროვნული პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან..."[35]

არ შეიძლება შეშფოთების გარეშე წავიკითხოთ მიწების დაკარგვის შიშით გაოგნებული ქართელი გლეხკაცობის საჩივარის სტრიქონები, მიმართული არა მარტო კავკასიის მეფისნაცვლისა და თბილისის გენერალ-გუბერნატორისადმი, არამედ რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროსადმი და იქ მოღვაწე ქართველი დეპუტატების კ. ჩხეიძისა და ვ. გელოვანისადმი... ფრონის ხეობის ოქონის საზოგადოების სოფლების — თერეგვნის, ახალშენის, ნედლათის, ხუნდისუბნის, თიღის, შინდრის, მუღრისის, ტყისუბნის, ნაბაკევისა და ოქონის მცხოვრებნი თავიანთ თხოვნაში აღნიშნავდნენ: „... ვინ იცის რა დროიდან, — ჩვენ მამა-პაპათ აქ უცხოვრიათ, სამშობლოს მიდამოები განსაცდელის დროს სისხლით მოურწყავთ, ოფლი დაუღვრიათ და ჩვენამდის ჩვენი მამული შეუნახავთ... დღემდის თუ თავისუფლად ვსარგებლობდით საძოვრითაც, ტყითაც, დღეს გარსშემორტყმული ხიზნებით შევევიწროვდით და განვიცდით გაჭივრებას უმამულობით,—"ო და მათ ყურადღებას მიაქცევდნენ იმაზე, რათა ხიზანთა შესახებ კანონ-პროექტი არ დაეკანონებიათ, რადგან „მაშინ ჩვენ აქ აღარ გვეცხოვრებაო."

ორმაგად გულსატკენი იყო სოც.-ფედერალისტების იმჟამინდელი პოზიცია ოს ხიზანთა საკითხისადმი, რადგან სულ რამდენიმე წლის წინ, მათი ლიდერის, გამოჩენილი მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის ნაფიქრ-ნააზრევს უდარდელად ივიწყებდნენ... სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას დავით ვაჩნაძე.

„კლდეში" დაბეჭდილ „ვინმე სოფლელის" სტატიაში დიდი გულისტკივილით იყო გამოთქმული, რომ ქართული მიწების, უმთავრესად ქართლის გამოჩენილ საგვარეულოების სამფლობელოები დანანევრებულ-დაქუცმაცებული და მთლიანად ან ნანილობრივ სხვა რჯულის ხალხის ხელში იყო გადასული. ასე იყო საციციანოს, ხაჯავახოს, სათარხნოს, ქვემო საციციანოს, დილმის ველის, სკრის ხეობის (შალიკაშვილების), საამირეჯიბოს, საფალავანდოს, ფრონის ხეობის — კალატოზიანთ, სამაჩაბლოს, საამილახვროს, სამუხრანბატონოს, საგურამოს, საორბელიანოს, საბარათიანოს თუ სამელიქიშვილოს კუთვნილი ტერიტორიები... მაგალითად იმდროისათვის სკრის ხეობა „მთლიანად დაკარგული ჰქონდათ თავად შალიკაშვილებს და თქვენს მტერს მოუვიდეთ, რაც მათ მოუვიდათ... დიდი წილი ამ სათავადოსი ქართველ კათოლიკეთა ხელში გადავიდა, დანარჩენი კი ფრიდონოვმა და ავსარქისოვმა დაისაკუთრეს."

---

[35] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 25 თებერვალი, გვ.10.

იგივე ბედი ხვდა ერისთავიანთ ატენის ხეობაში: ხიდისთავში გორელმა სომხებმა მოიკალათეს, ატენში ჩვენმა ბანკმა და გლეხობამ. კარგა დიდი ნაწილი ატენის ხეობისა პოლკოვნიკმა სიბონოვმა შეიძინა, დანარჩენი — სახელმწიფო ბანკმა, ხოლო მისგან — ლეკმა ჯამათ-ჰაჯიევმა.

ჯავახიშვილებისა — რუსმა პროფესორმა, ზოგი კი ოსობამ.

სათარხნოში გასაყიდი მამულები რომ აღარ დარჩა, საშენებელ მასალად ჰყიდდნენ დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის ციხედარბაზის ნანგრევებს სოფელ ნოსტეში.

დიღმის ველის მიწების დიდი ნაწილი ხატისოვის პარტიას ჰქონდა შეძენილი.

ფრონის ხეობაში (დვინში) მაცხოვრებელი ფალავანდიშვილები, ხერხეულიძეები, კალატოზიშვილები ამ ხეობიდან წავიდნენ... ერთი კომლი დარჩა სოფ. ყორნისში და ისიც ისეა გაოსებული, რომ ქართულ ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებს და დანარჩენ ოსებში ვეღარ გაარჩევთო.

სამუხრან-ბატონოში უდელები და ხატისოვის პარტია ბატონობენ.

საგურამოში გურამიშვილი აღარავინ გვეგულება.

ბორჩალოს მებატონეები თავის დროზე ყველაზე გავლენიანნი იყვნენ... ყველაზე ადრე დაკარგეს იქაურმა ორბელიანებმა, ბარათაშვილებმა და მელიქიშვილებმა თავიანთი, მართლაც, რომ ლატიფუნდიები, მათ ნამოსახლარზე ხარობენ უდელები, თათრები, სომხები, ნემცები, რუსები, ბერძნები... თამამშოვები, თაიროვები, ყაზაროვები, მანთაშოვები და მრავალნი სხვადასხვა ისტორიულ ხანას შემოსეულნი.

ამ ბოლო დრომდე შენახული შესანიშნავი ახპატის მამული 15000 დესეტინა სასტუმრო „ორიანტის" ნადიმებმა იმსხვერპლეს და არამიანცს ჩაუგდეს ხელში... ერთი უდიდესი მემამულის ქონებიდან, მადლიერმა თავად-აზნაურობამ მის მემკვიდრეს რამდენიმე ასი დესეტინა მამული გადაურჩინა, რათა გამოჩენილი მარშლის მემკვიდრეს, მათდა სამარცხვინოდ, ცენზი არ დაჰკარგვოდა.

თუ ჩვენს თავადაზნაურობას კიდეე რაიმე დარჩა, ისიც ისეა დატვირთული ვალითა და ვახშით, რომ ამ სულ ცოტა ხანში ცენზიანი თავად-აზნაური ცაცია ხელის თითებზე ჩამოითვლებაო," — წერდა „კლდე".[36]

ჟურნალში არაერთ სხვა დიდგვაროვანთა სახელებსაც ვხვდებით, რომლებიც ასევე უდიერად, დაუფიქრებლად ექცეოდნენ ადგილ-მამულებს და ორიოდე გროშის ფასად უცხოტომელებს უთმობდნენ... ასე იქმნებოდა ქართული ტერიტორიების მფლობელი

---

[36] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 9 დეკემბერი, გვ. 2-5.

„რეალური მოსახლეობა," რომელსაც პრეტენზია ჰქონდა ეროვნულ საკუთრებად გამოეცხადებია ქართული მიწები და გულარხეინად დამკვიდრებულიყვნენ მასზე.

სტატიაში „ტერიტორიის საკითხი" ავტორს მოჰყავდა ფედერალისტების „სახალხო გაზეთის" სიტყვები: „მწარე ცრემლით ვსტირით, რომ ახალქალაქის მაზრა, ეს ოდესღაც სავანე ქართულის კულტურისა, დღეს მარტო ნაშთებითა და ნანგრევებით მოგვაგონებს საქართველოს, გული გვეწვის, მაგრამ უნდა შევურიგდეთ იმ აშკარა ფაქტს, რომ ეს მაზრა დღეს აღარაა ქართველობისა და „რეალური მოსახლეობის" პრინციპიდან გამომდინარე იგი სხვატომელთა კუთვნილებად უნდა ვაღიაროთო..." ჟურნალი „კლდე" ამის გამო მწარე ირონიით შენიშნავდა: „ამრიგად ეს „მუხლცრემლიანი და თვალ-მოდრეკილი" პატრიოტები ჰგლოვობენ იმას, რაზედაც ხელს იღებენ და ხელს იღებენ იმაზე, რაზედაც ჰგლოვობენ"-ო.

შემდეგ ავტორი მოაგონებდა ყველას, თუ რატომ და ვისი ხელშეწყობით მოხდა, რომ ახალქალაქის მაზრაში, საქართველოს ამ ისტორიულ მხარეში — ჯავახეთში, ქართველობა აღარ ცხოვრობდა. მისი აზრით, ეს იყო შედეგი იმისა, რომ „1829 წლამდის ახალქალაქის ახლანდელი მაზრა ახალციხესთან ერთად ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენდა. ამ პროვინციებში უმთავრესად ქართველობა სცხოვრობდა. როდესაც რუსეთმა შემოიერთა იგი, მთელი მაჰმადიანი ქართველობა ყარსის მხარეს გადაიხვეწა... ამის მიზეზი რელიგიური შიში და ფანატიზმი იყო. მაჰმადიანობას ეშინოდა, რუსებს მათი გაქრისტიანებისათვის არ მიეყოთ ხელი. ასწლობით ნასახლი ქართველი მაჰმადიანობა ყველაფერს სტოვებდა — ადგილს, სახლ-კარს და სამუდამოდ ემშვიდობებოდა თავის სამშობლოს... დაცარიელებულ ადგილებს რუსეთის ხაზინა ეპატრონებოდა, ხოლო შემდეგ ოსმალეთიდან ლტოლვილ სომხობას ასახლებდა მასზე. მათ დაიჭირეს მზამზარეული და საცხოვრებლად მოწყობილი მხარე..."[37]

ჟურნალის თქმით, ამ ისტორიის არ ცოდნის გამო ზოგიერთ ქართველსაც კი ეს ადგილები „ისტორიული სომხეთის ნაწილად" მიაჩნდა.

ამ ყველაფრის შესანიშნავად მცოდნე „კლდეისტები" თავიანთ ძალისხმევას იქითკენ მიმართავდნენ, რომ სამშობლო მიწანყალი სხვისთვის არ დაგვეთმო... რევაზ გაბაშვილი პატრიოტული აღტკინებით მიმართავდა ქართველობას: „...სამშობლო განსაცდელშია, მას უდიდესი საფრთხე მოელის — დაკარგვა ტერიტორიისა, ყველაფრის დაკარგვაზე უარესია სიციცხლის მოსურნე ერისათვის.

---

[37] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 9 მარტი, გვ. 2-4.

ცალკე პირს შეუძლიან დაჰკარგოს მიწა, როგორც სხვა საკუთრებაც, მაგრამ მაინც ადამიანად დარჩეს, მაგრამ ერს, როგორც ეკონომიკურს, კულტურულს და პოლიტიკურს ერთეულს, ტერიტორიის დაკარგვა აცლის ისეთ გვერდს, ისეთს მხარეს, შემადგენელს თვით ცნება „ერის“ შინაარსისას, რომ ერი გარდაიქმნება ბოგანო კონგლომერატად.“ მისი აზრით, „როცა ორგანიზმი დაავადებულია,“ მას ყველა ზიანს აყენებს... რით ვუშველოთ ჩვენს ჭრილობას, რით დავიფაროთ სხეული იმ აფთარი ცხოვრებისაგან, რომელიც დღემუდამ სისხლიდანა გვცლის. ჩვენ სახლში ჩვენ მტერთა ბანაკში ვართ და თითქოს საზოგადოებას ალღო ვერ აუღია ამისი, თითქო დაჰკარგვია უნარი შემეცნებისა და გრძნობას აჰყოლია მარტო; ისიც გრძნობას არა თავმოყვარეობის, გამბედაობის და ძალის, არამედ გრძნობას ვაი-ვიშისას, ქალურ ლანძღვისას, ტირილისას და ლაჩრობისას. სწორედ ახლაა საჭირო მოკრება ეროვნულ გონებისა, იმ საშუალებათა გამოსანახავად, რომელნიც გვიხსნიდნენ ჭირისაგან ამისა.“

ავტორის აზრით, მაინც რა საშუალებანი შეიძლებოდა გამონახულიყო ამისათვის?! პათეტიკური მიმართვა საზოგადოებისადმი ფონდის შესაგროვებლად? გალანძღვა და სამარცხვინო ბოძზედ გაკვრა იმ პირთა, რომელნიც მამულს ჰყიდდნენ, ან იმ ერთა და დაწესებულებათა, რომელნიც ძალით თუ ფულით გვგლეჯენ სახსრებსა?... მისი თქმით, ყველა ეს ბრძოლა უღირსი და უშედეგო ბრძოლა იყო... საჭირო იყო სხვა, უფრო რეალური გზების გამონახვა იქედან თავის დასაღწევად...

„კლდეისტებმა“ დროულად ამოიცნეს ის მუხანათური ჩანაფიქრი, რაც ა/კ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გადამიჯვნას უნდა მოჰყოლოდა. მეფისნაცვლის კანცელარიაში შემუშავებული კანონ-პროექტით გუბერნიების ხელახალი საზღვრების დაწესებას „რეალური მოსახლეობის პრინციპი“ უნდა დადებოდა საფუძვლად. ეს კი სომხების წისქვილზე წყლის პირდაპირი დასხმა იქნებოდა, ხოლო ქართველებისათვის — მშობლიური ტერიტორიების ხელყოფა... „ამ ახალი გადამიჯვნით სრულიად იცვლება აღმოსავლეთ კავკასიის ფიზიონომია,“ — წერდა „კლდე“ და მოურიდებლად ამხელდა ასეთი კანონის მიღების ინიციატორებს.

„ერთი წელიწადია, სომხურ პოლიტიკურ მოღვაწეთა ნრეებში დაიბადა აზრი — სომხების მოსახლეობის მიხედვით გადამიჯნონ ა/კავკასიის გუბერნიების საზღვრები და შემოფარგლონ სომხების ტერიტორია. შეიმუშავეს პროექტი, სანამესტნიკომ ეს პროექტი პრინციპიალურად მიიღო და ერევანისა და განჯის საგუბერნიო ად-

მინისტრაციას განსახილველად და ადგილობრივ გამოსაკვლევად გადასცა,"[38] — ნათქვამი იყო ერთ-ერთ ნერილში.

შ. ამირეჯიბის აზრით, ასეთი პროექტი ყოვლად მიუღებელი იყო ქართველი ხალხისათვის; რომ შეიძლებოდა „კარგი პროექტების წერა, შეიძლებოდა უგვან პროექტების წერაც, შეიძლებოდა ახალი საზღვრების შექმნა, მაგრამ შეუძლებელი იყო ახალი გეოგრაფიის დაწერა."[39]

შალვა ამირეჯიბის თქმით, „შეუძლებელი იყო ტერიტორიის საზღვრების გამოკვლევა მარტო რეალური მოსახლეობის პრინციპის მიხედვით... ტერიტორიის მოსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი — ისტორიული პრინციპი იყო, რაც ქართველ ხალხს ნებას აძლევდა, როცა უნდოდა და სადაც უნდოდა იქ დასახლებულიყო. ამიტომ საჭირო იყო კარგად გარკვევა იმისა თუ საით გაიზრდებოდა საქართველოს ქართული მოსახლეობა..."[40]

გარდა ამისა, „კლდეისტების" პოზიცია ნათელი იყო და იგი დაბეჯითებით მოითხოვდა საქართველოს საზღვრების ხელუხლებლობას, იმის მიხედვით, რომელიც დაფიქსირებული იყო რუსეთ-საქართველოს 1783 წლის გეორგიევსკში დადებულ ტრაქტატში. „ჩვენ უნდა ვაღიაროთ საქართველოს ავტონომია იმ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ფარგლებში, რა ფარგლებშიც იგი შეუერთდა რუსეთს, რადგან მარტო ეს საზღვრებია ის, საცა შეუვალია ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა. რაც მოხდა ამის შემდეგ — ე.ი. რაც რეალურად ხდებოდა — ეს უბრალოდ ძალ-მომრეობაა და არა პოლიტიკური ვითარება პოლიტიკური ორგანიზმისა."[41]

კანონ-პროექტის კანონად ქცევა და ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების შეცვლა მომაკვდინებელი იქნებოდა საქართველოსათვის, ვინაიდან თბილისის გუბერნიას ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე ჩამოსცილდებოდა ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები მთლიანად, ხოლო თბილისისა ნაწილობრივ და საზღვარი თბილისიდან სულ ოთხიოდე კილომეტრის დაშორებით, დღევანდელი ნავთლუღის მიდამოებში გაივლიდა. თვითმპყრობელობა ამით ცდილობდა საქართველოს საბოლოოდ დაჩოქებას, ხოლო სომხებს მათთვის საოცნებო „დიდი არმენიის" შექმნის შესაძლებლობას აძლევდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნებულ დავით ვაჩნაძის „მცირე განმარტებაში" აღნიშნული იყო: „კანონ-პროექტის მიღების შემთხვევაში შეიქმნებოდა „სომხეთის ავტონომია" სხვისი

---

[38] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 1 დეკემბერი, გვ. 2-3..

[39] იქვე," 1914 წლის 12 იანვარი, გვ. 3.

[40] იქვე, 1914 წლის 2 თებერვალი, გვ. 2.

[41] იქვე, 1914 წლის 23 მარტი, გვ. 4.

მინების ხარჯზე და მოექცეოდა იგი განსაკუთრებული საადმინისტრაციო მმართველობის ქვეშ. მისივე გაანგარიშებით საქართველოს ჩამოერთმეოდა 1 323 317 დესეტინა „მშვენიერი და მდიდარი ნაწილები“...[42]

კანონ-პროექტის მიხედვით უგულებელყოფილი იყო ბუნებრივი საზღვრები, გათვალისწინებული არ იყო ეკონომიკური ცენტრების, ბაზრების, გზების და ა.შ. საურთიერთო პრინციპები... და რაც მთავარია, ის ადათ-წესები, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონში საუკუნეების მანძილზე იყო შემუშავებული და დამკვიდრებული...

„თბილისის გუბერნიაში საიმპერიო კანონებს გარდა მოქმედებენ ის კანონები და ადათები, რომელნიც შეიმუშავა ქართველმა საზოგადოებრიობამ ისტორიულად. ეს კანონები და ადათები თავის თანამედროვე გამოსახულებას მოითხოვენ და თუ რუსის მთავრობამ მისი გადაწყვეტა აქამდისაც ვერ მოახერხა სამშობლო ნიადაგზე, როგორ მოახერხებს მის გადაწყვეტას, როცა მას იგი ყოფილ განჯისა და ერევნის სახანოებში გადაიტანს,“[43] — წერდა შ. ამირეჯიბი და მოურიდებლად ააშკარავებდა მთავრობის ჩანაფიქრს, რომელიც ცდილობდა „სომხებისათვის კაავკასიაში ტერიტორია მოეძებნა,“ თორემ ისტორიულადაც და რეალურადაც ზემოდასახელებული მაზრები (ბორჩალოსი, ახალქალაქის, ახალციხის თუ თბილისის) ქართული პროვინციები იყო...[44]

აგრძელებდა რა ამ პრობლემაზე მსჯელობას ჟურნალის მომდევნო ნომერში, დავით კასრაძე მიუთითებდა: „თავდაცვის ინსტინქტი ჩვენი ცხოვრების პერიპეტიებზე ყოველთვის დაკავშირებული იყო ტერიტორიის შენარჩუნებასთან. ქართველი ერი, როგორც მინათმოქმედი, მუდამ მას დასტრიალებდა თავს... ქართველებს არ ჰსურთ თავის მამულის საზღვრებს იქით გადახედვა,“ როგორც ამას სჩადიოდნენ და მიეჩვივნენ კიდეც ფინიკიელები, ებრაელები და სომხები... „მთელს ისტორიულს სარბიელზე ქართველი ერის ინდივიდუალობა შეუძლებელია უტერიტორიოდ წარმოვიდგინოთ და ტერიტორია კიდევ ე.ი. ჩვენი ქვეყანა უ-ქართველ ეროდ,“[45] — დაასკვნიდა იგი.

ეს იმ დროს, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა ყველაფერს აკეთებდა საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებისათვის, მისი ასიმილირებისა და მის ტერიტორიაზე სხვატომელთა მასობრივი განსახლების, მეზობელ ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის ჩამოგდებისათვის... მაგრამ რუსთა შორის მაშინაც იყვნენ საქართ-

---

[42] ჟურნ. „კლდე“, 1914 წლის 12 იანვარი.

[43] იქვე, გვ. 4.

[44] იქვე, 1914 წლის 19 იანვარი, გვ. 6.

[45] იქვე.

ველოსადმი, მისი მდიდარი ისტორიული წარსულისადმი გულწრფელი პატივისმცემელნი და გულშემატკივარნი, რომლებიც ობიექტურობის გრძნობას არ ღალატობდნენ და რეალურად აფასებდნენ მოვლენებს. სჯეროდათ, რომ მისი ქვეყნის ხელისუფლების მიერ უკუღმა ნათესი, შხამიან ნაყოფს მოუტანდა მისსავე ხალხს, და დადგებოდა „დრო და რუსი შოვინისტების მიერ „ინოროდცებში" სიძულვილის დათესვის სისტემას ყველა გაიგებდა"[46]

ეს სიტყვები ცნობილ რუს მოღვაწეს, შესანიშნავ ისტორიკოსსა და პუბლიცისტს, მართლმადიდებელი ეკლესიის კანონთა უბადლო მცოდნეს ნიკოლოზ დურნოვოს ეკუთვნის და, მართლაც, თუ რა ნაყოფი მოაქვს „ინოროდცებისადმი" სიძულვილს, რუსეთში დღეს არსებული სიტუაციაც მოწმობს.

„კლდეისტთა" უპირველესი მოთხოვნა ტერიტორიის საკითხთან დაკავშირებით, რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის შესაბამისად მისი განხორციელების მოთხოვნა იყო, ანუ ისე როგორც ის გეორგიევსკის ტრაქტატის მეორე არტიკულით იყო დაფიქსირებული: „...დიდებულება მისი (ე.ი. ეკატერინე II-ის — გ.ს.) აძლევს იმპერატორებსა თავს-მდებობასა თვისსა მთლად (და დაუკლებლად) დაცუასა ზედა წინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა ესევითარისა თავს-მდებობისა ეს (ე) გვარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელიცა წარმდინარეობასა შინა დროსათა გარემოებითა და განრჩეითითა ხატითა შესაბამისად სამფლობელოისა მისისა მიმართ დამტკიცდებიან"[47]

რევაზ გაბაშვილის თქმით, მას და მის თანამოაზრეებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდათ არა მარტო „რუსეთის მთავრობასთან" არამედ „ყველა ჯურის ქართველ სოციალისტებთან," რომელთათვისაც ტერიტორიის საკითხი არც ისე მნიშვნელოვანი იყო. ისინი მხარს უჭერდნენ არა ისტორიულ, არამედ ხსენებულ ტერიტორიაზე იმჟამად მცხოვრებ „რეალური მოსახლეობის" პრინციპს. ჟურნალი „კლდე" იყო ერთადერთი სხვა ქართულ გამოცემათა შორის, რომელმაც საქვეყნოდ ამხილა ქართველ სოციალისტთა „მამულიშვილობა"... რომელთაც 1912 წელს მონაწილეობა მიუღიათ კიევში გამართულ „რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაში" და ხელი მოუწერიათ არაოფიციალურ დოკუმენტზე, რომლის ძალითაც საინგილო მორალურად აზერბაიჯანისთვის დაუთმიათ, აფხაზეთი — ჩრდ. კავკასიისათვის, ხოლო ახალციხე-ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები სომხეთისათვის, ეს დოკუმენტი თავისი ხელმოწერით „დაუმშვენებიათ" სოც.-

---

[46] იქვე, 1913 წლის 25 მაისი, გვ. 10.

[47] იხ. „გეორგიევსკის ტრაქტატი", გამოკვლევა ვალ. მაჭარაძისა, თბ., 1983, გვ.68.

დემოკრატებს — ნოე რამიშვილსა და სილიბისტრო ჯიბლაძეს, სოც.-ფედერალისტებს — სამსონ ფირცხალავას და იოსებ ბარათაშვილს. ჟურნალის აზრით, სამწუხარო კიდევ უფრო ის იყო, რომ კონფერენციის ეს გადაწყვეტილება იქ დასტამბულ რუკაზეც დაუფიქსირებიათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „კლდეისტებს" ტერიტორიის საკითხი ვიწრო ეროვნულ საქმედ, ანუ „საქართველო — ქართველებისათვის!" არასდროს გაუხდიათ. მათი უპირველესი საზრუნავი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და არა აქ მცხოვრებ სხვა ერთა მისი საზღვრებიდან განდევნა. გამომდინარე აქედან, მათი სურვილები განივთებას პოულობდა კონკრეტულ ლოზუნგში „საქართველო ჯერ ქართველებისათვის!" ამაში საჭოჭმანო და მიუღებელი არა გვგონია, რაიმე იყოს, თუ კაცი გეტყვის: არას გერჩით, ოღონდ ჩემ კარ-მიდამოში ჯერ მე მომეცით სულის მოთქმის საშუალებაო.[48]

რევაზ გაბაშვილი აძლევდა რა შეფასებას ამ მიმართულებით ჟურნალის მიერ გაწეულ საქმიანობას, ასკვნიდა: „კლდესა" და „კლდეისტებს" ამ საკითხის გარშემო ატეხილი ბრძოლის მეტი რომ არა გვეწარმოებინა რა და, რაც მივაღწიეთ, იმის მეტი არა გაგვეკეთებინა რა, მაშინაც ვერავინ იტყვის - „ამაოდ დაშვრნენ"-ო.[49]

სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიებთან დაკავშირებული მწვავე საკითხების წრე არც ისე ვიწრო იყო და „კლდეისტებიც" არავის ერიდებოდნენ მათი ავი ზრახვები სააშკარაოზე გამოეტანათ...მაგალითად, ასეთ საკითხთა რიგს განეკუთვნება „მუღანლოს ველის" გასარწყევების (მელიორაციის)საქმე. ერთი შეხედვით, აქ ცუდი თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, როცა ხელისუფლება თვითონ აპირებდა მილიონობით მანეთის გამოყოფას ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. მაგრამ თუ სად იყო ძაღლის თავი დამარხული, ეს ერთ-ერთმა პირველებმა „კლდეისტებმა" დაინახეს. კერძოდ ის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების მთელი წყლის მარაგი ამ ტერიტორიების მორწყვას უნდა მოხმარებოდა, რადგან იქ რუსული ახალშენების დაარსება იყო გათვალისწინებული. რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის თქმითაც: ამიერკავკასიაში, თუ არა იქ, სხვაგან არსად იყო საკმაოდ ფართო ადგილები „შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთა მასის კომპაქტურად დასახლებისათვის." აღნიშნული ჩანაფიქრის განხორციელება კი საბოლოოდ გადაწყვეტდა საქართველოს დემოგრაფიული რუკის შეცვლის საკითხს. „კლდემ" მთელი საზოგადოე-

---

[48] უფრო ერცლად იხ. გელა საითიძე. „საქართველო ჯერ ქართველებისათვის!" გაზ. „ლიტერატურული საქართველო" 1995 წლის დეკემბრის ნომერში.

[49] იხ. წიგნი „დაბრუნება," ტ.III, გვ.117.

ბის ყურადღების რამდენადმე მობილიზება შესძლო, როცა მან თავის ფურცლებზე დასტამბა შესაბამისი კანონ-პროექტი თავისი კომენტარებით. დ. კახელი (დავით ვაჩნაძე) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ჩვენმა რედაქციამ მიიღო ცნობა, რომ ადგილობრივი მთავრობის წყლის გამგებლობას განზრახული აქვს მოკლე ხანში, კანონის ძალით სრულიად აუკრძალოს *ქართლ-კახეთში მცხოვრებ ხალხს მტკვრისა, არაგვისა, ქსნისა, იორისა, ალაზნისა და სხვ* (ხაზგასმა დ. ვაჩნაძისაა — გ.ს.) მდინარე წყლების სარწყავად ხმარება. ეს წყალი მთავრობას სდომებია აღმოსავლეთ კავკასიის უდაბნოების (მუღანლოს ველი) 300 000 დესეტინის მოსარწყავად, სადაც იგი აპირობს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ახალშენების მონყობას. ქართლ-კახეთის დიდძალ ურწყავ მინდვრებს ველარ ეღირსება თავის სამშობლო მდინარეების სარწყავი წყალი... დღეს ყველაფერი შენირულია აგრესიული პოლიტიკისათვის, ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ქართულ წყლებსაც კი პოლიტიკური მიმართულება ეძლევა..."

დ. ვაჩნაძის აზრით, საჭირო იყო ქართველი საზოგადოებრიობა მტკიცედ დამდგარიყო იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც ქართულ სოფელს, ქართველ გლეხკაცობას ელოდებოდა თუ მუღანლოს ველის მელიორაციის შესახებ კანონ-პროექტი კანონად იქცეოდა... ამაზე უნდა ყოფილიყო საუბარი 1914 წლის დეკემბრის თვის დასაწყისში, „ამიერკავკასიის სამელიორაციო კრებაზე", რისთვისაც საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის შექმნა...

„უმეტესი ნაწილი ამიერ-კავკასიის წყლებისა საქართველოს ეკუთვნის,— წერდა იგი... მაშასადამე უმთავრესად ქართველებმა უნდა იზრუნონ თავის კუთვნილებაზედ. ამისათვის კი საჭიროა ეხლავე სერიოზული და ბეჯითი მომზადება, რომ ამ კრებიდან მართლაც რაიმე სარგებლობა ვნახოთ და ჩვენი ქვეყნის მეურნეთა წრეებს მივეშველოთ."

გადაუდებელ საქმედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული შესაფერისი სტატისტიკური მასალების შეგროვება, რათა ყველასათვის დაემტკიცებიათ, რომ საქართველოს გლეხობა პირველ რიგში იმსახურებდა სარწყავ წყალს. „ჩვენი დაწესებულებანიც — სამეურნეო საზოგადოება და საადგილმამულო კომისია ეხლავე უნდა შედგომოდნენ სტატისტიკური მასალების შეგროვებას." თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი კოტე აბხაზი იმთავითვე დიდ დაინტერესებას და მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში, როგორც საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ხსენებული კრების მოწვევის ინიციატორი. მას გუბერნიაში შემავალი მაზრებისა და სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებისა და ცალკეული მოღვაწეებისათვის დაუგზავნია მოწოდებები, სადაც

მოითხოვდა, რომ ყველა შეგნებული ქართველი ყურადღებით მოკიდებოდა ამ საქმეს...

დ. ვაჩნაძის აზრით, დადგა დრო, რათა მოქმედების ლოზუნგად ქცეულიყო: „სარწყავი და სასმელი წყალი ქართულ სოფელს!"[50]

„კლდეისტთა" ასეთი გამოსვლები, რა თქმა უნდა, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არავისა და არაფერს არ ერიდებოდნენ, როცა საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხებოდა. უმეტესწილად სწორედ მათმა მტკიცე პოზიციამ განაპირობა ის, რომ ხსენებული კანონ-პროექტი პროექტად დარჩა და მისი დაკანონება ვერ მოხერხდა.

საცეცხლე ამბრაზურაზე მკერდით გადაფარების ტოლფასი გმირობის გამოჩენა მოუხდათ „კლდეისტებს" მაშინაც, როცა შუაგულ ქართლში, ტირიფონისა და აშურიანის ყველაზე უფრო ინტენსიურად დასახლებულ ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონის მონყობის საქმეს ეხებოდა. ამით იმას როდი ვამბობთ, რომ მაშინდელი ქართული პრესა და შეგნებული ქართველობა ამ საშინელი განზრახვის მხოლოდ პასიური მაყურებელი იყო და არაფერს აკეთებდა... არა! ჩვენ იმ თვალსაჩინო როლზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც ჟურნალმა „კლდემ" და მის ირგვლივ შემოკრებილმა მამულიშვილებმა შეასრულეს... ორიოდე სიტყვით საკითხის ისტორიის შესახებ... რუსეთის თვითმპყრობელურმა ხელისუფლებამ ხელმწიფე-იმპერატორის მითითებით და სტოლიპინის დაუნდობელი ძალისხმევით, რამდენადმე მოახერხა ქვეყნის შიგნით არეულობის დაშოშმინება, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბით ავტორიტეტ-დაკარგულ რუსეთს იაპონიასთან მწარე დამარცხების შემდეგ, თავის სამხედრო ძლიერების რეაბილიტაციის მოხდენა სურდა ახალი ომის გაჩაღებით. ომისათვის მზადება მისი ყოველდღიური საქმიანობის უპირელეს საზრუნავს წარმოადგენდა.. ცარიზმს კარგად მოეხსენებოდა ისიც, რომ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებოდა. ამიტომ იყო, რომ ამ მხარეში სამხედრო ცოცხალი ძალისა და ტექნიკის თავმოყრას ადრიანად შეუდგა. სწორედ ამან განაპირობა ის აუცილებლობა, რომ არა მარტო სამხედრო ძალების თავმოყრის, არამედ მათი ინტენსიური წვრთნისათვისაც ეზრუნა... იმპერიის სამხედრო უწყებამ დაიწყო სამხედრო პოლიგონისათვის ადგილის შერჩევა... გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისთანა ქართველთმოძულე მოხელეებს გაუჩნდათ შანსი, ხელიდან არ გაეშვათ ასეთი შემთხვევა და საქართველოს ისედაც დაფლეთილ-დასისხლიანებული სხეულისათვის ახალი სასიკვდილო ჭრილობა მიეყენებინათ... თავდაპირველად პოლიგონისათვის ადგილის გამონახვა თბილისის შემოგა-

---

[50] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 29 ივნისი, გვ.6-7.

რენში მოუნადინებიათ. კომისიას გენერალ მეხმანდაროვის (მეხმანდარიანის) მეთაურობით ასეთ ადგილად ავჭალიდან ავლაბარამდე, ლოტკინის მთისა და კუკიის აგარაკების რაიონი მოუნიშნავს, მაგრამ შემდგომ ეს ვარიანტი უარუყვიათ და პოლიგონისათვის ახალ ადგილად გორის მაზრაში ტირიფონის ველი შეურჩევიათ.

პოლიგონისათვის განსაზღვრულ მიწების მესაკუთრეებს სამხედრო უწყება სარფიან გამოსასყიდს ჰპირდებოდა და ეს იყო ის სატყუარა, რომელსაც ადვილად ნამოეგო არაერთი გულხარბი ქართველი მემამულეც... მათ შორის ციციშვილები, ამილახვრები, თუმანიშვილები და სხვები... ისინი თითქოს დაბრმავებულ-დაყრუებულნი ველარ ხედავდნენ, რომ მათ საკუთრებაში მყოფ მიწებზე საუკუნეების განმავლობაში ათასობით ქართველი გლეხკაცი ცხოვრობდა.

ჟურნალმა „კლდემ" ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა ამ მზაკვრული ჩანაფიქრის წინააღმდეგ, როცა ჯერ კიდევ 1913 წლის ბოლოს თავის ფურცლები დაუთმო Legatus-ის (დუშიკო ფალავანდიშვილის, მწერალ-პუბლიცისტის) წერილს, სათაურით: „სოფლის აყრა".

კორესპონდენტი „კლდის" რედაქციას წერდა: „ერთი პირი ამ წერილის „სახალხო გაზეთში" გავაგზავნე დასაბეჭდად და ერთსაც თქვენ გიგზავნით"-ო. რედაქცია თავის მინაწერში აღნიშნავდა: „რედაქცია ათავსებს ჟურნ. „კლდეში" ამ წერილს, რადგანაც იგი „სახალხო გაზეთში" მთლიანად არ დაბეჭდილა". საქმე ის იყო, რომ სამხედრო უწყებას გადაწყვეტილი ჰქონდა „საამილახვრო მამულში" ე.წ. ტირიფონის ველზე და აშურიანში პოლიგონი მოეწყო, რასაც შეეწირებოდა სოფლები — სობისი, დიდი ხურვალეთი, ორჭობანი, ახალშენი, ჭალა, კასპი, ბერბუკი, ახალსოფელი, ზეღდულეთი, უფლისციხე, ნადარბაზევი, ზეგარდა, ნიგოზა, ზემო რენე, ქვემო რენე, გამდლის წყარო, კოდის წყარო, პატარა ხურვალეთი, შავშვები და ნაწრეთი, სადაც 600-მდე კომლი ცხოვრობდა, ძირითადად ქართველები, აგრეთვე მცირერაოდენობით ოსები და სომხები...

ეს იყო იმ ადგილებიდან ქართველთა ფეხის ამოკვეთისათვის გამიზნული ჩანაფიქრი... ამიტომ იყო, რომ წერილი მოწოდებით მთავრდებოდა: „ ვისაც გეყურებოდეთ, თვალნი გაახილეთ!"-ო.

„კლდემ" იმავე დღეებიდან შემოიღო მუდმივი რუბრიკა — „ტირიფონის გარშემო", სადაც გამოქვეყნებული მასალებით ქართველი საზოგადოება სისტემატურად ჰყავდა საქმის კურსში... ასეთი მასალების რიგს განეკუთვნებოდა შემდეგი ინფორმაციები, რომლებიც ჟურნალშია დასტამბული: „სამხედრო უწყებისათვის მსხვერპლად შეწირულმა ტირიფონის მრავალმა სოფელმა 20 000 კაცით, რომელთაც აყრა და განადგურება მოელით, მთელი

აღდგომა გლოვაში და ტირილში გაატარა. ტირის და ჰგლოვობს მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი და ბავშვი. ამ რამდენიმე დღის წინად სოფლელი ხალხი თავის მამა-პაპათა სასაფლაოებისაკენ გაემართა თავის მკვდრებთან გამოსათხოვებლად... საშინელი სურათი გეშლებოდათ თვალწინ — სამარეებთან დაჩოქილი ხალხი ტირილით და გოდებით თავის ძვირფას ნაშთებს მოსთქვამდნენ და ეთხოვებოდნენ მათ".

„სამხედრო კომისიამ საბოლოოდ გადასწყვიტა ტირიფონის შეძენა და ეხლა სოფელ- სოფელ დაიარება და აფასებს სახლ-კარს, მამულებს".

„პოლიგონის საზღვარი გადატანილია ჩრდილო დასავლეთით და ქ. გორს მიუახლოვდა, რადგანაც სამხრეთი კუთხე მანთაშევს შეძენილი აქვს და მისი გამოსყიდვა მეტად ძვირად უჯდება სამხედრო უწყებას".

„ტირიფონის გლეხობას ჯერ დანამდვილებით არ ეუბნებიან, სად უპირობს მთავრობა მათ გადასახლებას, სხვადასხვა ხმები დადის გლეხობაში. ამას წინად კახეთზედ უთითებდნენ, მაგრამ დღეს სულ სხვა ალაგებზე უჩვენებენ — ყარსის ოლქი, ზაქათალა, შირაქი, საჩეჩნეთი (დაღესტნის ოლქი) და სხვა".

„ქართლის მარშალი თავ. ნიკ. ალექსის ძე თუმანიშვილი არამცთუ არ ეხმარება ტირიფონის მცხოვრებთ ამ უბედურებაში, პირიქით, როგორც ნამდვილი წყაროებიდან გვატყობინებენ, თავის წილსა უწყებაზედ (იგულისხმება სამხედრო უწყება — გ. ს.) ჰყიდის. თუ ეს მართალია, თავად თუმანიშვილს დავინყებია, რომ იგი მარშალია, რომ იგი ჯერ საერთო საქმეს უნდა ემსახუროს. ამ შემთხვევის შემდეგ კი იგი მარშლად ვეღარ ჩაითვლება".

„თავადი გივი ნიკოლოზის ძე ამილახვარიც თავის წილს ტირიფონში — 3000 დესეტინას ამავე უწყებაზე ჰყიდის. თავად გივისგანაც, როგორც ნამესტნიკის მართველობასთან ახლო მდგომისაგან, ქართველი გლეხები უფრო დახმარებას მოელოდნენ, მაგრამ აქაც პირადმა ინტერესმა გაიტაცა წარჩინებული ქართველი და საზოგადო ინტერესი ანაცვალა. ეს მხოლოდ იმით თუ აიხსნება, რომ თავადი გივი ამილახვარი ცოტათი დაშორებია ქართულ საქმინობას? მაგრამ ნუთუ ქართველების გლოვამ და გოდებამ მის სმენამდის ვეღარ მიაღწია! თუ მიაღწია, მაშინ იქნებ თავის დიდი მამის სამაგალითო სიყვარული ქართველ გლეხებისადმი და საქმისადმი მოგონებოდა, გაეხსენებია დღევანდელი ტირიფონის გლეხობის მდგომარეობა, თავი შეეკავებია და საერთო უბედურებაში მიშველებოდა ქართველობას"[51].

---

[51] ჟურნ. „კლდე" 1914 წლის 13 აპრილი, გვ. 11-12.

არც სხვა გამორჩეული გვარიშვილები ირჯებოდნენ სამშობლო მიწა-წყლის გადარჩენისათვის. პირიქით, აქაოდა, მუშტარი არ დავკარგოთო და თვითონ სთავაზობდნენ „საქონელს"... მაგ., „თავადმა ციციშვილებმა თვითონ შესთავაზეს კუთვნილი მიწები პოლიგონისათვის დაბა ბაკურიანიდან 8 ვერსის დაშორებით — ვაკე ადგილი, მთებით დაცული ქარებისაგან, წარმტაცი პლატო, კლიმატური სადგურისათვის ვარგისი..." ისინი იმაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ ეს ადგილები ნაკლებად დასახლებულია, არავის აყრა არ მოგიწევთ და უფრო იაფი დაგიჯდებათ, ვიდრე ტირიფონის ველი, ან სხვა ადგილებიო...[52]

ჟურნალში სხვა აღმაშფოთებელი ფაქტებიც არის დაფიქსირებული იმის დასტურად, თუ როგორ ჰქონდა ზოგიერთ შეძლებულ ქართველს, ეროვნული თვითშეგნება დაქვეითებული...

1913 წლის ოქტომბერში „კლდე" ყურადღებას ამახვილებდა ერთ ფაქტზე, რომელიც ბორჩალოში „ვეებერთელა მამულის გაყიდვას" შეეხებოდა... ჟურნალი წერდა: „ჩენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ქართული მიწები მუდმივ და სისტემატურად იყიდება და უცხოელების ხელში გადადის... ვეებერთელა მამულები დატვირთულნი კერძო და ბანკის ვალებით, ნედოიმკებით, ჯარიმებით, სახელმწიფო გადასახადებით, დაუმუშავებელ-მოუვლელი და უპატრონოდ მიგდებული ზედიზედ იყიდებიან და გადადიან უცხოელების ხელში"[53], მაგრამ ამ მიზეზების გარეშეც ხდებოდა მიწების ისეთი გაუმართლებელი გაყიდვა, რომ კაცი გაოგნებული რჩებოდა. სწორედ ასეთ ფაქტზე ამახვილებდა ჟურნალი ყურადღებას და თავის მკითხველს მოუთხრობდა ქართველი მემამულის ნიკ. კვეზერელის ქმედებაზე, რომელსაც თავისი „ვეებერთელა და მშვენიერი მამული" ბორჩალოში, 1100 დესეტინა ფართობით, 700 ჯიშიანი ძროხით, სამეურნეო ინვეტარით, ყველის ქარხნით, რომლის წლიური შემოსავალი 20-25 ათასი მანეთი ყოფილა, 200 000 მანეთად გაუყიდია, თანაც ვინმე გერმანელ პეტრე ამეტერზე... ჟურნალის რედაქციის გაოცებას იწვევდა ის, რომ მემამულე კვეზერელს თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების ქონება ამეტერისათვის საოცარი პირობით მიუყიდია... იგი კვეზერელისეულ მამულს ბანკში აგირავებდა 100 000 მანეთად, ერთ წელიწადში ამ თანხას უკან დაიბრუნებდა და მას გადაუხდიდა ქართველ მემამულეს, ხოლო მეორე 100 000 მანეთის გადასახდელად 8 წლის ვადა ჰქონდა... „ერთი სიტყვით ბ-მა კვეზერელმა გერმანელ ამეტერს ვეებერთელა მამული და მდიდარი საქმე აჩუქა", — აღნიშნავდა ჟურნალი და გულისტკივილს ვერ მალავდა იმის გამო, რომ

---

[52] გაზ. „Закавказская Речь" 1914 წლის 8 ივნისი.

[53] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 11.

კვეზერელს უარი უთქვამს თავის ნათესავებისათვის, რომლებსაც იმავე პირობით სურვილი ჰქონიათ ხსენებული ქონების შეძენის... „აი ეს საუცხოო მაგალითი დღევანდელ ქართველ მემამულის ფსიქოლოგიისა! მშიერია მამულს სტოვებს, მდიდარია — მამულს ჰყიდის"[54].

ამის შემდეგ აღარც უნდა გაგვიკვირდეს, როცა სხვა ერის წარმომადგენელი — მანთაშევი თუ ძმანი მისნი, ათასობით დესეტინა მიწებს ჯერ მუქთად იგდებდნენ ხელში, ხოლო შემდეგ მისთვის შესაფერი მომენტის დადგომისთანავე ამ მიწებს ყიდნენ და მილიონებს იჯიბავდნენ. „კლდეში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კორესპონდენციაში მითითებული იყო: „... ამას წინად მანთაშევმა შეიძინა ნაწილი აშურიანის ველისა... მართალია, ბევრსა ცდილობდა მანთაშევი მთლად შეეძინა აშურიანის ველი, მაგრამ ვერ მოუხდა, რადგან უმთავრესმა მონაწილემ თ-დმა გიორგი ამილახვარმა ცივი უარი განუცხადა. ჯერ შარშან ზაფხულსავე, გავარდა თუ არა ხმა მანთაშევმა აშურიანი იყიდა და ახლა სურს სხვა მამულებიც იყიდოსო, მაშინვე შიშის ზარმა მოიცვა ადგილობრივი გლეხკაცობა. არიქა, თავს ვუშველოთ, თორემ მილიონერი მანთაშევი კრიჭაში ჩაგვიდგა, მამულს ხელიდან გვაცლის და ჩვენ რაღა გვეშველებაო..."[55].

აი, ასეთ „დამსახურებულ" პიროვნებას, სომეხ მილიონერ მანთაშევს, თბილისში ათიოდე წლის წინათ სომხებმა ძეგლი დაუდგეს, როგორც დიდ ქველმოქმედს...

ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებისაგან არავინ დაფიქრებულა ეკითხა, ვისი სისხლითა და ოფლით მოპოვებული მილიონები ჰქონდა, რა სიკეთეს ჩადიოდა იგი ქართველი მოსახლეობისათვის საქართველოში, რომელიმე ერთი კონკრეტული ფაქტის დასახლება მაინც გახსენებოდა ვინმეს აზრის საილუსტრაციოდ და ა. შ.

1914 წლის 11 მაისს ჟურნალი ბეჭდავს სარედაქციო სტატიას სათაურით: „ახალი უბედურება", რომელშიც მოურიდებლადაა მხილებული თვითმპყრობელური ხელისუფლების მზაკვრული ჩანაფიქრი — ქართული მიწების დაცლის და ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურების შესახებ.

„სამხედრო უწყებას პოლიგონი დასჭირდა. აშურიანი, მკვებავი გამოლმა სოფლებისა არაფრად ეყო; ტირიფონა — მკვებავი მთელი ქართლისა, შუაგული, ეკონომიური ბაზისი გორის მაზრისა, თავისი სოფლებით, მცხოვრებლებით ამ საბედისწერო პოლიგონსა ჰყვება. მთელი ქვეყანა ღაღადებს ამ უბედურებას, მცხოვრებნი სტირიან და პირს იხოკენ, მაგრამ პოლიგონს თავისი „სახელმწიფო მოსაზრე-

---

[54] ჟურნ „კლდე", 1913 წლის 27 ოქტომბერი, გვ. 11.

[55] იქვე, 1914 წლის 13 აპრილი, გვ. 12.

ბანი" აქვს და იგი განზე იწევს. იგი არ კმაყოფილდება მტკვრის გაღმა მხარით, იგი გამოღმაც აპირობს გამოსვლას, — მეტეხსა, გრაკალს, ბარნაბიანთ-კარსა და ყარაღაჯს ეპოტინება...

რა უმაღლესი მოსაზრება უნდა დაუპირდაპირდეს იმ განუზომელ ჭირსა, რომელიც უნდა თავს დაატყდეს მთელს ამ მხარეს; რა მოსაზრებით შეიძლება გამართლდეს 20-30 ათასი მცხოვრების აყრა, მათი მიწა-წყლის, მამულ-დედულის, საფლავების გადათხრა? ყოვლად უაზრო და ბარბაროსულია ის წესი, რომელიც აღარაფერს ერიდება... და ჯალათივითა სწყვეტს მიწიდან სიცოცხლის ნიშნებს. მერე რად? რომ უსიცოცხლო ზარბაზნებმა იგრიალონ, რომ ცხენებმა იჯირითონ და სალდათებმა ივარჯიშონ... არა, ეს რაღაც არაჩვეულებრივი დარბევაა, მცხოვრებლებზე ზრუნვის მაგივრად, ეს რაღაც „პოგრომია"[56].

და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ გამოსულიყო იმ საშინელი შოკიდან, რომელიც მას თავს დაატეხეს 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როცა გენერალმა ალიხანოვ-ავარსკიმ თვითპყრობელობის დასტურით ცეცხლს მისცა დას.-საქართველოს სოფლები და დაბა-ქალაქები...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „კლდეისტები" უდიდეს ძალისხმევას იჩენდნენ ქართული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, მოურიდებლად ამხელდნენ არა მარტო ცარისტულ პოლიტიკას ამ სფეროში, არამედ იმ ვაიქართველებსაც, რომლებიც დაუფიქრებლად ეწეოდნენ ქართული მიწების გაყიდვას უცხოტომელებზე და ივინყებდნენ, რომ„ენა და მიწა იყო ცხოვრების საფუძველი და თუ ერი ორივეს დაჰკარგავდა, მაშინ იგი ყველაფერს დაჰკარგავდა".[57]

---

[56] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 11 მაისი, გვ. 1.

[57] იქვე.

# ჟურნალი „კლდე“ და ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხი

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხებზე „კლდის“ ფურცლებზე დასტამბული მასალები, მართალია, მწვავე და მოურიდებელია, მაგრამ ზღვარს არასოდეს არ გადადის და შეურაცხყოფას არ აყენებს თავის სამშობლოში მოღვაწე სომეხ ხალხს. „კლდეისტთა“ უპირველესი სამიზნე საქართველოში შემოხიზნული სომხური ბურჟუაზიის „საგმირო საქმეების“ წარმოჩენა იყო, რომლის წარმომადგენელები თავიანთი თავხედური მოქმედებით, წყალს ამღვრევდნენ საუკუნეების მანძილზე გვერდი-გვერდ მცხოვრებ ამ ორ ხალხს შორის.

„კლდე“ თავის ერთ-ერთ სტატიაში ყურადღებას ამახვილებდა ამ მომენტზე და ხაზგასმით წერდა: „როცა ქართველები სომხებზედ ლაპარაკობენ, სახეში ჰყავთ ის სომხები, რომლებიც საქართველოში მოსახლეობენ. არა თუ შორეულ ადგილებში მცხოვრები სომხები, თვით მოსაზღვრე განჯის გუბერნიის სომხებიც კი არ შედიან დამოკიდებულების იმ სფეროში, რომელსაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობა ჰქვიან. აქედან ცხადია, რა უსამართლოა ის აზრი, როცა ჩვენ საზოგადოთ სომხების სიძულვილს გვიკიჟინებენ“[58].

ჟურნალის აზრით, ამ ორ მეზობელ ხალხს შორის კეთილმეზობლური და სოლიდარული დამოკიდებულების შენარჩუნებისათვის საჭირო იყო შეგნება იმისა, თუ რა უფლებები ჰქონდათ საქართველოში ქართველებს და შემდეგ სომხებს და ყველა დანარჩენთ, ვინც აქ ცხოვრობდა. საჭირო იყო რუსეთის საუკუნოვანი პოლიტიკის შედეგების ფხიზლად გაცნობიერება, რომელსაც ასე მიზანმიმართულად ანხორციელებდა თვითმპყრობელური ხელისუფლება არა მარტო ქართველების, არამედ იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები „ინოროდცების“ მიმართაც.

„გათიშე და იბატონე“-ს პრინციპით მოქმედი ცარისტული რეჟიმის ერთგული დამქაშები, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ხელმძღვანელობით და მასთან ალიანსში მყოფი თბილისელი მდიდარი სომხების უდიდესი უმრავლესობა (მანთაშოვები, არამიანცები, ბაბოვები, ხატისოვები, ბოზარჯიანცები, ყაზაროვები, ხაჩატუროვები და სხვ.) თავიანთი თავხედური მოქმედებებით უნდობლობის ბზარს აღრმავებდნენ ორ მეზბელ ხალხს შორის, რომელთაც ბედმა ერთმანეთის გვერდი-გვერდს ყოფნა არგუნა. თვითმპყრობელობის მხარდაჭერით გათამამებულნი ისინი შოვინისტური აღტკინებით ილტვოდნენ რეალობად ექციათ თავიანთი

---

[58] ჟურნ. „კლდე“, 1912 წლის 4 ნოემბერი, გვ. 4.

სულიერი მამის აბრაამ კათალიკოსის საუკუნეების წინათ დანაბარები ქართველებთან დამოკიდებულების შესახებ...

როცა ქართულმა ეკლესიამ, იმჟამინდელი საჭეთმპყრობლის კირიონ პირველის ხელმძღვანელობით ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (607-609 წწ) დადგენილებით დიოფიზიტობა აღიარა, ამით განანყენებულმა მონოფიზიტებმა (გრიგორიანელებმა), ლიდერობა რომ არ დაეკარგათ კავკასიაში, დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, რათა ქართული ეკლესია თავის გავლენის სფეროდან არ გაეშვათ... მაგრამ დარწმუნდნენ რა, რომ კირიონსა და მის სამწყმსოს მოდრეკას ვეღარ შეძლებდნენ, მაშინ სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა ქართველი ერი დასწყევლა, ხოლო სომეხ ხალხს საყოველთაო ეპისტოლეთი მიმართა ქართველებთან სამომავლო ურთიერთობის თაობაზე და კონკრეტული პროგრამა დაუსახათ: „ქადილით გაამაყებულმა არ მიატოვეს წვალება, არამედ ჩვენც თავისკენ მიგვდრიკეს და ხრანცვის სწავლება გაბედა ამ უღმრთო კირიონმა, რის გამოც ჩვენი მოძღვრების მიერ რომაელთა მიმართ ადრე გამოკვეთილი საზღვარი დარჩეს აღსასრულამდე. თუ არ მოიქცევიან ჭეშმარიტებაზე, ჩვენც ამასვე ვბრძანებთ ქართველებზე: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასმაში, არც მეგობრობაში, არც დედა – მძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში და არც ჩვენს ეკლესიაში მიღებით. მათგან ქორწინებისგანაც სრულიად განეშორეთ. მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ...“[59]

უნდა ითქვას, რომ იმ დღიდან მოყოლებული, სულიერი მამის ეს მითითება სომეხი ერისათვის შეურყეველია და მომენტის შესაფერისად მას ხან ააქტიურებენ და ხან ანელებენ... ჟურნალი „კლდე“ აგრძელებდა რა დიდი ილიას „ქვათა ღაღადის“ კურსს, სააშკარაოზე გამოჰქონდა ჩვენი ეროვნული ინტერესების ხელმყოფთა ნამოქმედარი. მას სწამდა, რომ „ეროვნული სამართლიანობა უმაღლესი სამართლიანობა იყო“ და ეროვნულ პოლიტიკაში ანგარიში უნდა გაწეოდა „სხვა ერთა უფლებათაც“; მაგრამ „არასდროს არ დავმსგავსებოდით იმ პოლიტიკურ რეგვენებს ან, გულკეთილ დიასახლისებს, რომლებიც კერძის დარიგების დროს სტუმრებს იმდენს მიართმევენ ხოლმე, რომ თითონ უკერძოდ რჩებიან“-ო[60].

ჟურნალის სავსებით სწორი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული მეზობელ ერებთან საურთიერთოდ: „ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს ახლო მოსახლე ერებთან გამომდინარეობს თვით საქართველოს ტერიტორიული აგებულებიდან. ქართველი ხალხი არავის ცხოვრებაში არ ერევა. მას თამამად შეუძლიან სთქვას, რომ თავის საკუთარ

---

[59] უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. თბ., 1975, გვ. 211.

[60] ჟურნ. „კლდე“ 1913 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1.

მინა-წყალზე სცხოვრობს და ვიდრე ეს ტერიტორია არსებობს ყველა ეროვნული საკითხი ქართული თვალსაზრისით უნდა წყდებოდეს..."[61]

პირველმა მსოფლიო ომმა დღის წესრიგში დააყენა ოსმალეთიდან და სპარსეთიდან ლტოლვილ ათეულ ათასობით სომხის საკითხი. ჯერ კიდევ სომეხთა ცნობილ გენოციდამდე (1915წ.),გაუსაძლის პირობებში ჩავარდნილმა სომხობამ, რუსეთის იმპერიაში შემავალ ერევნისა და თბილისის გუბერნიებს მოაშურა. ეს საკითხი, ანუ გამოქცეულ ლტოლვილთა საკითხი, ფართო აგიტაციის მეოხებით მსოფლიო საზოგადოების ყურადღების არეში მოექცა. გამოქცეულ სომეხთა უმრავლესობა მუდმივ საცხოვრებლად და სამკვიდრებლად უპირატესად საქართველოს ტერიტორიას ირჩევდა. ქართველი საზოგადოების პატრიოტული ნაწილი ამაში დიდ საფრთხეს ხედავდა, რადგან ამის მწარე ისტორიული გამოცდილება სახეზე იყო, როცა რუსეთ-ირანის 1827-1829 წლების ომის დროს „გამოქცეულმა სომხობამ უომრად დაიპყრო მთელი ახალქალაქის მაზრა და ნანილობრივ ბორჩალოს და ყარსის ოლქებისა"[62].

რევაზ გაბაშვილის თქმით, აუცილებელი იყო გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანთათვის ხელის გამართვა, მაგრამ ასევე საჭირო იყო ქართველებსაც ეფიქრათ თავის თავზე. „ყოველი ადამიანი ვალდებულია ქრისტიანული სიყვარულით ხელი წააშველოს დავრდომილს და შეინახოს იგი, მაგრამ როცა ეს დავრდომილნი აღემატებიან მის ძალას — იგი ვალდებულია თავისთავზეც იფიქროს"... პუბლიცისტის აზრით, ლტოლვილ სომეხთა დასამკვიდრებლად უფრო უპრიანი იქნებოდა ჩრდ. კავკასია, ვინაიდან თუ გამოქცეული სომხები ოდესმე მოინდომებდნენ თავიანთ სამშობლოში დაბრუნებას, იქიდანაც ისევე ადვილად დაბრუნდებოდნენ, როგორც ეჩმიაძინიდან და ახალქალაქის მაზრებიდან და, თუ არ მოისურვებდნენ, მათთვის როგორც სამშობლოს თავმინებებულთათვის, რა განსხვავება უნდა ყოფილიყო — აქ იქნებოდნენ თუ იქ?" წერილის დასასრულს რევაზ გაბაშვილი დაასკვნიდა: „ჩვენი ობიექტური აზრი ასეთი არის და გვიკვირს, რომ ერთმანეთში ურევენ გამოქცეულთა დახმარებას და გამოქცეულთა საკითხს. პირველი გრძნობის საკითხია, მეორე კი გონებისა"[63].

ჟურნალი მომდევნო ნომრებშიც აგრძელებდა ამ თემაზე საუბარს და ახალ-ახალი ფაქტები მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ გამოქცეულთა ლტოლვას კავკასიისაკენ, კერძოთ კი

---

[61] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 15 სექტემბერი, გვ. 1.

[62] იქვე, გვ. 4.

[63] იქვე, გვ.2.

საქართველოსაკენ, ვიღაცის უჩინარი ხელი მართავდა... იგივე რევაზ გაბაშვილი თავის სტატიაში, რომლის სათაურია „გამოქცეულები", უმეტესწილად სომხურ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით, მკითხველი საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა იმაზე, რომ „გამოქცეულთა საკითხი ხელოვნურად შექმნილი იყო", რომ „სპარსეთიდან და ოსმალეთის ზოგიერთი ადგილებიდან არ დაძრულა არც ერთი შეძლებული სომეხი, იქედან „გამორბიან" მხოლოდ ღარიბ-ღატაკნი"[64].

რა არის ამ უცნაურობის მიზეზი? — ამ კითხვას სვამდა და იქვე პასუხობდა: „ეს გამოქცეულები ნამდვილის შიშით კი არ არიან შეპყრობილნი, არამედ ორმაგი პოლიტიკით. ჯერ ერთი სპარსეთისა და ოსმალეთის მდიდარი და შეძლებული სომხობა თვითონ აბრიყვებს ღარიბ-ღატაკებს და თავიანთ მთავრობებთან ერთად ძალით თუ პროპაგანდით ისტუმრებს მათ უცხოეთში, საცა ჰპირდება თითქმის აღთქმულ ქვეყანას და თავიდან იშორებს შემაწუხებელ ელემენტებს...", ეს ერთი, ხოლო მეორეს მხრით, აქაური სომხობა მართლაც შველის გამოქცეულებს და ამისათვის შესძრა რუსეთისა და ინგლისის საზოგადოების ნაწილიც კი. ის ღარბ-ღატაკნი, რომელთაც თავის სამშობლოში იქნებ პურიც არ ენახათ თვალითა,... რომელთაც „წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის ჩაი და შაქარი, რომელნიც უარს ამბობენ თევზის ჭამაზედაც კი... ასეთი ღარიბ-ღატაკნი გამოიქცევიან ათასობით, როცა აქ ურიგებენ ტანისამოსს, თეთრ პურს, სანოვაგეს, ჰქმნიან სასადილოებს, სამკერვალოებს, პოულობენ სამუშაოს, აძლევენ საქონელს, იარაღს და ზოგან მიწასაც..."[65]

აღსანიშნავია, რომ თბილისში იმჟამად შემოხიზნული იყო სპარსეთიდან გამოქცეული 3 000-მდე აისორიც... ჟურნალის მართებული შენიშვნით, გადმოხიზნულთა საკითხი მეტად რთული და სერიოზული საკითხი იყო, მაგრამ მას განსაკუთრებულ სიმწვავეს აძლევდა სამარი პირობები; რის გამოც საშინელ ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდიდა საქართველოს ძირითადი მცხოვრებნი, რომლებსაც ორი წლის მოუსავლიანობის გამო „სხვისი გასაჭირის თავის თავზე მიღებაც" აღარ შეეძლო. გარდა ამისა, თუ გადმოხიზნულნი ჩვენს ტერიტორიაზე დასახლებას მოინდომებდნენ, ეს კიდევ უფრო ააჭრელებდა ეროვნულად თბილისის გუბერნიას... „ეს საქმე მეტად გაართულებს და გაამწვავებს საქმეს", — წერდა „კლდე" და პირდაპირ აცხადებდა: „ეს დიდ საფრთხეს განუმზადებს ჩვენს ეროვნულს მდგომარეობას და არ შეგვიძლია ყოველის ღონით

---

[64] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 8 თებერვალი, გვ. 3-5.

[65] იქვე, 1915 წლის 1 თებერვალი, გვ. 15.

ნინააღმდეგობა არ გავუწიოთ ჩვენი მიწა-წყლის აჭრელებას, რომელიც ქართველ ერსაც ძლიავს ჰყოფნის"—ო[66].

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხზე ჟურნალ „კლდის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალ საყურადღებო მასალათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ა——ი" (ამირეჯიბი) წერილი — „საქართველო და სომხეთი".

წერილი დაწერილია იმ დროს, როცა I მსოფლიო ომის ქარცეცხლში გახვეულია, როგორც ევროპის, ისე აზიის არაერთი სახელმწიფო. მათ შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს რუსეთსა და ოსმალეთს შორის... იმ ხანებში ოსმალეთში მცხოვრებ სომხებს იმედი გაუჩნდათ ავტონომიის მიღების... ამას სომხებიც და სხვა ქვეყნების მთავრობებიც ხმამაღლა გამოთქვამდნენ. ასევე იყო რუსეთშიც, ასევე იყო საქართველოშიც. „ოსმალოს სომხეთის საკითხი" სისტემატური განხილვის საგნად ჰქონდა ყველა პარტიას თუ ბეჭდვით ორგანოს... ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პრინციპულად მომხრე იყო და მიესალმებოდა სომხეთის თავისუფლებას. ქართულ საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით გამოითქმებოდა აზრი, რომ სომხეთის თავისუფლება მათ რიცხვს შეამცირებს საქართველოშიო. ავტორის შენიშვნით, „ასეთი აზრი სიმართლეს არ უნდა ყოფილიყო მოკლებული", მაგრამ, როცა თბილისში გამომავალმა ერთ-ერთმა სომხურმა გაზეთმა ხმამაღლა განაცხადა: ჩვენ კავკასიიდან ფეხსაც არ მოვიცვლითო... ჩვენ ძალიან ნაკლებ გვაინტერესებს — მართლა წავლენ თუ არა სომხები კავკასიიდან; რომ უბრალოდ შეუძლებელია ეჩმიაძინის გადატანა ოსმალეთის სომხეთის ტერიტორიაზე, ანუ სომხებს კავკასიაში ცხოვრების უფლება საუკუნეების მანძილზე ისევე ჰქონდა, როგორც ყველა მკვიდრ ერს კავკასიისას. მაგრამ ავტორს სხვა რამ აინტერესებს და სრულიად ბუნებრივადაც: შეამცირებდა თუ არა სომხების შემოსევას საქართველოში განთავისუფლებული სომხეთი?.. რა გავლენას მოახდენდა იგი საქართველოზე, სადაც იმჟამად 300 ათასამდე სომეხი ცხოვრობდა? შეიძლებოდა მცირე იმედი მაინც გაჩენილიყო, რომ ნანილი ამ სომხებისა თავის სამშობლოს მიაშურებდა?

ავტორი მხარს უჭერდა იმხანად „კავკასკოე სლოვოში" გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ თბილისის თვითმართველობის ხმოსნების უმრავლესობა სომხეთში არ ნავიდოდნენ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ „სამშობლო ქვეყანაში დედაენის უცოდინართა მისვლა იგივეა, რომ უცხო ქვეყანაში უპასპორტოდ მოხვიდე" — და მაგალითისათვის ასახელებდა ხატისოვსა და დოლუხანოვს; ხმოსნების გარდა არც სომეხი ადვოკატებიც არ ნავიდოდნენ, რადგან მათი

---

[66] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 1 თებერვალი, გვ. 15.

ერთადერთი ენა რუსული იყო, რომელთაც თავისუფალ სომხეთში მართლმსაჯულებას სამსახურს ვერ გაუწევდნენ... მაგრამ იყო ჭეშმარიტი სომეხი ხალხი, პატრიოტი სომხები, იდეური სომხები, რომლებიც თავიანთ მოვალეობად ჩათვლიდნენ თავისუფალ სამშობლოში წასვლას... ამას მოითხოვდა მათი სამშობლოს რეალური ინტერესები, ვინაიდან სომხეთში იმჟამად ყველაზე ნაკლები თვით სომხები იყვნენ... ევროპის დიპლომატიამ კიდევაც რომ შექმნას სომხეთი უსომხებოდ, ეს ვერ დააკმაყოფილებდა პატიოსანი და პატრიოტი სომხის სურვილს... ამიტომ სომხის ხალხს ხმამაღლა უნდა მოეწოდებინათ სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე მცხოვრები სომხებისათვის, თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ და თავიანთ მიწაზე დამკვიდრებულიყვნენ...

შემდეგ წერილის ავტორი ასე სვამდა კითხვას: წავლენ თუ არა სომხები საქართველოდან თავიანთ სამშობლოში? გვეუბნებიან, რომ არა! ასეთი განცხადება უცნაურად მიაჩნდა მას და განაგრძობდა: თანამედროვე მოქალაქეობრივობის უმაღლესი ეთიკა ის არის, რომ ადამიანი თავის ქვეყნის ქვეშევრდომი იყოს. ეს გრძნობა არის სომხის ერში და ამიტომ იბრძვის თავისუფლებისათვის; რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სომეხი, რომელიც სიამოვნებით არ იცხოვრებდა თავის ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, აქაც იქმნებოდა განსხვავება წვრილ მეწარმესა და მსხვილ მრეწველ-ვაჭართა დამოკიდებულებას შორის... საქართველოში არ იყო არც ერთი მსხვილი სასოფლო მეურნეობა,რომ მიწის მფლობელობა პარტელიარული ტიპისა ყოფილიყო და ამიტომ მას ეროვნულ-სომხური მნიშვნელობა არ ჰქონოდა. თვით ახალქალაქის მაზრაში დასახლებული სომხები სახაზინო მიწაზე ესახლებოდნენ და არა კერძო საკუთრებაში მყოფ ტერიტორიაზე... ამისათვის პირველ რიგში ანგარიში უნდა გაეწიათ თვით სომხებს, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს... ვინაიდან, ავტორის შენიშვნით: „თუ ეს ნაკლი გამოსნორებული არ იქმნება — ჩვენ სომხეთის თავისუფლება ვერ წარმოგვიდგენია. სახელმწიფოს მოწყობა რომ უხალხოდ ადვილი იყოს, მაშინ ებრაელ მილიონერებისათვის სულ უბრალო საქმე იქნებოდა პალესტინის ყიდვა. სიონისტების გეგმაც იმიტომ დაიმსხვრა, რომ პალესტინაში წასვლის მსურველი ცოტა აღმოჩნდა. ნუ თუ სომხებიც ამას ჩაიდენენ?"[67].

თავის ამ მსჯელობას და იქედან გამომდინარე შედეგებს ავტორი სავალდებულო მისაღებად როდი თვლიდა სომხებისათვის, მაგრამ „მათ უფლება უნდა მოგვცენ სწორედ ასე ვიმსჯელოთ, როცა ჩვენს თვალწინ ასეთი დიდი საკითხი წყდება, რაც უშუალოდ

---

[67] ჟურნ. „კლდე" 1914 წლის 14 დეკემბერი, გვ. 2-3.

ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებსაც ეხება“-ო, — დაასკვნიდა შ. ამირეჯიბი.

ასეთი შეგონებები საქართველოში მოკალათებულ, თუ ამ მიზნით აქეთკენ ლტოლვილ სომეხთათვის, მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასი იყო.

მათ ქმედებაში პატრიოტი მამულიშვილი კარგად ხედავდა, რომ საბაბმიცემული უცხოტომელები საქართველოსაკენ მოილტვოდნენ, ქართული მიწების უბრძოლველად ხელში ჩასაგდებად... გათვლა მაღვალაკური იყო... სპარსეთსა და ოსმალეთში ისინი უმრავლესობას ვერასოდეს მიაღწევდნენ, საქართველოში კი შეეძლოთ ამ სანუკვარი მიზნების აღსრულება... რა თქმა უნდა, გამოქცეულთა უმრავლესობას ეს გაცნობიერებული არ ჰქონდა, მაგრამ კარგად იცოდნენ მათ, ვისაც „დიდი არმენიის“ შექმნის იდეა ტვინს უღრღნიდა და, რომელსაც სწორედ ქართული ტერიტორიების მუქთად მიტაცების დიდი იმედი ჰქონდათ...

სამსონ დადიანის თქმით, საქართველოში „გადმოცვივნული სომხობა. საქართველოს ნამდვილ შედგენილ ნაწილად, მისთვის სასარგებლო და აუცილებელ ელემენტად ვერ გახდებოდა, და იგი არასდროს იზრუნებდა მისთვის, რადგანაც საქართველო მისი სამშობლო არ იყო. ამიტომ იგი, ე.ი. სომხობა ან უნდა გათქვეფილიყო ქართველობაში, ან ახალი სამშობლო ეძებნა. პირველი არ მოხდებოდა, ე.ი. არ გაითქვიფებოდა, რადგან სომხის ერი საკმაოდ კულტურულია იმისათვის, რომ თავისი ეროვნული სახე შეენარჩუნებია... ასე, რომ სომეხთა ინტერესები იმთავითვე დაუპირისპირდა ქართველთა ინტერესებს... „ერთის შემატება — მეორის დაკლება იყო, ერთის გამდიდრება მეორის გაღატაკებას მოასწავებდა.. ამ ნიადაგზე ერთმანეთს დაუპირისპირდა ეს ორი ელემენტი და სომხებს აუცილებლად უხდებოდა ორგვარი ბრძოლა: იგი იბრძვის, როგორც ბურჟუაზია საერთოდ და ამავე დროს, როგორც უცხო ერის ნარმომადგენელი უცხო ერის ბანაკში. ამიტომ ქართველებს ბრძოლა უხდებათ სომხებთან, როგორც უცხო ელემენტთან, საკუთარ ტერიტორიაზე“[68].

„კლდეისტთა“ ამგვარ გამოსვლებს დიდი გულისწყრომით ხვდებოდნენ თბილისში სომხურ ენაზე გამომავალი ჟურნალ-გაზეთები: „ჰორიზონი“, „არევი“, „მშაკი“ და სხვ. ამდენად, რ. გაბაშვილის და მის თანამოაზრეთა ყოველი გამოსვლა მათდამი პასუხიც იყო...

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ცენტრალური პრესის ფურცლებზეც სათანადო ადგილი ეთმობოდა სომეხ ლტოლვილთა განსახლების და ამ კონტექსტში სომეხ-ქართველთა ურთიერთობის სა-

---

[68] ჟურნ. „კლდე“, 1914 წლის 16 თებერვალი, გვ.4.

კითხს... მაგალითად, გაზეთი „Санкт-Петербурские Ведемости" ცეცხლზე ნავთს ასხამდა, როცა აღნიშნავდა: „თბილისში ახლა დიდია „გამოქცეულთა" რიცხვი. მათ აქეთ-იქით ასახელებენ და თუ ეპისკოპოზ ნერსესის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და გამოქცეულთ რუსული პასპორტები დაურიგდათ, მაშინ მათი დასახელება უფრო ფართო ხასიათს მიიღებს... მათი უმეტესი ნაწილი, როგორც ყოველთვის, ახლაც ქართველთა საზღვრებში იქნება დასახლებული. საქართველოში ასეთი დასახლება აგერ ათეული წლებია ხდება, რაც ისედაც ხდებოდა თუნდა ოსმალეთში არავითარი დევნა და ექსცესები არ ყოფილიყო. სომეხთა დასახლება ქართველთა ტერიტორიაზე კი ქართველების უმტკივნეულეს საკითხს შეადგენს. თანამედროვე ქართველის ეროვნულ მსოფლმხედველობად აღიარებულია აუცილებლად შენახვა და დაცვა საქართველოს ტერიტორიისა. საქართველოს ეროვნული აზრი არავითარ კომპრომისებს არ იცნობს ამ საკითხში და აი, სწორედ ამიტომ არის, რომ ქართველ-სომეხთა საერთაშორისო დავაში უმთავრესად ტერიტორიის საკითხი არის ხოლმე ნიადაგი".

ამ წერილის გამო გაზეთი „Закавказская Речь"-ი წერდა: „არ შეიძლება ამ წერილის ავტორს არ დავეთანხმოთ, რომ მინა-წყლის საკითხი ყველაზე მტკივნეული და სადავიდარაბო საკითხია ჩვენი და სომხების ურთიერთობისა, რომლის გადაუჭრელობის გამო ყოვლად შეუძლებელია ჩვენი მეზობლობა-მეგობრობა და თანხმობით ცხოვრება"[69]

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხი მრავალი რაკურსით არის წარმოჩენილი ჟურნალი „კლდის" ფურცლებზე დასტამბულ მრავალფეროვან მასალებში. „კლდეისტები" ცდილობდნენ ამით დაენახვებიათ ყველასათვის, პირველ რიგში კი სომეხთათვის, რომ მათი პრეტენზიები ქართული ტერიტორიების დასაკუთრებისა უმადურობის, არაზნეობრივობის და არაადამიანურობის გამოვლენის სფეროს განეკუთვნებოდა.

„კლდის" მასალების მიხედვით, სომეხთა უმადურ დამოკიდებულებასა და დაუნდობლობას საქართველოსა და ქართველებისადმი ახალი სტიმული მისცა რუსეთის გაბატონებამ კავკასიაში... რუსეთის მიერ საქართველოს ძალდატანებით მიერთების შემდეგ, სომხების ჩამოსახლება და ქართული მიწების მითვისებას ხელოვნური სახე ჰქონდა; ეს პროცესი კავკასიის უომრად დაპყრობისა (სომეხთა მიერ) მეთოდურად სწარმოებდა და XX საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა. ამიტომ იყო, რომ „თვით სასომხეთში სომეხთა რიცხვი ნახევარ მილიონს აღემატებოდა, რომელთა უმრავლესობა საქართველოში იყვნენ განს-

---

[69] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 16 თებერვალი, გვ.4.

ახლებულნი... უბედურება ის იყო, რომ სომხები უსამშობლობას არც განიცდიდნენ. ჟურნალის შენიშვნით „მერე როგორ გგონიათ, ესეთი არაბუნებრივი მოვლენა იწვევს მათში ებრაელებისებურ ტირილს სამშობლო მხარეზედ? სულაც არა... მათი მონინავე ხალხი მთელ პოლიტიკურ სისტემას ქმნის „დიდი სომხეთის" თაობაზე, რომელიც მოიცავს ამიერ-კავკასიას, ოსმალეთის 6 ვილაეთს და კილიკიასაც კი..."[70]

რევაზ გაბაშვილს, როგორც რედაქტორს, კარგად ესმოდა პრესის, როგორც ცხოვრების სარკის როლი... აკი მიუთითებდა კიდეც: პრესა მოვალეა პირდაპირ შეხედოს თვალებში სიმართლეს და პირდაპირ დაასახელოს ხოლმე ყველა საგანი თავისი სახელით"—ო[71] და ასრულებდა კიდეც ამას.

პირდაპირ, სიმართლის დასახელების პოზიცია კარგად ირეკლება სპირიდონ კედიას („ს.კ.") ვრცელ წერილში — „სამხრეთის საფრთხე", რომელშიც ისევ სომეხ ლტოლვილთა შესახებაა საუბარი და იქედან გამომდინარე ქართველთათვის შექმნილ უმძიმეს პრობლემაზე...

„სამხრეთიდან დაიძრა სომეხი, სპარსი, აისორი... თავიანთი მამა-პაპისეული სამკვიდრებელი ერთბაშად დატოვეს და ღონეს ღონობენ, ახალი ბინა სხვაგან დაიდონ. გამოქცეულთა რიცხვი დიდია: 120-150 ათასამდე ადის... დღეს-დღეობით ეს ხალხი ჩრდილოეთისაკენ მოიწევს და ღია კარებში შემოჭრას ეძალება. ***ახდილია საქართველოს ბჭენი და ბოქლომი სხვას უჭირავს.*** ამ გარემოების წყალობით და მხოლოდ ამ გარემოებისა მომდგარი ნაოტი ხალხი წარმოადგენს აშკარა საფრთხეს. ამ ხალხის სახით ჩვენს ეროვნულ თვითარსებობას ახალი განსაცდელი მოევლინა." ავტორის აზრით, ამ გარემოებას ყოველი „მოაზროვნე და მოდარაჯე" ქართველის გულისყური უნდა მიეპყრო და იგი საერთო „ბჭობისა და ფიქრის საგნად გამხდარიყო", მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა. რატომ?

„ქართველი ინტელიგენცია და ქართული პრესა, უფრო უსხეულო კოსმოპოლიტიზმის კარებს დარაჯობს, ვიდრე სხეულღებულ საქართველოს ღია საზღვრებს. ქართული პრესა გაურბის ეროვნული ბრძოლის ქაცვიან საკითხს; მას ჯერ კიდევ ეჩოთირება თამამი, გაბედული ხმა ამოიღოს ეროვნული თვითგანმტკიცების სახელით". სპ. კედიას აზრით, მაინც რას ეკრძალვოდა ქართველი ინტელიგენტი? „საკუთარი ეროვნული აზროვნების დაძაბუნებამ და გაუგებარმა, უკრიტიკო ტრფიალმა ფრთოსან პრინციპებისადმი მოჰკლა ქართველ ინტელიგენტში ნიჭი ტერიტორიულ წარ-

---

[70] ჟურნ „კლდე" , 1914 წლის 23 ნოემბერი, გვ. 2-4.

[71] იქვე, 1915 წლის 1 თებერვალი, გვ. 13.

მოდგენისა და დაახშო გრძნობა ტერიტორიის სიყვარულისა...", ამიტომ, „საჭირო იყო მთელი თავისი ენერგიით გალაშქრება საქართველოს ხელახალი ეროვნული აჭრელებისა და აფერადების წინააღმდეგ"[72].

იმავე სტატიის, გაგრძელებაში სპ. კედია ყურადღებას ამახვილებდა თბილისში გამომავალ სომხური ორიენტაციის რუსულენოვან გაზეთ „Кавказское слово"-ში დასტამბულ ცნობაზე იმის შესახებ, რომ „სომხეთი და რუსეთი მოკავშირენი არიანო".

პუბლიცისტის მართებული შენიშვნით, ასეთი „კავშირის" რეალურობაზე სომხებმა და მათმა მესვეურებმა იფიქრონ, მაგრამ ქართველთა პირდაპირი მოვალეობა იყო გამოეცნოთ, თუ რა მოელოდა „საქართველოს ამ ახალი მოვლენისაგან"... საჭირო იყო გათვალისწინებულ ყოფილიყო „ისტორიული ხასიათი თითოეული მოქმედი მოკავშირისა", გაეხსენებიათ ამ მოკავშირეების „წარსული საქმიანობა".

„ჯერ ესაა: მოკავშირეთაგან ერთერთი მოკლებულია იურიდიულ პიროვნებას; მრავალი ასი წელიწადია, რაც მან დაჰკარგა დამოუკიდებლობა, რაც მას ტერიტორიული მთლიანობა ხელიდან წაუვიდა; დაერღვა სამშობლო კერა და სხვადასხვა მხარეს მოედო. ეს სომხობაა, ერი უსახელმწიფო.

მეორე — სრული იურიდიული პიროვნება. ძლიერი სახელმწიფო, მპყრობელი მრავალი ერისა. ეგ დიდი რუსეთია.

ამ დიდი ისტორიული უბედურების დასაბამიდან დაძრული სომხის ხალხი ცოტ-ცოტათი ნელი-ნელ სადმე უნდა დალაგებულ-დამკვრიდებულიყო. საკუთარ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ზრუნველობას ჩამოშორებული იქ დაიდებდა ბინას, სადაც უკეთ იცხოვრებდა. პირველი რაზმები, რასაკვირველია, გეოგრაფიულად მეზობელ ქვეყნებს უნდა წვეოდა. ამ მხრივ საქართველო ბუნებით პირველი სასვენი ადგილი იყო. და აი, ასე, ჯერ ზოოლოგიურად სიცოცხლის შენარჩუნების ინსტიქტით თავშეფარებულმა ხალხმა რა ფეხი მოიკიდა და წელში გასწორდა, თანდათანობით გაუჩნდა სურვილი ფეხმოკიდების ადგილის საბოლოო დანარჩუნებამისაკუთრებისა... იგი იწყებს ეროვნული პოლიტიკის შეთხზვას, ადგენს გეგმას ეროვნული მომავლისათვის..."

სპ. კედიას აზრით, „მთელი ამ პროცესის დასაწყისი ისტორიულ იძულებაში მარხია" საქმე ისაა, რომ „საქართველოს მიწის შუაგულში ახალფესვჩაყრილი სომხის ეროვნული სხეული შეუდგა თავისი საქმის კეთებას, სხვაგან დამკვიდრებას; უცხოთა შორის საკუთარი ბინის მოპოვებას. სხვისი ეროვნული ერთფეროვნების

---

[72] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 8 თებერვალი, გვ.7.

დაშლას, დარღვევას", რაც გადაიქცა *„სომხის ერის ისტორიულ ხასიათად და გარდუვალ მიდრეკილებად. C'etait Lpus ort quelui!"* (ხასგასმა სპ. კედიასია — გ. ს.)

სომეხთა ცხოვრებაში დადგა მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფსიხოლოგიური ვითარება... მოკავშირის გაჩენა-გამოძებნის.

ასეთ მოკავშირედ მას რუსეთი მოევლინა და საქართველოს წიაღზედ უნებლიეთ შეიკრა ეს კავშირი..."[73]

საინტერესოა სპ. კედიას მიერ მიგნებული ლოგიკური დასკვნა. „დაშლილ, გაბნეულ და უსახელმწიფო ერს (სომხეთს) და ძლიერ და მტკიცედ შემოჭედილ სახელმწიფოს (რუსეთს) შორის კავშირს ხელი შეუწყო „ხასიათის იგივეობამ", რაც სხვისი მიწების მიტაცების სურვილში აირეკლებოდაო..."[74]

ჟურნალი „კლდე" იმავე ნომერში თავის მკითხველს კიდევ ერთ საინტერესო მასალას აცნობდა, რომელიც ასევე გაზეთ „Санк-Петербургские Ведемост"-ში ყოფილა დასტამბული. წერილში გაანალიზებულია სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხი, რომელიც ახლებურად დასმულა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში. სახელმწიფო სათათბიროს წევრის, მილიუკოვის განცხადება, რომ ამ საკითხს უწინარეს ყოვლისა „რუსეთის სარგებლიანობის თვალსაზრისით" განვიხილავო, გასაგებია, მაგრამ ავტორის თქმით, არც მილიუკოვსა და არც სხვებს, ვინც ამ თემაზე აზრის გამოთქმას მოისურვებენ არ უნდა დავიწყნოდათ, რომ „რუსეთის მეფის გვირგვინში გამომჭვირვალე პატარა ქვეყანა, სისხლით და ხორცით შეწებებული რუსეთთან" საქართველო გახლდათ. ეს საქართველო ისტორიულად მუდამ მზად იყო პატარა დაჩაგრული ერების მხარეზე მდგარიყო, „როდესაც ეგვიპტის უღლიდან ებრაელების განთავისუფლების ამბავმა მოაღწია საქართველომდე, ქართველები განიხარებდნენ და ღმერთს მადლობას უხდიდნენ" ამ ფაქტის გამოო; რომ ქართველობას არა ერთხელ უხსნია სომხები და მათი სატახტო ქალაქი (გულისხმობს ქ. ანს-გ. ს.) მტრის ხელიდან, მიუცია მათთვის თავშესაფარი და შემდეგ თავის მცხოვრებთა უფლებებს ანიჭებდა და მათთან ათანასწორებდა..."

საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსულ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ყურადღება იყო გამახვილბილი ერთ საყურადღებო გარემოებაზე, რომელიც მანამდე არავის გახსენებია. ეს იყო საქართველოს ღერბი, რომლის მეოთხედ ნანილში ჩასმული იყო სომხური ოქროსთმიანმი და შავგვირგვინოსანი ლომი.

სტატიის ავტორის ანგარიშგასაწევი შენიშვნით, სომეხთა სამეფო ღერბის მოთავსება ქართველებისაში, უდიდეს მნიშვნელო-

---

[73] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 15 თებერვალი, გვ.3-4.

[74] იქვე, გვ. 3-4.

ბას იძენდა სომეხთა ტერიტორიის მოფარგვლის დროს, რადგან სნორედ ტერიტორიის საკითხი ერთი უმძიმესი საკითხთაგანი იყო ამ ორი ერის ურთიერთობის დარეგულირების საქმეში.

„კლდეისტები" ასე თანდათანობით ცდილობდნენ შეეგნებინებიათ სომხური ბურჟუაზიის შოვინისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწილისათვის, რომ მათი მცდელობები — ჩარჩული გზით მოპოვებული სიმდიდრის გამოყენებით ზიანი მიეყენებიათ ქართული საქმისათვის, — დასაღუპავად იყო განწირული და საბოლოოდ სიმართლე მაინც იზეიმებდა და მათ მიერ დათესილი სიძულვილი მათდა საზიანოდ გამოიღებდა უმწარეს ნაყოფს.

აქ შალვა ამირეჯიბის კიდევ ერთ სტატიაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. სტატიის სათაურია „სომხები". მასში საუბარია ამ ორი ხალხის ურთიერთ დამოკიდებულებაზე მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული იმ რეალობაზე, რომელიც იმჟამად არსებობდა ახლო მეზობელთა შორის, რით იყო ყოველივე ეს განპირობებული და ა. შ.

ავტორი სტატიის დასაწყისშივე გადაჭრით აცხადებდა, რომ „ცნება „მეზობლობა" ვეღარ იტევდა იმ რეალობას, რომელსაც იგი გულისხმობდა... რომ „სომხები ქართველებს „მეზობელ" ერად გვთვლიან"; რომ ისტორიულად ასეთი შეხედულება სრული ჭეშმარიტებაა", რომ „ჩვენ ოდესღაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოვადგენდით და ეს სახელმწიფოები ერთმანეთის მეზობლად იდგნენ". მაგრამ ეს იყო ოდესღაც". სამეზობლო სახელმწიფოებრივი დემარკაციული ხაზის მოშლის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა... სომხებსა და ქართველებს შორის ომები და დიდი განხეთქილება არ ყოფილა, „თუ არ მოვიგონებთ კათალიკოს აბრაამის წყევლას, სომხებსა და ქართველებს შორის არც დიდი უსიამოვნება ყოფილა. ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ მართლა მეზობლები ვიყავით", მაგრამ შემდეგ პოლიტიკური პირობების გავლენით, „მოხდა ის, რომ ოდესღაც მხოლოდ „მეზობელი" სომეხი, ეხლა სახლში ჩამოსახლდა". ე.ი. დაიკარგა მეზობლობა, რადგან, ავტორის თქმით: „უბრალო ენაზედ მეზობლობა ისეთ წესრიგს ჰქვიან, როცა თქვენი საკუთარი ქოხი, ჩემი საკუთარი ქოხის გვერდზეა, მაგრამ, როდესაც თქვენ საკუთარი ქოხიდან გამოდიხართ და ჩემს საკუთარ ქოხში სახლდებით, ჩემს პირად კეთილდღეობას აშკარა ვნებთ, ეს უკვე მეზობლობა კი არ არის, ეს არის კონკუბინატი ორ მოძულე არსებათა. აი, რა ვართ ჩვენ დღეს და, არა მეზობლები!"[75]

---

[75] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 15 დეკემბერი, გვ. 4-7.

ამ მოსაზრების გამოთქმის შემდეგ ავტორი თვითონვე სვამდა კითხვას: თუ რით შეიძლებოდა ამ საქმის შველა და როგორ უნდა დაგვეღნია თავი ამისათვის?

ავტორი საღად მსჯელობს და სწორ მოსაზრებებს გვთავაზობს: „ქართველებიც და სომხებიც ისტორიული ერებია. ჩვენ ორივეს დაკარგული გვაქვს პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ არც ქართველებსა და არც სომხებს არ დაგვიკარგავს პოლიტიკური თავისუფლების აზრი...", რომ სწორედ ამაში გამოსჭვივოდა არა იმდენად უფლება, რამდენადაც მოვალეობა, რათა ორივე ერს განევითარებია ეს აზრი და აქტიურად ემოქმედა დაკარგულის დასაბრუნებლად... მაგრამ საქართველოში მცხოვრები სომხები ივიწყებდნენ ამას და შესყიდვის გზით ქართული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას და ამ გზით „არმენიზმის" დამკვიდრებას ცდილობდნენ, რომ ეკონომიკურად დაპყრობილი ჩვენი ქალაქების, თუ დაბა-სოფლების თავზე, თავმომწონედ და უპირატესობის გრძნობით დაბრმავებულები „არმენიზმის" დროშას აფრიალებდნენ" ვერ ამჩნევდნენ, რომ სომხის ბურჟუაზიის როლი კავკასიაში მათდა საზიანოდ ანტიეროვნული იყო... ეს განსაკუთრებულად აირეკლებოდა იმაში, რომ ისინი სომხის ერს საოცარი სიჯიუტით მიერეკებოდნენ სხვის მიწებზე, მათ შორის ქართველთა მიწებზეც დასამკვიდრებლად... ავტორის აზრით, სწორედ აქ იყო ის ანტიპატრიოტიზმი, რაც სომხის ერში სამშობლო ტერიტორიების სიყვარულს ვერასოდეს განავითარებდა; ეს ანყობდა მთავრობას (გულისხმობს რუსეთის ხელისუფლებას — გ. ს.), ვინაიდან სომეხი მუდამ ბრმა იარაღის როლს ასრულებდა მის ხელში, ამასთან იგივე მთავრობა ყოველ ეროვნულ ორგანიზმში მეტხორცსა ჰქმნის... ამის სამაგიეროდ სომხებს ნება ეძლევათ ყველგან და ყოველთვის თავიანთი შოვინიზმი აღვივონ. მითუმეტეს, რომ რუსეთისათვის სომხური შოვინიზმი საშიში არ არის"[76].

ავტორი წინასწარმეტყველურად დაასკვნიდა, რომ თავისი კაპიტალით, ანუ ეკონომიური უპირატესობით გათამამებულ სომეხთა საქციელი ქართველი ერის მიმართ „წინდაწინვე განნირული იყო", რადგან XX საუკუნეში ამგვარი უპირატესობა მოისპობა, წინ წამოიწევს ლოზუნგი: სრული განთავისუფლება უცხო ერთა ეკონომიური უღლისაგან და დადგება დრო და სომეხ კაპიტალისტთა პროგრამა სამარის მინად წაეყრება მათ შემქმნელებს"[77].

იქვე იმაზეც იყო მითითებული, რომ „სომხის ბურჟუაზიას ასი წლის განმავლობაში იმაზე მეტი არა უკეთებია რა, რომ რუსეთის მთავრობას დასდევდა უკან და იქ ბანაკდებოდა, საცა ეს უკანასკნელი თავის კანცელარიას ხსნიდა. ცხადია რომ სომხის ხალხი მათ

---

[76] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 15 დეკემბერი, გვ. 6.

[77] იქვე, გვ. 6.

ყველგან ვერ გაჰყვებოდა და რა გამოვიდა აქედან? ის, რომ სიმდიდრე, ფონება და კულტურა სომხის ბურჟუაზიისა მოექცა საქართველოში, თბილისში, იმ დროს, როცა მისი მთავარი მომხმარებელი თბილისიდან ასე შორს იყო. ისტორია ერთხელ როდისმე იტყვის, რომ ეს იყო ამაო შრომა და ოფლი"[78].

სწორედ ამ ხელმოცარულ სომეხ კაპიტალისტთა ნაშიერნი არიან ისინი, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ იმედი, რომ თავიანთი „სახელოვანი" წინაპრების მიერ აშენებულ „სოლოლაკის უბანს", არამიანცის საავადმყოფოს, ბოზარჯიანცის, კაზარიანცის, მანთაშიანცის თუ სხვათა მკვიდრად ნაშენებ ნაგებობებს დაიბრუნებენ... ამიტომ არის, რომ ქართველთმოძულე მანთაშოვს ძეგლს უდგამენ „მშობლიურ" თბილისში, როგორც დიდ ქველმოქმედს.

საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა უნდა შეიგნონ ის აზრი, რომ საქართველოში პირველობა ქართველებს ეკუთვნით. როცა სიტყვა „პირველობას" ვხმარობთ, ჩვენ სახეში მათი, სომხების, უკანა რიგში ჩაყენება კი არ გვაქვს, არამედ ინტერესების პირველობას ვგულისხმობთ. თუ ისინიც იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ ქართველები, ჩვენი ეროვნულის ცხოვრებით ვცხოვრობთ, ვიმყოფებით ჩვენს მინა-წყალზედ და ჩვენცა გვაქვს რაიმე იდეალი, მაშინ მათ ისიც უნდა აღიარონ, რომ საქართველოში გაბატონებული ინტერესი — ქართული ინტერესი უნდა იყოს.

ეს ისეთი მარტივი ფორმულაა, რომ მას არავითარი ქართული სპეციფიური თვისება არა აქვს. გადაიტანეთ ეს ფორმულა რომელ ხალხშიც გინდათ, რომელ ტერიტორიაზედაც გინდათ, იგი ყველგან ეროვნული ცხოვრების თავი და ბოლო იქმნება. თვით უკეთილშობილესი თეორია ერთა თანამშრომლობისა მას წუნს ვერ უპოვნის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებს ჰგონიათ, რომ მათაც სწორედ ისეთივე, მაგრამ სომხური ინტერესი აქვთ როგორც ჩვენ... სომხებს ჰგონიათ, რომ მათი ინტერესები საქართველოში იმავე ზომისავე და ამავ მოდგმისავე არიან, როგორც ჩვენი. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. საქართველოს საკითხი საქართველოში უნდა გადაწყდეს, მაგრამ სომხეთის საკითხი კი ვერ გადაწყდება საქართველოში"[79].

ავტორის აზრით, საუბარი შეიძლებოდა უმცირესობის ინტერესებზე, ანუ იმ სომხების ინტერესებზე, რომლებიც საქართველოში უმცირესობას შეადგენდნენ, და შესაძლო იყო ისინი ქართველთა უმრავლესობას დაეჩაგრა... „საქართველოს სომხობა სულ უმცირესი ნაწილია სომხის ერისა (რომელსაც ბინადრობა თავის საკუთარ ადგილზედა აქვს), ამიტომ ჩვენი იმათდამი დამოკიდებულება

---

[78] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 15 დეკემბერი, გვ. 7.

[79] იქვე, 1912 წლის 4 ნოემბერი, გვ. 5.

არ არის დამოკიდებულება ორის ერისა". გამომდინარე აქედან, აქ მცხოვრები სომხები უნდა დაჰყაბულებოდნენ თავიანთ მდგომარეობას საქართველოში და უნდა ეცნოთ ჩვენი უფლებები ჩვენს სამშობლოში"[80].

მაგრამ ამაო იყო ასეთი შეგონებები... რუსეთის ხელისუფლების მიერ ზურგგამაგრებული „სოლოლაკის პლუტოკრატია", როგორც იტყვიან, აშკარა შეტევაზე იყო გადასული და ფორსირებულად ცდილობდა ყველაფრის მისაკუთრებას და არა მარტო ქართული ტერიტორიებისას, არამედ ჩვენი ისტორიული ძეგლებისას, საარჩევნო უფლებებისას და ა. შ.

მაგალითისათვის ერთ-ერთ ამონარიდს მოვიტანთ ჟურნალის 1914 წლის 4 მაისის სარედაქციო წერილიდან. „სომხების შოვინისტურმა მისწრაფებამ, რომელმაც უკანასკნელ დროს უტიფრად ნამოჰყო თავი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში, სიღნაღში თავის აპოგეას მიაღწია. თვითმმართველობის დასაპყრობად გამართულ ბრძოლას გორში, თელავში, თბილისის საქალაქო საქმეებში, ახლა აქ გადაუნაცვლებია... ბრძოლა სომეხთა მხრიდან ქართველთა წინააღმდეგ აშკარაა... აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ჩვენი კეთილი მეზობლების ზრახვები ფარდა ახდილი და არაერთგზის დადასტურებულია, მაგრამ სავალალოც ბევრი იყო სომეხთათვის, რადგან წარმოუდგენელ სიბეცეს იჩენდა ის ხალხი, რომელიც საუკუნეობით შეითვისა ქართველმა ერმა, იძმო და დღეს, მესამისაგან დაყრილ საკენკით წათამამებული ძირს უთხრის იმ მუხასა, რომლის რკოებით იკვებებოდა..."

სტატიაში „სომეხ-ქართველთა ურთიერთობა" სამსონ დადიანი მრავალ საჭირბოროტო საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას და ისტორიულ ჭრილში განიხილავდა ამ ორი მეზობელი ერის ურთიერთობას საუკუნეების მანძილზე, როცა „ბედმა თუ უბედობამ მათი ინტერესები ერთმანეთში გადახლართა...", როცა სახელმწიფოებრივობა დაკარგულ და გაბოგანოებული „სომხის ერის ერთი ნაწილი (განურჩევლად წოდებისა) თანდათან საქართველოში შემოიხიზნა, ჩვენი სახელმწიფოს ქვეშ დაისვენა, გულუხვმა საქართველომ თავისი მონყალების კალთა გადაუბერტყა", მაგრამ სომეხი ვერ იზრუნებდა საქართველოსათვის, რადგანაც იცოდა „ეს მისი არ იყო". როგორც საკუთარი კულტურის მქონე ხალხმა მაშინვე გაითვალისწინა, თავისი ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის უნდა ეზრუნა, ამიტომ „იმ თავითვე დაუპირისპირდა სომეხთა ინტერესები ქართველთა ინტერესებს... ამიტომ ქართველებს უხდებოდა ბრძოლა სომხებთან, როგორც უცხო ელემენტთან, საკუთარ ტერიტორიაზე". სომხების უპირველეს საფიქრალად იქცა, რაც შეიძლე-

---

[80] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 4 დეკემბერი, გვ. 5.

ბოდა მეტი ქართული ტერიტორიების ხელში ჩაგდება. მათზე თავიანთი დასახლებების შექმნა, დამკვიდრება და გამრავლება... ამიტომ სოლიდარობის გრძნობის რეალური განხორციელება შეუძლებელი იყო მაშინ როცა „საკუთარს ვინმე ძალით, ურცხვად და უბოდიშოთ გართმევს". სამს. დადიანი ერთხელ კიდევ ხაზგასმით იმეორებდა საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას: ყველა ეროვნულ ღირებულებათაგან (ენა, სარწმუნოება, კულტურა...) მხოლოდ ტერიტორიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა", რომ ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება რეფერენდუმებითა და „რეალური მოსახლეობის" პრინციპით, რომ „კავკასიაში ქართულ ტერიტორიად აღიარებულ უნდა იქმნას მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ეჭირა, როდესაც იგი ასი წლის წინათ რუსეთის სახელმწიფოს დაუკავშირდა", ხოლო „ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ გარანტირებულნი იქმნებიან და დარჩებიან საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად"[81].

რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებულ და დაშნაკცუთუნის პარტიის იდეებით შეირაღებულ სომეხთა შეძლებული ფენების წარმომადგენლებს, გაგონებაც აღარ სურდათ იმის შესახებ, რომ მათ, სხვის ტერიტორიაზე შემოხიზნულთ, კულტურული ავტონომიის მიღების გარანტიას აძლევდა აბორიგენი ერი, როცა იგი თავს დააღწევდა ცარისტულ რეჟიმს... სომეხთა უსაფუძვლო პრეტენზიების დასაბუთებისადმი იყო მიძღვნილი ვინმე იშხანიანის წიგნაკი, რომელიც იმხანად რუსულ ენაზე დაისტამბა საკმაოდ პრეტენზიული სათაურით: „Экономические общественные основы армяно-грузинского антагонизма".

ჟურნალი „კლდე" აფასებდა რა ამ „ნაშრომის" ავ-კარგს, აღნიშნავდა: მასში ავტორი „საოცარის მოურიდებლობით ხსნიდა ნიღაბს სომხურ ნაციონალისტურ პოლიტიკას და საშუალებას აძლევდა ყოველ შეგნებულ ქართველს, ნათლად წარმოედგინა ჩვენი „მეზობლობისა და მეგობრობის" გულწრფელობა სიმშვიდისა და ძმობის მოძახილებში".

„კლდის" რეცენზეტის აზრით, ხსენებულ წიგნაკის ავტორს „უტიფარი დასკვნები გამოჰყავდა საქართველოს სიკვდილზედ, სომხურ პროგრესულ კაპიტალის მსვლელობის წინაშე". იშხანიანის თქმით — „სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმი მოგონილი კი არ იყო, არამედ იყო, არის და იქნება მუდამ, რადგან ღრმა ეკონომიურ და საზოგადოებრივ საფუძველზეა დამყარებული"-ო.

---

[81] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 2 მარტი, გვ. 5.

ჟურნალის სამ ნომერში დაბეჭდილია ამ „ნაშრომის" საფუძვლიანი შეფასება და დამაჯერებლად არის ნაჩვენები სომეხი „მეცნიერის" შოვინისტური და თავხედური ნააზრევი, რომელიც მუდამ დარჩება, როგორც უშავესი წერტილი ამ ორი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში[82].

სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებზე სხვა მასალებსაც უხვად ვხვდებით ჟურნალ „კლდის" ფურცლებზე, მაგრამ ყველა მათგანზე ყურადღების შეჩერება არც ღირს და არც საჭიროა... თუმცა იმავე პერიოდში გამოთქმული ერთი საყურადღებო მოსაზრების გახსენება დღესაც კი აქტუალურად ჟღერს: „ორ ერს შორის თანხმობა თუ ბრძოლა დამოკიდებულია მათი არსებობის ინტერესებზე, თუ ორი ერის ინტერესები პარალელურია, მათ შორის ნინააღმდეგობა კი არა, სრული თანხმობაა, მაშინ ვინ სულელი იქნება არ აღიაროს ეს ფაქტი და ბუნებრივ მოკავშირეს ხელი ჰკრას! მაგალითად ქართველთა და თათართა (იგულისხმება აზერბაიჯანი — გ. ს.) ინტერესები არსად ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით ერთი და იგივე ჭირი, ერთი და იგივე პოლიტიკური განსაცდელი მათთვის ბრძოლის საერთო ნიადაგს ჰქმნის. ეს სრულიად არ ითქმის სომეხ—ქართველთა დამოკიდებულების შესახებ"[83].

„ისტორია — ცხოვრების მასწავლებელია" — ამბობდა ციცერონი და ამ სიბრძნის განმეორება დღეგნდელი სომეხი ერის ზოგიერთ წარმომადგენელსაც არ აწყენს.

იმ ხანებში „კლდეისტთა" მიერ სომეხ-ქართველთა ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილება საკვლევით გამართლებულად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც ამ საკითხმა ერთხელ კიდევ მწვავე ხასიათი მიიღო... ცარისტული ხელისუფლების მალალმოხელეთა მოწყალე თვალის ყურებით გაყოყოჩებულ თბილისელი სომხების გამდიდრებულ წარმომადგენლებს „ცა ქუდად აღარ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად" პირდაპირ შეტევაზე გადმოდიოდნენ ქართული ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად; ურცხვად აცხადებდნენ პრეტენზიას ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე — ეკლესია-მონასტრები იქნებოდა ისინი, თუ ციხე-კოშკები, გზები თუ ხიდები, სოფლები თუ დაბა-ქალაქები... ერის „უგვირგვინო მეფე" უკვე მთაწმინდაზე განისვენებდა, ხოლო მის „ქვათა ღაღადში" გაცხადებული მოსაზრებანი მიაჩნდათ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა..."

ცნობილი მკვლევარის ბონდო არველაძის მართებული შენიშვნით „ფაქტია, რომ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი დღესაც კი მეგობრულ გრძნობებს არ ავლენს, თითქოს და მეცნიერული ინ-

---

[82] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 27 აპრილი, გვ. 6.

[83] ჟურნ. „თავისუფალი საქართველო", 1914 წლის მარტი, გვ. 23.

ტერესებით განმსჭვალულნი, კალმით შეიარაღებულნი დაწოლას ახდენენ და პრეტენზიას აცხადებენ უძველეს ქართულ მიწებზე", რომ „ასეთი ტიპის სომეხ მეცნიერთა არასაკადრისი საქციელი „არ ახალია, ძველია", ხოლო თვალები დახუჭო ასეთ „შემოქმედებაზე" იმის ტოლფასია, რომ წინაპართა ნათელი ხსოვნა დაივიწყო. ეს კი არავის არ ეპატიება, მითუმეტეს შთამომავლობას. ამის მაგალითი დიდმა ილია ჭავჭავაძემ მოგვცა, რომელმაც მთელი სიმძაფრით გამოაშკარავა სიმართლე იმ საზოგადოებრივ სიმახინჯეზე და ჩვენ „ქვათა ღაღადი" დაგვიტოვა... საფიქრებელი იყო, იმის შემდეგ მაინც ზოგიერთი სომეხი მეცნიერი დაფიქრებულიყო და ჭეშმარიტების გზას დასდგომოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, პირიქით, ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ და საქართველოზე თავდასხმებს აგრძელებდნენ"[84].

ისტორიის გაკვეთილების დავიწყება არ შეიძლება.

---

[84] **Бондо Арвеладзе.** „Армянские" или грузинские церкви в Грузии. Тб . 1997, стр. 8

# ჟურნალი „კლდე“ და ეკონომიკის საკითხები

როგორც ზემოთ გაკვრით მივუთითეთ, ჟურნალი „კლდე“ გამოსვლის პირველი დღეებიდანვე კერძო საკუთრების მომხრეთ და მის დამცველად გამოდიოდა. ყურადღებას ამახვილებდა ქართული სოფლის, გლეხკაცობის, სოფლის ინტელიგენციის, სოფლად საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების, კოოპერატივებისა და სხვადასხვა ამხანაგობების დაფუძნების, უმიწაწყლო სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ქვეყნისშიგა მიგრაციის საკითხებზე და ა. შ.

ჟურნალის ამ განყოფილებას იმთავითვე განაგებდა მისი ერთ-ერთი დამაარსებელი დ. ვაჩნაძე. თბილისის კადეტთა კორპუსში საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან პეტერბურგის უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და წლების მანძილზე სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მსახურობდა. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „კავკასიის ოფიცერთა“ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომლის უპირველეს მიზანს შეადგენდა „რევოლუციის გზით იმპერიის დესპოტური რეჟიმის შეცვლა ლიბერალურ დემოკრატიულით“[85].

1907 წელს დ. ვაჩნაძე თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და თბილისში ბრუნდება და მალე ქორწინდება თამარ დავითის ასულ ციციშვილზე... აქტიურად ებმება ეროვნულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწავლობს დავინყებულ მშობლიურ ენას და ქმნის სასოფლო სამეურნეო და საკრედიტო-კოოპერაციულ ორგანიზაციებს. თანამშრომლობს სოც.-ფედერალისტთა გაზეთ „სახალხო გაზეთში“ და „დავით კახელის“ ფსევდონიმით არაერთ საყურადღებო წერილს აქვეყნებს საქართველოს მიწების კოლონიზაციის, სასოფლო კოოპერაციების, საკრედიტო ამხანაგობების და სხვა საკითხებზე; თავის მშობლიურ სოფელ დიდ ლილოში აარსებს „მერძევეთა ამხანაგობას „ლილოს“, აგრეთვე საკრედიტო ბანკს სოფელ ოძისსა და დიდ ლილოში... ჟურნალ „კლდის“გამოსვლის შემდეგ რომლის უპირველესი დამფინანსებელიც თვითონ იყო, კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით ცდილობს ქართული სოფლის აღორძინებასა და სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებას. იგი არა მარტო პატრიოტული გულმხურვალებით მოუწოდებდა ქართველ ხალხს ეკონომიკურად გაძლიერებისაკენ, არამედ თვითონ იძლეოდა მაგალითს იმისას, თუ როგორ შეიძლებოდა ამ მოწოდებათა პრაქტიკული ხორცშესხმა. დ. ვაჩნაძე არა მარტო რედაქციის

---

[85] ჟურნ. „იბერია“ (თბილისი-პარიზი), 1992, გვ. 122.

თანამშრომელთა, არამედ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში გამოირჩეოდა აგრარული, საკრედიტო, საფინანსო თუ კოოპერაციული საკითხების შესანიშნავი ცოდნით... სწორედ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული, დიდი მოურიდებლობით გამოდიოდა სოციალისტური პარტიებისა და მათი ბეჭდური ორგანოების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველ ხალხს გაპროლატარებისაკენ მოუწოდებდნენ.

როგორც მოგვიანებით თვითონვე იგონებდა: „ჟურნალი „კლდე" გაბედულად შეებრძოლა საქართველოში გამეფებულ სოციალისტურ პრესას... განსაკუთრებით, სოც.-დემოკრატიული იდეოლოგიურ-პტაქტიკულ ანტი-ეროვნულ მიმართულებასა და მოქმედებას..."[86]

დ. ვაჩნაძემ თავისი დასაბუთებული გამოსვლებით, პრაქტიკული ხელშეწყობით ათასობით დესეტინა ქართული მიწა გადაარჩინა უცხოტომელთათვის ხელში ჩაგდებისაგან; იგი საკუთარი მაგალითით შთააგონებდა სხვებსაც, რომ მიზანმიმართული საქმიანობით შეიძლებოდა სიმდიდრის შეძენაც და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მერძევეთა კოოპერატივი „ლილო", რომლის დამაარსებელი დ. ვაჩნაძე იყო, 1913 წლის ივლისში დაუთვალიერებია სენატორ ვატაცის, თბილისის გუბერნატორს ჩერნიავსკის, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მარშალს კოტე აფხაზს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარეს დ. ჩოლოყაშვილს და ამავე საზოგადოების მდივანს ვ. რცხილაძეს[87].

დ. ვაჩნაძე კმაყოფილებას გამოთქვამდა საქართველოს სოფლებში საკრედიტო კოოპერაციის ზრდა-განვითარებით (1913 წლის მაისისათვის მათი რიცხვი 200-ზე მეტი იყო) და ზოგიერთი მათგანის საქმიანობა სანიმუშოდაც კი მიაჩნდა. მაგრამ, მისი აზრით, „ჩვენს საკრედიტო კოოპერაციას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ჰქონდა", რომელთაგან ერთ-ერთი „ქართული სასოფლო ბანკების ურიცხვი და უმიზნო გამრავლება" იყო, და თუ ასე გაგრძელდებოდა „მალე იმის მოწმენიც გახდებოდა საზოგადოება, რომ ყოველ ქართულ სოფელს თავისი ბანკი ექნებოდა"... ავტორის აზრით, თუ ეს მოვლენა „ევროპულ სოფელში ბუნებრივად ჩაითვლებოდა, სადაც გლეხის განვითარება, კულტურა, ქონებრივი მდგომარეობა და ხელმოჭერილობა ერთმანეთზედ გადაბმულია და მკვიდრ საფუძველს ქმნის ამ ნაირ დანესებულებათა შენახვა-გაძლიერებისათვის", ჩვენში იგი არა-ბუნებრივი იყო, ვინაიდან აქ არა თუ გლეხობა იყო წერა-კითხვის მცოდნე, არამედ რამდენიმე ინტელიგენტიც კი ძნე-

---

[86] ჟურნ. „ივერია" (თბილისი-პარიზი), 1992, გვ. 126..

[87] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 25 ივლისი, გვ. 13.

ლად მოიძებნებოდა რაციონალური კრედიტის მოწყობა რომ შეძლებოდა", ასეთ პირობებში, შესაძლო იყო კრედიტს სარგებლის ნაცვლად ზიანი მოეტანა გლეხკაცისათვის. სესხის აღებას მისი დროული დაბრუნება თუ ვერ მოჰყვებოდა, მაშინ შეიძლებოდა გლეხი-კლიენტი ახალ ვალებში ჩავარდნილიყო. ამიტომ, დ. ვაჩნაძის მართებული მითითებით, ბოლო უნდა მოღებოდა სასოფლო-საკრედიტო ბანკების უთავბოლო ზრდას, რადგან გარეგნული მომხმარებლობის იქით „ქართული საკრედიტო კოოპერაციისათვის მუქარა იმალებოდა", მისი რჩევა იყო, არა ყოველ სოფელში, არამედ 7-10 სოფელს დაეარსებინა საკრედიტო ბანკი, სულ მცირე — 1500-2000 კომლისათვის, რათა თავისი საბანკო ოპერაციების მოწყობა-გაძლიერება შეძლებოდა. ამაში იგი მეორე სასარგებლო მხარესაც ხედავდა: „იდეურ მხრითაც ამნაირ მოწყობილობას საკრედიტო კოოპერაციისა დიდი მნიშვნელობა ეძლევა დღეს, როდესაც ქართულ სოფლის კარ-ჩაკეტილობა ცნობილია, როცა მეზობელ სოფლებს ერთმანეთში არაფერი საერთო არა აქვთ რა და ბევრჯელ მტრულადაც ეკიდებიან ერთმანეთს, ამნაირი შეერთება ერთ მძლავრ დაწესებულების ფარგლებში, დიდ სამსახურს გაუწევს სოფლის ხალხს ერთმანეთის გაცნობაში, ძმურ მიდგომასა და მხარის დაჭერაში საერთო ინტერესების დაცვის დროს"[88].

ჟურნალი ამხელდა ისეთ კოოპერატივებს (მაგ. საზოგადოება „კახეთს"), რომლებიც არ ასრულებდნენ თავიანთსავე საზოგადოებების, თუ კოოპერატივების სანესდებო მოთხოვნებს... მხოლოდ მათი განხორციელებით იყო შესაძლებელი „კოოპერატიული საქმის სიკეთე. არ იყო რაციონალური და პრაქტიკულად გამართლებული ისიც, რომ თვით საზ-ბა „კახეთის" გამგეობა თბილისში იყო და არა კახეთში. ეს აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ საჭირო აღარ იქნებოდა მაგ. ღვინის გადმოზიდვა ჯერ თბილისში, საწყობებში შენახვა და შემდეგ რუსეთში გაგზავნა, რაც ხარჯების გასამკეცებას იწვევდა"[89].

დ. ვაჩნაძის აზრით ყველა ქართველისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო ის, რომ იმჟამად საზოგადო და საეკონომიო სარბიელზედ პირველად გამოსულ გლეხთა საკრედიტო კოოპერატივების „მოწყობასა და სწორ გზაზედ დაყენებას დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობა" ეძლეოდა. ამიტომ იმთავითვე უნდა ეზრუნათ იმაზე, რომ „ქართულ კოოპერატიულ მოძრაობას, დაწყებული პანია საკრედიტო ამხანაგობიდან დიდ საერთო კოოპერატიულ კავშირამდე მთლიანი და ეროვნული ხასიათი უნდა მისცემოდა, მით უმეტეს, რომ „საქართველოს მომავალი ნაციონალურ

---

[88] ჟურნ. „ალდე", 1913 წლის 12 მაისი, გვ. 1-2.

[89] იქვე, გვ. 3.

ცხოვრების წინსვლაში კოოპერატიული ორგანიზაციები დიდ როლს ითამაშებდნენ"[90].

დ. ვაჩნაძე სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მამულიშვილის პოზიციიდან მკაცრად აკრიტიკებდა თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებს, უპირატესად თბილისის ბანკის საქმიანობას, რომელიც დახმარების მაგივრად, ადგილმამულებს უყიდდა ქართველ მემამულეებს ვალების გადაუხდელობის გამო, თანაც უმეტესად სომხებზე... „იყიდება ქართული მიწა-წყალი, იყიდება სოფლები, იყიდება ქალაქები, ქართული მონასტრები, საყდრები...", მისთვის ცოტა იმედის მომცემი იყო ის, რომ დას. საქართველოში, მოსახლეობის ძირითადად ერთგვაროვნების გამო, ქართველი მემამულისაგან გაყიდულ მიწას ისევ ქართველი ყიდულობდა", მაშინ, როცა აღმ. საქართველოში ქართული მიწების ხელში ჩაგდებას სომხებთან ერთად ცდილობდნენ და აღწევდნენ კიდეც: რუსები, თათრები, ბერძნები[91].

დ. ვაჩნაძეს, უპირველეს ყოვლისა, ის აღელვებდა, რომ ქართველ მეურნეთა მოყვანილი პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის ბედი სხვის ხელში იყო. მისი თქმით „პური, ღვინო, ხილი, აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო და ბევრი სხვა ჩვენი მეურნეობის ნაყოფი ჩალის ფასად მიაქვთ ათასგვარ გაშმაგებულ ჩარჩ-მოვახშეებს. ერთი-ერთმანეთს გადაბმულნი, შეკავშირებულნი საერთო ინტერესებით, მწყობრ რაზმ-რაზმად დათარეშობენ ისინი საქართველოში და ჰყვლეფენ ქართულ მეურნეობას"[92].

მას არაერთი კონკრეტული ფაქტი მოჰყავდა თავისი განაცხადის დასადასტურებლად... და შემდეგ ყველას გასაგონად აცხადებდა: „ სოფლის მეურნეობის ნაწარმთა გასაღება აუტანელ მდგომარეობაშია... ჩარჩების რკინის ბრჭყალებში მოექცა დღეს იგი და ვაი იმ მეურნეს ვინც გაბედავს თავის ნაწარმი თბილისის ბაზარზედ გამოიტანოს... მის ნაწარმს ბაზარი არა აქვს, რომ ეს ბაზარი ძლიერ ჩარჩთა რაზმის ხელშია — და რომ ეს ბაზარი ქართულ მეურნეობას მარტო აქვეითებს და ანადგურებს... დღევანდელი უმრავლესობა ჩარჩებისა საქართველოში სომხის ბურჟუაზიას ეკუთვნის, რომელიც მტრულად ეკიდება საქართველოს წინსვლას, გაძლიერებას, ცარცვა-გლეჯა ჩვენი მეურნეობისა ორკეცდება, ძლიერდება და პოლიტიკურ ელფერსაც იღებს. მით უმეტეს, რომ სათავეში ჩაუდგა ქ. თბილისი, სადაც დღეს ბატონობენ ხატისოვები, არამიანცები, მანთაშევები და რომლის ეკონომიკური პოლიტიკა

---

[90] ჟურნ."კლდე" 1913 წლის 26 მაისი, გვ. 1-2.

[91] იქვე 4 გვ 12.

[92] იქვე, 15, გვ. 5.

სნარმოებს „ჰორიზონელების“ (თბილისში გამომავალი გაზეთი სომხურ ენაზე — გ. ს.) ხელმძღვანელობით“[93].

დ. ვაჩნაძის აზრით, თბილისის სომეხთა ბურჟუაზია გაშმაგებულად იბრძოდა არა მარტო თბილისის, არამედ საპროვინციო ქალაქებშიც დასამკვიდრებლად, რის შემდეგაც თუ მათი ოცნება აღსრულდებოდა „სრულიად დაიპყრობდნენ ქართულ ეკონომიურ ცხოვრებას“, მაგრამ ავტორს სწამდა, რომ „ქართველობა დღითიდღე გონზედ მოდიოდა და მტერ-მოყვარეს კარგად სცნობდა“, და მას სჯეროდა, რომ ეს იქნებოდა თავდები მომავალში უფრო ეფექტური ბრძოლის გასაჩაღებლად „თავის ეროვნულ ინტერესების დასაცავად“[94].

დ. ვაჩნაძეს აუცილებლად მიაჩნდა ისეთი ჟურნალ-გაზეთების დაარსება, რომელიც სისტემატურად გააშუქებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საკითხებს... ამასთან ერთად გაზეთებს უნდა აღენიშნათ, თუ რამდენად შეეფერებოდა ამა თუ იმ სოფელს და მისი ცხოვრების პირობებს ესა თუ ის კულტურულ-ეკონომიკური ხასიათის საქმიანობა; რომ სასოფლო გაზეთებს „ყველგან და ყველაფერში უნდა ეხელმძღვანელათ ეროვნულის თვალსაზრისით... ამისათვის კი უპირველესად საჭირო იყო ხალხში ეროვნული თვითშეგნების ცეცხლის ანთება...“ „კლდეისტების“ აზრით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმჟამად გამომავალ ქართულ სასოფლო გაზეთებს „ქართლსა“ და „ხმა კახეთისას“ ყველა გვერდში უნდა ამოდგომოდა, რათა მათ „შეძლებოდათ თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესება, როგორც შინაარსობრივად, ისე ნივთიერად“, ბოროტებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და სოფლის მოსახლეობის თვითცნობიერების გზაზედ გამოსაყვანად“[95].

ჟურნალი მიესალმებოდა ქართული სასოფლო გაზეთების გამოსვლას და დღეგრძელობას უსურვებდა მათ, რომლებსაც იმ უკულმართ დროში „თითქმის სკოლის მაგივრობა უნდა გაეწიათ და უფრო მახლობელი გამხდარიყვნენ ხალხისათვის, სოფლისათვის და ხელმძღვანელად ქცეულიყვნენ ყველა პრაქტიკულ საქმეში და ერთი მიზნისაკენ წაემართათ მათი საქმიანობა“[96].

ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ჟურნალი დიდ იმედებს ამყარებდა სოფლის ინტელიგენციაზე (მასწავლებლები, ექიმები, მღვდლები, მემამულეები...), რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ გლეხობისათვის, რათა მათ პროგრესული გზით წარემართათ თავიანთი სამეურნეო საქმიანობა... „ხალხის ცხოვრების გამდიდრებას,

---

[93] ჟურნ. „კლდე“, 1915 წლის 5 აპრილი, გვ. 7.

[94] იქვე, გვ.6-7.

[95] იქვე, 1912 წლის 2 დეკემბერი, გვ.13.

[96] იქვე.

მის კულტურულ-ეკონომიურ ზრდას... სოფლის ყველა ინტელიგენტმა, ვისაც სამშობლოს ბედ-იღბალი თავის ბედ-იღბლად მიაჩნია, ვისაც გული შესტკივა ხალხისათვის, უნდა წააშველოს მადლიანი ხელი... თავისი ცოდნით, მხნეობით, მაგალითით უნდა გამოიყვანოს გლეხკაცი კულტურულ გზაზედ..."[97]

„კლდე" ერთ-ერთ თავის ნომერში ადგილს უთმობდა საკმაოდ ვრცელ წერილს „კოოპერაციის მნიშვნელობის" შესახებ, რომელიც ჟურნალის კორესპონდენტს იოსებ ირემაშვილს (შემდგომში ცნობილ სოც.-დემოკრატს, მენშევიკს, ემიგრანტს, სტალინის თანაკლასელს...) ეკუთვნოდა. წერილის ავტორის აზრით, კოოპერაციას „განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის... კოოპერაცია ერთი საუკეთესო გზა და საშუალებათაგანი იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-კულტურული დონის ასაწევად"; სადაც ქართველ ხალხს შეეძლო თავი შეეფარებია „ვით საუცხოვო ნავთსაყუდელში და მით ეხსნა თავი გამძვინვარებული ეკონომიური ცხოვრების სტიქიისაგან"[98].

რ. გაბაშვილის ერთ-ერთ ანალიტიკური ხასიათის წერილში, საუბარია მებაღეობისა და მევენახეობის ორ ამხანაგობაზე, რომლებსაც იმ დროისათვის უკვე თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდათ მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ მათ პრაქტიკული საქმიანობის შედეგებში პოულობდა ხორცშესხმას ის ჩანაფიქრი, რომლის შესახებაც „კლდეისტებს" თავიანთი ჟურნალის პირველსავე ნომრებში ჰქონდათ გაცხადებული: კოოპერატიულ საქმეს დიდი მომავალი ექნებოდა ჩვენში და იგი „თითქმის ერთადერთი საშუალება იქნებოდა ბრძოლისა ჩარჩულ ნრეებთან, რომელნიც შეუბრალებლად ყვლეფდნენ სოფელს და მის ნაწარმოებ პროდუქტებს გროშის ფასად იგდებდნენ ხელში, რათა შემდეგ მამისისხლად გაესაღებიათ..."[99].

მთელ საქართველოს მოდებული ეს ჩარჩ-ვაჭრები, მართლაც, რომ სისხლს წოვდნენ საქართველოს სოფლის მოსახლეობას, მათ შორის „გაჭირვებულს მემამულეს, ნამეტნავად პატარას, და მეორეს მხრით ზარმაცს — რომელსაც ერჩია დამშვიდებით მიეღო გროშები და ერთბაშად თავიდან მოეშორებია თავისი მოსავალი".

რ. გაბაშვილის აზრით, იმხანად საომარი მოქმედებების თუ სხვა მიზეზთა გამო, ცხოვრების გართულებამ ჩვენი თავად-აზნაურობა და, მითუმეტეს, გლეხობა, იძულებული გახადა „შრომის შეყვარების, *შრომის გაპატიოსნების*" (ხაზგასმა რ. გაბაშვილისა — გ. ს.) და ამის საბუთი მარტო თეორეტიული მოსაზრებანი კი არ იყო, არამედ

---

97 97 ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 2 დეკემბერი, გვ. 1.

98 იქვე 1914 წლის 23 მარტი, 12, გვ.

99 იქვე, 1915 წლის 5 აპრილი.

ის აურაცხელი სანიმუშო ბაღები, ვენახები, საკრედიტო თუ სამომხმარებლო საზოგადოებანი, რომლებიც ასე რიგად მომრავლებულიყვნენ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე[100]. ამის დასტურად მოჰყავდა ამხანაგობა „ქართლის" მაგალითი, რომელიც იმის მაჩვენებელი იყო „თუ როგორ გაიზარდა ერთის მხრით საქმიანობა ჩვენში და მეორეს მხრით შეგნება", რომ მთელი ქართლი მოფენილი იყო ხილის ბაღებით და იქაური ხილი, აკმაყოფილებდა არა მარტო საქართველოს, არამედ ბაქოს, როსტოვის, ოდესის და სხვ. ბაზრებს.

ავტორის აზრით, დღის წესრიგში იდგა საკითხი მწყობრი ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც მისი გასაღების ორგანიზაციისათვის იზრუნებდა. ამის გაკეთება კი ძალთა კონსოლიდაციით მოხერხდებოდა ამხანაგობის გამგეობის წევრთა მიერ პირადი მაგალითის მიცემით, როცა საერთო საქმის მოწყობა — მისი საკუთარი საქმეც იყო, მის საკუთრებას შეადგენდა და არა ისე დაუწყებდა ყურებას, როგორც უცხო დაწესებულებას... ასეთი გულმოდგინებით საქმის კეთება შესაძლებელს გახდიდა, იმას, რომ „ხილი „ქართლის", როგორც პირველი საჭიროების საგანი, ისევე როგორც ღვინო „კახეთისა", თავისთავად გაიკვლევდა გზასა, რომელსაც წინ წაუძღვებოდა თავისივე ღირსება". ამასთან ერთად ასეთი კოოპერატივების ქსელი ფართოდ უნდა მოფენოდა „მთელს ჩვენს სამშობლოს, რათა ბრძოლა არსებობისათვის გაგვიადვილებდა და ჩვენის ორგანიზაციით დაგვერღვია მტრის იერიშები, რომლებიც ჩვენს ზღუდეებს ეხეთქებოდნენ"[101]—ო დაასკვნიდა რ. გაბაშვილი.

„კლდის"ფურცლებზე არაერთი საინტერესო მასალაა დასტამბული, რომლებშიც გააზრებულად არის წარმოჩენილი, თავადაზნაურობის, როგორც „საორგანიზაციო ერთეულის" და არა, როგორც კერძო პირის — პეტრეს ან პავლეს დამსახურება ერის წინაშე. ჟურნალის თქმით, „დაუდევრობისა და უცოდინარობის შედეგი იყო ის", როცა მთელ თავად-აზნაურობას ბრალს სდებდნენ ამა თუ იმ კერძო პიროვნების მიერ არაკეთილშობილური, თუ უფრო მეტი ნაკლულოვანი საქმის ჩადენისა გამო... კორესპონდენტ „შეუპოვარის" აზრით „ვისაც თავად-აზნაურობაზე, როგორც ორგანიზაციაზე უნდა მსჯელობა, უნდა გაეცნოს მის სხვა ორგანოთა მოქმედებას, განიხილოს მისი საზოგადო კრებების კომისიების ნაწარმოებანი და მხოლოდ ამ გზით მოპოვებული მასალით ისარგებლოს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყვანოს ესა თუ ის დასკვნები"[102]-ო.

მომდევნო ნომერში ჟურნალი კონკრეტული ფაქტების მოტანით ასურათხატებდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის

---

[100] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 5 აპრილი.

[101] იქვე, გვ. 6

[102] იქვე , 1913 წლის 6 იანვარი, გვ. 15.

საქმიანობას, მის კულტურულ როლს მთელს საქართველოს ცხოვრებაში. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა თავად-აზნაურობაზე, როგორც ერის კულტურულ-ეკონომიკურ ძალაზე, როგორც ისეთ დანესებულებაზე, რომელიც ზურგს უმაგრებდა და ასაზრდოებდა თითქმის ყველა კულტურულ დაწესებულებას, რომელიც იმჟამად გააჩნდათ ქართველებს... მოჰყავდა კონკრეტული მონაცემები იმის წარმოსაჩენად, თუ რას ხმარდებობდა თავად-აზნაურთა ბანკის შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი, როგორ ან რამდენად აკმაყოფილებდა იგი საერთვნო მოთხოვნებს... მაგალითისათვის 1912 წლის თავად-აზნაურობის სახარჯთაღრიცხვო შემოსავალი მიუთითებდა, რომლის რაოდენობა მთლიანად 311.013 მანეთსა და 19 კაპიკს შეადგენდა... აქედან 124.953 მან და 8 კაპ დახარჯული იყო ელექტრო-სადგურისა და ქარვასლის გამართული მუშაობისათვის, დარჩენილი 186.060 მანეთი და 11 კაპიკიდან 175.476 მან. და 40 კაპიკი დახარჯულია: სათავად-აზნაურო გინაზიის (80.000 მან.),სტიპენდიების (8.000 მან.), ქართული თეატრის (12.540 მან.), სხვადასხვა საზოგადოების (11.800 მან.), ქართული მუზეუმის (5.000 მან.),კახეთის რკინიგზის ხარჯის (2.000 მან.), აგრარული კომისიის (45.135 მან და 40 კაპ.) დასაფინანსებლად.

ჟურნალის დასკვნით „თითქმის მთელი წლიური შემოსავალი ხმარდებოდა ქართულ ეკონომიურ და კულტურულ" დაწესებულებათა შენახვას. აქვე ხაზგასმით იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა „ჩვენი ეროვნული ცხოვრება, ხსენებული დახმარება რომ არ ჰქონოდა თავად-აზნაურობის მხრიდან: მაშინ, ვერც სხვა მრავალი ისეთი დაწესებულება ვერ იბოგინებდა... ამიტომ ჟურნალს მიაჩნდა, რომ მეტი ყურადღება დათმობოდა ქართველ თავად-აზნაურობას, რათა იგი გაძლიერებულიყო და გამდიდრებულიყო, რითაც ხელი შეეწყობოდა ჩვენს ეროვნულ აღორძინებასაც"[103].

---

[103] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 20 იანვარი, გვ. 13-15.

# ჟურნალი „კლდე“ და ივერიის ეკლესიის საკითხი

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იყო ჟურნალისათვის. ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მასალებში არა მარტო ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე იყო საუბარი, არამედ იმაზეც, რომ საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა რუსეთის მიერ მიტაცებული მისი კუთვნილი ქონება, რომელიც „რამდენიმე ათეული და ასეული მილიონობით აღირიცხებოდა“. „კლდის“ აზრით, საქართველოს ეკლესიას ამის მოთხოვნის უფლება ჰქონდა, როგორც ნებაყოფლობით შესულს რუსეთის წმინდა სინოდის შემადგენლობაში, რაც 1783 წელს დადებული „ტრაქტატის“ მერვე არტიკულს შეესაბამებოდა. ამასთან ერთად, რჩებოდა — რა დამოუკიდებელი, ქართული ეკლესიის წინამძღოლს დამატებით უნდა „მიბოძებოდა ტიტლოსი უწმინდესის სინოდის ჩლენობისა“[104].

თუ როგორ შეასრულა ეს პირობა რუსეთის მხარემ კარგადაა ცნობილი... მან ერთის ხელის მოსმით საერთოდ გააუქმა უძველესი ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა და იგი რიგით საეგზარქოსოდ აქცია. ასე რომ არავითარ „ტიტლოსსა“ და სინოდის „ჩლენობაზე“ საფიქრალი აღარ დაუტოვეს ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობლებს... ამას სჩადიოდა რუსული ეკლესია, რომელმაც თვითონ მხოლოდ „XVII საუკუნეში სიხარულით გადაიგდო საბერძნეთის ეკლესიის უღელი“, რომლისგანაც მისი ავტოკეფალურობა საუკუნეების განმავლობაში დათრგუნვილი იყო. „რუსეთსა და მის ეკლესიას სურდა დაეკანონებია ის უსამართლობა, რომელიც ასი წლის წინათ ჩაიდინეს“ საქართველოს მიმართ...“[105].

საქართველოს ეკლესიის შესახებ „კლდეში“ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან მასალათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შალვა ამირეჯიბის წერილები, რომლებშიც ნათლადაა წარმოჩენილი ქართული ეკლესიის როლი ეროვნული სულისკვეთების განმტკიცებისა და შენარჩუნების საქმეში; მისი უდიდესი დამსახურება ქართული მწერლობის, კულტურის, ხელოვნების განვითარებაში და ა. შ. „ეკლესია ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი იყო ძველის საქართველოსი, — წერდა შ. ამირეჯიბი. იგი იყო არა მარტო სავანე სარწმუნოებრივ ცხოვრებისა, არამედ ეკლესიაში თავს

---

[104] „გეორგიევსკის ტრაქტატი“, გვ. 69.

[105] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლის 14 აპრილი, გვ.5.

იყრიდა ყოველი დარგი კულტურისა", რომ მუდამ ქართულ ეკლესიასთან იყო დაკავშირებული ქართველი ადამიანის ზნეობრივი და სულიერი ფორმირება... სწორედ იქ შეიქმნა უდიდესი ღირებულებების საუნჯე ქართველი ერისა და ა. შ.

XX საუკუნის 10-ან წლებში რუსეთის წმ. სინოდი საქართველოს საეგზარქოსოს საერთოდ გაუქმების თაობაზე აყენებდა საკითხს, რაც ქართველი ერის სულიერების საბოლოოდ ჩაკვლას ისახავდა მიზნად. ასეთი იყო სურვილი ქართველთმოძულე რეაქციონერ ოსტორგოვისა და მისი მსგავსი სხვა რუსი „მამებისა", რომლებიც იმხანად წმ. სინოდის საეკლესიო კრებაზე გასატანად ამზადებდნენ ამ საკითხს.

„კლდეში" გამოქვეყნებულ წერილში „ორგვარი მდგომარეობა", რომლის ავტორია ვინმე „ბერი" /კირიონ II/, საუბარი იყო იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავდა ქართველისათვის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ანდა პირიქით — მისთვის ამ უფლების შესახებ ფიქრის საბოლოო ჩამორთმევა. ავტორის აზრით, თუ რუსი საეკლესიო ბიუროკრატიის ეს უკანასკნელი მცდელობა პრაქტიკულად განხორციელდებოდა, მაშინ ქართული ეკლესია საბოლოოდ მიერთებული შეიქმნებოდა რუსეთის ეკლესიასთან და მისი უწმინდესი სინოდის ხელქვეითი გახდებოდა; მას წაერთმეოდა ისიც კი რაც აქამომდე ჰქონდა, ანუ გაუქმდებოდა ეგზარქატი და მისი ქონება ფაქტიურადაც და იურიდიულადაც რუსეთის წმ. სინოდის საკუთრებად იქცეოდა; რომ ქართული მართლმადიდებლური მრავალსაუკუნოვანი ეკლესია ძალაუნებურად დაჰკარგავდა თავის სახეს, ინდივიდუალობას და ტრადიციებს; ქართულ ეკლესიაში შემოღებული იქნებოდა სლავიანური წირვა-ლოცვა და გალობა; ხოლო ქართველ მღვდლებსა და ეპისკოპოსებს, როგორც უბრალო სასულიერო მოხელეებს რუსეთის გუბერნიებში გადაიყვანდნენ და მათ ადგილას რუსეთიდან მოწვეულ სამღვდელოებას დანიშნავდნენ..."[106].

ასეთი იყო ჩანაფიქრი, რომლის განხორციელება ქართველ საზოგადოებას არაფრით არ უნდა დაეშვა...

იმავე ხანებში ქვეყნდება შ. ამირეჯიბის სტატია „საქართველოს ეკლესიის საკითხი", რომელიც ისტორიულ ჭრილში წარმოაჩენს საკითხის არსს და ერთხელ კიდევ მოაგონებს მკითხველ საზოგადოებას, თუ რა სიკეთე მოუტანა ქართველ ხალხს რუსეთთან დამოყვრებამ საერთოდ და, კერძოდ, ივერიის უძველეს ეკლესიას... „1818 წელს მოისპო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, — წერდა იგი, — და საკათალიკოსოს მაგივრად საქართველოში ეგზარქატი გამოცხადდა. ამ აქტით მოისპო უძველესი ეკლესიის დამოუკიდე-

---

[106] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 28 აპრილი, გვ.2.

ბლობა, მაგრამ რადგან უბრალო ბიუროკრატიული აქტი ავტოკეფალიის მოსპობისა არ იყო აქტი კანონიკური, ვინაიდან იგი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებიდან არ გამომდინარეობდა... ამიტომ იგი (ე. ი. საქართველოს ეკლესია — გ. ს.) დღესაც ავტოკეფალურად უნდა ჩაითვალოს"[107].

ამიტომ საჭირო იყო ქართველი სამღვდელოებისა და მისი მართლმადიდებელ სამწყსოს ზრუნვა ქართული ეკლესიის უფლებების დასაბრუნებლად, რომელიც წმინდა კანონების უგულვებელყოფით მას რუსეთის ხელისუფლებამ წაართვა... ეს ბრძოლა იმ წლებში კი მთელი სიმწვავით მიმდინარეობდა, რამაც ბოლოსდაბოლოს ხელმწიფე-იმპერატორამდეც მიაღწია. მან კი ინება და რუსეთის საეკლესიო კრებას დაავალა ამ საკითხის განხილვა... და თუ ეს კრება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას ისევ დააკანონებდა, — შ. ამირეჯიბის აზრით, — ეს იქნებოდა მძიმე ლოდის დადება ჩვენი სულიერი და სარწმუნოებრივი ცხოვრებისათვის. „საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა ტანჯვით ზიდა ქრისტეს ჯვარი, არ გადაუცია იგი ურწმუნოებისათვის და ახლა მისი დაკარგვა, ჩვენ სულიერ დაკარგვას ნიშნავს"[108],— დაასკვნიდა იგი.

„კლდეისტებს" ისიც კარგად მოეხსენებოდათ, რომ რუსეთის საუკუნოვანი ბატონობის შედეგად, ქართული ეკლესიის შიგნითაც აღარ იყო ერთიანი სულისკვეთება, აღარ იყო ერთიანი ეროვნული ორგანიზმი... ყველა თავის სამრეკლოდან რეკდა/ და სხვადასხვა რანგის სასულიერო მოღვაწეთა უმრავლესობა თავის კეთილდღეობაზე, სამსახურის შოვნასა და ცხოვრების მოწყობაზე ზრუნავდა. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას სოც.-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სამსონ დადიანი „კლდის" ფურცლებზე დასტამბულ თავის სტატიაში. მისი აზრით, აღარ იყო ქართველი სამღვდელოება, როგორც ერთიანი და მჭიდრო კავშირი, ერთი ინტერესებით გამსჭვალული ერთეული. საერთო ინტერესების გაქრობის გამო იყო მხოლოდ ესა თუ ის მღვდელი, ესა თუ ის არქიელი, ესა თუ ის ბერ-მონაზონი... რომ მხოლოდ კერძო პირთა კეთილდღეობას ენირებოდა ერის რწმენაც და მისი თავისუფალი ეკლესიაც...

„არავითარი მაღალი იდეალი, — წერდა სამსონ დადიანი, — არავითარი საქვეყნო სამსახური არ აინტერესებს სამღვდელოებას, როგორც ერთეულს და მისი დამახასიათებელი თვისება ხალხის ზურგზე მეტხორცად და პარაზიტულად არსებობაა. თუ ოდესმე ჩვენი სამღვდელოება ერთი აუცილებელი ბურჯი იყო ეროვნული

---

[107] შალვა ამირეჯიბი. ნიგნი პირველი. თბ., 1997, გვ. 103.

[108] იქვე.

აღორძინებისა, ეროვნული კულტურისა, თუ იგი ინახავდა და ამშვენიერებდა ჩვენს ენას, ჩვენს მწერლობას, თუ მას საერთო ეროვნული ინტერესებიცა ჰქონდა, დღეს ეს გაქრა და გაქრა პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლით, პოლიტიკური ცვლილებების წყალობით"[109].

ამიტომ, ავტორის თქმით, ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება უნდა ყოფილიყო, რაც რამდენადმე ხელს შეუწყობდა „ჩვენს ეროვნულ შეგნებას და ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის გამოხატვას"[110].

„კლდეისტები" აქაც, ისე როგორც სხვა საკითხებზე საუბრისას, დაუნდობლად ამხელდნენ ყველას — პიროვნება იქნებოდა იგი თუ პოლიტიკური პარტია, ვინც კი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეს სასხვათაშორისოდ მიიჩნევდა. განსაკუთრებით მიზანში ყავდათ ამოღებული „ულმერთო" სოციალისტური პარტიები, მათ შორის უპირველესად სოც.-დემოკრატები, რომლებიც თავიანთი იდეური მრწამსიდან გამომდინარე ეკლესიასთან (რელიგიასთან) დაკავშირებულ საკითხთა განხილვა-გარჩევაში მონაწილეობას პრინციპულად არ ღებულობდნენ... მაგრამ იმ ხანებში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მათაც კი რამდენადმე შეიცვალეს პოზიცია და რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნა გამოიყენეს, რათა ქვეყნისათვის ემცნოთ რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდის სიძულვილიანი დამოკიდებულება ივერიის უძველესი მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. ეს მისია თავისი პარტიის სახელით დეპუტატმა ევგ. გეგეჭკორმა იკისრა. 1912 წლის 6 მარტს მან ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა... „მე არ შემიძლია გაჩუმება, როცა ქართველი ერის ეროვნული ღირსების შეგინებასა და ფეხით გათელვას ვხედავ...", როცა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისაგან „100 წლის მანძილზე ქართულ ეკლესიას შეურაცხყოფისა და ძალადობის მეტი არა უნახავს რა..." და ა. შ. მის მიერ მოხმობილმა კონკრეტულმა ფაქტებმა შოვინისტი დეპუტატებიც კი გააოგნა...[111]

ჟურნალი „კლდე" ამასთან დაკავშირებით წერდა: „ქართული ეკლესიის საკითხი ამჟამად იმდენად საყურადღებოა, რომ სრული სიჩუმით ვერც სოც.-დემოკრატები უვლიან მას გვერდს. თუმცა ნაჯექ-უკუჯექობით დახასიათებული სიტყვა იყო, მაგრამ მაინც III

---

[109] ჟურნ „კლდე", 1914 წლის 26 იანვარი, გვ. 13.

[110] იქვე, გვ. 14.

[111] უფრო ვრცლად იხ. გელა საითიძე -- „ევგენი გეგეჭკორი — რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი". საისტორიო ალმანახი „კლიო", 1999, 5. თბ., გვ. 164-166.

სათათბიროში ე. გეგეჭკორი იძულებული გახდა კათედრიდან პასუხი გაეცა ამ საკითხზე"[112]—ო.

ამას გარდა, საკითხი დგებოდა იმის შესახებაც, თუ რა ბედი ეწეოდა საუკუნეების მანძილზე შექმნილ ქართული კულტურის მაჩვენებელ საუნჯეებს, რომლებიც ქართულ ეკლესიის კუთვნილებას და მთელი ერის საგანძურს წარმოადგენდა. აქაც უიმედო სურათი იხატებოდა. „კლდეისტთა" აზრით, ყველაფერი ის ხელიდან წავიდოდა, დაცარიელდებოდნენ ქართული ეკლესია-მონასტრები, ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები რუსეთის სატახტო ქალაქების მუზეუმებში ამოჰყოფდნენ თავს. ამის სამწუხარო მაგალითები კი არა ერთი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როცა რუსმა ბიუროკრატებმა (კოვალენსკიმ, ლევაშოვმა და სხვ.) გაძარცვეს ქართული ეკლესიები, დაანგრიეს ანდა გადააკეთეს ისინი რუსული არქიტექტურის ყაიდაზე, ჩამოფხიკეს ან საერთოდ მოსპეს უნიკალური ფრესკები და მოზაიკები და ა. შ. ამიტომ ქართველ საზოგადოებას უნდა გაეცნობიერებია ის შედეგები, რაც რუს შოვინისტ-რეაქციონერთა სურვილის განხორციელებას მოჰყვებოდა და ქართველი ერი დაჰკარგავდა თავის ორიგინალურ სახეს, რომელიც მას წარსულიდან ჰქონდა ნაანდერძევი... ერთხელ კიდევ უნდა გაესიგრძეგანებინათ ის, რასაც მთელი საუკუნის მანძილზე განსაკუთრებული დაჟინებით ექცეოდნენ ივერიის ეკლესია-მონასტრებს, ანიავებდნენ ან ითვისებდნენ მის ქონებას და ყოველ ღონეს მიმართავდნენ ქართველი მართლმორწმუნე ერის გადაგვარებისათვის... მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, თვით რუსთა შორისაც იყო არაერთი მოღვაწე და ივერიის ეკლესიის გულწრფელი მოყვარული, რომელიც ხმას იმაღლებდა უკანონობის წინააღმდეგ: „რამდენადაც ცხოვრება მძიმე შეიქმნება ქართველისათვის, იმდენად მეტად გაძლიერდება მათი სიყვარული სამშობლოსადმი. ქართველი ერი განმტკიცდება, გაძლიერდება და არასოდეს არ მოკვდება იგი"[113]—ო, — წერდა ნიკოლოზ დურნოვო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ რამდენადმე შეარბილა რუსეთის წმ. სინოდის დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი... მისი დაგენილებით განხორციელდა უმაღლეს სასულიერო პოსტზე მყოფი პიროვნების, ქართველებისადმი არაკეთილად განწყობილ ეგზარხოსის პიმენის განთავისუფლება და მის ნაცვლად — ეპისკოპოსი პიტირიმი იქნა დანიშნული... იგი ზემოთხსენებული ნ. დურნოვოს მონაფედ ითვლებოდა და ქართული ეკლესიისა და

---

[112] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 4 მაისი, გვ. 4.

[113] იქვე, 1913 წლის 23 ივნისი, გვ. 10.

ქართველი ხალხისადმი კეთილად იყო განწყობილი...[114] 1915 წლის 14 იანვარს, წმ. ნინოს ხსენების დღეს, იგი საქართველოში ჩამოვიდა და სიონის ტაძარში ძალზე გულთბილი სიტყვა წარმოსთქვა მრავალრიცხოვანი მორწმუნეების წინაშე, რამაც ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ქართული ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი ჩაუნერგა, მითუმეტეს ეს საკითხი იმხანად ესეოდენ აქტუალურად იდგა... ეს იმედი იმაში აირეკლებოდა, რომ სასულიერო და საერო ხელისუფლებისაგან დევნილი ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონი (საძაგლიშვილი) ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი გახდებოდა... ეს კი, როგორც ვთქვით, არ მოხდა... ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „კლდე" აღნიშნავდა: „საქართველოს საეგზარქოსოს სათავეში დიდად სათნოსიანი, პატივცემული და ქართველთა სიყვარულის მომპოვებელი არქიეპისკოპოსი პიტირიმი ბრძანდება", მაინც ვერ ხერხდება მხცოვანი კირიონისა და დავითის რუსეთიდან გადმოყვანა, რაც „მეტად თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი ამბავია ქართველებისათვისო"; ვინაიდან რაც უნდა „პატიოსანი, საყვარელი არ იყვეს არაქართველი მღვდელმთავარი, მაინც ვერ შთაბერავს მაცოცხლებელ ძალას ჩვენს ეკლესიას. იგი ბუნებრივად, ისტორიული აღზრდით, შეხედულებით, მიმართულებით ვერ იქნებოდა გამომხატველი საქართველოს ეკლესიის ტრადიციებისა და იდეალებისა"[115].

ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჟურნალ „კლდეს" და შემდეგ გაზეთ „საქართველოს" უდიდესი წვლილი მიუძღვოდათ იმაში, რომ ცარიზმის დამხობიდან დაახლოებით ორი კვირის თავზე (1917 წლის 12 მარტს) ქართულმა ეკლესიამ 105 წლის წინათ რუსეთის მიერ ძალით გაუქმებული დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) აღიდგინა. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა იმჟამად უკვე სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიტირიმმა...

---

[114] უფრო ვრცლად იხ. გელა საითიძე – „ქართველთ მოყვარე რუსი . . . ", ჟურნ. „ომეგა" 2002 წლის დეკემბერი, გვ. 70-75.

[115] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 28 თებერვალი, გვ. 2.

# ჟურნალი „კლდე“ და კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი

ჟურნალი გამოსვლის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა იმჟამად მშენებარე კახეთის რკინიგზის საკითხს. „კლდეისტებს“ მიაჩნდათ, რომ ამ ობიექტის მშენებლობას არა მარტო ეკონომიკური და სოციალური, არამედ უდიდესი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ კახეთის რკინიგზის მშენებლობის იდეა XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან წარმოიშვა. იგი რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესების სფეროში შედიოდა. მონინავე ქართველი საზოგადოებაც დიდ დაინტერესებას იჩენდა კახეთის — თბილისთან და დანარჩენ საქართველოსთან სატრანსპორტო კავშირისადმი. ეს თემა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მუდმივი ფიქრისა და განსჯის საგანი იყო. მიმდინარეობდა ადგილმდებარეობის ყოველმხრივ გამოკვლევა და საბოლოო პროექტირებისათვის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. 1904 წლისათვის სარკინიგზო კომისიას თითქმის დამთავრებული ჰქონდა სახელმწიფოს ხაზინის ხარჯზე გზის ტექნიკური გამოკვლევა, მაგრამ მშენებლობის პრაქტიკული დაწყების საქმეს რუსეთ-იაპონიის ომმა შეუშალა ხელი... 1908 წელს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ ისევ აღძრულ იქნა კახეთის რკინიგზის გაყვანის საკითხი და მიღებულ იქნა კონცეფსია. დამტკიცებულ იქნა მიმართულება: ნავთლუღი-მარტყოფი-ჩალაუბანი-თელავი, რომლის სიგრძე 165 ვერსტს შეადგენდა. მშენებლობის საერთო ღირებულება 1.800.000 მანეთით განისაზღვრა. ამ თანხიდან 400.000 მანეთის აქცია თავიდანვე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ეძლეოდა, ხოლო 550.000 აქციის შეძენის უფლება. ასე რომ ქართველთა ხელში 950.000 მანეთის ღირებულება მთელი გზისა, ანუ საერთო ხარჯის ნახევარზე მეტი, რაც მას გზის საკუთრების გადამწყვეტ უფლებას აძლევდა...“[116] ე. ი. ამ უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალის ძირითადი დამფინანსებელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა და მისი საადგილმამულო ბანკი იყო. სწორედ ეს არ აწყობდათ ქართველი ხალხის მოშუღარ სხვატომელებს... წამოყენებულ იქნა იდეა კახეთის ხაზის სიღნაღ-ბაქოს მიმართულებით

---

[116] ჟურნ „კლდე“, 1912 წლის 4 ნოემბერი, გვ. 2.

გაგრძელების შესახებ. ერთი შეხედვით აქ საშიში თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ასეთი პერსპექტივა „კახეთის რკინიგზის საზოგადოების" დამოუკიდებელ არსებობას სპობდა და ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას უძვირფასეს საკუთრებას აკარგვინებდა... საქმე იმაში იყო, რომ 1.800.000 მანეთის საერთო ღირებულების აქციებიდან, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას მხოლოდ 400.000 მანეთისა ჰქონდა შეძენილი, დანარჩენის დაუფლებას კი ცნობილი მილიონერი პუტილოვი ცდილობდა, თუ ქართველობა დროულად ვერ მოახერხებდა 550.000 მანეთის ღირებულების აქციების შეძენას და 2/3-ზე მეტის მეპატრონე არ გახდებოდა. თუ ამას პუტილოვი და მისი კომპანია მიაღწევდა, მაშინ იგი წმინდა კომერციული თვალსაზრისიდან გამომდინარე კახეთის რკინიგზის საზოგადოების არსებობას აუქმებდა და მას უფრო მეტი სააქციო კაპიტალის მქონე „სიღნაღი-ბაქოს რკინიგზის საზოგადოებას" უქვემდებარებდა... და ამით „ქართველი თავადაზნაურობის ქონების განმკარგულებელი ხდებოდა"...

პუტილოვის ადგილობრივ კომპანიონთა შორის დიდ აქტიურობას იჩენდნენ სომეხი კაპიტალისტები. სხვათაშორის „სიღნაღ-ბაქოს რკინიგზის" პროექტის შემუშავების იდეაც მათგან მოდიოდა...

რ. გაბაშვილის აზრით, ჩანაფიქრი მუხანათური და ქართველთათვის დიდად საზიანო იყო, ვინაიდან სიღნაღ-ბაქოს რკინიგზის სიგრძე 426 ვერსტს უდრიდა და მისი ღირებულება 40-50 მილიონი მანეთი დაჯდებოდა და არა 1.800.000, რაც 165 ვერსტის გაყვანისათვის იყო გათვალისწინებული. გამომდინარე აქედან სააქციონერო თანხა 5.000.000 მანეთით იყო განსაზღვრული და არა 950.000-ით, რაშიც თითქმის უკვალოდ შთაინთქმებოდა ქართული საზოგადოების აქციები; კახეთის რკინიგზა ჰკარგავდა თავის დამოუკიდებლობას[117]. სამწუხაროდ მშენებლობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრი თავიდანვე ორად გაყოფილა — ერთნი სიღნაღი-ბაქოს მაგისტრალისადმი მიერთებას აძლევდნენ უპირატესობას, ანუ მხარს უჭერდნენ მომავალში გზის ექსპლუატაციის უფლება სხვატომელთა ხელში გადასულიყო, მეორენი კი მომხრენი იყვნენ ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში თბილისის თავადაზნაურობას, ყველაფერი ელონა და ხელიდან არ გაეშვა ამ უზარმაზარი ეროვნული საქმის სადავეები...

სომხური ბურჟუაზიის მხარეზე არაერთი ქართველიც დამდგარა... „პირველ ყოვლისა ესენი იყვნენ: „რუსეთის სოციალ-დემოკრატ მუშათა პარტიის" ქართველი მეთაურები, კერძო ინ-

---

[117] ჟურნ. „ალდე", 1912 წლის 25 ნოემბერი, გვ. 4-5.

ტერესების მქონე თავად-აზნაურები და ინტელიგენტები, რომელ-თათვისაც ჯერ „მე" იყო მთავარი და მერე „საქართველო"...[118]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შინაურ თუ გარეშე არაკეთილმოსურნეთა ნების მიუხედავად, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ მისი ახლად არჩეული წინამძღოლის, დიდი ილიას დისწულის, კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით შეძლო ამ ეროვნული მნიშვნელობის ობიექტის შენარჩუნება.

კახეთის რკინიგზის მშენებლობა ოფიციალურად 1912 წლის 17 ივნისს დაიწყო და გეგმის მიხედვით სამ წელიწადში უნდა დამ-თავრებულიყო.

1913 წლის 30 თიბათვეს „რ. გ." /რ. გაბაშვილი/ ჟურნალ „კლდის" ფურცლებიდან ქართველ საზოგადოებას აღფრთოვანე-ბით აუწყებდა : „თავად-აზნაურობამ საბოლოოდ გადაწყვიტა კახეთის რკინიგზის ხელში ჩაგდება... უთავბოლო და უნიადაგო, ყოველ აზრს მოკლებული ბრძოლის შემდეგ, საქმე კეთილად დას-რულდა: *24 თიბათვეს 44 ხმის უმეტესობით 15-ის წინააღმდეგ* (ხაზგასმა რ. გაბაშვილისაა — გ. ს.) დეპუტატთა საკრებულოს გადაეცა უფლება და დავალება შეიძინოს იმდენი აქცია, რამდენიც საჭიროა გზის პატრონობისათვის"[119].

ეს შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, რაც თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელმა თ-დმა დ. გურამიშვილმა ხელშეკრულება დადო „რუსეთ-აზოვის ბანკთან" კახეთის რკინიგ-ზისათვის 5.000 აქციის შესაძენად.

ისტორიისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველმა ხალხმა იცოდეს თუ ვინ რა პოზიცია დაიჭირა ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმის გადაწყვეტისას... იმ 44 მომხრეს შორის იყვნენ: თ-დი ვას. დავ. გაბაშვილი, თ-ადი მიხ, დავ. ჭავჭავაძე, თ-ადი ივ. მაღალაშ-ვილი, თ-ადი ილ. მიხ თარხან-მოურავი, იაკობ პეტრეს ძე ისარლოვი, თ-ადი ალ. ივ. ყანჩაველი, თ-ადი დიმ. ალ. ფავლენიშვილი, თ-ადი დავ. ალ. გურამიშვილი, თ-ადი იოს. გ. ანდრონიკაშვილი, ლევან ნიკ. დიასამიძე, თ-ადი ალ. ლუარ. მაღალაშვილი, თ-ადი ლევან გიორგ. ჯანდიერი, თ-ადი დიმ. იოს. ჭავჭავაძე, გაბრ. ივ თულაშვილი, თ-ადი რევ. მიხ. ყარალაშვილი, თ-ადი ბეჟ. ივ. ხერხეულიძე, თ-ადი ნიკ. ვას. ვაჩნაძე, კონსტ. იოს. სვიმონიშვილი, თ-ადი ნიკ. ალ. ჯანდიერი, თ-ადი ლევ. ალ. ვაჩნაძე, მიხ. ვახტ. მაჩაბელი, იოს. ქრისტ. მამაცაშ-ვილი, ტარასი გიორ. რცხილაძე, თ-ადი გ. ალ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ-ადი იასე კონსტ. ვაჩნაძე, თ-ადი კონსტ. ზაქ. მაყაშ-ვილი, ნიკ. ყარამ. ზაალიშვილი, მიხ. ნიკ. გედევანიშვილი, თ-ადი ივ. გიორგ. ბარათაშვილი, ვას. ილ.რცხილაძე, თ-ადი მაქს. ზაქ. ჭა-

---

[118] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 25 ნოემბერი, გვ. 4-5.

[119] იქვე, 1913 წლის, 30 ივნისი, გვ. 2-3.

ვჭავაძე, პარმენ დიმ. გედევანიშვილი, თ-ადი ესტ. ალ. მაჩაბელი, გრ. დიმ. გაბაშვილი, ნიკ. ივ. საგინაშვილი, თ-ადი ვლ. დავ. ვაჩნაძე, ნიკ. ბეუან. ტატიშვილი, გრ. სიმ. რცხილაძე, ლევან გაბრ. ნინამძღვრიშვილი, . თ-ადი კონსტ. ნიკ. აფხაზი, თ-ადი დიმ. ერასტ. ჩოლოყაშვილი, თ-ადი გრ. ალ. ყარანგოზიშვილი; ხოლო წინააღმდეგი გამოვიდნენ: გიორგ. ივ. მუსხელიშვილი, თ-ადი ივანე დიმ. აფხაზი, მალხაზ არჩ. ანდრონიკაშვილი, კონსტ. ივ. თულაშვილი, თ-ადი დავით სუმბათაშვილი, ნიკ. ივან. არჯევანიძე, თ-ადი ქაიხოსრო ჯავახიშვილი, თ-ადი გიორგ. როსებ. ამირეჯიბი, დ. ფ. ნაცვლიშვილი, თ-ადი ივ. მიხ. სუმბათაშვილი, თ-ადი ლევ. დიმ. ანდრონიკაშვილი, თ-ადი რევაზ იასონის. ერისთავი, გიორგი ზაალ. ტერიშვილი[120]. (პიროვნებათა სია მოგვაქვს იმ ფორმით, როგორც იგი ჟურნალ „კლდეშია" დასტამბული. ავტორი).

რ. გაბაშვილი მთელი კატეგორიულობით აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ კახეთის რკინიგზა, რომელიც სამართლიანად დარჩა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს განკარგულებაში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ საკრებულოს მოვალეობა *მარტო საქველმოქმედო საქმიანობა* როდი იყო, (სხვადასხვა სასწავლო თუ კულტურულ დაწესებულებათა დაფინანსება), არამედ საჭირო იყო *საკუთარი ეკონომიური ორგანიზაციების შექმნაც* (ხაზგასმა რ. გაბაშვილისაა გ.ს.), თანაც ისეთი ამხანაგობა—ორგანიზაციებისა, რომლებიც თავისუფლად შეძლებდნენ საკუთარ ფეხზედ დგომას და გლახასავით არავისათვის ხელში შემყურენი არ იქნებოდნენ... „დროით გადავაგდოთ ქველმოქმედური ორგნიზაცია ჩვენი ღარიბი ცხოვრებისა და შევუდგეთ მატერიალური კულტურის შექმნას, თანაც ისეთ კულტურისას, რომელიც ნივთიერ სიმდიდრეს მოიტანს, სულიერი სიმდიდრის გადასაფუჩქვნელად"—ო[121], დაასკვნიდა რ. გაბაშვილი.

აქვე შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მთელი 5 წლის მანძლზე, რაც კოტე აფხაზი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას თავკაცობდა, არ გამართულა ამ საზოგადოების საკრებულოს თითქმის არც ერთი სხდომა თუ საგანგებო კრება, რომლის დღის წესრიგში რაიმე კუთხით კახეთის რკინიგზასთან დაკავშირებული საკითხი არ განხილულიყოს... ამის დასტურია როგორც საქართველოს არქივსაცავებში, ისე იმდროინდელ პრესაში დაუნჯებული მასალები. მათი გაცნობისას შესაძლებელი ხდება ერის ბედზე დაფიქრებლი არა-ერთი მამულიშვილის სახელის წარმოჩენა, პიროვნებებისა, რომელთაც ნათლად ჰქონდათ გასიგრძეგანებული ის პერსპექტივები, რაც ამ სარკინიგზო ხაზის გაყვანას მოჰყვებოდა

---

[120] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 30 ივნისი, გვ. 12- 13.

[121] იქვე, გვ. 12-13.

მომავალში სრულიად საქართველოს ეკონომიკური სოციალური და კულტურული წინსვლა-განვითარების საქმეში...[122]

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის ძალისხმევა, რასაც „კლდეისტები" იჩენდნენ ამ მშენებლობასთან დაკავშირებით. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები ნათლად გვისურათხატებენ მათ გარჯილობაზე, იმ პრინციპულ დამოკიდებულებაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ სხვადასხვა ჯურის მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირების დროს...

ამასთან დაკავშირებით რ. გაბაშვილი შემდგომში იგონებდა: „ჟურნალმა „კლდემ" და „კლდეისტებმა" პირველი დღეებიდანვე ავკრიფეთ ყველა მხრიდან გადმოყრილი ხელთათმანები და სასტიკი ბრძოლა გავმართეთ კრებებზე, კაბინეტებში,პრესაში და თვით საკრებულოშიც"[123], მაგრამ აქ ყველაზე უფრო ძნელი „პოლიტიკურ რეგვენთა" წინააღმდეგ ბრძოლა გამხდარა. მაინც ვინ იყვნენ ეს „პოლიტიკური რეგვენები?"

„კლდეისტთა" განმარტებით „პოლიტიკური რეგვენები"ყველა ხალხს ჰყავს და რაც უფრო მეტი გვეყოლება ისინი, მით უფრო ხალხი ვყოფილვართ ჩვენც, ალბათ ასეთია საქართველოს ბედი; მაგრამ როცა ეს რეგვენები, წინააღმდეგ ლოღიკისა და სამართლისა, საზოგადოებრივ აზრს ჰქმნიან და აშკარა დამნაშავეს თავზე მოწამეობრივ გვირგვინს ადგამენ, იმ თავზე, რომელშიც დიდი ეროვნული დანაშაულის შემუშავება ხდება ხოლმე, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვაღვიძოთ ხალხის სინდისი, გამოვიხმოთ ჭეშმარიტი სამართალი და ვათქმევინოთ ამ სამართალს პირუთვნელი სიტყვა"[124]. „კლდის" ფურცლებზე დასტამბული სხვადასხვა მასალების გაცნობა თვალნათლივ გვარწმუნებს იმაში, რომ „კლდეისტები" მართლაც კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ხალხის სინდისის გამოღვიძების თაობაზე, როცა საქმე კახეთის რკინიგზის ქართველთა საკუთრებაში დარჩენას შეეხებოდა... მათ იმთავითვე მიაჩნდათ, რომ ეს სარკინიგზო მაგისტრალი სრულიად საქართველოსათვის გახდებოდა უმნიშვნელოვანესი შემაკავშირებელი ძარღვი; რომ იგი გადააბამდა კახეთს — ქართლსა და იმერეთთან, აგრეთვე კავკასიის სხვა კუთხეებთან და რუსეთთან. ეს ძარღვი თავის სიგრძეზე აამოქმედებდა ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას. განავითარებდა მეურნეობას და ხელს შეუწყობდა იმასაც, რომ თვით კახეთშიც კიდევ უფრო მეტად განვითარებუ-

---

[122] უფრო ვრცლად იხ. გელა საითიძე. „სნამდა სამშობლოს აღორძინება...", თბ., 1997, გვ. 20-28.

[123] იხ. ნიგნში: „დაბრუნება", ტ. III, გვ. 141.

[124] ჟურნ. „კლდე", 1912 ნლის 16 დეკემბერი, 14. გვ. 6.

ლიყო — მეღვინეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა და სხვა დარგები...

სხვებთან ერთად, „კლდეისტებმაც" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კახეთის რკინიგზის მშენებლობის ქართველთათვის მისი კეთილად გასრულების საქმეში... და როცა ეს საქმე კეთილად დამთავრდა და 1914 წლის 22 სექტემბერს კახეთის რკინიგზის სასინჯი გახსნა მოხდა, როცა ნაოცნებარი რეალობად იქცა და ეს სატრანსპორტო მაგისტრალი ქართველთა საკუთრებად დარჩა, ამან დიდი სიხარულით აღავსო „კლდეისტებიც".

იმ დღეებში ჟურნალის რედაქტორი რ. გაბაშვილი წედა: „კახეთის რკინიგზაზე ჩვენ ბევრი წერილი დაგვიწერია, ბევრი მელანი და შრომა დაგვიხარჯავს იმ ხანებში, როცა მისი ბედი სწყდებოდა. მრავალი მტერიც შევიძინეთ იმათ შორის, ვინც შეგნებულად თუ შეუგნებლად ღალატობდა დიდ საქმეს და ხელს უშლიდა მის გადასვლას ჩვენს ხელში... დღეს გვინდა მხოლოდ გაგიზიაროთ ის სიხარული, ის გრძნობა კმაყოფილებისა და სიამაყისაც, რომელსაც ამ რკინიგზის ამუშავება, მისი „პირველი ნაბიჯები" იწვევს..."

პირველ მგზავრთა შორის ყოფილა თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი დიმიტრი ჩოლოყაშვილი, რომელსაც უნებებია და რედაქტორის თხოვნით რამდენიმე სურათი გადაუცია ჟურნალში დასაბეჭდათ კახეთის რკინიგზის სადგურებისა და სხვადასხვა ადგილებისა... რ. გაბაშვილი გულითად მადლობას უძღვნიდა ყველას, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღოდა ამ საშვილიშვილო საქმის ხორცშესხმაში. „დიდება და პატივი იმ ქართველ მოღვაწეებს, ვინც ამ საქმეს „სიძნელე გზისა გაუადვილა" და ხორცი შეასხა თეორიულადაც დიდი ხნის წინათ მოაზრებულ მშენებლობას. მათი სახელები ოქროს ასოებით უნდა იყოს აღბეჭდილი არა მარტო ქართველის გულში, არამედ ყველა იმ სადგურზედაც, საცა მომავალი რკინისგზის მატარებელი გაჩერდება"[125].

...აღსანიშნავია, რომ სამიოდე წლის შემდეგ 18 მილიონ მანეთად ღირებული კახეთის რკინიგზა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ორგანიზაციის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად, კოტე აფხაზმა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ხალხს ნობათად მიართვა, რაც 1918 წლის 26 მაისს საფუძვლად დაედო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

---

[125] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 26 ოქტომბერი, გვ. 12-13.

# ჟურნალი „კლდე“ და რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხი

ჟურნალის გამოსვლა, რუსეთის მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიას დაემთხვა. რა თქმა უნდა, „კლდეისტები“ ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის მიმართ უბრალო მაყურებლის როლში არ დარჩენილან. ხოლო თუ რა პოზიცია დაიკავეს მათ, ამის თაობაზე „კლდის“ მეორე ნომრის სარედაქციო წერილშია საუბარი: „ახლოვდება დრო, როცა ქართველმა ხალხმა თავისი სურვილი არჩევნებით უნდა გამოსთქვას... რუსეთის სახელმწიფო სათათბირო, სადაც მან თავისი ნარმომადგენელი უნდა გაგზავნოს, რასაკვირველია, პანაცეა არ არის, იგი მას ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური ტკივილისაგან ვერ განკურნავს, მაგრამ რაკი დრო ამას ითხოვს და პარლამენტში დეპუტატის ყოლა მისთვის ერთგვარი სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა, ამიტომ საჭიროა დიდი ტაქტისა და პოლიტიკური გამჭრიახობის გამოჩენა, რათა ყველას უჩვენოს თავისი სახე, რომელზედაც მძიმე ნაოჭებით იქნება აღბეჭდილი ყველა მისი სურვილები“[126].

ჟურნალის აზრით, არჩევნებში დიდი დაძაბულობანი და გართულებები იყო მოსალოდნელი, რასაც უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის სიმცირე განაპირობებდა. საქართველო, რომ დიდი ქვეყანა ყოფილიყო, მაშინ მას მეტი ნარმომადგენლის გაგზავნა შეეძლებოდა სათათბიროში და პარტიათა შორის ბრძოლაც უფრო განელებული იქნებოდა. სამწუხარო ის იყო, რომ საარჩევნო კანონის შესაბამისად საქართველოს სულ სამი დეპუტატის არჩევა შეეძლო, ვინაიდან, „მთელ ქართლ-კახეთს ერთი დეპუტატი ჰყავდა, იმერეთ-გურია-სამეგრელოს აგრეთვე ერთი და ჩვენს ზღვისპირა მხარესაც ერთი[127].

„კლდეისტთა“ აზრით, სადეპუტატო ადგილის მოპოვებისათვის ძირითადი ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ ჯგუფების კანდიდატებს შორის გაიმართებოდა. ამიტომ, თუ რა პოზიცია უნდა დაეკავებია მათ, წინასწარ ნათლად ჰქონდათ ნარმოდგენილი. „სოციალ-დემოკრატია ერთის მხრივ და ეროვნულ ჯგუფების კოორდინაცია მეორეს მხრივ, სავსებით ახასიათებს საარჩევნო

---

[126] ჟურნ. „კლდე“, 1912 ნლის 23 ენკენისთვე, გვ. 2.

[127] იქვე.

ბრძოლას"[128]. ცნობილი იყვნენ დეპუტატობის კანდიდატებიც... აღმოსავლეთ საქართველოში „ერთის მხრით იქნებოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და მთელი შეგნებული ქართველი ერი, მეორე მხრივ კარლო ჩხეიძე და მისი პარტია, სოციალ-დემოკრატია..., რომლებიც სავსებით გამოხატავდნენ ამ პარტია-ჯგუფების ფიზიონომიას". ასე რომ „საარჩევნო ბრძოლა სავსებით გამოხატული და ჩამოქნილი იყო ორი პირის მეტოქეობაში"[129].

დასავლეთ საქრთველოში, ანუ ქუთაისის გუბერნიაში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ სოც.-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კიტა აბაშიძე და მესამე სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი. „კლდეისტთა" პოზიცია აქაც გარკვეული იყო... „მთელი შეგნებული ქართველობის სურვილია, და მასთან ჩვენიც, სწორედ ბ-ნმა აბაშიძემ და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვონ"[130].

ჟურნალის აზრით, ქუთაისში არ უნდა განმეორებულიყო წინა არჩევნების მსგავსი რამ, როცა სოც.-დემოკრატებმა გაიმარჯვეს... თანაც სად?! „ისეთ ტიპიურ ნვრილ ბურჟუაზიულ ქალაქში, როგორიც ქუთაისია, სადაც მძლავრად აქვს ფეხი გადგმული ეროვნულ მიდრეკილებას"... ამის დაშვება კი „პოლიტიკური თვალთმაქცობა იქნებოდა..."[131]

ეს ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობის ინტერესთა უარყოფას მოასწავებდა... `განა პოლიტიკური შეგნება იმაში მდგომარეობს, რომ ხელი აიღო საკუთარ ინტერესებზე და დასაკლავ ზვარაკად გაჰყვე პარტიას, რომელიც თავის დღეში არ იზრუნებს ქართულ ინტერესებზედ?"[132]

„კლდეისტებს" მიაჩნდათ რომ სახელმწიფო სათათბიროში ასარჩევი კანდიდატები — ევგენი გეგეჭკორი (სოც.-დემოკრატი ქუთაისის გუბერნიიდან), და კარლო ჩხეიძე (სოც.დემოკრატი თბილისის გუბერნიიდან) უნდა შეფასებულიყვნენ, ჯერ როგორც ამათუ იმ პარტიის წევრნი, მერე კი როგორც პიროვნებები, „თავისი მიმართულებით ისინი არიან წევრნი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. ჯერ მარტო სახელწოდება ამ პარტიისა გვეუბნება, რომ ეს პარტია ქართული პარტია არ არის. ყოველი პარტია ეროვნული უნდა იყვეს, თუ სურს სავსებით შეისწავლოს ის პირობები, რა პირობებშიც სცხოვრობს ხალხი, რომელსაც იგი ემსახურება... და თუ პარტიას არა აქვს შესწავლილი ქვეყანა, რომლის

---

[128] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 7 ოქტომბერი, გვ. 1.
[129] იქვე,
[130] იქვე, 1912 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 1
[131] იქვე.
[132] იქვე.

მესვეურობასაც ის კისრულობს, რომელ ლოღიკის და ზნეობის ძალით აფარებს მას თავის კალთას?"[133].

მაშ, ვის უნდა მინდობოდა სათათბიროში საქართველოს ინტერესების დაცვა? „ჩვენის ღრმა რწმენით მხოლოდ ლუარსაბ ნოკოლიზის ძე ანდრონიკაშვილს, — წერდა ალ. ყიფშიძე. იგი ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი კაცია, შემკული ძლიერის ლოღიკით, რომელიც განუვითარებია ფილოსოფიის საფუძვლიანად შესწავლით, მჭერმეტყველი და ენაწყლიანი ორატორი, თამამი და გამბედავი, სპეტაკი სულის პატრონი და გულწრფელი უანგარო მოღვაწე. ასეთ კაცს, რომ თავის პატარა სამშობლო, მერე ისიც დაჩაგრული, განწბილებული, პატივაყრილი არ უყვარდეს დიდის სიძლიერით, დიდის სულისკვეთებით, შეუძლებელი წარმოსადგენია და ჩვენ ვამოწმებთ, რომ ლუარსაბს უყვარს საქართველო... მაშ, ავირჩიოთ ლუარსაბი!"[134]

იმავე დღეებში, პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატს, სოც.-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილს „კლდის" თანამშრომელთან საუბრისას, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი დაუხასიათებია როგორც „მშვენიერი ორატორი, განათლებული, დიდი ცოდნის პატრონი და მასთან ერთად სამშობლოს მოსიყვარულე, რწმენით დემოკრატი" პიროვნება... „ბევრს დავკარგავთ, თუ მას დეპუტატად ვერ გავიყვანთ"-ო, აღუნიშნავს რესპოდენტს.

აღსანიშნავია, რომ სოც.-ფედერალისტებსაც რეალური შანსი მიეცათ ქუთაისის გუბერნიაში თავიანთი წარმომადგენელი აერჩიათ სახელმწიფო სათათბიროში მას შემდეგ, რაც ქუთაისის ქალაქის არჩევნები უკანონოდ სცნო კომისიამ და გააუქმა მისი შედეგები და III სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატს ევგ. გეგეჭკორს ცენზი წაერთვა.

ამასთან დაკავშირებით „კლდე" წერდა: „ახლა ჩვენი მხარდაჭერა სოც.-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი ლიდერის კიტა აბაშიძის მხარეზეა; რომ ქუთაისი მოვალეა პირველ რიგში ქართული ინტერესები დააყენოსო" და სხვ.

მართალია, პიროვნულად კიტა აბაშიძე დეპუტატობის მანდატის გარეშე დარჩა, მაგრამ მისმა პარტიამ შეძლო თავისი წარმომადგენელი ვარლამ გელოვანი გაეყვანა IV სათათბიროს წევრად...

დაძაბულობა მატულობდა და გამორიცხული არ იყო თბილისის გუბერნიის ამომრჩევლებსაც ლ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურისათვის დაეჭირათ მხარი, მაგრამ სოც.-დემოკრატებმა თავიანთი ორგანიზებული და მაღალ დონეზე დაყენებული დემაგოგიური

---

[133] ჟურნ. „კლდე", 1912 წლის 14 ოქტომბერი.

[134] იქვე, 1912 წლის 7 ოქტომბერი.

სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობით და ინტერნაციონალიზმის დროშის ფრიალით, შეძლეს თბილისის სომხური საზოგადოების მიმხრობა და თავიანთი კანდიდატის — კ. ჩხეიძის გამარჯვება და ლ. ანდრონიკაშვილის დამარცხება.

„კლდეისტებმა" ძალზე მტკივნეულად განიცადეს ის, რომ ქართველმა სოც.-დემოკრატებმა გამარჯვებას დაშნაკცუთუნელთა მხარდაჭერით მიაღწიეს. „სომხის ბურჟუაზია მუდამ ის ჩხირია, რომელიც ქართულ ცხოვრების ბორბალის ტრიალს უშლის. ამიტომ იგი არჩევნებში მუდამ სოციალ-დემოკრატებთან მიდის..."[135] ფაქტი სახეზე იყო. ქართველ სოც.-დემოკრატთა და დაშნაკცუთუნელთა კავშირმა გაიმარჯვა...

„ციფრების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, — წერდა „კლდე". ციფრები კი შემდეგს გვეუბნებიან: ანდრონიკაშვილს ხმა მისცა 21 ამომრჩეველმა. ამ 21 ამომრჩეველზედ გამოილაშქრა 23 ამომრჩეველმა, რომლის შემადგენლობა ასეთი იყო: ექვსი ქართველი და 15 სომეხი და სხვ."[136].

სოც.-დემოკრატები უპასუხოდ არ ტოვებდნენ მოწინააღმდეგეთა არც ერთ გამოსვლას და თავიანთი ჟურნალის — „ჩვენი არჩევნის" ფურცლებზე ათავსებდნენ საპასუხო წერილებს, რომელშიც დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც არ იშურებდნენ კონკრეტული კანდიდატის, ლ. ანდრონიკაშვილის მიმართ. მაგალითად, ისინი ანდრონიკაშვილს დიდ ცოდვად უთვლიდნენ იმას, რომ იგი პეტერბურგში ცხოვრობდა მუდმივად და თავისი ქვეყნის ავკარგი ნაკლებად იცისო. ამ „მომაკვდინებელ ბრალდებაზე" ჟურნალი „კლდე" ირონიულად შენიშნავდა: ქართული აზროვნების საუკეთესო ნარმომადგენლები — აკადემიკოსი მარრი, პროფესორები ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი პეტერბურგში ცხოვრობენ. განა ამ პირთ ხელს უშლის ეს, საქართველოს მდგომარეობა რომ ზედმიწევნით იცოდნენ?! წინა, III სათათბიროს გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჟურნალი იმაზეც მიუთითებდა, რომ ქართველმა დეპუტატებმა გეგეჭკორმა და ჩხეიძემ, რომლებიც „ტავრიდის სასახლეში დაბრძანდნენ, ხალხთან კავშირი მთლიანად განყვიტეს" და ამით პარლამენტარიზმის პრინციპებს უღალატეს...

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად გულმოდგინე გარჯისა და დიდი სურვილისა, ქართულმა ეროვნულმა ძალებმა ვერც IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისას დაძლიეს სოც.-დემოკრატების მიერ აღმართული ზღუდე: აღმოსავლეთ საქართველოს დეპუტატის რწმუნების მანდატი ისევ კარლო ჩხეიძეს დარჩა... აღსანიშ-

---

[135] ჟურნ. „კლდე" 1912 წლის 14 ოქტომბერი, გვ. 1-2.

[136] იქვე, 1912 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 1.

ნავია, რომ გამართლდა „კლდის“ წინასწარი პროგნოზი: კ. ჩხეიძე გამარჯვებას მიაღწევს სომეხ ამომრჩეველთა მხარდაჭერითო.

„კლდეს“ მიაჩნდა, რომ ალ. ხატისოვის მეთაურობით 15 სომეხმა-დაშნაკცაკანმა გადაწყვიტა ქართლ-კახეთის დეპუტატის ბედი... „ეს იყო მნიშვნელოვანი წუთი, როცა სომხის ბურჟუაზიამ ნათლად და საბოლოოდ გამოხატა თავისი სიძულვილი ქართველი ერისადმი“[137].

ჟურნალი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა სათათბიროში წარსაგზავნი პიროვნების შერჩევას და მისი პასუხისმგებლობის საკითხს... მიაჩნდა, რომ „დეპუტატობა ადვილი საქმე არ არის. საჭიროა დიდი ცოდნა, დიდი გამოცდილება, დიდი დაკვირვების ნიჭი, თავისუფალი აზროვნება, დამოუკიდებელი მოქმედება და გამჭრიახობა. თუ ყველა ეს თვისება დეპუტატს არა აქვს და პარლამენტში მიდის, მაშინ იგი ცუღლუტია, მატყუარა და თბილი ალაგისათვის მიდის იქ.“

„კლდეისტები“ ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ სათათბიროში ქართველ დეპუტატთა საქმიანობას და ყოველ მათ გამოსვლას ეროვნულ ჭრილში განიხილავდნენ.

ჟურნალი მოწონებით ხვდებოდა დეპუტატ ვარლამ გელოვანის გამოსვლებს, რომლებშიც რამდენადმე ეროვნული პოზიცია იყო გაცხადებული, მათ შორის გასაკუთრებით გამოჰყოფდა საქართველოს ავტონომიის საკითხისადმი მიძღვნილ მის გამოსვლას... „სულ ერთი თვის წინათ, — წერდა „კლდე“, — საქართველოს დეპუტატმა ვ. გელოვანმა მინისტრ-პრემიერის დეკლარაციის საპასუხოდ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა საქართველოს ავტონომიის საჭიროება...“, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ მის ამ გამოსვლას ყრუდ შეხვდნენ — სათათბიროც, პრესაც და საზოგადოებაც... ჟურნალის აზრით, ასეთი დამოკიდებულება მეტად საჭირბოროტო ფაქტისადმი, პირველ ყოვლისა „რუსეთის პარლამენტარიზმის უსუსურობას ნიშნავდა...“ და ეს მოხდა იმიტომაც, რომ ოფიციალურ რუსეთს არა მარტო სახელი „ავტონომია“ ეჩოთირა, რომელიც არ არსებობს, არამედ თვით სახელი „საქართველო“, რომელიც არსებობს მხოლოდ როგორც კულტურულ-ისტორიული ერთეული... მაგრამ ჟურნალი განსაკუთრებული გულისტკივილით ამახვილებდა ყურადღებას კიდევ ერთ ფაქტზე, რომელსაც ყველაზე უფრო გაუნეიტრალებ-გაუუფასურებია გელოვანის მიერ დაყენებული ქართული საკითხი. ეს გახლდათ ის, რომ გელოვანის გამოსვლისთანავე ტრიბუნაზე ასულ მეორე ქართველ დეპუტატს კ. ჩხეიძეს გელოვანის მიერ წამოყენებული იდეის საზიანოდ განუცხადებია რომ ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიამ თავისი სათქმელის

---

[137] ჟურნ. „კლდე“, 1912 წლის 28 ოქტომბერი, გვ. 2-3.

გაცხადება მე და ა. ჩხენკელს დაგვევალა" და ასეთი რამ (ე. ი. ავტონომიის მოთხოვნა — გ. ს.) მის სურვილებს ეწინააღმდეგებაო... „კლდის" აზრით, ასეთი განცხადება „აბსურდული იყო, როგორც იურიდიულად, ისე პარლამენტისათვის"..., ვინაიდან „ვერავითარი „დაბარება" ვარლ. გელოვანს ვერ დაუშლიდა „გამოსულიყო და ჩხენკელზე უკეთესად დაეცვა ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიის ინტერესები"-ო[138].

ქართველ სოც.-დემოკრატ დეპუტატებს — აკ. ჩხენკელსა და კ. ჩხეიძეს საქართველოსათვის ავტონომიის არსაჭიროება იმით „დაუსაბუთებიათ", რომ იგი, „რეაქციული და ნაციონალისტური მოთხოვნაა და ქართული შოვინიზმის კერად გადაიქცევაო"[139].

ეროვნული ინტერესებისადმი მათი ასეთი დამოკიდებულებით აღშფოთებული „კლდეისტები" სიბრაზესა და აღშფოთებას არ ფარავდნენ და პირდაპირ მიუთითებდნენ: „ორი ასეთი დეპუტატის ყოლა სათათბიროში, რომლებიც მუდამ წინააღმდეგნი იქმნებიან და მუდამ ასე სკანდალურად განმარტავენ დეპუტატ გელოვანის ყოველ გამოსვლას, საკუთარ გულზედ ორ შხამიან გველის ყოლას ნიშნავს. ისინი კბენას არასოდეს არ მოიშლიან, მაგრამ საკმაო არ არის გველის შხამი, საჭიროა გველის სიბრძნეც... ეს უკანასკნელი კი მათ არა აქვთ"—ო[140].

იმავე ნომერში „კლდე" აკ. ჩხენკელის „საეროვნო" გამოსვლასაც არ ტოვებდა რეაგირების გარეშე, როცა მას დაწვრილებით მიმოუხილავს (1912 წლის 10 დეკემბერი) „საქართველოს უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა", სადაც დეპუტატის თქმით, აუწერელი ყოფილა „ადმინისტრაციის თვითნებობა... საქართველოს გლეხობა მიწის სივიწროვეს განიცდის... განსაკუთრებული წესები კავკასიაში, ნორმალურ წესებად გადაიქცნენო" და სხვ.

აღსანიშნავია, რომ „კლდეისტები" ობიექტურობის გრძნობას არ ღალატობდნენ და სოც.-დემოკრატების საქმიანობის დადებითი მხარეების წარმოჩენასაც არ ერიდებოდნენ.

აფასებდა რა ერის წინაშე „დასელების" ისტორიულ დამსახურებას შ. ამირეჯიბი („ა—ი") მცირე წერილში „ორი ხანა" წერდა: ამ ოციოდე წლის წინათ, როცა დასელები გამოვიდნენ (გულისხმობს „მესამე დასელთა" გამოსვლას —გ. ს.), მაშინ საქმე გვქონდა მარქსიზმთან, ეკონომიურ თეორიასთან, ეხლა საქმე გვაქვს ეკონომიურ პრაქტიკასთან, მაშინ ირაზმებოდა ჩვენი დემოკრატია, ახლა ირაზმება ჩვენი ბურჟუაზია. ეჭვი არ არის დასელებმა დიდი მონაწილეობა მიიღეს არა მარტო დემოკრატიის

---

138 ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 27 იანვარი, გვ.5.

139 იქვე.

140 იქვე.

იდეოლოგიის შექმნაში, არამედ ბურჟუაზიის გათვითცნობიერებაშიც. დასელებმა, რომლებმაც საშინელი სიმტკიცე და უნარი გამოიჩინეს შემდეგში თეორიაში, იმ თავითვე პრაქტიკული უნარიც გვიჩვენეს. ცხადია, ისინი ჭეშმარიტი სოციალისტები იყვნენ, აღმსარებელნი მარტოოდენ პროლეტარიატის სოციალიზმისა, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ, რომ სოციალიზმი თუ პროლეტარიატის რელიგია არის, იმავე დროს ყველა ღარიბთა ფილოსოფიაც იყო. ცოტა იყო მაშინ პროლეტარიატი ჩვენში, მაგრამ სამაგიეროდ მათ წინ იყო ღარიბი საქართველო, საქრთველო ყოველს უფლებას მოკლებული, ეკონომიურად სრული არარაობა და აი, ასეთ უმწეო ქვეყანაში მათ დაიწყეს ისეთი თეორიის ქადაგება, რომელიც ამბობდა: ეკონომიური განვითარების კანონები ყველგან ერთია, მაშასადამე საქართველოც უნდა გახდეს ოდესმე კაპიტალისტური ქვეყანაო. მომავალი ისტორია ჩვენის ქვეყნისა ოდესმე იტყვის, რომ ასეთ ქადაგებაში პროგრესისა და აღორძინების იდეის გარდა, დიდი პატრიოტიზმიც იდო, რადგან რა არის თუ არ პატრიოტიზმი ღარიბსა და უმწეო ერს ჩაჰბერო სული უკეთესის იმედისა"[141].

და რაკი ქართული ბურჟუაზია უკვე ასპარეზზე ჩანდა, ამდენად „კლდეისტები" არც ფარავდნენ, რომ მათი იდეოლოგიის მქადაგებლები იყვნენ, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ეს კლასი დიდი „სოციალური ენერგიის პატრონი"[142] იყო.

„კლდეისტები" განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ „ქართული საეროვნო პარტიის" — სოც.-ფედერალისტების წარმომადგენლის, დეპუტატ ვ. გელოვანის საქმისადმი; მიაჩნდათ, რომ ისიც ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე და რამდენადმე სოლიდარული იყო სოც.-დემოკრატების პოზიციისადმი.

„გადაათვალიერეთ მთელი მისი სიტყვა და მოქმედება დღიდგან მისი გადეპუტატებისა და რას ნახავთ ცოტათი მაინც რომ მოეცხოს მალამოდ ჩვენს დაწყლულებულ საეროვნო იდეალებს?!"[143]. ბევრს ვერაფერს. მისი პირველი სიტყვის შემდეგ, საქართველოს ავტონომიის საკითხს რომ მიუძღვნა, ყველაფერში მთლიან ან ნაწილობრივ სოლიდარობას უცხადებს სხვა ქართველ დეპუტატებს (ჩხეიძე, ჩხენკელი). ასე იყო ხიზანთა საკითხის განხილვისას, ხოლო 1914 წლის ბიუჯეტის განხილვისას მან მხარი დაუჭირა როგორც სიტყვით, ისე საქმით ჩხეიძის მკვეთრ გამოსვლას, რისთვისაც საქართველოს წარმომადგენლები 15 სხდომიდან იქნენ დათხოვნილნი. „ქართველმა დეპუტატმა ჩხეიძემ, — წერდა „კლდე", — თავისი სოციალისტურ-რესპუბლიკანური სიტყვით აურზაური გა-

---

[141] ურნ. „კლდე", 1914 წლის 16 მარტი, გვ. 2-3.

[142] იქვე.

[143] იქვე, 1914 წლის 25 მაისი, გვ. 5.

მოინვია. ის მისცეს პასუხისგებაში... მის გულისთვის სათათბიროში მოახდინეს ობსტრუქცია. ამ ობსტრუქციის დროს თავი ისახელა მეორე ქართველმა — ჩხენკელმა. ისტორიული საქმე იმანაც ჩაიდინა. მისი იშვიათი სიჯიუტის გამო სათათბიროში პირველად შევიდა „უხეში ძალა", რომელსაც ის დაემორჩილა. ესეც აღინიშნება სათათბიროს ისტორიაში. რასაკვირველია, „ტრუდოვიკი" გელოვანიც არ ჩამოუვარდა მათ და ჩვენი დეპუტატების ასი პროცენტი „თავგანწირული ბრძოლისათვის" 15 სხდომისაგან იქნა დათხოვნილი"[144].

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ IV სახელმწიფო სათათბიროსადმი „კლდის" და „კლდეისტების" დამოკიდებულება კარგადაა გაცხადებული ჟურნალში დასტამბულ შემდეგ სიტყვებში: „დიდი ხანია ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს კანონმდებლობითი შემოქმედება, მისი ეხლანდელი უმრავლესობის წყალობით არაფერს წარმოადგენს".

პროფ. ტრუბეცკოიმ მისი უმწეო მდგომარეობა ასე დაახასიათა: „ჩემს ბავშვობაში სეირნობის დროს ჩვენი მეეტლე კოფოზე დამსვამდა ხოლმე თავისთან და სადავეზე ხელებს მომაკიდინებდა და მეც მიხაროდა, ვითომ მე მივერეკებოდი ცხენებსაო".

მართალია, უსუსურია სათათბიროს როლი რუსეთის ეხლანდელ პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობაში, მაგრამ მიუხედავად ამისთანა უილაჯო მდგომარეობისა, სახელმწიფოს მთელი მონინავე საზოგადოების ყურადღება მაინც მისკენ არის მიპყრობილი, რადგან გონება ჩვენი ვერ შეჰრიგებია საკანომდებლო დანესებულების ფაქტიურ არ ქონას..."[145]

„უსუსური სათათბიროს" საქმიანობის სატირულ ფერებში წარმოდგენა იშვიათი როდი იყო „კლდეისტების" მიერ, რასაც ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული „დაფასებაც" მოჰყვებოდა ხოლმე... 1914 წლის 29 ივნისს ჟურნალი ბეჭდავს „ნაცარას" წერილს სათაურით — „სახელმწიფო სათათბიროს კომედია". იგი პოლიტიკური სატირის მშვენიერი ნიმუშია, რომელსაც აქვე მოვიტან, რათა მკითხველმა თავად გააცნობიეროს მისი ღირსებანი...

„ — როცა სახლს ცეცხლი უკიდია, ფანჯრებს ვინა ზოგავს, — სთქვა ერთმა მინისტრმა. — რუსეთში, ღვთის მადლით, არა გვაქვს კონსტიტუცია, — სთქვა მეორე მინისტრმა. — რუსეთში ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, სთქვა მესამემ.

ფანჯრებთან სახლსაც მოუნგრიეს კედლები და სახურავი. კონსტიტუცია მართლაც არავის უნახავს რუსეთში. ასე იყო, არის და იქნება. მაგრამ მაინც არის გულუბრყვილო ხალხი, რომელსაც ჰგონია, რომ მარტო შუშები დაიმტვრა.

---

144 ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 25 მაისი, გვ. 5.

145 იქვე,

ასტყდა აყალ-მაყალი... რაზედ? ჩხეიძე პასუხის გებაში მისცეს! კადეტებმა ბიუჯეტის დამტკიცება... იუარეს მორცხვად! განა რა მოხდა არაჩვეულებრივი? პირველმა მინისტრმა მთელი სათათბირო დაითხოვა და თავისი კანონი გაიყვანა დასავლეთ გუბერნიებში.

მეორე ყურსაც არ იბერტყავდა „სალაყბოს" ნალაპარაკევზედ (Parlament — სალაყბო. ავტ. შენიშვნა). მესამემ დაცინვით უთხრა ლენის აწიოკების შემდეგ: ასე იყო, არის და იქნება.

დღეს კი უკვირთ, რომ ჩხეიძე სამართალში მისცეს, 20 დეპუტატი დაითხოვეს. რა არის აქ გასაკვირველი? მე მიკვირს, რატომ სულ არ დაითხოვეს ის „სალაყბო", რომელიც მხოლოდ ლაყბობაში იმოდენა სახაზინო ფულსა ხარჯავს, როდესაც ეს ფული შეიძლება მოხმარებოდა საზღვრების დაცვას, მოხმარდებოდა უფრო მძიმე ტყვია-ნამალს, ვიდრე მსუბუქი სიტყვაა, უფრო მჭრელ ხიშტებს, ვიდრე ჩხეიძის, როდიჩევის ან მილიუკოვის „რეჩებია", ან გელოვანის მჭერმეტყველური დუმილი... ავტონომიაზედ... ისეთი დუმილი, როგორც... თამამი ბავშვები რომ დაიბადებიან, ლაპარაკს იწყებენ, მაგრამ პირველსავე ავადმყოფობაზე, ენა ჩაუვარდათ და დიდხას, დიდხანს... როდეს აქეთია, ღმერთო? ჰო, პირველ იანვარს აქეთია, ხმას ველარ ამოიღებენ... ჰო, რას ვამბობდი? რამ ააღელვა ხალხი, რამ შეანუხა? პირიქით, უნდა უხაროდეს, რომ ბიუროკრატიამ ერთხელ სიმართლის თქმა მოინდომა და თვალთმაქცობას თავი დაანება: აქამდის ამბობდა: ღვთის მადლით არა გვაქვს კონსტიტუციაო და თან საზღვარგარეთელ სტუმრებს „დუმაზედ" უჩვენებდა S'il vous plait, voila notze constitution და ლაქუცით ეღიმებოდა: ფულს ხომ არ გვიბოძებთ ზარბაზნებისთვისო.

დღეს კი ნიღაბი აიხადა და იმ დუმას, რომელსაც ჩამოათალა, რაც კი ჩამოეთლებოდა და ხოხოზიკები შეიწვა, — გამოუცხადა: Не сует свое суждение имет! და ჩხეიძე სამართალში მისცა. რა არის აქ გასაკვირველი? თითქო ახალი ამბავი იყოს. თითქო ახალი ხილია, რომ ჩხეიძეებს სამართალში აძლევენ, თითქო ამისთანები გვენახოს ამ ხნის განმავლობაში. —ასე იყო, არის და იქნება. — რუსეთში, ღვთის მადლით, არა გვაქვს კონსტიტუცია"[146].

აღსანიშნავია რომ სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობის პერიპეტიათა ასე ფართო წარმოჩენისათვის ჟურნალ „კლდის" რედაქტორის დამსახურება სათანადოდ „დაუფასებია" ხელისუფლებას. ჟურნალის 29 ივნისის სარედაქციო ქრონიკაში ნათქვამია: „ჟურნალ „კლდის" 18-ში მოთავსებული წერილისა „სახელმწიფო სათათბიროს კომედია" და 19-ში დაბეჭდილ წერილისათვის „საშინელი უბედურება" (ტირიფონის შესახებ), /უნდა იყოს არა „საშინელი", არამედ „ახალი უბედურება" — გ.ს./, რედაქტორი

---

[146] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 4 მაისი, გვ. 6.

პასუხისგებაშია მიცემული 1034 და 152 მუხლების ძალით. პირი საბრალმდებლო ოქმისა უკვე ჩაბარდა მას 27-ს თიბათვეს". საასამართლო პროცესზე წარმოთქმული თვიდაცვითი სიტყვის ეფექტურობის მეოხებით რედაქტორი რ. გაბაშვილი ციხეში დიდი ხნით ჯდომას გადაურჩა და მხოლოდ დაჯარიმება აკმარეს...

ასეთი იყო „კლდის"დამოკიდებულება საქართველოში რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისადმი და იქ წარგზავნილ ქართველ დეპუტატთა საქმიანობისადმი. ყოველივე ამან მნიშვნელოვან წილად განაპირობა ქართული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბება დემოკრატიის გამოვლენის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტისადმი, როგორც პარლამენტარიზმია. მითუმეტეს ისეთ რეაქციულ ქვეყანაში, როგორც რუსეთის თვითმპყრობელური იმპერია იყო. რაც შეეხებათ „კლდეისტებს", მათ თავიანთი ჟურნალის ფურცლებზე მეტის თქმა ვერ მოასწრეს, ვინაიდან 1915 წლის მაისში მისი გამოცემა შეწყდა და „კლდის" ნაცვლად ქართველმა მკითხველმა იმავე მიმართულების ყოველდღიური გაზეთი „საქართველო" მიიღო, რომელმაც სათათბიროს საქმიანობისადმი დამოკიდებულებას სისტემატური ხასიათი მისცა. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, ანუ თვითმპყრობელობის დამხობამდე, სათათბიროში მოღვაწე ქართველი სოციალდემოკრატი დეპუტატების აკაკი ჩხენკელისა და კარლო ჩხეიძის გამოსვლებში უფრო მეტი ყურადღების დათმობა გამოსჭვივის ეროვნული საკითხისადმი...

# გამოჩენილ მამულიშვილთა წარმომაჩინებელი

ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზე სათანადო ადგილი უკავია ერის უკვდავი შვილების ნაღვაწ-ნაამაგართა წარმოჩენას, მათი ამაგის დაფასებისათვის ზრუნვას. რედაქციას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა როლის შესრულება შეეძლო ასეთ მასალებს ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. მითუმეტეს ისეთ ერს, რომელსაც მსოფლიო ცივილიზაციის ხმის გამწვდომი გენიოსები ჰყავდა... ერთ-ერთი მათგანი ხომ დიდი რუსთაველი და მისი ხელთუქმნელი ძეგლი — „ვეფხისტყაოსანია“?! რომელიც საუკუნეების მანძილზე მუდამ ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. აკი ამაზე ამახვილებდა ყურადღებას სიმონ ქვარიანი „კლდის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ნერილში — „შოთა რუსთაველი“.

ავტორის აზრით, მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ სამი მწერლის ნაწარმოებს დაუდვია ბინა ერის გულში: ჰომეროსის „ილიადას“, ფირდოუსის „შაჰნამეს“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. რომ ქართველ ერს „თავისი ტრაღიზმით სავსე ისტორიაში“, „მზიან დღეებზე“ მეტი საშინელი წყვდიადით მოცული წლები და საუკუნეები ახსოვდა: „ქართველი ერის თვალწინ დაიმსხვრნენ და გაჰქრნენ უზარმაზარი იმპერიები და სამეფონი...“, ის კი — ქართველთა სამშობლო — საქართველო, ცოცხალია და ყოველთვის ბრნყინვალე მომავლის მოლოდინშია... „ტანჯვისა და სიბნელის გრძელი საუკუნეების მანძილზე მის სხეულს ამსხვრევდა და აჩანაგებდა ულმობელ მტარვალთა უხეში ძალა, ანგრევდა მის სულიერ ერთობას და ტერიტორიულ მთლიანობას“, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი განადგურება... რატომ? იმიტომ, რომ ამ შავბნელ საუკუნეებში „მისი გამამხნევებელი რამ იყო: წმ. ნინოს ჯვარი და შოთას „ვეფხისტყაოსანი“. პირველი სიმბოლო სარწმუნოებისა, მეორე კი სიმბოლო ეროვნობისა...“[147].

სწორედ ისინი აერთებდა ქართველურ ტომებს: ქართლელსა და კახელს, იმერსა და მეგრელს, სვანსა და აფხაზს, თუშსა და ინგილოს, მესხსა და გურულს“, რომ ენა, სარწმუნოება და „ვეფხისტყაოსანი“ იყო მათი შემკვრელ-შემდუღაბებელი.

სწორედ ამ დიდი ღვაწლის დასაფასებლად და დიდი რუსთაველის სახელის უკვდავსაყოფად ფართოდ უნდა აღნიშნულიყო პოეტის დაბადების 700 წლისთავი. გამართულიყო ლექციები და მოხსენებები, შექმნილიყო რუსთაველის ფონდი, დადგმულიყო შო-

---

[147] ჟურნ. „კლდე“, 1913 წლის 14 იელისი, გვ. 6.

თას ძეგლები თბილისში, ქუთაისში, მესხეთში — სოფელ რუსთავში. ამ ეროვნული საქმის ორგანიზებაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა კულტურულ დაწესებულებას, ანუ სრულიად საქართველოს... წერილის დასასრულს სიმონ ქვარიანი ქართველ ერს მოუწოდებდა: „დრო არის, ბატონებო, შესაფერისად დავაფასოთ ის ღვთაებრივი ქართველი, რომელმაც მოგვცა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი!" დრო არის შესაფერისი ძეგლი ავუგოთ იმ დიდებულ სულმნათს, რომლის გენიის წინაშე ქედს იხრის განათლებული კაცობრიობა!"[148]

რედაქციას, რომელსაც დიდი ილიას მიერ დასახული გზის გამგრძელებლად მიაჩნდა თავი, მისი იდეებით ხალხის დამოძღვრა ესახებოდა უპირველეს მიზნად. „კლდეისტები" არასდროს წასულან კომპრომისზე და მუდამ მტკიცედ იდგნენ ილიას სახელისა და საქმეების დაცვის სადარაჯოზე. არავის პატიობდნენ ერის „უგვირგვინო მეფის" სახელის აუგად ხსენებას. ამ ბრძოლაში მეწინავეობას არავის უთმობდა „კლდის" რედაქტორი რ. გაბაშვილი.

მისი აზრით, ილია ჭავჭავაძე „მამათ მთავარი იყო იმ ეროვნული თვითშეგნებისა, რომლითაც შეგვაყვარა სამშობლო უზენაესის სიყვარულით, მან დაგვისურათა და მოგვაგონა დიდებული წარსული, მან აგვიწერა ჩვენი ბუნების სიდიადე... მან და მისმა თანამოძმეთ განანათლეს ჩვენი ქვეყანა ჰუმანურის, მეცნიერულის მისწრაფებით, მათ შეგვაერთეს ურთიერთი ერთის გრძნობით და ღვანლი მათი წარუშლელია".

„კლდეისტები" განსაკუთრებული დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატების მიმართ, რომლებიც ბედავდნენ და დროდა დრო ლაფსა და ტალახს ესროდნენ ილიას სახელს. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩეოდა მენშევიკური პრესის ერთ-ერთი კალამ-ნაყოფიერი თანამშრომელი პეტრე გელეიშვილი (ყარიბი).

ვინ იყო პეტრე გელეიშვილი და მისი მსგავსი „სულით ღატაკი ადამიანები, რომელთაც ილია მოჰკლეს და მაინც არ ისვენებდნენ და ჩვენი ეროვნულ სიამაყის, მასტადონტის საფლავსაც დაჰყეფდნენ და ათასგვარ ჭორსა და ცილისწამებას ავრცელებდნენ მის მიმართ"[149].

იმ დღეებში ასეთი ღვარძლიანი და ცილისმწამებლური ლექციით გამოსულა პ. გელეიშვილი ქუთაისის საზოგადოების წინაშე და აუდიტორიისაგან სტვენა, ბოლოკისა და კვერცხების სროლა დაუმსახურებია... „კლდე" თავის მხრივ ყურადღების გარეშე არ ტოვებდა ამ ფაქტს და აღშფოთებით წერდა: „როცა ჯალათი კაცს დაჰკლავს, ან ჩამოაღრჩობს, მერე მიწას მიაყრის და... მოისვენებს, ან სინანულით იქნება პირჯვარიც გადაიწეროს... თქვენ, თქვენ კი

---

[148] ჟურნ. „კლდე" 1915 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 5.

[149] იქვე, 1914 წლის 4 მაისი, გვ. 3.

გელეიშვილებო და მახარაძენო რა გინდათ კიდევ, რა? გინდათ ხალხს ჩაუნერგოთ სიძულვილი და უკუნითი-უკუნისამდე ანათემა ათქმევინოთ? სადამდე მივა თქვენი სიმდაბლე და ღვარძლიანობა?.. მოასვენეთ დიდებული ქართველი თქვენი ბილწი ენისაგან, თქვენი ლექციებისაგან"[150].

„ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე", ასეა დასათაურებული „რ. გ."-ს (რ. გაბაშვილის) წერილი, რომელსაც ეპიგრაფად ჰომეროსის „ილიადიდან!" მოტანილი სიტყვები აქვს წამძღვარებული: „სახელოვანი არ გვყავს პატროკლე, საზიზღარი კი ტერსიტი, მინაზედ დაიარება". საკმარისია ეს სიტყვები გავაცნობიეროთ და მივხვდებით თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ავტორს ამ ორი პიროვნებისადმი.

წერილი იმდენად საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ მთლიანად მოგვყავს იგი, რათა დღევანდელ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს თავისი თვალით წაიკითხოს და ამასთან წარმოადგინოს ის პოზიცია, რომელიც ეროვნულ-დემოკრატებს ეჭირათ სოც.-დემოკრატების, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა მიმართ...

„ფილიპე მახარაძეს და მის ზნედაცემულ კომპანიას კიდევ ერთხელ მოუსურვებიათ გამომზეურება თავისი ბილწი გულისა და ახლა მიუმართავთ ორიგინალურ საშუალებისათვის — შეცდომაში შეჰყავთ გულუბრყვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც ბრმად აჰყვება ხოლმე თავის გალაღებულ ბელადებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია, ს.-დემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ გადაქცეული ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც სიმართლით ვერას ხდებიან; მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მოკლული მგოსანი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ფ. მახარაძისთანა ხალხის უვიცობას — დღესაც არ პოულობდეს მოსვენებას საფლავში.

ჯერ იმ შავ დროს, როდესაც მთელი ერი აღშფოთებული იყო, უმაგალითო, უმზგავს მკვლელობით, როდესაც მთელ საქართველოს ბინდი გადაეკრა და გული დათუთქული ჰქონდა — გონება ვერ ურიგდებოდა იმ შემზარავ გარემოებას, რომ მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, ჯგუფები, რომლებიც ამართლებდნენ, ან უსიტყვოდ ურიგდებოდნენ ამ მკვლელობას. ჯერ მაშინვე გაისმოდა ხმები, რომ ეს პარტიული მკვლელობა იყო, მაგრამ არც ერთ შეგნებულ ადამიანს არ სჯეროდა ასეთი უხამსი ბრალდება მთელი პარტიისა და მაშინვე ცხადი იყო მხოლოდ, რომ შეუგნებელი ნაწილი ამ პარტიისა, ერთი ჯგუფი მისი, იზიარებდა ამ მკვლელობის ბრალსა. ეს ისეთი მეხის დატეხა იყო მაშინ, რომ შესაძლებელია, რომ ბევრმა გადააჭრბა კიდეც თავის სიფიცხეში; მაგრამ როდესაც დღეს, შვიდი

---

[150] ჟურნ. „ალდე" 1914 წლის 4 მაისი, გვ. 3.

ნლის შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმავე ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როდესაც თითქოს დღესაც ამართლებენ ამ საზიზღარ მკვლელობას — ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ შემქმნელნი და დამბადებელნი — ილიას მკვლელობის იდეისა სწორედ ს.-დ. იყვნენ.

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც კერძო საკუთრების პრინციპის მომხრე და მემამულე, დაიცავდა თავის მამულს, გაუმკლავდებოდა იმ აზრის გამარჯვებას, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად დაუმტკიცებია, რომ მას ამ თავდაცვაში რაიმე სისასტიკე ჩაედინოს ან გლეხების დარბევა მოეწადინებინოს. ცილისწამება სწორედ იმაში არის და ფ. მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია (გულისხმობს ჟურნ. „მოგზაურში" დაბეჭდილს... — გ. ს.), საცა მას *ავაზაკად* გამოჰყავდა *იდეური* დამცველი კერძო საკუთრებისა, — სწორედ ის სტიმული იყო, რომელმაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებოვან ადამიანთ ხშირად დიდი ნაკლიცა აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამც თუ ისეთივე უაზრო, მხეცური საქციელია, როგორც ყოველი უბრალო ადამიანისა, არამედ ერთი-ათად მეტი.

ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მონინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმენისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, — და რა იყო თუ არა სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო, არ იყო გამოწვეული აღშფოთებით, ან პირადი ჯავრით, — არა, ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი, რაში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროშად ფასობდა, როცა კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა, სოციალისტურ წრეებში, გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისთვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღედ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და „პოლიტიკური" ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მონინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებული" გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა, გარეშე წრეებიდან გამოსულნი და მათი იდეური სულის ჩამდგმელი ფ. მახარაძე იყო.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ფ. მახარაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რადგან იმდენი ჭკუა თუ ჰქონდა მაშინ, რომ შეუგნე-

ბელ ბრბოს ხელმძღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულ ბრალდებას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, განა ეხლანდელი მისი და მის ამხანაგთა განგაში, ეხლანდელი განმეორება ცილისწამებისა, არ ამტკიცებს იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ ილია სამართლიანად მოჰკლეს, მის მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა ის ჭკუასა და აზრს მოკლებული პროტესტები, რომელსაც აწერინებენ ვიღაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტკიცებენ, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? განა ისინი, ვინც მკვდარს არ ასვენებენ საფლავში, შესდგებოდნენ იმის მადლით მოსილ ნიჭის წინაშე და იტყოდნენ: შენ, მართალია, ადამიანური ნაკლი გაქვს, მაგრამ მაინც პატივსა გცემთ, როგორც ღირსეულს?

არა, ისინი დღესაც გაუგმირავდნენ მას გულსა, რადგან ფანატიკური შემეცნება, რომელიც მით უმეტესად იპყრობს ადამიანს, რაც უფრო დაბალ საფეხურზედა სდგას იგი განვითარებისა და შეგნებისა, — დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალებას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევად. და როდესაც ნამდვილი, ევროპული დემოკრატია მუხლს მოიდრეკდა დიდი მგოსნის წინაშე და ეტყოდა: მირონცხებულო, ნაკლნი შენნი ჰქრებიან შენის შარავანდედის ბრწყინვალებაში, ჩვენებური შეუგნებელი, გაბოროტებული და მარტო შურით აღჭურვილი „მუშათა პარტია" (აფსუს სახელო) ეუბნება მუშას: ნვრიმალი მიზნისთვისაც კი არ დაინდო დიდებული ადამიანი. ეგრეც უნდა იყვეს: იდეა სამუშაო იარაღსა ჰგავს — ჭკვიანის ხელში ჰხმარდება სასარგებლო საქმეს და ბრიყვნი ხელფეხს წარიკვეთენ, ან სხვას დაასახიჩრებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმობას და ზიზღსა იმ პირებისადმი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის წმინდა სახელსაც არ ინდობენ და თავიანთ პოლიტიკური მლიქვნელობის იარაღად ჰქმნიან"[151].

„კლდე" სწორად აცნობიერებდა: „როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ თქვენ მოჰკალით ილია, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მახარაძემ, გელეიშვილმა ან ვინმემ სხვამ თავისი ხელით მოჰკლა, არამედ *იმათ შეჰქმნეს ისეთი ატმოსფერო და იმისთანა დროს, როცა ეს მკვლელობა აუცილებელი თუ არა, შესაძლებელი გახდა"* (ხაზგასმა ჟურნალისა — გ. ს.).

„კლდე" დიდი პატივისცემით და ყურადღებით ეკიდებოდა აკაკის, როგორც შემოქმედების, ისე მისი სახელისა და ღირსების წარმოჩენას. აქ ყველაფერზე დაწვრილებით არ შევჩერდებით, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდზე,

---

[151] ჟურნ „კლდე", 1913 წლის 28 ივლისი, გვ. 3-4.

რომლებიც უფრო ნათელს მოჰფენენ „კლდეისტების“ დამოკიდებულებას „საქართველოს ბულბულისადმი“.

...საინტერესო ფაქტია, რომ აკაკი მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, როგორც დეპუტატობის კანდიდატი... თუმცა ეს იმდენად პირადი სურვილი არ იყო, რამდენადაც ანგარიშის განევა მის პატივისმცემელთა დიდი ჯგუფის თხოვნისათვის... მაგრამ მისმა მოწინააღმდეგეებმა (სოციალ-ფედერალისტებმა) მოახერხეს და აკაკი დაამარცხეს... რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნოდ არ დარჩებოდა 70 წელს გადაცილებულ მგოსანს, მითუმეტეს მაშინ, როცა თავის სიხარულს ვერ მალავდნენ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები და მათი ბეჭდური ორგანოები.

ფარსმან-ფარუხი (შალვა ამირეჯიბი) „კლდეში“ დასტამბულ ერთ-ერთ ნერილში, ქართველ ამომრჩეველთა უმწიფარობაზე მიუთითებს, რომლებმაც ვერ გაითვალისწინეს, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა აკაკის არჩევას და მის გამოსვლებს სათათბიროში ერის ინტერესების დასაცავად... „წარსულ არჩევნებში აკაკი წერეთელი გააშავეს. მე რომ მკითხოთ, ყველაზე დიდი სიურპრიზი არჩევნებისა ის იყო, რომ სოლოლაკის ბურჟუაზიამ სოციალ-დემოკრატი ჩხეიძე აირჩია დეპუტატად, მაგრამ, რაკი არიან ისეთები, რომლებიც ამ სიურპრიზზედ უდიდეს სიურპრიზად აკაკის გაშავებას სთვლიან, — ჩვენც ამაზედ ვილაპარაკებთ. თავის თავად ეს ფაქტი კურიოზია. ამ დამარცხებით და გაშავებით არც ჭეშმარიტება შელახულა, არამც თვით აკაკი წერეთელი. ეს თუ გნებავთ, ერთგვარი ეფექტია! ეფექტი, როცა კოზირი ხალხს მოუვიდა და კოზირმა სხვა მასტის ხელმწიფე მოკლა!“[152] პუბლიცისტს მიაჩნდა, რომ აკაკისადმი მხარდაჭერის სინანულის გამოთქმა მხოლოდ ქვენა მისწრაფებათა გამომხატველი დემაგოგია იყო.

1915 წლის იანვარში ქართველ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს: თავის მშობლიურ სოფელ სხვიტორში, გარდაიცვალა აკაკი წერეთელი. მისი გადმოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა უდიდეს დემონსტრაციად იქცა არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ აქ მაცხოვრებელი სხვადასხვა ერებისთვისაც. იმ დღეებში არ დარჩენილა არც ერთი პერიოდული ორგანო, როგორც კავკასიაში, ისე იმპერიის მასშტაბით, რომ ჩვენი ხალხის მწუხარება არ გაეზიარებია და სამძიმართან ერთად აკაკის შემოქმედების საკაცობრიო ღირებულებაზე არ გაემახვილებია ყურადღება... სამგლოვიარო დღეებში, განსაკუთრებით კი მისი დასაფლავების დღეს — 8 თებერვალს, მრავალმა ადამიანმა მგოსნის კუბოსთან გამოსვლისას დააფიქსირა, როგორც თავისი, ისე ამა თუ იმ

---

[152] ჟურნ. „კლდე“, 1912 ნლის 4 ნოემბერი, გვ. 7-8.

პარტიის თუ დანესებულების დამოკიდებულება აკაკის პიროვნებისადმი... მრავალთა შორის, ერთერთი მშვენიერი იყო აზებაიჯანელი ხალხის თვალსაჩინო წარმომადგენლის — ალი-მარდან-ბეგ-თოფჩიბაშის გამოსვლა... ჟურნალმა „კლდემ“ და „კლდეისტებმა“ იმ მრავალ გამოსვლათა შორის, სწორედ თოფჩიბაშის სიტყვა შეარჩიეს და მთლიანად დასტამბეს იგი. ამ გულწრფელ სიტყვაში იმდენი სითბო და სიყვარული, არაერთმორწმუნე მეზობლის გულისთქმაა გადმოცემული, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ გამოსვლიდან ვრცელი ამონაწერი მივაწოდო დღევანდელ მკითხველს, მითუმეტეს მასზე ჯერჯერობით ყურადღება არავის შეუჩერებია. ოთხიათეული წლის ნინათ წარმოთქმულ ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი აქტუალური ჟღერადობა...

„მეზობელო ქართველებო! ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნანილში მცხოვრები მაჰმადიანები, თავიანთი კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო დანესებულებათა სახით, ბაქოდან, განჯიდან, თბილისიდან, ერევნიდან თუ სხვა ქალაქებიდან, უღრმესი თანაგრძნობით იზიარებენ ჭაღარა მეზობელ საქართველოს ეროვნულ მწუხარებას, რომელიც დიდი მეფანდურის აკაკის დაკარგვამ გამოიწვია მასში!

როგორც მთელი ქართველი ერი სწუხს და ჰგოდებს თავის საუკეთესო იდეალების მატარებლის დაკარგვის გამო, ისე მაჰმადიანებმა, გაიგეს თუ არა მგოსნის გარდაცვალების ამბავი, იგრძნეს, რომ 26 იანვარს დასავლეთ ამიერკავკასიაში მოხდა რაღაც საშინელი რამ...

ასეთ შემთხვევაში მეგობრული ხელის გაწოდება, თუნდა მცირეოდენი სანუგეშო სიტყვაც კი, მწუხარებაში თანაგრძნობა და მონაწილეობა უწმინდესი მოვალეობაა ჩვენი, რასაც გვიკარნახებს ჩვენი ურთიერთისადმი კეთილი მეზობლობა და სიყვარული.

ჩვენ ვამაყობთ და დიდად ვაფასებთ კიდეც ამ დამოკიდებულებას, ვინაიდან ჩვენ, მაჰმადიანებმა, კარგად გავიგეთ და ვუწყით კიდეც, რომ მეზობელ ქართველებში ჩვენ საქმე გვაქვს რაინდ და კეთილშობილ ხალხთან, რომლის სამარადისო დევიზი იყო: „იცოცხლე და მიეც სხვასაც სიცოცხლის უფლება!“

ეს უდიდესი და ბრძნული სანყისი მთელი საკაცობრიო ცხოვრებისა, რომელსაც გულწრფელად ეწევიან ქართველები, ჩვენში, მაჰმადიანთა შორის იწვევს გულწრფელ თანაგრძნობას და კეთილგანწყობილებას მომავალ თაობათა საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

ყველასათვის ძვირფას დიდებულ ქართველის კუბოსთან მინდა დავამოწმო, რომ ძალზედ გულწრფელია და სპეტაკი ეს ჩვენი გრძნობა, მწამს, რომ ამით განიხარებს თვით მგოსნის სიტყვაც... განა ეს შენ არ ხარ ბრძენო წინასწარმეტყველო, რომელიც ტკბილ

საგალობელთა დამღერებით ადასტურებდი შენი სამშობლოს აღორძინებას და მოუნოდებდი ყველა ხალხს თანხმობისა, სიყვარულისა და ერთობისაკენ! „ხან ცის, ხან მიწის ანარეკლი" შენ, მგრძნობიერი, ჯადოსნურ სულით განჭვრეტდი შენი საყვარელი სამშობლოს ბედნიერებას, მშვიდობის დღესასწაულს და ერთა გაერთიანების სხივოსნობას! დაე, ამიერიდან ამ უკანასკნელთა შორის იფრინოს შენმა შარავანდედით მოსილმა სახემ, რათა მარადჟამს მოაგონოს მათ ის დიდებული იდეები, რასაც შენ მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჰქადაგებდი, ერთა შორის სიყვარულისა და თანხმობის განსამტკიცებლად! შენ იყავ ჭეშმარიტი მოციქული ამ საუკუნის იდეებისა, რომლებიც ძვირფასი კავკასიის გაფურჩქვნის თავდებად ჩაითვლება! შენ, დაუვიწყარო მგოსანო, უკვდავ ჰყავ შენი ქართველი ერი, რომელმაც საკმარისია ახსენოს შენი სახელი, რომ მთელ ქვეყანას დაუმტკიცოს, რომ ისიც ღირსია კულტუროსან და განათლებულ ქვეყნის სახელწოდებისა!

მძიმეა საქართველოს დანაკლისი, მაგრამ დაე, ინუგეშონ ჩვენმა კეთილშობილმა მეზობლებმა, რომ დიდებულ ქართველის მიერ სამშობლოს ნიადაგზე მხატვრულ-შემოქმედებით დაბნეული თესლი, მთელ კავკასიაში აღმოაცენს აცისკროვნებულ ნაყოფს, რომლის ნათელი მოჰფენს სიყვარულს და თავისუფლებას ესოდენ მწყურვალ ერებს...

და აი, ამ განშორების ჟამს, როდესაც დიდებულ ნეშტს სამუდამოდ უნდა გამოვემშვიდობოთ, ფიცი დავდოთ, რომ მტკიცედ დავიცავთ და შევასრულებთ მის აღთქმებს, რათა უდანაშაულო ხალხთა სისხლი უბრალოდ აღარ დაიღვაროს, არ განადგურდეს ნაჭირნახულევი ველ-მინდორი და სარჩო-საბადებელი, აღარ გადაიბუგოს სახლები და სოფელ-ქალაქები...

დაე, მგოსნის სანუკვარი ფიქრები და ზრახვები სასურველად გაიფურჩქნოს, რათა უკუნითი უკუნისამდე განმტკიცებულ იქნეს მის მიერ შექმნილი ხელთუქმნელი ძეგლი, რომლის გარშემო არასოდეს არ ნაიშლება კვალი მადლიერ კავკასიის ერებისა"[153].

ნიკო ნიკოლაძე ჟურნალ „კლდის" და „კლდეისტების" ერთ-ერთი მოძღვართ-მოძღვარი გახლდათ. ჟურნალის მიმართულებას სრულად შეეფერებოდა დიდი მამულიშვილის მოსაზრებები საქართველოს შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ნაციონალური განვითარების სფეროებში... ნიკო ნიკოლაძე ხომ ის პიროვნება იყო, რომელიც „თერგდალეულთა" ბანაკიდან გამოსულ გიორგი წერეთელთან ერთად სათავეში ჩაუდგა ე.წ. „მეორე დასს" და კაპიტალისტური გზით საქართველოს განვითარების პრიორიტეტი აღიარა... იგი არა მარტო თავისი უბრწყინვალესი პუბლი-

---

[153] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 15 თებერვალი, გვ. 6.

ცისტიკით, არამედ პრაქტიკულ-ორგანიზატორული საქმიანობით თვალნათლივ უმტკიცებდა ყველას, რომ ერის, ნაციის ეკონომიური სიძლიერით შეიძლებოდა განპირობებული ყოფილიყო მისი სიცოცხლისუნარიანობა. ეკონომიკაში მტკიცედ იცავდა კერძომესაკუთრულ პრინციპს,აღიარებდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების პრიმატს, ხოლო პოლიტიკაში რუსეთთან, მის პროგრესულ ძალებთან კავშირს, რუსეთის მფარველობის ქვეშ, საკუთარი ეროვნული ავტონომიის განმტკიცებას თვლიდა გამართლებულად... / აქედანაც შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა საყრდენ ბურჯს წარმოადგენდა იგი სამშობლოს ბედ-იღბალზე დაფიქრებული ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების ახალგაზრდა მამულიშვილებისათვის, რომლებიც სწორედ დიდი წინამორბედების მოსაზრებათა სინთეზში სახავდნენ სამოქმედო პროგრამას...

ყველაზე რელიეფურად ნიკო ნიკოლაძისადმი „კლდეისტთა" დამოკიდებულება 1913 წლის ნოემბერში თავიანთ ჟურნალში მისი წერილის „მამაშვილური რჩევის" გამოქვეყნებით აისახება. უფრო ზუსტად კი რედაქციის მინაწერში, რომელშიც ნათქვამია: „ეს წერილი მოგვივიდა ბ-ნ ნ. ნიკოლაძისაგან. როგორც თვითონ პატივცემული ავტორიც კერძო წერილში გვეუბნება — „ამ ეხლანდელ დროისთვის, ამ ხანის მდგომარეობისათვის, მას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ეხლა ჩვენს ერს სულ სხვა საქმე, საჭიროება და მოქმედება უდევს წინ: ყოველ ახალ მდგომარეობას ახალი ტაქტიკა შეეფერება"-ო, მაგრამ რედაქცია მაინც ბეჭდავდა მას, როგორც ძვირფას ისტორიულ მასალას, რომელიც აჩვენებდა „მომავალ გამომძეველს ჩვენის წარსულისას, თუ გადამწყვეტ მომენტებში პოლიტიკური ცხოვრების ბრუნვისა, რომელი მოაზრე რას ფიქრობდა და ქადაგებდა ჩვენში, რა გზას უჩვენებდა ჩვენს ერს და მწერლობას"[154].

ჩვენთვის კი, როგორც ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, „მომავალ გამომძეველთათვის", მისი ეს წერილი, მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ღირებულებას იძენს, სადაც გაბმით გადმოცემულია თითქმის 40-წლიანი საქმიანობა იმ მიმართულებისა, რომელსაც იგი მოთავეობდა...

ნ. ნიკოლაძეს ეს წერილი დაუწერია და გაუგზავნია სოც.-ფედერალისტების გაზეთის „ცნობის ფურცლის" რედაქტორის ალ. ჯაბადარისათვის, მისდამირწმუნებულ ორგანოს ფურცლებზე ბ-ნ სიტყვას (ს. ფირცხალავას) მიერ გამოქვეყნებული განმაქიქებელ წერილის პასუხად...

---

[154] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 15 ნოემბერი.

ბ. სიტყვა კი ძველ მოღვაწეებს აბრალებდა „არამც თუ არაფერს ამბობენ და გაჩუმებულან მკვდრებივით, მალავენ და მარხავენ იმას, რაც უთქვამთ და გაუკეთებიათ წინადო".

აღსანიშნავია, რომ „ცნობის ფურცლის" თანამშრომელი „ძველ მოღვაწეებში" გულისხმობდა, — ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს და სხვ.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ბრძენსა და გამოცდილ პოლემისტს შეეფერება, თანმიმდევრულად აქარწყლებს თავისი შედარებით ახალგაზრდა ოპონენტის მოსაზრებებს და სწორედ რომ მამაშვილური თავდაჭერილობით (ღირსებით, ტონით) მას და მის რედაქტორს შეახსენებს იმას, თუ რა და როგორ უკეთებიათ მის წინამორბედებს ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ...

„სიტყვას" (ს. ფირცხალავას) გამონათქვამი: „ძველები არაფერს ამბობენ, მკვდრებივით გაჩუმებულანო"— ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნია ახალგაზრდულ თავშეუკავებლობად, ვინაიდან „მის ბედნიერ ასაკში კაცს, მოქმედებად, დედამინის ღერძად, ზეცის ბოძად მარტო ის საქმე მიაჩნია, რომელსაც თვითონ ემსახურება". სხვათა ნაკეთებსა და ნაღვაწს, ან ალმაცერად უყურებენ, ანდა საერთოდ ივიწყებენ... ნ. ნიკოლაძის ირონიული შენიშვნით „მოღვაწე, მათი აზრით, მარტო ისაა, ვინც „სტატიებს" სწერს სხვის დედანზე, ან ძველ ლექსს გრეხს ახალ კილოზე. სხვა ყველა, მკვდარიცა და გადამდგარიც, ღმერთს მადლობა შესწირე, თუ მოღალატეც არ დაგარქვეს, ან სხვა რამ უარესი, რაც ატაცებულ ყმაწვილს ენაზე მოადგება. ბედნიერ ასაკს ასე სჩვევია. *მაგრამ ვაი იმ ერს, ვის მწერლობაშიც ამ განვითარების პირები კანონსა სდებენ"-ო*[155].

ნ. ნიკოლაძე გულწრფელად ერთგულია იმ პრინციპისა, რომელიც ქართველ ხალხს შესანიშნავად აქვს გაცხადებული ბრძნულ აფორიზმში: „ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ ჰჯობდეს მამასა" და რომ „ძველ მოღვაწეებს ეს გულმხურვალედ და გულწრფელად სურთ"...

„სიტყვასა" და მის თანამოაზრეთა უმადურობას ნ. ნიკოლაძე იმაში ხედავდა, რომ ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად აგდებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ ნამდვილი მოღვაწეების მიმართ და ახალგაზრდული ამჩატების გამო ავინყდებოდათ, რომ „ნამდვილი მოღვაწე როდი კვდება ხოლმე".

ახალთაობის მოღვაწეთათვის საქილიკო და დასაწუნი „ძველების" საქციელში ის ყოფილა, რომ თავიანთი აზრი გამოუთქვამთ რევოლუციასთან დაკავშირებით და იმის შესახებაც, თუ რაოდენ სასარგებლო ან, საზიანო იქნებოდა იგი ჩვენისთანა პატარა ერისათვის.

---

[155] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 17 გიორგობისთვე, გვ. 4.

„დღეს ისეთი დროა, — წერდა ნ. ნიკოლაძე მათ გასაგონად, — რომელიც საუკუნეში ერთხელ დგება ხოლმე. მიწა იძრა, ძველი გზა და შენობა დაიქცა და ახალი ჯერ არავისთვისა ჩანს. ამ უცნაურ მდგომარეობაში საზოგადო მოღვაწეებს მძიმე მოვალეობა და პასუხისგება აწევს ერისა და შთამომავლობის წინ: ხალხს უნდა გამოუძებნოს მტკიცე, უტყუარი გზა შველისა და წარმატებისა. დროშა უნდა აღმართონ დაფანტული ხალხის შესაკრებად, ხიფათის ასაცილებლად და უმჯობესი მომავლისაკენ წასამართავად"[156].

ამის მაგიერ, „ჩვენი მოღვაწეები თუ დასები ერთმანეთს იმაში ეკინკლავებიან: ჩვენ შევძარით დედამიწა თუ თქვენო", — მწარედ შენიშნავს ნ. ნიკოლაძე და პირდაპირ მიმართავს ასე მოფიქრალ ოპონენტებს: „მიწის ძვრას, ბატონო, ვერც ჩვენისთანა, ვერც — გავბედავ თქმას — თქვენისთანა ვაჟბატონი მოახერხებს. ჩვენ ღმერთმა იმ სიდიდე ღონე გვაღირსოს, რომ გამოკვლევა შევიძლოთ თუ რა მსოფლიო ძალებს უმოქმედნიათ ამ შემთხვევაში და რითი ავიცილოთ თავიდან მათი მავნე გავლენა? თუ თავის მოტყუება და ხალხის შეცდენა არა გვსურს, უნდა ბეჯითად გვახსოვდეს, რომ ჩვენს მხარეს (გულისხმობს საქართველოს — გ. ს.) არც გაძლიერება, არც შეჩერება შეუძლია ამ მოვლენისა. მეტსაც მოგახსენებთ, თუ არ გამირისხდებით: არც საჭიროა ჩვენის მხრით მიწას ვებღაუჭოთ, მის შესაძრავად. უამისოდაც, უმსხვერპლოდაც, შეგვიძლია, თუ არ დავიბენით, ვნებას ავცდეთ და უმჯობესი მომავალი დავიმკვიდროთ"[157].

ამ ვრცელი წერილის მომდევნო ნაწილში ნ. ნიკოლაძე ყურადღებას მიაქცევდა იმას, თუ რა მიმართულებები იქნა შემოღებული ქართველ მოღვაწეთა მიერ გასული ათწლეულების მანძილზე „ნაციონალურიდამ დაწყებული სოციალურამდი" და, რომელი დროშა გამოდგა „შველის დროშად და რომელი — დაღუპვისა?".

მისი ღრმა რწმენით, იმჟამად „ყველა მოღვაწეს, ძველსა და ახალს, ყველა წოდებას, ყველა ეროვნებას ჩვენს ქვეყანაში ის დროშა უფრო იზიდავს, რომლის აფრიალება პირველად მე მეღირსა „დროებაში" 1870- ში და, რომელზედაც მარტო ორი სიტყვა ეწერა: „ერთობა, თვითმართველობა". ეს დროშა მით იმარჯვებს, რომ გარეგან მიბაძვით კი არ არის შემოღებული, შინაური ნაკეთებია, ჩვენი ქვეყნის საჭიროებაზეა გამოჭრილი"[158].

ჟურნალის შემდეგი ნომრის გაგრძელებაში ნ. ნიკოლაძე თავის ოპონენტებს მოაგონებდა, რომ მის მიერ შემუშავებული პოლიტიკის შესაბამისად უნდა გაერთიანებულიყვნენ „ყველა წოდების, სარწმუ-

---

[156] ჟურნ „ალდე", 1913 წლის 17 გიორგობისთვე, გვ. 5.

[157] იქვე.

[158] იქვე.

ნეობის, ქონების, ეროვნების განურჩევლად" და შეერთებული შრომით და ღონით უნდა ებრძოლათ *„რუსეთის მონინავე ნაწილთან ერთად"*, იმ წესების შემოსაღებად, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრება ადამიანური არ იქნებოდა[159]. ჩვენი მოღვაწის ამ იდეისათვის იმჟამად, ე. ი. 1870-ში მთელი კავკასიის ინტელიგენციას დაუჭერია მხარი... 1877 წელს ნ. ნიკოლაძის მიერ აღმართული ამ დროშის წინააღმდეგ ქართველებს გაულაშქრებიათ, რომელთაც მალე სომხობაც მიჰყოლიან, მაგრამ ამ ორი ერის წარმომადგენლები მთელი 10 წლის განმავლობაში მაინც არ დაობდნენ... 1890 წელს კი მათ შორის ატყდა მწვავე ბრძოლა, ხოლო „სამი თუ ოთხი წლის შემდეგ გაიმართა თვით ქართველობაში შინაური ომი ეგრედ ნოდებული „მესამე დასის" თაოსნობით", როცა „მუშა წინაღუდგა პატრონს, გლეხი — აზნაურს, მრევლი — მღვდელს" და სხვ."[160].

პუბლიცისტის თქმით, ერთიანობის დროშისადმი უარის თქმამ კავკასიის ვერც ცალკეული ერების და ვერც კლასების განდგომამ, სასიკეთო ვერაფერი მოუტანა ვერავის, „ცალცალკე ვერც ერთმა ჩვენგანმა ქვეყანა ვერ ააშენა. ჩვენი ძალა კი ურთიერთ-შუა ბრძოლაში დაიღუპა... ცალცალკე ვერა გავარიგეთ-რა... ცალკე გზით შველის ძებნამ ჩვენში სიკეთე არავის მოუტანა; რომ ერთობის იქით გზა არავის აქვს და, რომ საერთო გასაჭირს საერთო მტერს — მარტო ერთობა სძლევს და განხეთქილება კი აძლიერებს"[161].

ნ. ნიკოლაძე ღრმად დარწმუნებული თავის მიერ შემუშავებულ პოლიტიკის სისწორეში, კავკასიის ხალხებს, ცალკეული კლასებისა თუ სოციალური ფენების წარმომადგენლებს მოუწოდებდა შეერთებისაკენ, გაერთიანებისაკენ: „რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი შეერთდით თვითმმართველობის დროშის ქვეშ..."[162]

ნ. ნიკოლაძეს სწამდა: თუ კი ერთობას ვიქონიებდით და დავიცავდით მას, ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგებოდა ჩვენს წარმატებას და სრული თვითმმართველობის მოპოვებას; რომ სწორედ სრული თვითმმართველობის მფარველობის ქვეშ შესაძლებელი იქნებოდა შრომა და ბრძოლა კერძო სიკეთის საძიებლად; რომ იქ, საცაა სიმართლე და მტკიცე წესი არ არსებობს, ვერც ფაბრიკანტი დაამყარებს მკვიდრათ თავის კეთილდღეობას, ვერც მუშა მოეს-

---

[159] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 25 ნოემბერი, გვ. 3.
[160] იქვე, 1913 წლის 24 გიორგობისთვე, გვ. 4.
[161] იქვე.
[162] იქვე.

ნრება თავის ღირსების დაცვას, ვერც ერი თავის ენის და ვითარების შერჩენას..."[163] და სხვა.

ასეთი იყო ძირითადად ნ. ნიკოლაძის პოლიტიკური მრწამსი, რომელსაც იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა. მთავარი „მამაშვილურ რჩევაში" ის იყო, რომ თუ კავკასიის ხალხებს სურდათ თავისუფლებისა და თვითმმართველობის (ავტონომიის) მოპოვება, მათ ერთიანი ძალისხმევა უნდა მიემართათ რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ და იმავე რუსეთის პროგრესულ ძალებთან ერთად, და არა მათგან განცალკევებით, აეგოთ ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფო... მოგვიანებით, კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში, განსაკუთრებით კი საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევისა და ეროვნული საბჭოს არჩევის შემდეგ ნ. ნიკოლაძე მნიშვნელოვან დიპლომატიურ ღონისძიებებში ღებულობდა მონაწილეობას, სადაც ყოველთვის რუსეთის პროგრესულ ძალებთან კავშირში ყოფნის აუცილებლობას ანიჭებდა უპირატესობას, რადგან ეს მისი აზრით, ვინმეს სურვილი კი არა, არამედ ისტორიული და გეოპოლიტიკური აუცილებლობით იყო განპირობებული...

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ნ. ნიკოლაძე ჟურნალ „კლდის" მუდმივი და სასურველი სტუმარი იყო, როგორც ავტორი და როგორც მოქმედი პირი მის ფურცლებზე დასტამბულ არაერთ საყურადღებო მასალისა. სამაგალითოდ ყურადღებას შევაჩერებთ ვინმე „რიონელის" წერილზე — „ფოთი და ნიკო ნიკოლაძე"... წერილი განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს იმის გამოც, რომ იგი იმ დროს გამოქვეყნდა, როცა ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ აღვირახსნილ კრიტიკას ეწეოდა სხვადასხვა ერის, კლასის თუ ფენის წარმომადგენელი, როცა ბოლო აღარ უჩანდა მის წინააღმდეგ გამართულ ცილისმნამებელთა და ინსინუაციების დიდოსტთა გამოხდომებს, როცა შეთითხნილი ბრალდებებით იმდენი ჰქნეს რომ სასამართლოს კარამდე მიიყვანეს 70 წელს გადაცილებული ერისთვის დამაშვრალი მოღვაწე...

„რიონელის" წერილში ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან მხარეზეა ყურადღება გამახვილებული. ესაა — საქართველოს ზღვისპირა ქალაქის ფოთის, ნავსადგურის განაშენიანება-გამშვენიერებაში შეტანილი ნვლილი, როცა ნ. ნიკოლაძემ 20-ნლიანი დაუღალავი შრომით შეძლო გასაცოდავებული, დაჭაობებული უძველესი საზღვაო დასახლება, ევროპული ტიპის ნავსადგურთა დონემდე აეყვანა... ასეთი იყო ფოთი, „შავი ზღვის საცოდავი

---

[163] ჟურნ. „კლდე", 1913 ნლის 24 გიორგობისთვე, გვ. 4.

ბოღაზი, უმნეო ღატაკი და ჭაობიანი; ფოთი მკვდარი, უპატრონო და ბათუმით დაჩაგრული"[164].

მაგრამ იქ ნ. ნიკოლაძის მიზანმიმართული შრომისა და გარჯის მეოხებით სასნაულებრივი გარდაქმნები მომხდარა თავისი თვალშისაცემი შედეგებით. „იგი ოც წელიწადში სუფთა, მშვენიერ ქალაქად გარდაქმნილა. დამშრალა ჭაობები, დადუმებულა ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი; სწორი და ვრცელი მოკირწლული ქუჩები, ხისა და ქვის ორ სართულიანი ლამაზი და ფეროვანი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული რკინის ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა წყალსადენი, ცხენის „კონკა" და ელექტრონით განათება", რომ საქართველოს ეს ქალაქი პირველხარისხოვან ბოღაზედ ქცეულა, რომლის ნავსაყუდარი იმდროისათვის დიდი საოკეანო გემებით იყო სავსე და, რომლის ტვირთბრუნვა წელიწადში 100 მილიონ ფუთს შეადგენდა...

ყველაფერი ეს — კორესპონდენტის მართებული შენიშვნით, — ფოთის ქალაქის თავის — ნიკო ნიკოლაძის დამსახურება იყო, რომელსაც მტრობდნენ და ებრძოდნენ ჯგუფი ქართველი ინტელიგენტებისა და რაღაცეებს ბეჭდავდნენ გაზეთებში, ცდილობდნენ ასეთ მოღვაწეთა დამსახურების გაბიაბრუებას, მათი საქმიანობის მიფუჩეჩებას და „თავისი თავი ქართველი ერის წინამძღვრად და პატრონად მიაჩნდათ"... ავტორი დარწმუნებული იყო, რომ ამ „სპილობუმბერაზის მიმართ პატარა ფინიების ყეფა" მას ვერაფერს დააკლებდა და დადგებოდა დრო, თუ მისი თანამედროვენი არა, „მომავალი მაინც დააფასებდა ამ იშვიათი კაცის ღვაწლს, ამ *ერთადერთი ქართველის* (ხაზგასმა ავტორისაა — გ. ს.) შემოქმედებას, მაღალ ნიჭს, იშვიათ ცოდნას, გამოცდილებას, უდრეკ ენერგიას და თავისებურობას. ეს კაცი განათლებულ ევროპის უპირველეს სახელმწიფოებში დაიკავებდა ერთ უპირველეს ადგილს... ჩვენში კი ჩვენმა „ქებულმა მამულიშვილებმა" გააძევეს და გაიმარტოვეს, მისცეს იგი უსამართლო პასუხისგებაში და 70 წლის მოხუცს წაართვეს სახელი, მიაყენეს სულიერი სიმწარე და ნივთიერი შევიწროება"[165].

„კლდის" კორესპონდენტი შემდეგ ააშკარავებდა იმ ნაძირალებს, რომლებმაც „ამ 6 წლის წინად პარტიის სახელით საგურამოს გზაზე მოჰკლეს დიდებული ილია; 70 წლის მოხუცის წმინდა სისხლით მორწყეს წიწამურის მიდამო... ახლა კიდევ სხვა მათ გვარნი აუჩემდნენ მეორე დიდებულ პირს, 70 წლის მოხუცებულს, დიდ ნიკოს და გაზეთის საშუალებით ათახსირებენ მის პოლიტიკას და მიმართულებას, ჰგმობდნენ და მასხარად იგდებდნენ მის სა-

---

[164] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 9.

[165] იქვე, გვ. 10.

ზოგადო მოღვაწეობას“, და ამით აძულებენ ხალხს ამ იშვიათ ადამიანს... ამ სულით მახინჯებს — „კლდეისტები“ ჭკუისმოხმობისაკენ მოუწოდებდნენ და მკაცრად მიუთითებდნენ: „გონს მოდით, ბატონებო! შესდექით! კმარა! ნუ ესვრით წიხლებს მოხუცებულ ლომს! ნუ ჰგმობთ სიმართლეს და ჭეშმარიტებას! გაახილეთ თვალი, ჩადით ფოთში, ნახეთ ამ კაცის ნამოქმედარი, გაეცანით კარგად ნიკო ნიკოლაძის სულისკვეთებას მისწრაფებას, შემდეგ საჯეთ მის პოლიტიკაზე და მის მოქმედებაზე, მანამდი კი სირცხვილია და ბოროტმოქმედება ამ კაცის წინააღმდეგ ხმის ამოღება“.

და ვიდრე ეს ღვთის პირისგან გადავარდნილი „ურწმუნო თომები“ ასეთი ნაბიჯის გადადგმას მოისურვებდნენ, „კლდის“ კორესპონდენტი რეპორტაჟული სტილით საუბრობს იმ კონკრეტულ ობიექტებზე, რომლებიც ნიკო ნიკოლაძის გამჭრიახი გონების წყალობით, ფოთის მშვენებად ქცეულიყვნენ... მათ შორის, ნავსადგურზე, რომელსაც იგი ნიკოლაძის „უსაყვარლეს პირმშო შვილს“ უწოდებს, წყალსადენზე, ელექტროსადგურზე, ელევატორზე, გზებსა და ხიდებზე, მოკირწყლულ ქუჩებზე და ბაღებ-სკვერებზე, ქალაქის პერსპექტივებზე, ახლო მომავალში რომ ფიქრობდა ნიკოლაძე რეალობად ექცია ისინი... და რომლებიც, მოშურნეთა წყალობით, შეიძლებოდა მოშლილიყო და განადგურებულიყო... კორესპონდენტი ცდილობდა გაერკვია, თუ საიდან, ან რის გამო მოდიოდა ეს უმადურობა და გულბოროტება ნ. ნიკოლაძისადმი იმ დროინდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის მხრიდან, რომლებიც სხვადასხვა რედაქციებსა და დაწესებულებებში მოკალათებულნი ღვარძლს ანთხევდნენ ღვაწლმოსილი პიროვნების მიმართ და ფრიად საინტერესო და ანგარიშგასაწევ დასკვნამდე მიდიოდა...

„ბევრჯერ დავფიქრებულვარ და დღემდი არ მქონდა კარგად შეგნებული, თუ რად აითვალწუნა ჩვენმა ინტელიგენციამ საუკეთესო შვილი ნიკო ნიკოლაძე. ახლა კი მესმის. ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა ტიპები, ორი ანტიპოდია. *ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია* (ხაზგასმა ჩემია — გ. ს.), ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტეხნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკი და საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილი რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სხოლასტიკით გაჟღენთილი... ნიკოლაძე კი უწინარეს ყოვლისა მუშაკია დაკაპინებული ხელებით, ცხოვრების ტეხნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალურ პოლიტიკის მანარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩავარდნილი. ძალაუნებურად იქცევა ისე, როგორც უკარნახებს მას ცხოვრების სასტიკი სინამდვილე. ეს არ ესმის ჩვენს ინტელიგენციას და არც სურს შეიგნოს. ნიკოლაძის ასეთ მოქმედება-პოლიტიკას ჩვენ ცხოვრებაში

უსუსური ინტელიგენტები ნათლავენ ოპორტუნიზმად, ქვეყნის ღალატად და თვით ნიკოლაძეს ეძახიან რენეგატს, რუტინიორს და რეაქციონერს... აქედან აშკარაა, რომ ნიკოლაძე და ჩვენი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა პოლიუსზე დგანან, ცხოვრებას სხვა და სხვა პრიზმით უმზერენ და ერთმანეთის პოლიტიკას გმობენ. ამან გამოიწვია ანტაგონიზმი ნიკოლაძისადმი, მისი დევნა და ქირდვა"[166].

ასეთი იყო „კლდეისტების" დამოკიდებულება ნიკო ნიკოლაძისადმი, როგორც მოღვაწის, პიროვნებისა და მამულიშვილისადმი. ვინ იცის მოხუცი მოღვაწის გულს რა სალბუნად დაედებოდა ასეთი მხარდაჭერა, როცა მის წინააღმდეგ იმ ხანებში მხოლოდ დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება ისმოდა... ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ, რომლებმაც შემდგომ ნ. ნიკოლაძე თავისი პარტიის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს...

განსაკუთრებით აღსანიშნავია „კლდეისტთა" დამოკიდებულება არჩილ ჯორჯაძის პიროვნებისა და მისი ნაღვაწ-ნაამაგარისადმი... არჩილის პიროვნული ღირსებები შესანიშნავად აქვს გააზრებული ცნობილ ქართველ მწერალს ეკატერინე გაბაშვილს, რომელიც „კლდის" ფურცლებზე წერდა: „არჩილი იდეალია, ესენციაა იმ ნაპერწკლების, რომელიც გაფანტულია ერის გულსა და სიღრმეში... ერის შვილი უებრო, მირონცხებული, რომელმაც მისცა ერს თვითშეგნება, აზრი დაუდო, გზა გაუკაფა და ყველა ამისთვის იარაღად იხმარა მხოლოდ სიმართლე, დიდსულოვნება, აზრი სპეტაკი და სიყვარული დაუშრეტელი"[167].

სიმონ ქვარიანის აზრით, არჩილი იყო „სულით ფაქიზი, განათლებული ევროპიელი, გულით საუკეთესო ქართველი. მან მთელი თავისი მგზნებარე არსებით შეიყვარა ამირანივით ტანჯული საქართველო. ის ჩაუდგა სათავეში ქართველი ახალგაზრდობის ახალ მოძრაობას ჯერ პარიზში, შემდეგ კი თბილისში. ეს მოძრაობა... იმ დროს ძლიერ საჭირო იყო, როგორც მოწინააღმდეგე ძალა იმ უკულმართ მოძრაობისა, რომელიც დამკვიდრდა ჩვენში დასელთა სახელით და რომელიც უარჰყოფდა ყოველივე ქართულს"[168].

ჟურნალის აზრით, კი არჩ. ჯორჯაძე იყო — „გულწრფელი პატრიოტი. საქართველო, ქართველი ერი! — აი მისი მუდმივი საფიქრალი.

ქართველი ერის ზრდა-განვითარება, საქართველოს ცხოვრების მონყობა-გამაგრება! — აი მისი წმინდათა-წმინდა, რისთვისაც იგი დაუღალავად იბრძოდა, წერდა, შრომობდა, იტანჯებოდა.

---

166 ჟურნ. „კლდე" 1913 წლის 20 ოქტომბერი, გვ. 10.

167 იქვე, 1913 წლის 13 მარტი, გვ. 3.

168 იქვე, 1913 წლის 7 აპრილი , გვ. 5.

მას ყველაფერი მიაქვს ეროვნული იდეის განმტკიცების საკურთხეველზედ.

იბრძვის ქართული ტერიტორიის მთლიანობისათვის.

იბრძვის ქართული ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისათვის.

იბრძვის ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამისთვის ბევრჯერ სცდილობს:

შეარიგოს შეურიგებელი,

მოარჯულოს ურჯულო,

გაამხნევოს მშრომელი,

გაათამამოს ლაჩარი.

სცდილობს სოციალიზმიც კი ეროვნულ იდეის განმტკიცებას დაახმაროს!

ა. ჯორჯაძე თავით-ფეხამდე პატრიოტია, პატრიოტი დემოკრატი... მუდმივად, დაჟინებით მოუწოდებდა მოპირდაპირეებს:

შეთანხმდით!

და ამ შეთანხმების იმედით სიკვდილამდე ოცნებობდა"[169] — წერდა „ეკალი" (დავით ვაჩნაძე) მისი გარდაცვალების წლის თავზე „კლდეში" დასტამბულ წერილში „ძვირფასი სამარე".

ჟურნალის ფურცლებზე ფართო პლანით არის წარმოჩენილი არჩ. ჯორჯაძის პოლიტიკური ნააზრევი, რომელიც „მესამოციანი" წლების განმათავისუფლებელთა შემდეგ პირველი იყო, რომელმაც ეროვნული საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენა", რომ „ნაციონალურად მოაზროვნე საქართველოსათვის იგი მუდამ იყო უმაღლესი ავტორიტეტი ყველა ეროვნულ საკითხში" და ა. შ..

უფრო თვალნათლივ რომ წარმოეჩინა არჩილ ჯორჯაძის დამსახურება თავისი მკითხველებისათვის, ჟურნალი „კლდე" 1914 წლის მარტში ბეჭდავს მის უმნიშვნელოვანეს თეორიულ ნაშრომს, საპროგრამო ხასიათის თხზულებას „საერთო მოქმედების ნიადაგი". სარედაქციო მინაწერში „კლდე" განმარტავდა ნაშრომის ხელახალი პუბლიკაციის მიზეზებს და წერდა: „ეს წერილი ეკუთვნის განსვენებულ არჩ. ჯორჯაძის კალამს, დაწერილია 1901 წელს. ვბეჭდავთ ამას, რადგან იგი მეტად დაახლოებულია დღევანდელ მომენტთან, როდესაც ირკვევა და ისახება ახალი შეჯგუფება, რომლის გარშემო ასეთი შეხლა-შემოხლაა გამართული. იქნება ეს წერილი ცოტათი გამოაფხიზლებს იმათ, ვისაც აქამდის დარჩენილი ჰქონდათ საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელი ბურთი და მოედანი და „სოციალისტური" ურიამულით გააქვთ და გამოაქვთ ქვეყანა"[170].

---

[169] ჟურნ „კლდე", 1914 წლის 30 მარტი, გვ. 13- 14.

[170] იქვე, გვ. 2.

ჟურნალი აქცენტებს აკეთებდა არჩ. ჯორჯაძის მოსაზრებებზე იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს დაღუპვისაგან იხსნიდა „გამრთელება და გაფართოება", რისი მიღწევის საფუძვლად ყველასათვის გამოდგებოდა — ზრუნვა ქართული ენის დაცვისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნებისათვის.

ჟურნალი აქცენტს აკეთებდა არჩ. ჯორჯაძის დამოკიდებულებაზე მშობლიური ენისადმი, რომ „სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა..." რომ „სამშობლო ენის დაკარგვასთან ერთად ხალხს სიცოცხლე აკლდება და ცხოვრება ფერსა და სისრულეს ჰკარგავს...", რომ „ქართული ენის გადარჩენით, მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი გადარჩებოდა..." და ა. შ.

არჩ. ჯორჯაძის აზრით, ქართული ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით საქართველოში კაპიტალიზმს ნაციონალური მიმართულება მიეცემოდა, ანუ „საქართველოს კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაპირისპირებოდა, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტებს, რომელთაც ხელში ეჭირათ აღებმიცემობის მონოპოლია"... დაბოლოს ქართული ტერიტორიები, ქართული მიწები ქართველთა კუთვნილებაში უნდა დარჩენილიყო ქართული მეურნეობის გასავითარებლად, ხოლო თუ ქართველი მემამულისაგან მიწის გაყიდვა გარდაუვალი გახდებოდა, იგი ქართული ბანკების დახმარებით ქართველ გლეხკაცობას, ან ქართველ ვაჭარ-მრეწველთ უნდა შეესყიდათ.. ამრიგად „ნაციონალური ცხოვრების გამაგრება ხელს შეუწყობდა ეკონომიური წარმატების განმტკიცებას" — დაასკვნიდა არჩ. ჯორჯაძე და ეს მოსაზრება მისაღებად მიაჩნდათ „კლდეისტებს".

„კლდის" ფურცლებზე დასტამბულ — სტატიაში „არჩილ ჯორჯაძე და ხიზნობა", ავტორი დავით ვაჩნაძე განიხილავდა არჩ. ჯორჯაძის მიერ 1908 წელს გამოცემულ წიგნში „სამშობლო და მამულიშვილობა" გამოთქმულ მოსაზრებებს საერთოდ ეროვნულ, და კერძოდ, ხიზანთა საკითხის გამოც... „ეროვნული პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის... თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ჰლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ გადასწყვიტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით..." დ. ვაჩნაძის თქმით, არ. ჯორჯაძეს მიაჩნდა, რომ ოსთა ჩამოხიზვნას მიზანიმართულად წარმართავდა თვითმპყრობელური ხელისუფლება... ვინაიდან „ოსების იმიგრაციას წინ არავინ ეღობებოდა, მაშინ როცა ქართველობის გადასახლგადმოსახლების გზები ყოველგან შეკრული ჰქონდა..." დიდ მამულიშვილს, შოვინისტური მოსაზრებები როდი ალაპარაკებდა. არა!

***„ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკვის აზრი გვაღფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ***

*მხოლოდ, რომ ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქმნას სამართლიანობის თანახმად...* (ხაზგასმა არჩ. ჯორჯაძისაა — გ. ს.)... ჩვენ გვინდა, რომ იგი გაბატონებული ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღი არ იყოს"[171].

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ერთი წლისთავთან დაკავშირებით „კლდეში" დაბეჭდილ წერილში „ა—ი" (შალვა ამირეჯიბი) სწორად გაიაზრებდა ამ დიდი მოღვაწის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გზას, მოღვაწისას „რომლის სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართულ პოლიტიკურ ფიქრებთან". იქვე დასმულ კითხვაზე, თუ ვინ იყო არჩილ ჯორჯაძე, ავტორი საინტერესოდ პასუხობდა: „თუ ავიღებთ ყველა იმას, რაც მას უწერია, რაც მას უფიქრია და განუცდია, თუ ავიღებთ ყველა ამას, იგი მუდამ სფინქსად დარჩება ჩვენთვის. ერთის მხრივ ის თითქმის პირველი იყო, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ქართველი ხალხის პოლიტიკურ პროგრამას და სურდა ყოფილ სამეფოსათვის დაებრუნებინა ელემენტი სახელმწიფოებრიობისა, ე.ი. თვითმმართველობა და, მეორეს მხრივ კი, სოციალურ სამართლიანობის ნიადაგზედ, იგი მივიდა სახელმწიფოს სრულ უარყოფამდე", ხოლო თუ როგორ თავსდებოდა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია მის აზროვნებაში, — შ. ამირეჯიბის აზრით, ყველა დაინტერესებულ პირს მისი თხზულებების გულდასმით გააზრების შემდეგ შეეძლო... მთავარი ის იყო, რომ არჩილ ჯორჯაძე „პირველად ეჩვენა ქართველ საზოგადოებას, როგორც მებრძოლი ეროვნულ უფლებისათვის"; რომ „ქართული პოლიტიკური აზროვნება დავალებული იყო მისგან", რადგან „საზოგადო ასპარეზზედ მის გამოსვლამდე ქართველი საზოგადოება თავის პოლიტიკაში, მხოლოდ კეთილის სურვილებით იქცევდა თავსა", ვინაიდან მას „არ ჰქონდა გარკვული პროგრამა აღმოცენებული ეროვნულ ნიადაგზედ..." ჩვენ მივისნრაფოდით, როგორც თავგანწირული მხედარი და არ კი ვიცოდით საით?.. ეს იყო ბრძოლა, გნებავთ სროლა გაშმაგებულ მონადირეთა, მაგრამ სროლა უმიზნოდ... ასეთ დროს გამოჩნდა არჩილ ჯორჯაძე..." ავტორის აზრით, მის გამოჩენას შედეგად ის მოჰყვა, რომ მან განვრთნა ჩვენი მერანი, საზღვარი დაუდო მის ლტოლვილებას, ანუ დაუახლოვდა მიზანს და მოგვცა ნიშანი, ურომლისოდაც მანამდე არ ვიცოდით ვარტყამდით თუ არა მიზანს... ახლა ჩვენ ვიცით საით მიჰქრის ჩვენი მერანი".

შ. ამირეჯიბის აზრით, თუ ყველაფერ ამას პოლიტიკურ ენაზე გადავთარგმნიდით, არჩილ ჯორჯაძის სახით მივიღებდით „დიდ

---

[171] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 21 აპრილი, გვ. 7.

პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს პოლიტიკური პროგრამის შექმნით"[172].

მოგვიანებით იგივე შ. ამირეჯიბი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომლის დამაარსებელი და ლიდერი არჩილ ჯორჯაძე იყო, დიდ „კრიზისში იმყოფებოდა", ვინაიდან მის „პროგრამას სული არა აქვს, რომელიც ზრდის, ანვითარებს და აყალიბებს პარტიულ პიროვნებას", ამის მიზეზი კი, — ავტორის აზრით, ის ყოფილა, რომ სოც.-ფედერალისტებს საკუთარი ფილოსოფიაც კი არ ჰქონდათ, გნებავთ, იმის მსგავსი, როგორც სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ მეცნიერული სოციალიზმის სახით... რატომ მოხდა ასე? ამაში თავისი „წვლილი" ჰქონდა შეტანილი არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც „უფრო მოაზროვნე იყო, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე..." უპირველესად იგი ეროვნული თავისუფლების შეუდრეკელი მომხრე იყო. მისთვის სნორედ „ეროვნული თავისუფლება იყო ვარსკვლავი, ხოლო სოციალიზმი — მზე, მაგრამ მისი შეცდომა ის იყო, რომ მზის შუქზედ სურდა ვარსკვლავის დანახვა და მას ისე დაემართა, რომ მზის დროს ვარსკვლავს ვეღარ ხედავდა, ხოლო ვარსკვლავის დროს მზესა". რატომ მოხდა ასე? შ. ამირეჯიბის შენიშვნით: „მის მსოფლმხედველობას ნაციონალიზმი და სოციალიზმი შეადგენდა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ და რომ ერთმანეთში მოეთავსებინა, შექმნა რაღაც მესამე — ფედერალიზმი"[173]. ავტორის აზრით, ფედერალიზმის შემუშავებით, არჩილ ჯორჯაძემ მხოლოდ თავისი ძიება დააგვირგვინა, მან ავანსი გაიღო მომავლისათვის და ამით დროებით გადაარჩინა თავისი თეორია დაღუპვას, მაგრამ მას არ უფიქრია იმაზედ რომ ასეთი რამ თავისთავად მხოლოდ nonsensია"[174].

შ. ამირეჯიბს და, საერთოდ, „კლდეისტებს" კარგად მოეხსენებოდათ თუ რა იყო ფედერალიზმი, მაგრამ მათ მხოლოდ ის მიაჩნდათ საეჭვოდ, რომ „პარტია, რომელიც ეროვნული უფლებისათვის ბრძოლას აპირებდა, სარჩულად პოლიტიკური ფედერალიზმის დადება არ გამოადგებოდა". არ გამოადგებოდა იმიტომ, რომ „ფედერაცია კავშირია თანაბარ უფლებიან ერთა, ორგანიზაციათა, ერთეულთა. მას სხვა შინაარსი არა აქვს... მას არც ფორმა აქვს — მართვა-გამგეობისა, სახელმწიფოსი, კონსტიტუციისა, იგი მხოლოდ კომბინაციაა. და განა შესაძლებელია პარტიულ პროგრამას ან ეროვნულ პროგრამას სარჩულად კომბინაცია დაედოს?"

---

[172] ჟურნ „კლდე", 1913 წლის 31 მარტი, გვ. 2-3.

[173] იქვე, 1914 წლის 16 თებერვალი, გვ. 2-3.

[174] იქვე.

სტატიის დასკვნით ნაწილში შ. ამირეჯიბი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ „რამდენადაც სავსეა ფედერალისტების პროგრამა ამგვარ კომბინაციებით მომავლის შესახებ, იმდენად ნაკლებ წარმოადგენას იძლევა იგი თვით ავტონომიის შესახებ... ამრიგად იგი ქართველი ერის სრულ პოლიტიკურ იდეალს არ გამოხატავს და უვარგისობა პროგრამისა... სწორედ აქ არის“[175].

ერთი სიტყვით არჩილ ჯორჯაძის მრავალმხრივი ნამოღვაწარის დაფასება და წარმოჩენა ფართოდ არის დაფიქსირებული ჟურნალ „კლდის“ ფურცლებზე, და ხაზგასმით არის მითითებული, რომ არჩილ ჯორჯაძე „იყო უპირველეს ყოვლისა დიდი პატრიოტი, დიდი ეროვნული მოღვაწე, რომლის გარშემო თავს იყრიდა *მთელი* (ხაზგასმა ჟურნალისაა — გ. ს.) ქართველი ერი და მისი პარტიული მისაკუთრება არავის შეუძლიან“[176].

„კლდე“ დროდადრო წარმოაჩენდა ისეთ „მოღვაწეთა“ პორტრეტებსაც, რომლებიც თავმდაბლად და უპრეტენზიოდ კი არ აკეთებდნენ საერთო საქმეს, არამედ ყველაფერს კადრულობდნენ, რომ საზოგადოებაში დაუმსახურებელი პოპულარობა და თბილი ადგილი მოეპოვებინათ... „საქმის ჭეშმარიტი ვითარება, იდეური მოქმედება, უანგარო შრომა და ჯაფა, ჭეშმარიტების გულმართლად და სინდისიერად კვლევა-ძიება, ბოროტებასთან შეუდარებელი და ვაჟკაცური ბრძოლა მას არ აინტერესებს, არ იზიდავს და არც შეუძლია“. ასეთ „მოღვაწეთა“ დამახასიათებელია „მოურიდებლობა, სითამამე, ხელოვნურად შექმნილი ენა-ნყლიანობა, მსჯელობის პარადოქსულობა, აზროვნების რიგორისტობა, გრძნობათა გაზვიადებული გამოაშკარავება — ყოველივე ამასთან, — თავისმომჭრელი, აფერადებული დროშა მამულიშვილობისა — აი ფარხმალი და უაღრესი საშუალება ასეთის ვაჟბატონების საპატიო სავარძელზე წამოსკუპებისა და „საზოგადო მოღვაწედ“ გახდომისა“[177].

წერილის ავტორის, იპ. ვართაგავას თქმით, „ასეთი „მოღვაწე“ მოიპოვებს რა „საპატიო სავარძელს“ ერთხანს კიდევ ფართიფურთობს, ენაწყლიანობს და გარშემო თავის ძმა-ბიჭებს შინა-ყმებს იკრებს... შემდეგ კი იმის მცდელობას ინყებს თავისი ტახტი ხელშეუხებელი გახადოს, პოზიცია გაიმაგროს და იგი ცდილობს მუდამ კარგ განწყობილებაში იყოს საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელნიც ქმნიან და ასაზრდოებენ ენით თუ კალმით, მის საზოგადოებრივ შეხედულებას... თავის სამფლობელოში თავს უყრის თანამოაზრეებს და შინაყმებს, — მომეტებულად იმისთანებს, რომლებიც მას ვერავითარ მეტოქეობას ვერ გაუწევენ“.

---

[175] ჟურნ „კლდე“, 1914 წლის 16 თებერვალი.

[176] იქვე, 1914 წლის 30 მარტი, გვ. 13-14.

[177] იქვე, 1913 წლის 1 დეკემბერი, გვ. 5.

ასეთი „მოღვაწე“ საერთო ეროვნული საქმისათვის საშიშია იმდენად, რამდენადაც ვერ იტანს „ნიჭიერს, დამოუკიდებელს, ენერგიულ ადამიანს ე.ი. ისეთ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია თავისი მოქმედებით საერთო სიყვარული, ნდობა-სიმპატია დაიმსახუროს, უნებლიე მეტოქეობა გაუწიოს ჩვენს „მოღვაწეს“, სიახლოვეს არ იკარებს, სიტყვით და საქმით, ჩუმად თუ აშკარად, ნდობას უკარგავს, სასაცილოდ იგდებს, ნერვებს უშლის. არჩევნების დროს, საზოგადო კრებაზე, პრესაში, მომეტებულად კი მალულად, შინაურობაში. ამნაირად ჩვენი „მოღვაწე“ იმის ნაცვლად, რომ საზოგადო ეროვნულ საქმეს პირნათლად გაუძღვეს და მას მოახმაროს თავისი ენერგია და ძალ-ღონე, პირად ბრძოლას, კინკლაობას, მოპირდაპირის დამცირებას და ახალგაზრდების დაჩაგვრას ანდომებს... ამავე დროს მას თავი მიაჩნია უცოდველ პირად, უებრო მამულიშვილად, უანგარო მოღვაწედ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად, სიმართლისა და ჭეშმარიტების მოციქულად. ერთი სიტყვით, საქართველოს შუქურ ვარსკვლავად, მის მხსნელად“,-ო[178] — დაასკვნის ავტორი.

[178] ჟურნ „კლდე“, 1913 წლის 1 დეკემბერი, გვ. 6.

# ჟურნალი „კლდე“ და ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ჟურნალი „კლდე“ საზოგადო ეკონომიკური და სალიტერატურო ორგანო იყო, რომელიც ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა იდეების გავრცელებას მიიჩნევდა თავის უპირველეს მიზნად. მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ახლა შევეცდებით მოკლედ გავამახვილოთ ყურადღება ჟურნალის ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი დამოკიდებულებაზე. გამოსვლის პირველი დღეებიდანვე „კლდის“ რედაქცია ცდილობდა თავის გარშემო კალმის ისეთი ოსტატები შემოეკრიბა, რომელთა უპირველესი საზრუნავი სამშობლოს მომავალზე და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა იქნებოდა. ჟურნალის ფურცლებზე დასტამბულ მხატვრულ-პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოებების გაცნობიდან ნათლად სჩანს ის იდეური სიახლოვე, რაც ქართველ ხალხში პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისაკენ იყო მიმართული.

„კლდის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები თავისი მხატვრული დონით თანაბარი არ არის, მაგრამ ეროვნული სულისკვეთების გადმოცემით სავსებით შეესაბამებიან იმ მოთხოვნებს, რის მსახურებაც რედაქციას თავიდანვე აშკარად ჰქონდა გაცხადებული... როგორც აღვნიშნეთ ჟურნალის ავტორთა შორის იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ეკატერინე გაბაშვილი, კოტე მაყაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ მჭედლიშვილი, დუტუ მეგრელი (ქოჩაკიძე), ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე), იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, მელანია (ნიკოლოზ ნათიძე), გრიგოლ მეგრელიშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი (რიშ-ბაბა), სიმონ ქვარიანი, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), დავით კასრაძე, შალვა ამირეჯიბი, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი, ირადიონ სონღულაშვილი, სარგის კაკაბაძე, თედო ღლონტი, სპირიდონ კედია, გიორგი ნამორაძე, გიორგი მამრაძე, შალვა ქარუმიძე, სამსონ დადიანი, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ ყიფიანი, გიორგი დაფქვიაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი და აგრეთვე, დღესდღეობით ათეულობით გაუხსნელი ფსევდონიმს ამოფარებული ქართული პუბლიცისტიკის თუ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენელი (მაგალითად, მეგობარი, მოხეტიალე, ნაცარა, ლელი, ძევერელი, მროველი, იმერელი, გორელი, თ. თიანელი, გ. ახ-ელი, მგზავრი, გარეშე, რიონელი, ვინმე სოფლელი, შეუპოვარი და ა.შ.).

ავტორთა მრავალრიცხოვნებით განპირობებული იყო ჟურნალის თემატურ-ჟანრობრივი მრავალფეროვნებაც. საზოგადოე-

ბრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ეკონომიკური ხასიათის ნაწარმოებების გვერდით დასტამბულია — ლექსები და მოთხრობები, ნოველები და ესკიზები, ეტიუდები და ჩანახატები, ლეგენდები და პიესები, იგავ-არაკები და თარგმანები, პაროდიები და პამფლეტები, შარჟები და კარიკატურები, რეცენზიები და ბიბლიოგრაფიები, ლეტერატურულ-კრიტიკული წერილები და მიმოხილვები...

ჟურნალ „კლდის" ფურცლებზე პირველად დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას ლექსები: „რამ შემქმნა ადამიანად" (1913 წელი №6) და „მე შენის ტრფობით ვერ გავძელ" (1915 წლის, №2).

რეალური ყოფით გულდასევდიანებულ პოეტს სანატრელად გახდომია „წვიმად მოსვლა", რომელსაც თავისუფლად შეეძლებოდა ყველგან და ყველაფრისათვის მიახლება და, რომელსაც „მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი" ექნებოდა თავის მფლობელობაში და ვინმეს დაუკითხავად გადაუშლიდა გულმკერდსა „დღისით მზეს, ღამით მთვარესა", სიცოცხლეს აგრძნობინებდა „მომაკვდავ არემარესა" და მას იმედად რჩებოდა გულში, სიკვდილის შემდეგაც კი, ანუ თოვლადქცევითაც კი არ დაიკარგებოდა, ისევ „სიცოცხლედ გადაიქცეოდა და განახლებულ ბუნებას ყელ-ყურზედ მოეხვეოდა". სწორედ ამ ფილოსოფიური გააზრებით ლექსის დასაწყისშივე სვამს კითხვას პოეტი: „რამ შემქმნა ადამიანად? რატომ არ მოველ წვიმადა"[179].

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოველ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამ
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა,
მინაზე გადომოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა
ასე არ დამჭირდებოდა
სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.
მზის მოტრფიალე ვივლიდი
სიკვდილის გამანბილადა;
მაღლა ცა, დაბლა ხმელეთი
მე მექნებოდა ნილადა.
გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,

[179] ჟურნ „კლდე", 1913 წლის 2 თებერვალი, გვ10.

მორწყულსა ჩემის ოფლითა,
ყვავილებს შიგნით, გარეთა.
გადავუშლიდი გულმკერდსა
დღისით მზეს, ღამით მთვარესა.
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი
მომაკვდავ არემარესა.
თოვლად ქცეულსა გულშია
ცოცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისეც ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზე მოეხვეოდა."

„კლდეში" დაბეჭდილი ვაჟა-ფშაველას მეორე ლექსი „მე შენის ტრფობით ვერ გავძეღ" ალეგორიული ხასიათისაა... ჯანგატეხილი და ქართველი საზოგადოებისაგან უყურადღებოდ მიტოვებული პოეტი მაინც სამშობლოს ერთგული რჩება („ვერ გიღალატებ მაინცა, თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა, გულდაკოდილი შენგანა, მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა"), რადგან იცის, რომ სიცოცხლე წარმავალია და ამ ქვეყნად სამუდამოდ ვერავინ დარჩება („სამყაროს იქით რომ მიდის, მომაკვდავთ განა იცითა?!"), ამიტომ მისთვის მთავარია ღმერთთან საუბრის უფლება ჰქონდეს („არ დამიშალონ მიმოსვლა ღმერთთან ამ გრძნობის ხიდითა") და მის ერთგულებაში სამშობლოსადმი ეჭვი არავინ შეიტანოს და მიუხედავად ყოველივესი, მიუხედავად არაერთგზის გულის დაკოდვისა, მაინც ბოლომდე სამშობლოს ერთგული დარჩება („შენი ვარ დიდი ერთგული, ვერვინ შემხედავს იჭვითა. შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, თუნდ შხამს მასმევდე ჯიხვითა!")[180].

„მე შენი ტრფობით ვერ გავძეღ
შენ — ჩემის სიძულვილითა.
ვერ გიღალატებ მაინცა
თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა,
გულდაკოდილი შენგანა
მითც ღმერთს გახვეწებ სიტყვითა;
გახვეწებ, ვემუდარები
ცეცხლის მქშინავის პირითა,
გარშემო შემოხაზულა
ცხელის ცრემლების მილითა.
თანაც დაგბრუნავ თავზედა

[180] ჟურნ. „კლდე", 1915 წლის 18 იანვარი, გვ12.

ჩემის ჯვარცმულის ფიქრითა.
შენ ამას არაფრად აგდებ,
მოხვალ ზედ მდგები წიხლითა.
უცვლელი ვრჩები მაინცა
ჩემის წადილით დიდითა,
სამყაროს იქით რომ მიდის,
მომაკვდავთ განა იცითა?!
წვრილმანს, ჩანჩალა აზრებსა
ვილალავ აქეთ-იქითა
არ დამიშალონ მიმოსვლა
ღმერთთან ამ გრძნობის ხიდითა.
შენი ვარ დიდი ერთგული,
ვერვინ შემხედავს იჭვითა.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
თუნდ შხამს მასმევდე ჯიხვითა!"

აქ თამაზ ჩხენკელის სიტყვებს დავიმოწმებ: ვაჟა-ფშაველა ვითარცა მოქალაქე და პოეტი მხნე პატრიოტი იყო. იგი როგორც თვითონ ამბობს, ის იყო, რაც უნდა ყოფილიყო თავისი დროის სამშობლოს შემაწევარი კაცი. მაგრამ ამავე დროს მას ფხიზელი და უცთომელი თვალი ჰქონდა, რომელიც უშიშარი სიმართლით ჭვრეტდა გარე სინამდვილეს, იმ სიდუხჭირეს, მას რომ გარს ერტყა და ზოგჯერ ეს თვალი შედრკებოდა ან შეღონდებოდა უღიმღამო სინამდვილის ცქერით. პოეტის გულში მიძინებული იჭვი გაიღვიძებდა და სამშობლოცა და თანამემამულენიც თავიანთი ერთადერთი შემზარავი განზომილებით წარმოუდგებოდა. და მაშინ სრული თავგამეტების პათოსი იპყრობდა პოეტის გულს:

მე შენი ტრფობით ვერ გავძეღ,
შენ — ჩემი სიძულვილითა,
ვერ გიღალატებ მაინცა,
თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა...
ასეთია უკანასკნელი აღსარება ვაჟასი..."[181]

ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ეს „უკანასკნელი აღსარება" პოეტმა ჟურნალ „კლდის" მეშვეობით გაანდო თავის მკითხველს.

---

[181] თამაზ ჩხენკელი „ვაჟა-ფშაველას პოეზია". ქართული პოეზია. ტომი 9. თბ., 1977, გვ. 15-16.

„კლდეში“ არაერთი საყურადღებო ნაწარმოები აქვს გამოქვეყნებული /მოთხრობა, ნოველა, მოგონება, წერილი.../ ცნობილ ქართველ მწერალს ეკატერინე გაბაშვილს.

ნოველაში „ჯვრობა“, ეკ. გაბაშვილი დიდი ეროვნული სულისკვეთებით მოგვითხრობს სოფ. ერთანწმინდის წმ. ესტატეს ეკლესიის ეზოში 20 სექტემბერს გამართულ დღესასწაულის ამბავს... მწერლის თქმით: „ერთანწმინდა არა მარტო ქართველი ერის სამლოცველი იყო, არამედ იქ აუარებელი ხალხი იკრიბებოდა განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“, სადაც ადამიანები ცოტა ხნით ივიწყებდნენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს... „რა შვილია ის ხალხი, რომელიც არ მხიარულობს და ათასში ერთხელ მაინც გიჟურის გატაცებით არ ივიწყებს თავის ჩვეულებრივ უფერულ და უბადრუკ მდგომარეობას, თავის ბედშავს, ყოველ შვებას მოკლებულ სიცოცხლეს?!“[182].

ასევე საინტერესოა მისი ნოველა „ლიტანიაზედ“ („კლდე“ 14, 1914, 21/XII), თარგმანი ჰენრი ვან დაიკის მოთხრობისა „ციხე დარბაზის გასაღები“ („კლდე“ 3, 1913, 13/I), ნოველა „უკანასკნელი შუქი“ („კლდე“ 1, 1913, 7/I), წერილები: ლადო მესხიშვილზე, არჩილ ჯორჯაძეზე, ნიკო ლომოურზე, აკაკი წერეთელზე და ა. შ.

ნიკო ლომოურზე, ამ საუკეთესო მოღვანესა და მშვენიერ ბელეტრისტზე, ეკ. გაბაშვილი წერდა: „... ის იყო ნამდვილი ადამიანი... კეთილი, სათნო, მართალი, მოსიყვარულე, ალერსიანი და კაცთმოყვარე. ნიკოსთანა წმინდა, ანკარასავით სუფთა, ფაქიზი და ზნეობა-მაღალი შვილები შუქს ჰფენენ თავის დაჩაგრულს, მაგრამ ამაყს და გულგაუტეხელ სამშობლოს“[183].

განსაკუთრებით გამოირჩევა ეკ. გაბაშვილის მოგონება „ვლადიმერ მესხიშვილის გამოსვლა „სამშობლოში“, რომელიც „კლდეშია“ დასტამბული და ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვანეობის 30 წლისთავისადმია მიძღვნილი.

მწერალი იგონებს 1882 წლის 22 იანვარს, როცა პირველად იქნა წარმოდგენილი „სამშობლო“ და რომელშიც ლევან ხიმშიაშვილის როლი ლადო მესხიშვილს განუსახიერებია... „წინათაც მენახა მესხიშვილი სცენაზედ, — წერს ეკ. გაბაშვილი, — გამეგონა მისი მომაჯადოებელი, გარმონივით სავსე ხმა, ხმა იშვიათი, თითქმის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ჩემის სმენისათვის (მაშინ ყრუ არ ვიყავი), მაგრამ დღეს ლადო სულ სხვა იყო! ის აღარ იყო აქტიორი, რომელიც სცდილობდა ხოლმე დასწავლილი როლი, ქართულ-რუსულის კილოთი გადაეცა ამხანაგისათვის, არა — ის იყო მშვენიერი ვაჟკაცი, ქართულ ძველებურ ტანისამოსით გამონყობილი,

---

[182] ჟურნ. „კლდე“, 1912 წლის 30 სექტემბერი.

[183] იქვე 1915 წლის 3 მაისი.

ქართულ ძვირფას იარაღით შესხმული მეომარი, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და, რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს, მშვენიერის, უზაკველის, ყოველგვარ აქცენტს აცილებულ ქართული ენით წარმოსთქვამდა... დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რაინდულის გრაციით, შეუდარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზედ უარს, როდესაც ის თავის ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალსა: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ, დიდებულო შაჰო!" რა თავხედობა იყო, რა გამბედაობა ამ საქციელში" და რა გვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დამუნჯებულ და ყოველგვარ საკუთარ აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზედ!"[184].

ამ სიტყვების დასტამბვა ჟურნალის მიერ გმირობის ტოლფასი იყო, ვინაიდან ქართველთა პოლიტიკური მდგომარეობა დიდად არ იყო განსხვავებული მაშინაც და რუსეთის თვითმპყრობელობა ჯერ ისევ მაჯლაჯუნასავით აწვა მხრებზე საქართველოს და ქართველი ხალხის ჭრილობაშეუკრავ სხეულს.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალმა „კლდემ" ფართოდ გააშუქა ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის იუბილე და თავის ფურცლებზე ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნა. „რაე" (რევაზ გაბაშვილი) თვლიდა, რომ „მისი დღესასწაული იყო დღესასწაული ეროვნულ გრძნობათა გამოღვიძებისა და ნათლად შეგრძნებისა"[185].

„კლდის" თანამშრომელთა შორის ერთ-ერთი კალამნაყოფიერი ავტორი გახლდათ იმდროისათვის ახალგაზრდა მწერალი დავით კასრაძე, რომელიც ხშირად „ქართლელის" ფსევდონიმითაც აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. მისი მოთხრობები, ნოველები, ეტიუდები, წერილები თუ პამფლეტები, შნოსა და ლაზათს აძლევდნენ ჟურნალის შინაარს და მკითხველებში დიდ ინტერესს იწვევდნენ... მრავალთაგან, აქ მის ორიოდე წერილზე შევაჩერებთ ყურადღებას... ქართველმა ხალხმა და ქართულმა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა გამოჩენილი მკვლევარისა და მაღალი რანგის პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთის სამეცნიერო წრეებში... თბილისში გამართულ მისი ხსოვნის საღამოზე დამსწრე საზოგადოება მოხიბლული დარჩა დავით კასრაძის მშვენიერი მოხსენებით, რომელიც ალ. ხახანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის წარმოჩენას მიეძღვნა. ეს იყო უდიდესი პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი სამეცნიერო

---

184 ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 10 თებერვალი, გვ. 2.

185 იქვე, 1913 წლის 17 თებერვალი, გვ. 2.

გამოკვლევა დიდ მეცნიერსა და მამულიშვილზე, რომელშიც საოცარის სითამამით იყო გადმოცემული რუსეთის თვითმპყრობელობის „დამსახურებანი" ქართველი ერის წინაშე... მოხსენებაში დასმული ყველა ეროვნული კითხვა ალ. ხახანაშვილის ნაწერებიდან მოტანილი ციტატებით იყო გამაგრებული[186].

სხვა ადგილას დავით კასრაძე პროფ. ივანე ჯავახიშვილის ლექციის მოსმენით აღფრთოვანებული წერს: „ფრიად საგულისხმო ლექცია წაიკითხა ჩვენმა თანამემამულემ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს უფლების ისტორიიდან XIII და XIV საუკუნეების შესახებ. ჩვენთვის იგი მით უფრო საგულისხმიერო იყო, რომ დავრწმუნდით: საქართველოს არა მარტო ხმალ-კაპარჭის მომარჯვებაში ჰქონია უნარი, არამედ სოციალურადაც და პოლიტიკურადაც იგი სადიადო წერტილზე მდგარა..." დასასრულს დ. კასრაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში „ერთი უშესანიშნავესი გამომაფხიზლებელი საყვირის ძახილი" იყოო...[187]

როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალ „კლდეში" პოეტი კოტე მაყაშვილიც თანამშრომლობდა. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ლექსი — „ახალგაზრდობას", რომლის მთავარი დედააზრი სახელოვანი წარსულის არ დავიწყება და მტრისადმი დაუმორჩილებლობის, ერთმანეთის მხარში დგომის სურვილის გამძაფრებაა... ვინაიდან პოეტი კარგად ხედავდა, რომ იმჟამად „ერთმანეთის მტრობა-შურის მნვავე ჯაჭვი არა სწყდება, ვაგლახ ჩვენა, რომ წარსულის გაკვეთილი გვავიწყდება"[188].

პოეტის უპირველესი რჩევა ქართველი ახალგაზრდობისადმი იყო თავი დაენებებინათ წუნუნისა და ცრემლთა ფრქვევისათვის, რაც ლაჩართათვის დამახასიათებელი თვისება იყო და ერთიების დროშა აღემართათ და უშიშრად ნასულიყვნენ უკეთესი მომავლისაკენ... აი, ეს ლექსიც:

სევდის სახე არ გვშორდება
ვით აჩრდილი მაბეზარი!
ირგვლივ ისმის სულ გოდება,
მოთქმა გლოვის მწარე ზარი!
ძველთა მტვერში ფიქრი სჭკნება
გული ძლივს ჰფეთქს სისხლნაკლული
საცოდავ ჩვრად იქცა ნება
გზა გადამცდარ-დაკარგული!..

---

[186] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 10 და 17 თებერვალი.
[187] იქვე, 1915 წლის 25 იანვარი, გვ. 13-15.
[188] იქვე, 1913 წლის 1 იანვარი, გვ. 6-7.

ერთმანეთის მტრობა-შური
მწვავე ჯაჭვი არა სწყდება!
ვაგლახ ჩვენა, რომ წარსულის
გაკვეთილი გვავიწყდება!
დაანებეთ წუწუნს თავი:
ცრემლი ლაჩართ ხვედრი არი!
კარგად გესმით ხომ მტრის ავი
დამცინავი ხმა საზარი!..
რამდენიმე ათასის წლის
სისხლი გიჩქეფთ ამაყ მკერდში,
ყოვლი წვეთი ამა სისხლის
ნადულია ბრძოლის ბრძმედში
ოხვრა-კვნესა და ჩივილი
არ შეგშვენით თავმომწონეთ!..
გმირ არწივთა კვლავ ყივილი
გამაგონეთ, გამაგონეთ!..
მეგობრებო დროს ნუ ჰკარგავთ
განიკურნეთ გულის წყლული
ლამაზ სიტყვებს ნუღარ ჰქარგავთ
და ჩაუდგით საქმეს სული!
ერთობისა, შეთანხმების
დროშა წმინდა ზე ასწიეთ!..
და შუქოსან მომავლისკენ
უშიშრად და მხნედ გასწიეთ!..
დაგვარწმუნეთ რომ ვარსკვლავი
ჩვენის ბედის კიდევ ბრწყინავს,
რომ არ გვიდევს წინ საფლავი,
არ მოვმკვდარვართ აღარც გვძინავს!.."[189].

შალვა ამირეჯიბი ჟურნალ „კლდის" ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ და მის ფურცლებზე ათეულობით ნაწარმოები აქვს გამოქვეყნებული, როგორც საკუთარი გვარ-სახელით ხელმონერილი, ისე ცნობილი ფსევდონიმით — „ფარსმან-ფარუხი". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შ. ამირეჯიბის ფსევდონიმები იყო აგრეთვე „ა—ი" (ამირეჯიბი) და „ფარი". მკითხველის მოწონებით სარგებლობდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე დაწერილი პუბლიცისტური წერილები, ენამახვილობით გამორჩეული პამფლეტები, ესკიზები, ლექსები, პაროდიები... აქ მაგალითად ერთ-ერთ მის სალაღობო ხასიათის ლექსს მოვიტანთ, რომლის დაწერა პოეტისათვის რუსულენოვან გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის" ფურცლებზე დასტამბულ

[189] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 8 დეკემბერი, გვ.7.

ლეონ მელიქსედ-ბეგოვის მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევას შთაუგონებია. ლექსს, რომლის სათაურია „მეფე ლეონის ბარონები“ ეპიგრაფად წამძრვარებული აქვს: „ტიფლისკი ლისტოკში“ დაბეჭდილია მელიკ-სეტ ბეგოვის გამოკვლევა, რომ სომხური „პარონები“ წარმოსდგებოდნენ ბარონებისაგანო.“

მეფე ლევონი იჯდა ტახტზედა,
ასე ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
რად მინდა ჩემი ოქროს თახჩები,
რად მინდა ჩემი პარონ-ახჩები!
მე მინდა მქონდეს სულ სხვა ნესები,
მყვანდნენ ბარონნი, ბარონესები,
მეფე ლეონი რუბენიანი
იყო ბარონის გუნებიანი!

* * *

მეფე ლეონი იჯდა ტახტზედა
ასე ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
მე ჩემს პარონებს, ვიფიცავ დედას!
გავაბარონებ სულ ზედი ზედა!
დავკიდებ არშინს, დავკიდებ „გირსა“
და მით დავიპყრობ ქვეყნისა პირსა!
მეფე ლეონი იყო სვიანი,
იყო სვიანი და თან ჭკვიანი!

* * *

მეფე ლევონი იჯდა ტახტზედა,
აღარ ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
ახლა სტიროდა ოქროს თახჩებსა
და იგონებდა პარონ-ახჩებსა.
თავს გრძნობდა ცუდათ, არ მეტკველებდა
და სიბრაზისაგან სულ ახველებდა...
რომ ის პარონებს უზახდა ბარონს
ხალხი კი მეფეს კვლავ ლევონ-პარონს!“[190].

ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა იმ დროს ახალგაზრდა პოეტების იოსებ მჭედლიშვილის, სანდრო შანშიაშ-

[190] ჟურნ. „კლდე“, 1915 წლის 8 მარტი, გვ. 5-6.

ვილის, იოსებ გრიშაშვილის, გრიგოლ მეგრელიშვილის და სხვათა პოეტური ნაწარმოებები, თარგმანები უცხო ენიდან, რომლებიც კარგად გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს...

იმხანად, როცა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი გიზგიზებდა და მისი ერთერთი ისტორიული კუთხე —აჭარა, საშინელ დღეში იყო ჩავარდნილი, ქართველი მამულიშვილები თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდნენ მხარში დადგომოდნენ უბედურებაში ჩავარდნილ თანამოძმეებს, მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებისა... აჭარის თემას მაშინ ფართო ადგილი ეკავა ქართულ პრესაში, მითუმეტეს ეროვნული მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში... „კლდის" ფურცლებზე ამ თემისადმი მიძღვნილ უამრავ მასალათა შორის ყურადღებას იქცევს პოეტ გრ. მეგრელიშვილის ერთი ლექსი „მშობლიური ჰანგები", რომლითაც იგი ქართველ საზოგადოებას მოუწოდებდა აწიოკებული და დარბეული კუთხის მცხოვრებთა მხარდაჭერისაკენ... პოეტს სწამდა, რომ „განახლებისა საათმა დაჰკრა" და შესაძლო იყო ამ ომს უბედურებასთან ერთად „გულს დამარხული ფარული ვნების" განხორციელება, სამშობლოს განთავისუფლება მოჰყოლოდა... მანამდე კი არაფერი დაეშურებიათ მცნება-რჯულშეცვლილ ძმების გადასარჩენად, რომელიც ვერანად ექცია და ცეცხლს შთაენთქა მათი სახლ-კარი, ბავშვების კვნესას, ქალების მოთქმას, თვის ხმას უერთებდა ზუზუნით ქარი...

„მხნე აჭარელი, გულადი ლაზი
უმანკო სისხლით ფართო ველს ჰღებავს
და სიკვდილში მყოფს ის ანუგეშებს,
იმედის სხივით ის რწმენა ჰკვებავს,
რომ არ უარჰყოფს ქართველი ქართველს,
რომ ძმა მიჰხედავს თვის ნამდვილ ძმებსა,
და გულგრილობით არ შეაშფოთებს
საფლავთ მდებარე წინაპართ ძვლებსა!"

ამიტომ, პოეტის აზრით, საჭირო იყო ყველა მიმართულების ქართველის გაერთიანება და მიშვილება უპატრონოდ მყოფი აჭარელი ძმებისათვის და მფარველი ხელის გაწოდება, ხოლო ვინც მარტო სიტყვას იკმარებდა და რეალურად არაფერს გააკეთებდა, შთამომავლობის მიერ სამარადისოდ შეჩვენებული უნდა ყოფილიყო მათი სახელი...

„განახლებისა საათმა დაჰკრა
გაიასკეცე სამშობლოვ ნება,

სასტიკ გრიგალად გადააქციე
გულს დამარხული ფარული ვნება“[191].

თუ რა უბედურებაში იმყოფებოდა აჭარა და აჭარლები, ნათლად არის ასახული დავით კახელის (დავით ვაჩნაძის) რეპორტაჟებში, რომლებიც საერთო სათაურით — „აჭარის კლდეებიდან — „კლდეს“ იბეჭდებოდა ჟურნალის ფურცლებზე... მოვიტანთ მოკლე ამონაწერს ხსენებული მასალიდან...

„ჩემს გარშემო ბუნება ლაპარაკობდა, მღეროდა და გალობდა მარტო სიმშვენიერეზედ...

ეს იყო აჭარა...

...აჭარაში ბუნება, ხალხი და ყოველი საგანი მისი მოსთქვამს მარტო საქართველოსა.

თვით ის ტრადიციაც, რომელსაც განიცდის დღევანდელი აჭარა, ადასტურებს კვლავ იმას, რომ ქართველი ერის ცხოვრების ისტორია, რამდენადაც ლამაზი და კეთილშობელური იყო, იმდენად ტრაღიკული და მწარე...

* * *

შევხვდი ერთ აჭარელ მოხუცებულს.

— შენი გვარი?

— ჰუსეინ ოღლი.

— აჭარელი ხარ?

— დიახ!

— საიდან?

— სოფელ ლურჩიდან.

— შენი ძველი გვარი?

— ხარაძე, ბატონო.

— რატომ მალავ ქართულ გვარს?

— ასე ვიწერებით...

გულის შემძვრელია თვალცრემლიანი მოხუცი აჭარელის თხოვნა: „ბევრი ხალხი დაგველუპა, ცოლ-შვილი ხეტიალში გაგვიწყდა. წისქვილის ქვებში ვისრისებით, ბატონო. ღმერთი არის მარტო მნახველი და მსმენელი ჩვენი ტანჯვისა და გლოვისა. გვიშველეთ, ბატონო, გვიშველეთ ძმებო, გვიხსენით ამ საშინელებისგან...“, — მოსთქვამდა მოხუცი და თან ცხარედ სტიროდა...

—ბატონო, ხუთი დღეა არაფერი მიჭამია. ერთი ლუკმა პური მიბოძე — მთხოვა დიდი მორიდებით საბრალომ... “[192].

---

[191] ჟურნ. „კლდე“, 1915 წლის 3 მაისი, გვ. 3-4.

* * *

ჟურნალი „კლდე" თავის მეხუთე ნომრიდან ამკვიდრებს საინტერესო რუბრიკას: „ჩვენი ფოსტა", რომელიც მიზნად ისახავდა უნიჭო და მდარე ხასიათის ნაწარმოებთა ავტორებისაგან თავის დაცვას, განსაკუთრებით იმათგან, რომელთაც თავხედობა ჰყოფნიდათ და თავიანთი „შემოქმედებითი" ნიმუშების დაუყოვნებლივ დაბეჭდვას მოითხოვდნენ...

რედაქციის მიმართვაში ნათქვამი იყო: „ბ.ბ. ახალგაზრდა მწერლებო! მწერლებო, რომლებიც უკვე გამოსულხართ სამწერლო ასპარეზზედ და მწერლებო, რომლებიც გამოხვალთ ახლო მომავალში. ერთი თვე არ არის რაც ჟურნალი „კლდე" გამოდის და ერთ თვეზე მეტია, რაც ჩვენს რედაქციას აუარებელი ბელეტრისტული თუ პოეტური ნაწარმოებები მოსდის. ჩვენ იმაშიც დარწმუნებულნი ვართ, რომ მრავალი მათგანი ჯერ კიდევ გზაში იმყოფება. ყველა ჩვენ დიდის ყურადრებით გადავიკითხეთ და შემდეგი უცნაური მოვლენა აღმოვაჩინეთ: ისინი შეეხებიან მზესა და მთვარეს, ვარსკვლავსა და ელვას, იასა და ყაყაჩოს, ზღვასა და წყალსა და სხვა მრავალ უსულო საგანს. არსად ადამიანის ხსენება არ არის! ამის გარდა ეს უსულო საგნები მუდამ ლაპარაკში არიან, არშიყში, სიყვარულის გამოცხადებაში და ფილოსოფიურ საუბარში. მაგალითად მზე ახველებს, მთვარე ნანას მღერის, ვარსკვლავი „ლოგინში წვება", ზღვა კლდეს ზღაპარს ეუბნება და მდინარე „იზმორება", როგორც გვწერს ერთი ახალგაზრდა, მაგრამ უნიჭო პოეტი. რაც შეეხება სიტყვა კლდეს, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, იმავ დროს ჩვენი ჟურნალის სახელიც არის, იგი მოსვენებას არ გვაძლევს. ამ სათაურით ჩვენ მოგვივიდა ორმოცდასამი ლექსი, ასთხუთმეტი მინიატურა, ასთვრამეტი სილუეტი, სონეტი, ჩახრუხაული და მუხამბაზი. ერთი სიტყვით, ჩვენი მწერლების (ე.ი. თქვენ) საყვარელ სიტყვად გადაქცეულა. ამის დანაშაულს ჟურნალი „კლდე" თავის თავზედ იღებს და მწუხარებას აცხადებს. ამასთანავე ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ ერთხმად დაადგინა მთავრობას თხოვნით მიმართოს, — დაკეტოს ეს ჟურნალი, რადგან სახელის გამოცვლისაც გვეშინია: ქართველი პოეტისათვის ვერ გამოიგონებ ისეთ სახელს ან სიტყვას, რომელმაც არ ააფრთოვანოს, მუზა არ გაუღიზიანოს და ლექსი არ დაანერინოს.

თქვენი ნიჭის „პატივისცემით" რედაქცია"[193].

---

[192] ჟურნ „კლდე", 1912 წლის 14 ღვინობისთვე, გვ. 16.

[193] იქვე, 1914 წლის 30 მარტი, გვ. 15.

მიუხედავად ამ „პატივისცემით“ გაცხადებული შეგონებისა ჟურნალის რედაქცია მაინც ვერ აუდიოდა უნიჭოთა შემოტევებს, რის გამოც „კლდეისტები“ იძულებულნი იყვნენ დროდადრო საქვეყნოდ წარმოეჩინათ ასეთ ავტორთა სახელები და მათსავე „ნანარმოებებიდან“ ამოკრეფილი სტრიქონებით ეპასუხათ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი მოიტანა, ვინაიდან რუბრიკიდან-რუბრიკამდე პერიოდი თანდათან ხანგრძლივი ხდება, ხოლო ჟურნალის არსებობის ბოლო წელიწადს იგი თითქმის იშვიათობად იქცა.

ქვემოთ მოტანილი ამონაწერები, ვფიქრობთ, ნათელს ჰყოფს ჟურნალის პოზიციას, ამასთან დავრწმუნდებით იმაშიც, თუ რაოდენ კარგად იყენებდნენ „კლდეისტები“ სატირისა და იუმორის შესაძლებლობებს...

მაგალითად, 1912 წელს მესამე ნომერში ჟურნალი ასე პასუხობს პ. ზეგნელს: „იქნება ვსცდებით, მაგრამ გვგონია, რომ მოთხრობას სიგრძის გარდა აზრიც უნდა ჰქონდეს“; ანდა: ირ. ტ-ძეს: „თქვენ თავს პირუტყვს ადარებთ თქვენს ლექსში. რად სჩადით ამას? პირუტყვები კი ცოდონი არ არიან?“

მომდევნო ნომერში ჟურნალი ა. ჯაფარიძეს, რომლის ლექსშიც ასეთი სიტყვები ყოფილა: „დედი დედილო!.. მე უკვე გავიზარდე“ პასუხობს: „ჩემო კარგო, შენი მოთხრობა ამას რომ არ ამტკიცებს?!“ ანდა: პანჩანიძეს: „ქუთაისში წყალი არ არი“, — იწერებით. მაშ, ლაღიძის წყლები დალიეთ“. (1912წ 4) ვინმე „ტუმბას“ კი ატყობინებდნენ: „თქვენი ფსევდონიმი ძალიან შეეფერება თქვენ ლექსებს, მაგრამ თქვენი ლექსები არ შეეფერება ჩვენ „კლდეს“; ანდა: პლატონ კოჩორიძეს, რომლის „თხზულებაში“ ასეთი სტრიქონები ყოფილა: „უშვა ხელი სურას, რამაც იატარკზე (?) საშინელი ჩახანი მოიღო, და მივიდა ტახტზე ჩამოჯდა და გადაჰკიდა თავი ფანჯარაში...“. ამის მთქმელს რედაქცია ასე ესიტყვებოდა: ლიტრამ რომ იატარკზედ (?) ჩახანი მოიღოს დასაჯერებელია, მაგრამ ტახტზე ჯდომისა და ფანჯარაში თავის გადაკიდებისა კი რა მოგახსენოთ“; იქვე ჟურნალი ვინმე გიგლაშვილს ამუნათებდა: „გასტყორცნილი სიყვარული, ჩემი ფიქრთა სტვენა მარადი“. უნდა ბრძანო: „გამეცალე საყვარელო, თავში მისტვენს მარადის“ (5, 1912წ.);

ვინმე „უჩინარს“ ჟურნალი ატყობინებდა: „მოთხრობა კარგა გრძელიც არის, კარგი ხელითაცაა ნაწერი, ქაღალდსაც არა უჭირს რა, მაგრამ შინაარსის მაგიერ ყველა ესენი როდი გამოდგება“; (6, 1912წ.); „კოკობოს“ კი უხსნიდა, თუ რატომ არ ბეჭდავდნენ მის ლექსს: „გიკვირთ, რატომ არ ვბეჭდავთ თქვენს ლექსს? იმიტომ, რომ თქვენი ლექსი აქლემსა ჰგავს, რომელსაც ჰკითხეს: კისერი

რადა გაქვს მრუდეო? და მან უპასუხა:სხვა რა მაქვს სნორეო?!" ( , 1912ნ.)

გაზეთ „ხმა კახეთისა"-ს მეათე ნომერში გამოქვეყნებული ყოფილა ვინმე გ. ლელაშვილის შემდეგი სტრიქონები:

„სულს ვერავინ შეეხება,
უმწიკვლოა და სპეტაკი,
თუმცა ფიქრობს ზოგიერთი
სულელი და ავაზაკი..."

„კლდის" შესიტყვება ასეთია: „მაშ, შენცა ლელაშვილო?" ( 11, 1912ნ.) ანდა: „ურჩისადმი" გამოთქმული რჩევა: „თუ შენი თავი და ქაღალდი არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე". (იქვე).

„ონავარს" კი ურჩევს: „მართალია, შენი წერილები ისეთი მძიმეა, რომ მეტი მარკის ფულს გვახდევინებენ ხილმე, მაგრამ თან ისე მჩატეა, თითქო ქარით მონაბერია" (311, 1912);ანდა ასეთი: „გადამთიელს: „გეგეჭკორი, რომ არ აირჩიეს იმის ბრალია, რომ ვარსკვლავი, ჩაესვენაო". ასეთი ცნობა ფლამრიონს გაუგზავნეთ ხოლმე". ( 11, 1912ნ).

ვინმე „ზემოუბნელს" ჟურნალისათვის გაგზავნილ ლექსში ასეთი სტრიქონები ჰქონია: „...კლდეზედა დავწექ, ჩავარდნილს უფსკრულში გამთენებია..." ასეთი ლექსი ეწინააღმდეგება ბუნების კანონს: უფსკრულში ჩავარდნილს, როგორღა გაგითენდებოდა კიდევ. თუ სიზმარია, ნეტა აგიხდეს!" ( 10, 1913ნ.).

ანდა: „მე-ეს": „როდია კარგი, ავტორი იმ ცხოველს ჰბაძავს, რომელზედაც სწერს: „თქვენ კი ასე ათავებთ ლექსს: „ბატკანი ტირის (?) მე...ე...მე" და ხელს აწერთ: მე-ე-ე". ( 10, 1913ნ.).

ფსევდონიმის უგემოვნოდ შერჩევისათვის ასე ჰკენწლავს ავტორს ვინმე „ჯონჯოლაძეს": „ეს სადიდმარხვო ფსევდონიმია, თუ ნამდვილი გვარი? მოთხრობა კი მეტად უმარილოა". ( 11, 1913ნ.)

იქვე, „„მწყერის" ფსევდონიმს ამოფარებულ ავტორს ასეთ ანგარიშს უდგენს: „ერთ პატარა ზღაპარში 15 ანდაზა მოგყავთ. კარგი არის მე-16-ეც: არა შეჯდა მწყერი ხესაო". ( 11, 1913ნ.).

„მ-ის: „მაიმუნი იჯდა და მღეროდა" (?). ეს უფრო ავტოგრაფიასა ჰგავს, თითქო?" ( 11, 1913ნ.).

„განდევნილს": „მდევნის ბედი, მდევნის ხალხი მდევნის და-ძმა და დედაცა. მდევნის... მუზა". „კლდე" ასეთ პასუხს უგზავნის: „ამას უთქმელადაც გავიგებდით, მაგრამ რატომ გგონიათ, რომ ჩვენ გამონაკლისს შევადგენდით ამ საერთო ხოროში?" ( 23, 1913ნ.)

ვინმე „გარდუვალს" ჟურნალისათვის მიუმართავს: „ტყუილად ფიქრობთ, რომ სატირა უეჭველად სატირალი უნდა იყვეს"-ო. აი,

მაგალითად, თვითონ თქვენმა სატირამ, ბევრი გვაცინა", პასუხობს „კლდე" (იქვე)

ნაღდი იუმორი იგრძნობა შემდეგ სიტყვებში: „ ანიჩკაძეს: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი... ირემი". უგზო-უკვლოდ სირბილი არავის ეკრძალება, მაგრამ თან როცა ნაპარავი მიგაქვს, ყოველთვის მდევარს უნდა მოელოდე". ( 26, 1913ნ.)

ჟურნალი აღნიშნავს: „ჩვენი შინზრდილი პოეტები ყოველთვის ბევრსა სწერენ, მაგრამ ეტყობა, შემოდგომაზედ მათი ფანტაზიის ხეხილიც უფრო უხვად იღებს ნაყოფსა და მოგვივიდა კვანჭატურიასაგან:

„...მოდი ვნახოთ ვენახი,
ამოსულა ბალახი
მოდი ვნახოთ თხაო
სულ მთლად გადახმაო".

გეტყობათ ყური მოგიკრავთ ხალხური ლექსისათვის, მაგრამ შიგა ფუღუროს რეზონანსი გაგფუჭებიათ". ( 31, 1913ნ.).

„თელაველ ნიკოსაც" ალბათ კარგახანს აღარ გაუჩნდებოდა პოეტობის სურვილი, როცა მის ამ ნაცოდვილარს დაბეჭდილს იხილავდა „კლდის" ფურცლებზე (რა თქმა უნდა, თუ ამდენი მიხვედრის უნარი აღმოაჩნდებოდა):

„ვარდს ზამბახი გადავაწან,
შიგ ჩავგრიხე ია მე
გვირილები შემოვუწყე
მაინც, ეთერ მშია მე...". ( 31, 1913ნ.).

ვინმე „ცუცუკა" რედაქციას სთხოვდა: „...თუ ამას დამიბეჭდავთ, კიდევ ბევრს მოგაწვდით"-ო. სნორედ ამისათვის ვერ დაგიბეჭდავთ, — პასუხობდა „კლდე" ( 31, 1913ნ.).

ან კიდევ:

„ლას-პარს": მთვარის ტრფიალით ველად გავიჭერ,
ქარის გრიალით, მიწას ჩავიჭერ..."
მაგრამა, ლას-პარ, კალმის ტრიალით,
ვერას გახდები, ვერას დაიჭერ..." ( 31, 1913ნ.).

ამ მეთოდმა რამდენადმე გასჭრა და რუბრიკაც („ჩვენი ფოსტა") შედარებით მჭლე გახდა, თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა...

1914 წლის 29 ივნისის ნომერში „კლდე" წერდა: „უკანასკნელ დროს მწერლობის ჟინმა ისევ წამოუქროლა ქართველ ახალგაზრდობას და მუდამ-დღე მოგვდის „პოეზია" და „პროზა", რადგან

კერძოდ პასუხის გაცემა ძნელია, უყურადღებობა კი შეურაცხმყოფელი, ჩვენ ისევ ჟურნალით ვუპასუხებთ", და პასუხობდა კიდეც:

*„ტალლას:* „წყალი" და „ქარი" თქვენს ლექსში ძალიან შეხმატკბილებულან, ვეჭვობთ, რომ მწერლობაში „წყალი" და მოსაზრებაში „ქარი" შეგიხმატკბილებიათ... თუმცა ლექსი ცელქი და მალხაზია..."

*„საირხელ მაროს*: „მაგრამ კვლავ მაინც შენ მეყვარები, შენთვის მოვიკლავ საბრალო თავსა", — წერს მარო და პასუხობს „კლდე" — „ჩვენ არ ვიცით რა საშუალებით აპირობთ თავის მოკვლას, ჩვენი რჩევა კია: „კლდიდან" გადავარდეთ"[194].

ანდა *„ქინციკიძეს*: „... არ ძალმიძს მუზა მოვიხმო ავაჟღარუნო (?) გიტარა...", — წერს ავტორი და რჩევას აძლევს ჟურნალი: „მერე ამ სიცხეში ვინ გატანს ძალას; რაზე ენვალები ან შენ, ან ჩვენ რას გვერჩი?"

ანდა: *„მ. ც-ს:* „ერთი ხანია გიმნაზია გავათავე და მინდა რამე საქმეს მოვეკიდო" — გვწერთ. გიმნაზია გაათავეთ და მერე არ იცით, რომ კლდე ცუდი ხელმოსაკიდია?"

ანდა: *„ცაციას:* „აბა მარჯვენა ხელით სცადეთ წერა იქნება უფრო ჭკვიანური რამ გამოგივიდეს"[195].

ანდა: „...ლექსთა წერა მეხერხება,
პროზა? — რა მოგახსენოთო
ქართველი გლეხის ხარები
სულ უნდა გავაცხენოთო"(?)

ატყობინებს თავისი ლექსით „კლდეს" ვინმე „არიფო", რაზედაც ჟურნალისაგან ასეთ პასუხს ღებულობს: „გაგვიგია ხანდახან კაცი გაბრიყვდება და ლექსებს სწერს, მაგრამ ხარი რომ გაცხენდებოდეს, ეს როგორღაც უხერხულად მიგვაჩნია..."[196].

ანდა: ვინმე „ენციკლოპედი" ჟურნალს სთხოვს გაარკვიოს, თუ როგორ მოიქცეს: „...ვიცი, ბევრი რამ ვიცი... როგორ გადმოგცეთ, ვაი თუ არ გამოგადგეთ...?

პასუხი ასეთია: „ნუ გრცხვენიათ, მართალია, ზამთარი გავიდა, მაგრამ ხანდახან ღუმელს ეხლაც ვანთებთ ხოლმე წვიმიან დღეში"[197]. და სხვ.

---

[194] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის, 29 ივნისი, გვ. 14.
[195] იქვე, 1914 წლის 29 ივნისი, გვ. 14.
[196] იქვე, 1913 წლის 7 მარტი, გვ. 16.
[197] იქვე.

* * *

ჟურნალს მიაჩნია, რომ ხელოვნებას საერთოდ და, კერძოდ, კი ქართულ ხელოვნებას, უდიდესი როლის შესრულება შეეძლო ადამიანების სულიერი აღზრდის საქმეში. ამიტომ იყო, რომ გამოსვლის პირველი დღეებიდანვე მის ფურცლებზე იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟანრის მასალები (წერილები, რეცენზიები, ორიგინალური თუ თარგმნილი დრამატული ნაწარმოებები, ფერწერული თუ გრაფიკული ტილოების რეპროდუქციები და ა.შ.). „კლდის" სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, სკულპტორები...

ჟურნალი ასეთ მასალებს ძირითადად მუდმივი რუბრიკის „თეატრი და ხელოვნების" ქვეშ ათავსებდა... ასეთი მასალების ავტორები უმეტეს შემთხვევაში რევაზ გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბი იყვნენ.

მოვიტანთ ორიოდე მაგალითს, 1913 წლის 6 იანვარს შ. ამირეჯიბი წერილში „ვლადიმერ მესხიშვილი", მაღალ შეფასებას აძლევდა გამოჩენილ მსახიობსა და მამულიშვილს, მის დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე... „ერის ცხოვრებაში ბევრია ნიჭიერი და ხალისიანი მუშაკი, ბევრი აღწევს ვარჯიშობით და გონიერის დაკვირვებით იმ საფეხურს, რომელიც საზღვრავს ღვთიურ შემოქმედებას, მაგრამ იშვიათია, როგორც ალმასი მოელვარე, მინის გულიდან ამოღებული, როგორც მარგალიტი, ზღვის ძირიდან მზის შუქზე ამოტანილი, ისეთი ზეციური ნაპერწკალი, რომელსაც ზეშთაგონება ჰქვიან... ზეშთაგონება, — ბუნებით ნაბოძები ნიჭია: ვერც სწავლა, ვერც გონიერება, ვერც ცდები მას ვერ შექმნის... ასეთია ლადო, რომლის სიტყვა, მუდამ იყო „ეროვნული გრძნობის ჩამნერგველი ძალა[197]

„ოტელო" ქართულ სცენაზე" ასეა დასათაურებული რ. გაბაშვილის რეცენზია, რომელიც თბილისში ქართველ არტისტთა ახალი ამხანაგობის მიერ შექსპირის ხსენებული პიესის დადგმას ეხება. ოტელო — ვალერიან გუნიას, იაგო — კოტე მესხს, ხოლო დეზდემონა — ქიქოძის ასულს შეუსრულებიათ.

რეცენზენტი სწორედ ამ სამი მსახიობის მიერ განსახიერებული როლების შესახებ ამახვილებს ყურადღებას და არც ერთის თამაშს წარმატებულად არ მიიჩნევს. რ. გაბაშვილის აზრით, ვალ. გუნია „ყოველ ღონეს ჰხმარობდა, რომ მთელი თავისი ძალ-ღონე გამოეყენებია, მაგრამ მაინც ვერ აღწევდა საწადელს", ვერც კოტე მესხის პერსონაჟი ამაღლებულა „შექსპირის მიერ დახატულ იაგომდე",

---

[197] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 6 იანვარი.

ხოლო „ქ-ნი ქიქოძის ასული ჯერ კიდევ გამოუცდელია ასეთ პასუხსაგებ როლში გამოსასვლელადო"-ო. რაც შეეხება „დანარჩენთ მათ აღარ შევეხებით: თვითონვე მიხვდებით",— აღნიშნავდა რეცენზენტი და იქვე შენიშნავდა: „საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სცენა სათანადოდ ვერაა ამაღლებული, რომ კლასიკოსებს ასე ხშირად დავუთმოთ ადგილი. ტეხნიკის განუვითარებლობას თან სდევს მსახიობთა უძლური მხარე. ნუ წარვუხოცავთ სასოებას, მაგრამ ნურც ასე გამოვიდებთ თავს, რომ ასე ხშირად შეგვეძლოს ჩვენი სუსტი ძალებით „ანტიგონესი", „მეფე ლირის", „ოტელოსი", ხვალ კიდევ „ოიდიპოსის" დადგმა"[198].

მომდევნო რეცენზიაში, რომელსაც ქართულ თეატრში „მეფე ედიპეს" დადგმას უძღვნიდა იგივე რ. გაბაშვილი დადებით შეფასებას აძლევდა სპექტაკლს მთლიანობაში, ხოლო ცალკეული მსახიობების თამაშის შეფასებისას გამოჰყოფდა ქ-ონ ქიქოძის ასულის მიერ განსახიერებულ იოკასტას და შენიშნავდა: „დიდ იმედებს იძლევა და თამამად ითქმის, რომ მეტად ნიჭიერი და შეგნებული არტისტი დადგება", რაც შეეხება გუნიას (ოიდიპოსს) მან „ჩვეულებრივად როლი არ იცოდა", „კრეონის როლის შემსრულებელი „მგალობლიშვილი მეტად კარგი იქნებოდა, რომ მეტად ყმაწვილი არა ყოფილიყო"[199]-ო.

ჟურნალში დასტამბულ ერთერთ სტატიაში „ქართული თეატრის გარშემო" პირუთვნელი საუბარია სანდრო შანშიაშვილის არტისტულ შესაძლებლობებზე, რომელსაც იმხანად გლეხის როლი შეუსრულებია სპექტაკლ „მსხვერპლში".

რეცენზენტის თქმით, ეს გამონვეული ყოფილა „ერთის მხრით მოუხეშავი მიხვრა-მოხვრის გამო, რაც მისი კომპლექსისაგან დამოკიდებული იყო, მეორე მხრით კი — ღრეჯია მიმიკით და გლეხის შეუფერებელი პათოსით ლაპარაკის გამო, რითაც ერთხელ კიდევ გვიმტკიცებდა, რომ ჩვენს არტისტებს ფიქრადაც არ მოსდით რაიმე არამც თუ სკოლის, უბრალო დისციპლინის მიმდევრობა თავიანთ შემოქმედებაში". მითუმეტეს ერთ კერძო საუბარში სანდრო შანშიაშვილს განუცხადებია: „ბულბულს რად უნდა სწავლაო", ანუ საჭირო არ არის თავის ზედმეტი შენუხება სამსახიობო ხელოვნების დაუფლებისათვისო.[200]

„კლდე" ამის გამო შეაგონებდა ნიჭიერ პოეტს და უნიჭო მსახიობს, რომ „ხელოვნების მოტრფიალე ყოველს ადამიანს უნდა ჰქონდეს არა თუ სწავლა-განათლება საზოგადოთ და ხელოვნების დარგშიაც, არამედ საკუთარი ნიჭის გათვითცნობიერებაც. არტ-

---

[198] ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 7 მარტი, გვ. 15-16.

[199] იქვე, 1913 წლის 17 მარტი, გვ. 16.

[200] იქვე, 1913 წლის 13 იანვარი, გვ. 14.

ისტს ღრმად უნდა ჰქონდეს შესმენილ;ი ის მცნება, რომ მარტო მაშინ შესძლებს სხვაზედ მოქმედებას, როცა თვითონ ღრმად შეითვისებს საგანს, რომელსაც მაყურებლის თვალწინ უყენებს... ახალმოვლენილ შანშიაშვილზედ, მგონი ისიც არ ითქმის, რომ ნიჭიერი იყოს... არ ეტყობა მაინც." ჟურნალს ყველასათვის საუკეთესო მაგალითად მიაჩნდა ვალერიან შალიკაშვილი, რომელიც „ყოველთვის ჩინებულად თამაშობდა"[201]

ჟურნალის რედაქციას, რომელიც ესოდენ დაინტერესებას იჩენდა ეროვნული თეატრის, თუ ხელოვნების სხვა დარგების ავკარგიანობაზე, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის როლი, რომელიც ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღზრდის საქმეში სცენიდან ნათქვამ სიტყვას უნდა შეესრულებინა. „კლდეისტებს" სწამდათ დიდი ილიას შეგონება, რომ მეცნიერებასთან ერთად ხელოვნებას ხელი უნდა შეეწყო საზოგადოებრივი „აზრის მოძრაობისათვის", რომ „ისინი თავს უნდა დასტრიალებდნენ ცხოვრებასა და ყოველი ყვავილი მისი მოჰკრიფონ, შეიტყონ რისთვის არიან იგინი და რანი არიან..."[202]

ჟურნალის ფურცლებზე არაერთი საყურადღებო მასალაა დასტამბული ისეთი ეროვნული დაწესებულების შესახებ, როგორიც ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმი იყო. იმდროისათვის ერთადერთი ეროვნული დაწესებულება, სადაც „ჩვენი წარსულის ნივთიერი და სულიერი კულტურის ნაშთები" იყო შეკრებილი... „ეს მუზეუმი, — რ. გაბაშვილის აზრით, — ტაძარია, შექმნილი სულ რამდენიმე მოსიყვარულე ქურუმისაგან, რომელნიც თავგამეტებით სწირავენ მას თავის დროს, ენერგიას და სიყვარულს"... ამ ქურუმთაგან სტატიის ავტორი განსაკუთრებით გამოჰყოფდა ექვთიმე თაყაიშვილის განუზომელ დამსახურებას, რომელიც დაუცხრომლად იღვწოდა მისთვის საჭირო ექსპონატების მოპოვებისათვის, მაგრამ გულსატკენი ის იყო, რომ მუზეუმს შესაფერი შენობა არ გააჩნდა, საცა უფრო მეტი ნაყოფიერებით შეიძლებოდა მუშაობის გაშლა... არა-და, ავტორის აზრით, — „მუზეუმი ისეთი განძია, რომელზედაც დახარჯული ფული უბრუნდება ქართველ საზოგადოებას. იმ ისტორიულ და ძვირფასად ღირებულ ნაშთების სახით, რომელთაც გარდაუვალი და მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, როგორც ჩვენი ეროვნული კულტურის გაცნობისათვის წარსულში, ისევე მის აღორძინებისათვის მომავალში"[203]. გამომდინარე აქედან, იგი ქართველ საზოგადოებას მიმართავდა მეტი თანაგრძნობა და მხარდაჭერა აღმოეჩინათ ამ

---

[201] ჟურნ „კლდე", 1913 წლის 13 იანვარი, გვ. 14.

[202] იქვე, გვ. 14.

[203] იქვე, 1914 წლის 22 ივნისი, გვ. 2-5.

ნორჩი დანესებულებისათვის, როგორიც სრულიად საქართველოს საისტორიო, საეთნოგრაფიო და საარქეოლოგიო მუზეუმი იყო.

„კლდეისტებს" იმთავითვე კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული პრესის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ იყო, რომ ისინი მუდამ ფხიზლად აფასებდნენ ყოველი ბეჭდვური ორგანოს საქმიანობას. უპირველესი კრიტერიუმი ამ შეფასებისა იყო ის, თუ რას აკეთებდა ესა თუ ის გამოცემა ქართველი ხალხის ეროვნული სულის აღორძინებისათვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული წინსვლისათვის... მათ ისიც შესანიშნავად იცოდნენ, რომ პრესას არა მარტო იდეების გავრცელება, არამედ დიდი ორგანიზატორული როლის შესრულებაც შეეძლო, მითუმეტეს იმ დროს, როცა ამ მხრივ საქმიანობის ნარმართვისათვის ერთიანი პოლიტიკური ცენტრი არ არსებობდა... ჟურნალის რედაქტორი რევაზ გაბაშვილი ამასთან დაკავშირებით გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენ არა გვაქვს რომელიმე ერთი დანესებულება, რომელიც ჩვენს საერთო ეროვნულ ინტერესებზედ, ენაზედ, ტერიტორიაზედ, ეკონომიურ კეთილდღეობაზედ ზრუნავდეს"[204]. ამის მიზეზი, მისი აზრით, ის იყო, რომ გაბატონებული ბიუროკრატია, ანუ თვითმპყრობელური ხელისუფლება, დაინტერესებული იყო ჩვენს რუსიფიკაციაში. „ჩვენ არა გვყავს საკუთარი არჩეული თვითმმართველობა არამც თუ საერთო ეროვნული საქმეებისათვის, არამედ ცალკე დაბა-ქალაქთა და სოფელთა ინტერესების დაცვისთვისაც. ჩვენ დაქსაქსულნი ვართ. ამიტომ უაღრესად საჭიროა შეკავშირება, კოორდინაცია ჩვენის ძალისა, რათა საერთო საქმე გამაგრდეს ეროვნული შეგნება განმტკიცდეს..."[205]

მერე რა გზით, რა საშუალებით, რისი მეშვეობით შეიძლებოდა ამ საქმისათვის შველა, მისი მოვლა-პატრონობა?

რ. გაბაშვილის აზრით, ასეთი მაკორდინირებელი როლის შესრულება პრესას შეეძლო: „უაღრეს როლს ამ შემთხვევაში პრესა თამაშობს, საცა გამოითქმება ხოლმე სხვადასხვა მიმართულების და ჯგუფების შეხედულება. მარტო პრესის საშუალებით შეუძლიან ქართველ ერს ხმა მიანვდინოს ერთმანეთს და თავისი გულისნადები უთხრას, რადგან არ არსებობს სხვა, თითქმის არც ერთი დაწესებულება, ან ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ლეგალურად ეროვნული პროგრამის შემუშავება ცხოვრებაში გასატარებლად"[206].

ქონდა კი ქართველ ხალხს იმ ხანებში ისეთი ბეჭდვური ორგანოები, რომლებიც ამ მძიმე ტვირთის ზიდვას შეძლებდნენ?

---

[204] ჟურნ „კლდე", 1914 წლის, 4 მაისი, გვ. 10.

[205] იქვე.

[206] იქვე, 1914 წლის 30 მარტი, გვ. 6-7.

რაოდენობრივად კი, მაგრამ რეალურად მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალზე უმნიშვნელო იყო. იმავე რ. გაბაშვილის თქმით, იმხანად საქართველოში თვრამეტი ჟურნალ-გაზეთი გამოდიოდა, მაგრამ ეს მისი კულტურული დონის მაჩვენებელი სულაც არ იყო; პირიქით „გაზეთების სიმრავლე მარტო ჩვენს უკულტურობასა ნიშნავს, ჩვენს ზერელობას მრავალფეროვან მატერიალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებში“ და სურვილს გამოთქვამდა: „ორისამი, მაგრამ ხეირიანი ორგანო გვქონოდა, მართლაც „ფესვებიანი“ და არა ათასი და ისეთი უნიათო და წყალწყალა, როგორც დღესა ვხედავთ“[207]-ო.

„კლდე“ 1913 წლის 3 თებერვალს მოწინავეში პრესის შესახებ და მის სასარგებლო საქმიანობაზე წერდა: „თვალი რომ გადავავლოთ ჩვენს „მრავალრიცხოვან“ პრესასა, რომ ჩავუკვირდეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მიმართულებას, ადამიანი გაოცდება, თუ მიზანი და მისწრაფებანი როგორ ყველას ერთი აქვს თითქო და იმავე დროს ერთ-ერთმანეთს სჭამენ სულ უბრალო და უმნიშვნელო საბაბების გამო, სჭამენ როგორც ფარაონის მჭლე ძროხები და ისევ მჭლენი რჩებიან“.

ამ ფაქტით შეშფოთებული „კლდე“ განაგრძობდა: „სად არის ამის მიზეზი? რად ვფანტავთ ასე ჩვენს ლიტერატურულ ძალას, რად ვალევთ ენერგიის დიდ ნაწილს უმნიშვნელო და არასასურველ შეხლა-შემოხლას, როცა საქმე-სამკალი ბევრია და მომკალნი ასე ცოტანი?“

„...ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა უმეტეს ნაწილად, მიზანზედ, ანუ პრინციპზედ კი არ ეკამათება ერთი-ერთმანეთს, რადგან უმეტესობას ერთი უმაღლესი მიზანი აქვს — ეროვნული აღორძინება და განვითარება, არამედ დაუცხრომელი ბრძოლა წვრილმანების გარშემო ტრიალებს... ეს კი უსიამოვნებას და გულისტკივილს ინვევენ მკითხველში.

ის პრესა, რომელიც ხელმძღვანელი უნდა იყვეს საზოგადო აზრისა, რომელიც უნდა მიმართულებას აძლევდეს საერთო საქმეებს თავისი შეგნებული გათვალისწინებით ყოველი მოვლენისა; რომელიც უნდა აწარმოებდეს გარკვეულს, მიზანშეწონილ პოლიტიკას — იფანტება, ჰკარგავს უმთავრესს — წვრილმანებში, რყვნის დიადს უმნიშვნელოთი.

...ეხლა ჩვენს პრესას არამთუ არ შეაქვს შეგნება ეროვნული მთლიანობისა ჩვენს საზოგადოებაში და ხალხში, არამედ იმ კავშირსაცა შლის და ჰგლეჯს, რომელის ბუნებრივად არის დამყარებული და ათას მტრულ ბანაკადა ჰყოფს გააფთრება, ისედაც დაკნინებულ ერსა“.

---

[207] ჟურნ „კლდე“, 1914 წლის 30 მარტი, გვ. 6-7.

დასასრულს რედაქცია ასე ამთავრებდა თავის მოწინავეს: „მივმართავთ ჩვენი ეროვნული პრესის ყველა წარმომადგენელს, ვინც პრინციპიალურ წინააღმდეგობას ვერ დაინახავს ასეთ შეთანხმებაში, გამოსთქვან თავისი აზრი.

იქნება საერთო ძალით უკეთ შეიძლებოდეს მოგვარება არა მარტო ჩვენი სიტყვიერი მსჯელობისა, არამედ ყველა იმ კულტურულ-ეკონომიკურ დაწესებულებისა და იმ საქმისა, რომელთაც ნება-ნება საფუძველი ეყრებათ და რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ერის მომავალი ძალ-ღონე"[208].

„კლდეისტები" გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოში სხვადასხვა ენებზედ გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს და შეუნიშნავს და რეაგირების გარეშე არ ტოვებდნენ, თუ რომელიმე მათგანის ფურცლებზე საეროვნო მნიშვნელობის რაიმე მასალას წააწყდებოდნენ... მოსაწონს ინონებდნენ, ხოლო გასაკრიტიკებელს აკრიტიკებდნენ. ამ შემთხვევაში მათთვის პარტიულ განსხვავებულობას რაიმე მნიშვნელობა არ ჰქონდა.

„თუ ავგუსტ ბებელს შეეძლო იმის თქმა, რომ პროლეტარიატის ინტერესებისათვის ეშმაკსაც კი დავუმეგობრდებიო, ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ჩვენ თვით დასელებთან (გულისხმობენ ქართველ სოც.-დმოკრატებს — გ. ს.) ნავალთ ერთად და არ შევუშინდებით იმასაც, თუ ჩვენი „სოციალისტები" იმის მტკიცებას დაგვიწყებენ, რომ ეშმაკი სჯობია ქართველ დასელს"[209].

ამის კონკრეტულ მაგალითად მოჰყავდათ სოც.-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „აზრი", რომელსაც მოუთხოვია — ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა დემოკრატიზაციის პრინციპით შეფასებულიყო.. „ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, როცა წერა-კითხვის საზოგადოების დემოკრატიზაციას ქადაგობენ. გვწამს, რომ ქართულის დემოკრატიის მესვეურნი, ქართული კულტურის ინტერესებს ისინიც მაღლა აყენებენ და დაიცავენ კიდეც. თუ ეს ასეა, მაშინ არავითარი უფლება არა გვაქვს ვეწინააღმდეგოთ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც დროს შეეფერება და საზოგადოების დემოკრატიზაციაში გამოიხატება..."[210]

„კლდეისტთა" ღრმა რწმენით „ყველა ნეიტრალური ეროვნულ-კულტურული დაწესებულება (მათ შორის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც — გ. ს.) მოვალე იყო კარი გაეღო ხალხის უმრავლესობისათვის, რათა ყველა მიმარ-

---

208 ჟურნ. „კლდე", 1913 წლის 3 თებერვალი, გვ. 1-2.

209 იქვე, 1914 წლის 22 ივნისი, გვ. 2.

210 ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 22 ივნისი, გვ. 2.

თულების წარმომადგენლებს თავისი ხმა უნდა ჰქონოდა საერთო ნეიტრალურ ნიადაგზე"[211].

რ. გაბაშვილის ამ სტატიას თავის მომდევნო ნომერში ეხმაურება გაზეთი „იმერეთი" და აღნიშნავს: სოც.-დემოკრატების ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში ჩართვამ იგი „პოლიტიკური ბრძოლის მოედნად არ გადააქციოსო".

რ. გაბაშვილი კი ამასთან დაკავშირებით პასუხობდა: „პოლიტიკური მოსაზრებით არასოდეს არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ კულტურულ დაწესებულებაში... საერთო ეროვნულ საქმეში — პარტიულ და პოლიტიკურ მოსაზრებათა შეტანა — დიდ შეცდომად მიგვაჩნია ყველას... რაც შეეხება იმ შიშს, რომ დასელები რასაც ხელში ჩაიგდებენ, იქ აღარავის დააყენებენო — ეს ჩვენ არ გვაშინებს: ჯერ ერთი ისინიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოების (ე.ი. ქ.შ.ნ.კ.გ.ს.-ის — გ. ს.) არსებობაში და, მაშასადამე, თვითონ ძირს არ გამოუთხრიან და, მეორეც, საკითხი სწორედ იმაშია, რომ ერთს მიმართულებას არ უნდა ჰქონდეს ჩავარდნილი ხელში ეს დაწესებულება"[212].

უმართებულოდ მიაჩნდა რ. გაბაშვილს „იმერეთის" განცხადება: ჯერ განაციონალისტდნენ და მერე გაუღებთ მათ ხსენებულ დაწესებულებათა კარებსო"..., რადგან სწორედ ასეთი კარის ჩაკეტვა შექმნიდა გაუვალ კედელს, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიასა და სოციალ-დემოკრატიას შორის შენდებოდა. ამიტომ საჭირო იყო სოც.-დემოკრატებისათვის ხელის შენყობა, რათა ეროვნულ საქმეებში ტრიალით ესნავლათ ეროვნულ შემეცნებათა გაზიარება... რ. გაბაშვილს მიაჩნდა, რომ იმ დროისათვის (ე.ი. 1914 წლის შუა ხანებისათვის —გ.ს.) „დასელები ეროვნულად უკვე უბრუნდებოდნენ თავის პიროვნულ ფორმულებს, რომელსაც ადგნენ სოც.-დემ. II ყრილობამდე — ამის საბუთები მრავალია იმათთვის, ვინც თვალყურს ადევნებს უკანასკნელ დროის აზრთა ევოლუციას" და თხოვდა თანამოაზრე გაზეთის რედაქციებს გულისყურით აეწონათ ეს ტაქტიკური მოსაზრება და პრინციპიალური განხეთქილების საგნად არ გაეხადათ უბრალო საკითხი.

„კლდეს" სისტემატური პოლემიკა ჰქონდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებთან, მითუმეტეს, როცა მათი პოზიცია ეროვნულის საწინააღმდეგო და საზიანოდ მიაჩნდა...

ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება რ. გაბაშვილის წერილი — „თემიც" ერევა მარაქაშია"... რ. გაბაშვილის აზრით, „თემის" უპირველესი ნაკლი ის იყო, რომ იგი რაიმე საკითხსა და იდეას კი არ იცავდა, არამედ პიროვნებას; ანდა, როცა იგი ვინმეზე წერდა,

---

[211] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 22 ივნისი, გვ. 2.

[212] იქვე, 1914 წლის 29 ივნისი, გვ. 3-4.

ილაშქრებდა, ნერდა ან ილაშქრებდა პიროვნებაზე და არა იდეის წინააღმდეგ.

„თემი" კამათს მაინც არ იშლიდა... ამიტომ იყო, რომ რ. გაბაშვილის თქმით „დიდი ხანია აღარავინ ეკამათებოდა და თითქმის ყველა ქართულმა გამოცემამ არა ერთხელ გამოაცხადა თავისი უკანასკნელი სურვილი მასთან ყოველი პოლემიკის მოსპობის შესახებ".

მაგრამ „თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი თვითონ წავა მთასთანო" და „თემიც" თვითონ ეშვებოდა (თავს არ ანებებდა სხვების გაკენწვლას, ჩირქის მოცხებას, ცილისწამებასაც კი და ა. შ.)

რ. გაბაშვილის თქმით „თემს" იმჟამად ფარხმალი აუღია და „კლდის" წინააღმდეგ დაუბეჭდავს კახეთის რკინიგზის თაობაზე... ამის გამო „კლდე" ნერდა: ჩვენ „არსებითად არ შევეხებით მის ნერილს, რაკი ჩვენთვის და ჩვენი მკითხველისთვისაც არა საკადრის საქმედ მიგვაჩნია",და შემდეგ „ძმურ" რჩევას აძლევდა: „...არ არის ამ გაზეთის საქმე ისეთ რთულ კითხვებში ჩარევა, როგორიც არის ამჟამად კახეთის რკინიგზა და საზოგადოთ ის რთული სოციალ-პოლიტიკური საკითხები, რომელთა ცოდვილობა ასე უყვარს მას".

რ. გაბაშვილი არა მარტო რედაქტორს, არამედ რედაქციის მთელ შემადგენლობას არ ტოვებდა შეფასების გარეშე... „თემის" მთელი რედაქცია ისეთ პირთაგან შედგება, რომელიც, ღმერთი რომ ჰბადავდა უთხრა: აი, პური და აი წყალი, თუ გიყვარდეთ პოლიტიკას თავი დაანებეთ! მაგრამ „თემმა" მალე დაამტკიცა, რომ ოღონდ პოლიტიკაზედ ალაპარაკე და თუ გინდ პურს ნუ აჭმევ, ასე ყირამალა გადაატრიალა „თემმა" ღვთის განგება.

აი, ჩვენი აზრი გაზეთ „თემის" შესახებ". და შემდეგ:

„ისეთი გაზეთები როგორც „თემია" პირდაპირ მავნე ფუნქციას ეწევიან ჩვენს საზოგადოებაში. განა შესაძლებელია ისეთი გაზეთის არსებობა, რომელიც თვიდან-თვე მარტოოდენ ისეთი წერილებით იკვებება, როგორც არიან თემის მეთაურები... რაკი გაზეთი თავის საკუთარ აზრს მოკლებულია, იგი იძულებულია აზრთა მაკლერობა გასნიოს... „თემი" ერთი იმ გაზეთთაგანია, რომელიც რყვნის საზოგადოების შეგნებას, რომელიც ბურუსში ახვევს მართალ და საღ აზრს და განზრახ ან შეუგნებლად (ჩვენ უფრო ეს უკანასკნელი გვგონია) საზოგადოებაში ბოროტებას და მავნებლობას სთესავს"

„დღევანდელმა უბადრუკმა ხანამ, ნერდა „კლდე" თავის „პრესის" განყ-ში, — საქართველოს აჩუქა ერთი უბადრუკი შვილიც გაზ. „თემი" და მისი რედაქტორი...

მას „ხლესტაკოვშჩინობას" სწამებდა, როგორც ტყუილის მთქმელს, ცილისმწამებელსა და მეჭორეს...

უწუნებდა მეთაურ ნერილს:

„ბ-ი დიასამიძე ელაქუცება ცნობილ დეგენერატს ფ. მახარაძეს, რომლის ხელებზედ ჯერ ილია ჭავჭავაძის სისხლი არ გამშრალა და ეფიცება: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ილია ჭავჭავაძე კერძო საკუთრების პრინციპის აღმსარებელი და მისი შეურყევლობის მომხრე იყო. ამ მხრით ილიას ჩვენში ბევრი არ ემხრობოდა *ჩვენ შორისაც იყო დიდი განსხვავება.* (ხაზგასმა ნერილის ავტორის — „ეკალისაა" — გ. ს.).

ამ „განსხვავებით" გაკადნიერებული „თემის" რედაქტორი ურჩევს ქართველ საზოგადოებას დაუყოვნებლივ გაუმართოს ილია ჭავჭავაძეს სამედიატორო სასამართლო. („თემი" წერდა: (იხ. 124 1913) დაუყოვნებლივ მოაწყოს ჩვენმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკოსთა ჯგუფებმა და ქართულმა პრესამ აირჩიოს სანდო პირები და დაადგინოს თუ რა განწყობილება იყო ილიასა და გლეხებს შორის, სანამ მონმენი ცოცხლები არიანო").

ე.ი. სანამ ცოცხალნი არიან ილიას მორალური მკვლელი ფ. მახარაძე და ხლესტაკოვი გ. დიასამიძე რომელსაც, რასაკვირველია, ამ სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩევენო" — ირონიით შენიშნავდა „ეკალი".

„ეკალი" ჟურნალ „კლდეში" პატარა მიმოხილვაში „საზარელი დღეები" წერდა: „ქართული პრესა საზარელ დღეებს განიცდის. ბრწყინვალე ქართველი მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო ატეხილი ლანძღვა-გინება, მისი ხსოვნის შეურაცყოფა და ლაფში თრევა ყოველ საზღვარს გადავიდა და საზარლად ახასიათებს დღევანდელ ჩვენს ჟურნალიზმს. ქართულ ჟურნალიზმს გზა აებნა და აბნეული რყევნის ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს; თეთრს უჩვენებს შავად, წითელს — თეთრად.

რუსულ თონეში გამოცხობილმა „სოციალიზმმა" შეკაზმა ქართული ცხოვრება და ბნედიანად, უგზო-უკვლოდ, ქვეყანაზე დათარეშობს, გააქვს-გამოაქვს და ფეხქვეშ სთელავს პატარა ისტორიული ქართველი ერის წმინდა იდეალებს. დღევანდელი ქართული ცხოვრების გმირები ზიპო წკიპურტაძეები და *ფილიპე მახარაძეები* მზად არიან საქართველოს ყველა წმინდა საფლავები გაქექონ და გვამებიც ჰაერში გაანიავონ.

„კლდე" ყოველთვის დიდი ინტერესით ხვდებოდა ამათუიმ პერიოდული ორგანოს დაარსებას, მითუმეტეს მასში თუ რაიმე ეროვნულს, სამშობლოს მოჭირნახულის პოზიციას შენიშნავდა. ასე გამოეხმაურა ჟურნალი გაზეთ „მზის", გაზეთ „შადრევანის" და სხვათა გამოსვლას...

1912 წლის ნოემბერში ქუთაისში გამოვიდა ყოველკვირეული კოოპერატიულ ჟურნალ „შრომის კავშირის" პირველი ნომერი იოსებ გაბილაიას რედაქტორობით.

„კლდე“ ოპერატიულად ეხმიანება ამ ფაქტს და ბეჭდავს „დ. ვ.“-ს (დავით ვაჩნაძის) გამოხმაურებას, რომელშიც ნათქვამია: „ენერგია და შრომა თვით ბ-ონ გაბილაიასი კოოპერატიული იდეის გავრცელებაში ჩვენს ეკონომიურად ღარიბს ქვეყანაში, საუცხოვო და მისაბაძია. ამ დაჟინებულ ენერგიაში ისახება მომავალი თვით ჟურნალისაც“.

რეცენზენტის სურვილი იყო ახალ ჟურნალს ბევრი ეწერა არა მარტო მომხმარებელთა საზოგადოებაზე, არამედ „სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებისთვისაც მიექცია ყურადღება. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო საკრედიტო, მწარმოებელი, საქონლის გამსაღებელი და სხვა კოოპერატივები. მეტადრე საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც ასე სწრაფად ვრცელდებოდა ჩვენში და ულმობლად ითხოვდა ყოველ დღე მრავალ პრაქტიკულ საკითხების გამორკვევას... ამისათვის კარგი იქნებოდა ჟურნალს სისტემატურად მიეწოდებინა ჩვენი კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის მეტი მასალა ქართული კოოპერაციის ცხოვრებიდამ...“[213] და სხვ.

„გულწრფელად დავულოცავთ ჟურნალს მის კოოპერატიულ გზას და ვურჩევთ ჩვენს კოოპერატიულ ამხანაგობას გამოიწერონ ეს, მათთვის ყოვლად სასარგებლო გამოცემა“.

„კლდე“ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში (უპირველესად მისი პერიოდულობა გვაქვს მხედველობაში) უყურადღებოდ არ ტოვებდა როგორც ცენტრალურ, ისე კავკასიის რეგიონალურ პრესაში დასტამბულ მასალებს, რომლებიც ნეგატიური თუ პოზიტიური თვალთახედვით საქართველოსადმი იყო მიძღვნილი. ჟურნალი დაუყოვნებლივ ახდენდა მათ გადმობეჭდვას თავის მუდმივი რუბრიკის „პრესა“-ს ქვეშ.

მაგ. თავის 1915 წლის 7-ში „კლდე“ ახდენს ქართულ გაზეთ „ახალი აზრიდან“ ერთერთი პუბლიკაციის გადმობეჭდვას, რომელიც მიძღვნილი იყო გამოქცეულ სომეხთა და აისორთა შესახებ, მაშინ როცა არავინ ყურადღებას არ აქცევდა დარბეულ და აწიოკებულ აჭარელთა ყოფას, „რომელთა დასახმარებლად არავინ აღმოჩნდა“-ო.

„დღეს ადგილობრივი და სატახტო პრესა სომეხთა და აისორების ბედს დასტირის. მართლაც, მათი მდგომარეობა მძიმეა, მარა არის ერთი კუთხე, რომელსაც გარეშე და შინაურ მტერთაგან გაცილებით უარესი დღე დაადგა. ეს არის აჭარა, მისი მდგომარეობა მართლაც აუწერელია. გაივლის ხანი, სომეხ-აისორების უმრავლესობა თავის სახლ-კარს დაუბრუნდება, ხოლო აჭარელთა გოდება შთამომავლობას ისევ გადაეცემა, როგორც ებრაელთა გოდება მდ. ეფრატის ნაპირას. ამას ისტორია ვერ დაივიწყებს“.

---

[213] ჟურნ. „კლდე“, 1912 წლის 18 ნოემბერი, გვ. 11.

1914 წლის 22 დეკემბერს ქართველმა მკითხველმა მიიღო გაზეთ „შადრევანის" პირველი ნომერი — ქართველ სოც.-დემოკრატ-ავტონომისტთა ორგანო.

„კლდე" სიხარულითა და მოწონებით ხვდება თანამოძმის გამოსვლას. ჟურნალის სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო:

„ქართულს პრესას მიემატა კიდევ ერთი თანამოძმე „შადრევანი", რომლის პირველი ნომერი ფრიად საინტერესოდ შედგენილი გამოვიდა ამ წლის 22 ქრისტეშობისთვეს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თამამი და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სიტყვა ყოველმხრივ პასუხს აძლევს თანამედროვე საკითხებზე და უსურვებთ გამარჯვებას ამ მარჯვედ აღებულ გეზზე".

შემდეგ მითითებული იყო გაზეთის კონკრეტულ ღირსებებზე და ზოგიერთ „ბუნდოვანებაზეც", თუმცა „მისი თვალსაჩინო ადგილები მინც მოწმობენ გაზეთის მიერ თავის სარედაქციო წერილში გაცხადებულ" აზრი: „მთელს ჩვენს იმედებს საზოგადოების წინსვლისას და ეროვნული განახლებისას ვამყარებთ საზოგადოების ფართო დემოკრატიულ წრეებზე და მათს პოლიტიკურ-კულტურულ ამაღლების დიად და წმინდა საკურთხეველზე მიგვაქვს შეძლებისდაგვარად მსხვერპლი საერთო თანამოაზრეებთან ერთად".

ეს აზრი „კლდეს" „სრულის გულწრფელობით და სინამდვილესთან მიახლოვებით" ნათქვამად მიაჩნდა. განსაკუთრებით გამოჰყოფს „ამონანერის უკანასკნელ სიტყვებს, ვინაიდან ეს ახალი იერია ამ ბანაკის სიმღერებში, რომელთაც ქართული ზოგი ძალად და ზოგი მართლაც ეროვნული ჯგუფები — ერეკებოდნენ საზოგადო ასპარეზიდან.

(„კლდეს" მხედველობაში აქვს ის, რომ ავტონომისტები სოც.-დემოკრატების ნიაღში აღიზარდნენ და ამ დროისათვის უკვე ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიასთან დაკავშირებით — გ. ს.).

ჟურნალს სრული იმედი ჰქონდა, რომ „ეს ახალი „იერი ხიდად გაედება მოპირდაპირე ლაშქრებს" და ხელს შეუწყობდა მათი გაერთიანების, შეერთების საქმეს. ამის გარანტად „კლდეს" მიაჩნდა გაზეთის დანაპირები: „გაზეთი ენერგიულად ეცდება მხარი დაუჭიროს გაცნობიერებულ წრეების მართლა შეგნებულ მიდრეკილებას და დაფანტულ ძალთა თავის მოყრას".

„კლდის" დასკვნით: „ეს ფრიად მძიმე ტვირთი, ცოტა არ იყოს ძნელი ხდება ახალი თანამოძმისათვის, მაგრამ იმედია, რომ თანამედროვე დიადი მომენტი, რომელსაც ყველა მხარე ერთნაირის სიმწვავით განიცდის — ხელს შეუწყობს პრაქტიკულ საკითხებში გაერთიანებას".

ჟურნალი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახალი გაზეთის მეთაურ წერილს, რომელშიც დაკონკრეტებული იყო პრესაში მანამდე გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, რომ მთლიანად სთავაზობდა მას თავის მკითხველებს... გაზეთის მეთაურ წერილში კი მითითებული იყო იმ ისტორიულ მომენტზე, როცა ომის გამო საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, ფრონტის წინა ხაზთან აღმოჩნდა, რის გამოც საჭირო იყო მეტი სიფხიზლისა და თავდაჭერის გამოჩენა". კერძოდ, ქვეყნის სამხედრო დაცვა ჯარის საქმე იყო... „ჩვენ სხვა შინაურ სამოქალაქო და ეკონომიური საქმეების" მშვიდობიან გაძღოლისათვის უნდა მიგვეხედა და ამავე დროს მზად ვყოფილიყავით ყოველი „მოსალოდნელი გართულების ღირსეულად შეხვედრისათვის".

„კლდე" იწონებდა „შადრევანელთა" დამოკიდებულებას სომხეთის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა გაზეთს იმაზეც მიუთითებდა, რომ საჭირო იყო საკუთარი დამოკიდებულების გამჟღავნება იმ ობიექტურად არსებული სამი საკითხისადმი, როგორიც იყო: სომხეთის ავტონომია ოსმალეთში, ანექსია და რეფორმები. ჟურნალის აზრით: ამას დისონანსი შეჰქონდა გაზეთის პირველი ნომრის გადაჭრილ კრედოში... „ჩვენ გვესმის სიფრთხილე, გვესმის ეროვნებათა სოლიდარობის" პრინციპიც, მაგრამ დღევანდელი მომენტი აუცილებლად მოითხოვს პასუხს კონკრეტულ მოვლენებზეც და არა მარტო პრინციპიალურ შეხედულებათა გამოქვეყნებას"-ო.

„კლდე" ერთხელ კიდევ ხაზგასმით აფიქსირებდა ეროვნულ-დემოკრატების დამოკიდებულებას ომისადმი და მიიჩნევდა მას ერის, ეროვნული იდეით შეკავშირების საშუალებად, რომელიც უპირისპირდებოდა ინტერნაციონალიზმისა და მუშათა კლასის, პროლეტარიატის სოლიდარობას... „ეროვნულმა იდეამ და გრძნობამ შესძლო გაერთიანება ისეთი მოწინააღმდეგე ჯგუფებისა ერის ფარგლებში, რომელნიც ერთი-ერთმანეთის სისხლსა სვამდნენ, მხოლოდ ეროვნულმა იდეამ და გრძნობამ გათიშა ისეთი კლასები და ჯგუფები, რომელნიც სხვა ერთა იმგვარივე ჯგუფებსა და კლასებზედ ამყარებდნენ თავიანთ იმედებს. დღეს ბუნებრივი კრისტალიზაცია ხდება ერებისა თავიანთ ბუნებრივ ფარგლებში და ისპობა ომის ზეგავლენით კრისტალიზაცია კლასების მიხედვით. კლასთა ბრძოლა არასოდეს არ მოსპობილა და კვლავაც დარჩება, რასაკვირველია, მაგრამ იგი იტრიალებს ეროვნულ ფარგლებში, რადგან საერთო გასაჭირმა ნათელჰყო ის აზრი, რომ უფრო მახლობელია იმავე ერის, მაგრამ სხვა კლასის ნაწილი, ვიდრე იმავე კლასისა და სხვა ერის".

დასასრულ, ჟურნალი „კლდე“ სიცოცხლეს უსურვებდა ახალ თანამოძმეს გაზეთ „შადრევანს“ და სიამოვნებით უწვდიდა ხელს საერთო მოქმედებისათვის, ანუ ეროვნული საქმის საკეთებლად[214].

„კლდის“ აშკარა გაცხადებულმა ეროვნულმა პოზიციამ არაერთი ქართველი მამულიშვილი დააფიქრა და ბევრმა მათგანმა მიატოვა კიდეც თავიანთი ორგანიზაციები და ხსენებული ჟურნალის გარშემო იწყო თავმოყრა. ამის შესახებ იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთებიც წერდნენ: მაგალითად, გაზეთი „თემი“ აღნიშნავდა: „...დიდი მოძრაობაა... ჩვენს ზომიერ-საზოგადოებრივ ელემენტების წრეებში. ახლა ეს ელემენტები ამოძრავდნენ. გამოდიან იმ პარტიებიდან და იმ ჯგუფებიდან, რომელშიაც აქამდე იმყოფებოდნენ. მათ დაეტყოთ შესამჩნევი ცვლილება და ეს უკანასკნელი გამოისახა უპირველეს ყოვლისა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

ჟურნალ „კლდის“ თანამოაზრეთა გამოყოფა „სახალხო გაზეთის“ წრიდან მეტად თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენაა... ჩვენის აზრით, ამ ყმანვილკაცობის პირდაპირი, ნიღაბ ჩამოუფარებელი გამოსვლა სწორედ მოსაწონია. ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი მაშინ არის პატივსაცემი, როცა ის წრფელად აღიარებს თავის რწმენას და არ თვალთმაქცობს.

ჩვენ ამას გულახდილად ვაღიარებთ, ხშირად მოგვსვლია შეტაკება „„კლდეელებთან“, უეჭველია, შემდეგშიც მოგვივა, მაგრამ რაც ცხადია და უტყუარი, იმის დამალვა შეუძლებელია“.

გაზეთი „სიმართლის ხმის“ თქმით:

„გაუმარჯოს ზომიერ პარტიას, ძირს სოციალისტები! — აი დროშა, რომელნიც ჟურნალმა „კლდემ“ კაი ხანია ააფრიალა. „კლდის“ პუბლიცისტები გულწრფელი და გაბედული ხალხია! მათი ლაშქარი იზრდება და სხვა.

თავის მხრივ ჟურნალი „კლდე“ ასეთ კომენტარს უკეთებდა ამ გამოხმაურებას „ორივე გაზეთი მარტო „ზომიერებით“ ხსნის ამ ელემენტების გამოთიშვას უწინდელ პოზიციებიდან. მაგრამ ეს დახასიათება სრული არ არის. განა უკიდურესობას გამოექცა ივ. გომართელი, თუმცა მას „კლდეში“ არ შეუფარებია თავი?.. ჩვენ ვფიქრობთ, ზომიერების გარდა აქ დიდ როლს თამაშობს ეროვნული პროგრამა , რომელიც არც სოციალ-დემოკრატებს უვარგათ და არც სოციალ-ფედერალისტებს.

აქედან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: მართალია ჩვენ ვართ ზომიერნი სოციალურ პოლიტიკაში, მაგრამ ეროვნულ პოლიტიკაში ჩვენ ვიქნებით უკიდურესი რადიკალები“[215].

---

[214] ჟურნ. „კლდე“, 1914 წლის 31 დეკემბერი, გვ. 7-8.

[215] იქვე, 1914 წლის 26 იანვარი, გვ. 9.

* * *

„ბიბლიოგრაფიის" განყოფილებაში ჟურნალი დრო და დრო აქვეყნებდა პროფესიონალურ დონეზე დაწერილ რეცენზიებს ამა თუ იმ სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოების ღირსებანაკლოვანებებზე, ზოგჯერ კი ანოტაციის დონეზე აცნობებდა მკითხველ საზოგადოებას ახლად გამოსული წიგნების შესახებ.

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთი ქართველი მოღვაწე ქართული ენის კვდომისა და რუსულთან მისი შერწყმა-გათქვეფის აუცილებლობასაც კი ქადაგებდა. მათ შორის იყო გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელიც. მან სპეციალური ბროშურაც კი მიუძღვნა ამ საკითხს... რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართველ 60-იანელთა მხრიდან... ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც დასაბუთებული პასუხი მისწერა ბაგრატიონ-მუხრანელს — იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი იყო. 1872 წლის 21 ნოემბერს დაწერილი პირადი წერილი პირველად ჟურნალმა „მოამბემ" გამოაქვეყნა 1896 წელს, ხოლო 1914 წლის 8 ივნისს მისი ხელახალი პუბლიკაცია ჟურნალმა „კლდემ" მოახდინა... რედაქციის მინაწერში ნათქვამი იყო: „ეს წერილი გადმობეჭდილია პატარა ბროშურიდან „სულმნათი გაბრიელის საუნჯე" და ვათავსებთ, როგორც დღესაც ისევე საინტერესოს, როგორც ყოველთვის"[216].

ჟურნალი თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამდა გ. ბაგრატიონის მოსაზრებების გამო, რომელსაც მიაჩნდა, რომ ყოველი სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი... რომ სახელმწიფოში უნდა იყოს ერთი ენა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაგარი და მკვიდრი" (რუსეთზე ზრუნავდა ბაგრატიონთა წარმომადგენელი — გ. ს.). ამის საპასუხოდ გაბრიელ ეპისკოპოსი „გადაგვარების მოსურნე" ქართველს შეახსენებდა: „დედამიწის ზურგზე დასაბამითგან ვიდრე აქობამდე და ახლაც ჩვენს დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელთა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით; ყოველ სახელმწიფოში ყოველთვინ და ყველგან გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილ-წვრილი ენები...", რომ „ხალხის ხალხთან შეერთება (сляние) მარტო ენით არ მოხდება და არც დაბრკოლდება... თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმს..."[217] და ა.შ.

---

[216] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 8 ივნისი, გვ. 12-15.

[217] იქვე.

ერთი სიტყვით, სამშობლოს მოყვარული მამულიშვილი სავსებით დასაბუთებულად აქარწყლებს რუსოფილ მეორე ქართველის მოსაზრებებს და უმტკიცებს მას, რომ ქართული ენა არასდროს არ მოკვდებაო. ჟურნალი „კლდე" კი ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენებდა, რომ რაც უნდა დიდი ყოფილიყო სურვილი ჩვენი ერის მოსპობისა და გადაშენებისა, ამას ვერ მოესწრებოდნენ ვერც შინაური და ვერც გარეშე მტრები, ვინაიდან ჩვენ დიდი ისტორიული წარსულის და მდიდარი კულტურის მქონე ხალხი ვართ და საკუთარი წილი გვქონდა შეტანილი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში... ისტორიული სამართლიანობის დადგენის მიზნით ძალზე საყურადღებო იყო „კლდის" ფურცლებზე დასტამბული რევაზ გაბაშვილის რეცენზია ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის წიგნზე — „გიორგი საკაძე და მისი დრო" (თბ., 1914, გვ. 1-52).

რ. გაბაშვილის აზრით, არასამართლიანი იყო ორი „შინზრდილი ისტორიკოსის" — ანტონ ფურცელაძის და მოსე ჯანაშვილის მოსაზრებები გიორგი საკაძეზე. რეცენზენტი ანტ. ფურცელაძის მონათხრობს „ფანტაზიის ნაყოფად" მიიჩნევდა, ხოლო მოსე ჯანაშვილისას — როგორც „ციტატების გროვას", თუმცა უპირატესობას ანტ. ფურცელაძის მოსაზრებებს აძლევდა, რომელიც „ლიტერატურულად შემუშავებული და სასიამოვნო წასაკითხს მაინც ნარმოადგენდა", მაშინ, როცა მოსე ჯანაშვილის ბროშურა „რაღაცა ტლანქი ძალის პარპაშსა" ჰგავდა, რომელიც „ვერც თვითონ მოუნელებია და ვერც მკითხველი მოინელებს"-ო[218].

რ. გაბაშვილი თვლიდა, რომ „ბ-მა ჯანაშვილმა სუბიექტურ მოსაზრებათა ძალით ცალმხრივად გააშუქა" გ. საკაძის ამბავი და შეეცადა მისი „მარტო უარყოფითი მხარეები დაენახვებინა მაშინ, როდესაც მას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა"[219].

დასასრულს რ. გაბაშვილი დაასკვნიდა: „ეს არ არის „ეამთა აღმნერლობა, რომელიც ჭეშმარიტების მეტყველება არს", არამედ მართლაც „თვალხმა ვისთვისმე" და მკითხველი საზოგადოება მეტის სიფრთხილით უნდა მოექცეს ასეთ ისტორიკოსებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მკითხველებზედ უფრო მეტის სიფრთხილით ექცეოდნენ საისტორიო მასალას, თორემ გამოჩნდება კიდევ ახალი შინზრდილი ისტორიკოსი ვინმე და ახლა ჯანაშვილის ნაწერს გაიხდის მოწმედ, რომ საკაძე ჯაშუში და მუხანათი იყო, თუნდაც ამაში ნამცეცი სიმართლეც არ მოიძებნებოდეს"[220].

ზემოთ ჩვენ მოვიხსენიეთ იშხანიანის რუსულ ენაზე გამოსული წიგნაკი „ეკონომიური და საზოგადოებრივი საფუძვლები სომეხ-

---

[218] ჟურნ. „კლდე", 1914 წლის 8 ივნისი, გვ. 12-15.

[219] იქვე.

[220] იქვე, 1914 წლის 15 ივნისი, გვ. 15.

ქართველთა ანტაგონიზმისა", რომელშიც, ჟურნალის თქმით, ავტორი „საოცარის მოურიდებლობით ნილაბს ხსნიდა სომხურ ნაციონალისტურ პოლიტიკას და საშუალებას აძლევდა ყოველ შეგნებულ ქართველს, ნათლად წარმოედგინა ჩვენი „მეზობლების და მეგობრების" გულწრფელობა სიმშვიდისა და ძმობის მოძახილებში"[221].

რეცენზენტის, რ. გაბაშვილის (***) აზრით, მას „უტიფარი დასკვნები გამოჰყავდა საქართველოს სიკვდილზედ და ჩამორჩენაზედ სომხურ პროგრესულ კაპიტალის მსვლელობის წინაშე... იშხანიანის თქმით „სომეხ-ქართველთა ანტაგონიზმი მოგონილი კი არ გახლდათ, არამედ იგი *იყო, არის და იქნება* (ხაზგასმა —იშხანიანის — გ. ს.), რადგან ღრმა ეკონომიური და საზოგადოებრივ საფუძველზეა დამყარებული..."[222]

---

[221] ჟურნ „კლდე", 1914 წლის 27 აპრილი, გვ. 17.

[222] იქვე.

# დასკვნა

1. ჟურნალი „კლდე“ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემა იყო. ჟურნალის გამომცემელთა აზრით, იგი „ერის გამომაფხიზებელ მესაყვირედ“ უნდა გამხდარიყო. „კლდე“ თავისი არსებობის მანძილზე (1912 წლის სექტემბერი — 1915 წლის მაისი) თავდაუზოგავად ემსახურებოდა დასახული მიზნის ხორცშესხმის საქმეს.

2. ჟურნალ „კლდის“ მიზანდასახულობა გაცხადებული იყო მის საპროგრამო წერილში: რაც უპირველესად გულისხმობდა უკომპრომისო ბრძოლას საქართველოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას... ჟურნალის სამოქმედო დევიზი იყო: „გამდიდრდით, იმუშავეთ, შეიძინეთ!“, ანუ „ქონებრივი სიმდიდრე და ეკონომიური სიძლიერე უნდა გამხდარიყო დედა-ბოძი ეროვნული მოძრაობისა...“ და სხვ.

3. ჟურნალი გამოსვლისთანავე ხმალშემართული დადგა სამშობლო ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის სადარაჯოზე. „კლდეისტებს“ (რევაზ გაბაშვილის მიერ შერჩეული ტერმინია — გ. ს.) მიაჩნდათ, რომ „ეროვნული იდეა იმავე დროს საკითხი იყო ქართულის ენისა, ქართულის ტერიტორიისა, ქართულის ეკლესიისა, ქართულის კულტურისა, ქართულის მესაკუთრეობისა და ვაჭრობა მრეწველობისა“ და, რომ „ყოველი იდეა რეალიზაციის დროს იგივეა, რაც ოქროს ფული გადახურდავებული სპილენძის გროშებზედ. ვინც არ აფასებს სპილენძის გროშებს, მან არ იცის ფასი ოქროს მანეთისაც“.

4. ჟურნალი „კლდე“ გადაჭრით იცავდა კერძო საკუთრების პრინციპს... „კლდეისტების“ თქმით, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის უპირველეს საშუალებად საკუთარი ეკონომიკის განვითარება უნდა გამხდარიყო: „განავითარეთ ქვეყნის მწარმოებლური ძალები, მოაწყვეთ ყოველგვარი ეკონომიური ორგანიზაციები, ჩაუნერგეთ მათ ეროვნული სული და ამ გალესილი იარაღით ამაყნი და ძლიერნი გამოდით საბრძოლველად...“.

5. ჟურნალი უპირველეს მნიშვნელობას უთმობდა მიწისა და ტერიტორიის საკითხს, რადგან სწამდა, რომ მასზე იქნებოდა დამოკიდებული „ქვეყნის მომავლის ბედი“; რომ „ტერიტორიისა და მიწის წართმევა ქართველებისათვის, ისტორიულ-პოლიტიკური ნიადაგის გამოცლა იქნებოდა...“. ამ პრობლემისადმი „კლდეისტთა“ დამოკიდებულება ყველაზე საჩინოდ იკვეთება ოს ხიზანთა და სომეხი ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მგლური მადის მხილებაში, რასაც ისინი ქართული მიწების მიტაცებისადმი იჩენდნენ...

6. ჟურნალს სწორი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული მეზობელ ერებთან საურთიერთოდ, რაც „კლდეისტთა" აზრით, „თვით საქართველოს ტერიტორიული აგებულებიდან გამომდინარეობდა", რომ „ქართველი ხალხი არავის ცხოვრებაში არ ერეოდა და მას თამამად შეეძლო ეთქვა: საკუთარ მიწა-წყალზე ვცხოვრობ და ვიდრე ეს ტერიტორია არსებობს მე სუპერარბიტრი ვარ ყველა მთავარ საკითხში, რომელნიც კი წარმოიშვებიან ამ ტერიტორიის ცხოვრებაში"... „კლდე", აგრძელებდა რა დიდი ილიას „ქვათა ღაღადის" კურსს — სააშკარაოზე გამოჰქონდა საქართველოს ეროვნული ინტერესების ყოველგვარ ხელმყოფთა ნამოქმედარ-ნააზრევი.

7. ჟურნალს ვიწრო ეროვნულ საქმედ არასდროს გაუხდია საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი, მას არასდროს წამოუყენებია შოვინისტური ლოზუნგი — „საქართველო *მხოლოდ* ქართველებისათვის!"(როგორც იმხანად თბილისში გამომავალი სომხური გამოცემები სნამებდნენ „კლდეისტებს"), არამედ მათი უპირველესი საზრუნავი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და არა სხვა ეროვნების ხალხთა ჩვენი მიწა-წყლიდან განდევნა. ეს აზრი თავის განივთებას პოულობდა მათ სამოქმედო დევიზში: „საქართველო *ჯერ* ქართველებისათვის!"

თემატურად საკითხთა ამავე წრეს განეკუთვნება შუა ქართლში, ტირიფონის ველზე სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ გამოსვლა, რომელსაც ინტენსიურად დასახლებული ტერიტორია უნდა შენირვოდა და სხვ. რევაზ გაბაშვილი აძლევდა რა ჟურნალის მიერ ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობას შეფასებას, აღნიშნავდა: „კლდესა" და „კლდეისტებს" ამ საკითხთა გარშემო ატეხილი ბრძოლის მეტი რომ არა გვეწარმოებინა რა, და რაც მივაღწიეთ, იმის მეტი არა გაგვეკეთებინა რა, — მაშინაც ვერავინ იტყვის, — „ამაოდ დაშვრნენ"-ო.

8. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის დამსახურება, რაც ჟურნალს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის საქმეში მიუძღვის...

9. ჟურნალის გამოსვლა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის გაჩაღებულ კამპანიას დაემთხვა და, ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებულმა პერიპეტიებმაც ჰპოვეს მის ფურცლებზე ფართო ასახვა... „ერთის მხრივ, სოციალ-დემოკრატია და, მეორეს მხრივ — ეროვნული ჯგუფების კოორდინაცია" ახასიათებდა საარჩევნო ბრძოლას. „კლდეს" სწორედ რომ „ეროვნული ჯგუფების კოორდინაცია ჰქონდა დასახული" თავის მიზნად და „მთელი შეგნებული ქართველი ერის" კანდიდატის არჩევას უჭერდა მხარს... ჟურნალი პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა პარლამენტში წარსაგზავნი პიროვნების მოვალეობასა და პასუხისმგებლობას და ასაბუთებდა, რომ „დეპუტატობა ადვილი საქმე არ იყო".

10. ქართველთა შორის ეროვნული სულისკვეთების ამაღლებისა და განმტკიცების საქმეში, ჟურნალი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქართველ მამულიშვილთა მიერ გაწეული ღვაწლის წარმოჩენის საქმეს (შოთა რუსთაველი, დიმიტრი ყიფიანი, პეტრე ბაგრატიონი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.).

11. ჟურნალის მიხედვით, პრესა იყო ის მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომელსაც შეეძლო განსაკუთრებული როლი შეესრულებინა ერის კონსოლიდაციის საქმეში... პრესის რაოდენობრივი ზრდა აარასასურველად მიაჩნდა, თუ „იგი საერთო საქმის გაუმჯობესებისაკენ არ იქნებოდა მიმართული". აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმაზეც, თუ რა ადგილს უთმობდა „კლდე" ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა და ქართული ხელოვნების განვითარების საკითხებს... ქართული საზოგადოებრივი აზრის ეროვნული მიმართულებით ფორმირების საქმეს ხელს უწყობდა ის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ძალები, რომლებიც ჟურნალის რედაქციის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი მისი გამოსვლის პირველი ხანებიდანვე. პირველ რიგში „კლდის" დამაარსებლები — დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) და მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) უნდა მოვიხსენიოთ, შემდეგ კი ისინი, ვინც ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად თვლიდნენ თავს /შალვა ქარუმიძე, დავით კასრაძე, მიხეილ მაჩაბელი, გიორგი დაფქვიაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ვასილ ყიფიანი, დიმიტრი ჯავახიშვილი, სამსონ დადიანი, გიორგი ნამორაძე, თედო ღლონტი და სხვ. თავიანთი კალმის ნაყოფით ჟურნალს დროდადრო ამშვენებდნენ: ნიკო ნიკოლაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ვაჟა-ფშაველა, იოსებ მჭედლიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, დუტუ მეგრელი, პავლე ინგოროყვა, ია ეკალაძე, მელანია (ნიკოლოზ ნათიძე).

ავტორთა მრავალრიცხოვნება ჟურნალის თემატურ მრავალფეროვნებასაც განაპირობებდა, რაც ფართო მკითხველის მიზიდვის საუკეთესო გარანტს წარმოადგენდა...

11. ამრიგად, ჟურნალმა „კლდემ" თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართველი ხალხის გამოფხიზლების, მისი ეროვნული კონსოლიდაციის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, ერის ერთიანი ფსიქიკური ნყობის ჩამოყალიბების საქმეში. „კლდეისტებს" თამამად შეეძლოთ გაემეორებინათ ფრენსის ბეკონის სიტყვები: „მე ზარები დავარისხე, რომელიც ჭკვიან ადამიანებს ერთად შეკრებისკენ მოუწოდებდა!"-ო.

## Resüme

Die Zeitschrift von national-demokratischer Richtung "Klde" (1912-1915) war eine monatliche Ausgabe, die den Fragen der teritorrialen Integrität, der "nationalen Ökonomik, der Wiederherstellung von Autokephalie der georgischen orthodoxen Kirche, der internationalen Beziehungen, der Entwicklung von nationaler Kunst und Literatur besondere Aufmerksamkeit schenkte.

Die Zeitschrift "Klde" hat zur Formierung des georgischen nationalen Bewustseins sowie zur Verwandlung der national-demokratischen Partei in eine politische Organisation stark beigetragen – Die Zeitschrift, deren Begründer bekannte georgische Patrioten Dawid Watschnadze, Rewaz Gabaschwili und Schalwa Amiredshibi waren, hat in der Geschichte der georgischen Jouralistik eine hervorragende Stellung eingenommen.